საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

რადა სადილოვა

გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ეროვნული კონცეფცია და პუბლიცისტურ-ეკონომიკური მოღვაწეობა

სადოქტორო- საგანმანათლებლო პროგრამა
„საქართველოს ისტორია“
სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:
სერგო ვარდოსანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2021

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია 3

Annotation 7

შესავალი 10

თავი I. გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ცხოვრება და მოღვაწეობა 23

1.1. გიორგი ზდანოვიჩის წარმომავლობა და ოჯახი 24

1.2. გიორგი ზდანოვიჩი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასა და პეტერბურგში 29

თავი II. გიორგი ზდანოვიჩის მონაწილეობა „50-ის პროცესში“ და გიორგი ზდანოვიჩი - მანგანუმის ყრილობის ხელმძღვანელი 36

2.1. გიორგი ზდანოვიჩი და „50-ის პროცესი“ 38

2.2. გიორგი ზდანოვიჩი მანგანუმის ყრილობის ხელმძღვანელი და მისი მოღვაწეობა ჭიათურის აღმშენებლობის საკითხში 85

2.3. გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ღვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში 100

თავი III. გიორგი ზდანოვიჩის პუბლიცისტური და ჟურნალისტური მოღვაწეობა 119

3.1. გიორგი ზდანოვიჩის წერილები ქართულ პერიოდულ გამოცემებში 121

3.2. ქართულ-უცხოური პრესა გიორგი ზდანოვიჩის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ 149

დასკვნა 154

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 163

ანოტაცია

ქართველ ხალხსა და ქართულ სახელმწიფოებრიობას ათეულობით საუკუნის ისტორია აქვს. ეს ქვეყნის მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების პროცესს კი არ მოიცავს, არამედ-ქართველთა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიასაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველ ხალხში არ ჩამქრალა მებრძოლი სული. ქართველი ერი მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

XIX საუკუნის დამდეგს ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. ერთდროულად იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ამ ტალღამ მოიცვა იმპერიალისტური წნეხის ქვეშ მყოფი ქვეყნები და, მათ შორის, საქართველოც. თუ ეს ბრძოლები წინათ მიზნად ისახავდა დამპყრობლებისაგან განთავისუფლებას, ის კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ის შეიცვალა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ პოლიტიკასთან ერთად, ერების ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში, ახალმა საჭიროებებმა იჩინა თავი, რაც გულისხმობდა იმპერიალისტური რეჟიმის რევოლუციური გზით დამხობას და სოციალური თანასწორობის საფუძველზე დემოკრატიული წყობის დამყარებას. განმათავისუფ-ლებელი გზა აღსავსე იყო მძიმე და ტკივილიანი მონაკვეთებით. ბობოქარ თაობას, რომელიც ეროვნული სულისკვეთებით იყო აღსავსე, ქარტეხილიანი გზის გავლა უწევდა. ყოველი წარუმატებელი ნაბიჯი მათ მეტად აძლიერებდა და სულის სიმტკიცეს სძენდა.

ამგვარი იყო ვითარება XIX საუკუნის 30-იან წლებში, რამაც მრავალი ოჯახი რეპრესიის მსხვერპლი გახადა, საქართველო კი მათთვის თავშესაფრად, სამშობლოდ იქცა. ერთიან ძალად ქცეული ქართველი თუ სხვა ერის წარმომადგენელი კვლავ ღიად თუ ფარულად აგრძელებდა სვლას თავისუფლებისაკენ მიმავალ ეკლიან გზაზე. მიზანი იყო ერთი - იმპერიალიზმის მარწუხებისგან თავის დაღწევა, ბურჟაზიული წყობის დამხობა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX-XX საუკუნეებში დიდ პრობლემას წარმოადგენდა ამ დროში არსებული რეჟიმისათვის. ამ გზას დაადგა ეყანაში არსებული პროგრესულად

მოაზროვნე ინტელიგენცია. დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნას ყველა სფეროში მართებული და ფრთხილი ნაბიჯების გადადგმა ესაჭიროებოდა.

ჩვენ მიერ საკვლევად აღებული თემა უკავშირდება საქართველოში პოლონური წარმოშობის საზოგადო მოღვაწის, გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) (1855-1917წ) ეროვნულ კონცეფციას და პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოღვაწეობას, რომელიც მთლიანად ემთხვევა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდს.

ძალიან მწირია ინფორმაცია გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მასზე გაკვრით არის საუბარი მაშინ, როდესაც საკითხი მისი პერიოდის ამა თუ იმ მოღვაწის დახასიათებას შეეხება.გიორგი ზდანოვიჩის პიროვნება სიღრმისეულად არავის შეუსწავლია. ამრიგად, ამ ადამიანის მოღვაწეობა და ღვაწლი მეტ სიცხადეს მოითხოვს.

გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ცხოვრება და შემოქმედება, მისი მდიდარი მემკვიდრეობა დიდი ხანია იმსახურებს მონოგრაფიულ შესწავლას. ამან განაპირობა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული თემის არჩევა.

გიორგი ზდანოვიჩმა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო გზა განვლო. მისი მამა, ფელიქს სამსონის-ძე ზდანოვიჩი, აქტიურად იყო ჩართული რევოლუციურ მოძრაობებში, რის გამოც 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ის 1839 წელს საქართველოში ჩამოვიდა. დაუახლოვდა ქართულ თანამოაზრეთა ჯგუფს და აღფრთოვანდა ქართველი ხალხის მეამბოხე სულითა და თავისუფლებისაკენ ლტოლ ვის უდიდესი სურვილით. 1851 წელს ფელიქსი დაქორწინდა იმერეთის ცნობილი თავადის, მანუჩარ მიქელაძის, ქალიშვილ-მაია მიქელაძეზე.

1855 წელს ქ. ქუთაისში დაიბადა გიორგი ფელიქსის-ძე ზდანოვიჩი, რომელმაც დაწყებითი განათლება ოჯახში დედის ხელმძღვანელობით მიიღო.1871 წელს წარჩინე ბით დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ამავე წელს პეტერბურგში სასწავლებლად წასული სრულიად ახალგაზრდა სტუდენტი გიორგი ზდანოვიჩი მალევე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ის არის გასული საუკუნის 70-იანი წლების რევოლუციონერთა თაობის ცნობილი წარმომადგენელი. რევოლუციური საქმიანობის გამო 1877 წელს ის გაასამართლეს „50-ის პროცესზე“ და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და ექვსი თვით.მის წარმოთქმულ სიტყვას დიდი გამოხმაურება

მოჰყვა მაშინდელ საზოგადოებაში და არც დღეს დაუკარგავს თავისი აქტუალურობა. გიორგი ზდანოვიჩის სულიერი ბუნება ვერანაირმა განსაცდელმა ვერ გატეხა. ის ციხეშიც და მის გარეთაც მუდამ იმას ცდილობდა, რომ ხალხში არ ჩამქრალიყო ეროვნული სულისკვეთება.

გიორგი ზდანოვიჩმა, როგორც რევოლუციონერმა და პუბლიცისტმა, ჯერ კოდევ რუსეთში მოიხვეჭა სახელი. იგი იყო "სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის" გამოჩენილი წარმომადგენელი,რომელმაც თავისი რევოლუციური მოღვაწეობით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

პატიმრობაში ყოფნის დროს გარე სამყაროსთან, ხალხთან კავშირის დასამყარებლად და მათთვის თავისი აზრების გასაზიარებლად მან მოიმარჯვა პუბლიცისტის მახვილი კალამი.1882 წლიდან ქართულ პუბლიცისტიკაში გიორგი ზდანოვიჩს გამორჩეული ადგილი ეჭირა, ის მწერლობაში ცნობილი იყო „მაიაშვილის" სახელით. გიორგი ზდანოვიჩმა, როგორც ფართო განათლებისა და მაღალი გემოვნების პუბლოცისტმა და კრიტიკოსმა, მალე მოიხვეჭა სახელი მკითხველთა შორის და ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტი გახდა.

1889 წელს გიორგი ზდანოვიჩი გათავისუფლდა პატიმრობიდან და საქართველოში, მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდა და მაშინვე ჩაება ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფ ლებელ მოძრაობაში.

გიორგი ზდანოვიჩს ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლე ბისათვის ერთ-ერთ ქვაკუთხედად მიაჩნდა ქვეყანაში სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესება,რასაც ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერება მოჰყვებოდა. მისი აზრით, ამ მიზანს ის პრაქტიკული საქმიანობით მიაღწევდა.1896 წელს გიორგი ზდანოვიჩი აირჩიეს „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს" თავმჯდომარედ, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა 1917 წლამდე.1902 წლიდან ის იყო„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ნამდვილი წევრი, ხოლო 1912 წლიდან - ქუთაისის განყოფილების მუდმივი წევრი და გამგეობის თავმჯდომარე.ის გარდაიცვალა 1917 წელს, მძიმე ავადმყოფობის შედეგად, 62 წლის ასაკში. ყოველივე აღნიშნული მიუთუთებს ჩვენი საკვლევი თემის იმ გამოწვევებზე, რომლებზედაც გავამახვილე ყურადღება ჩემ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში.

ჩვენ შეგნებულად გამოვყავით ის საკითხები, რომლებზედაც ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული ამ და მომდევნო პერიოდის სამეცნიერო შრომებში, პუბლიცისტიკაში, არქივებსა თუ მონოგრაფიებში და ვეცადეთ, სრულყოფილად შეგვესწავლა გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ეროვნული კონცეფცია და პოლიტიკურ-ეკონომიკური მოღვაწეობა.

Annotation

The Georgian people and Georgian statehood have a history of tens of centuries. This includes not only the process of socio-economic, political and cultural development of the country, but also the history of the Georgian people's liberation struggle. During all this time, the fighting spirit has not disappeared from the Georgian people. The Georgian nation has always stood at their best

At the beginning of the XIX century a new page of history was opened. Simultaneously, a wave of the national liberation movement erupted.

In the late nineteenth and early twentieth centuries, this wave swept across countries under imperialist pressure, including Georgia. If these battles were previously aimed at liberating them from invaders, it has changed with the development of humanity.

Along with the national-liberation policy, in the long process of nation-building, new needs arose, which meant the revolutionary overthrow of the imperialist regime and the establishment of a democratic order based on social equality. The road to liberation was full of hard and painful stretches. The generation, which was full of national spirit, had to go through the hard road. Each failed step strengthened them and strengthened their souls.

This was the situation in the 30th of XIX century, which made many families victims of repression, and Georgia became a refuge for them, a homeland. The representative of a Georgian or another nation, which has become a united force, continued to openly or secretly continue on the thorny path to freedom. The goal was one - to escape from the shackles of imperialism, to overthrow the bourgeoisie and to restore Georgian statehood. The national liberation movement of the Georgian people in the XIX-XX centuries was a big problem for the current regime. This was the way taken by the progressive intelligentsia in the country. Transformation into a democratic state required correct and prudent steps in all areas.

The topic of our research is related to the national concept and political-economic activity of the public figure of Polish origin, Giorgi Zdanovich (Maiashvili) (1855-1917) in Georgia, which completely coincides with the period of the national liberation movement in Georgia.

There is very little information about the life and work of Giorgi Zdanovich. He is often talked about when it comes to characterizing this or that figure of his period. No one has studied the personality of Giorgi Zdanovich in depth. Thus, the work and merits of this man require more clarity.

The life and work of Giorgi Zdanovich (Maiashvili), his rich legacy has long deserved a monographic study. This led us to choose the topic mentioned above.

Giorgi Zdanovich has passed an interesting way of life and work. His father, Felix Zdanovich, was actively involved in revolutionary movements, which led to the repression of the 1930s. He arrived in Georgia in 1839. He approached the group of Georgian comrades and admired the rebellious spirit of the Georgian people and their great desire for freedom. In 1851 Felix married the daughter of the famous noble of Imereti, Manuchar Mikeladze, Maia Mikeladze.

Giorgi Zdanovich was born in 1855 in t. Kutaisi. He received his primary education in the family under the guidance of his mother. In 1871, he graduated from Kutaisi Classical Gymnasium with honors. Giorgi Zdanovich, a very young student who went to St. Petersburg to study in the same year, soon joined the revolutionary movement. He is a well-known representative of the generation of revolutionaries of the 70s of the last century. For his revolutionary activities in 1877, he was tried at the "50 Trials" and sentenced to 8 years and six months in prison. The spiritual nature of Giorgi Zdanovich could not be broken by any trial. He always tried to keep the national spirit alive, both inside and outside the prison.

Giorgi Zdanovich, as a revolutionary and publicist, first made a name for himself in Russia. He was an outstanding representative of the "All-Russian Social-Revolutionary Organization", who through his revolutionary activities made a visible contribution to the history of the Russian revolutionary movement.

While in prison, he earned the name of a publicist in order to communicate with the outside world, with people and share his thoughts with them. Giorgi Zdanovich has been prominent in Georgian journalism since 1882, in writing he was known as "Mayashvili". Giorgi Zdanovich, as a publicist and critic of broad education and high taste, soon gained popularity among readers and became one of the famous journalists.

In 1889, Giorgi Zdanovich was released from prison and returned to his native Kutaisi, Georgia, where he immediately joined the national liberation movement.

Giorgi Zdanovich considered the improvement of the economic life in the country as one of the cornerstones for the social and national liberation of the Georgian people, which would lead to the economic strengthening of the country. In his opinion, he would had achieved this goal through practical activities. In 1896, Giorgi Zdanovich was elected as a chairman of the "Black Stone Industrialists Council", which he held until 1917. From 1902 he was a full member of the Society for the Promotion of Literacy among Georgians, and from 1912 he was a permanent member of the Kutaisi branch and a chairman of the board. He died in 1917, at the age of 62, of a serious illness. All of the above points to the problems, associated with the topic of our research, which I highlighted in my article.

We deliberately highlighted the issues that were less focused on in this and subsequent scientific works, journalism, archives or monographs, and tried to thoroughly study the national concept and political-economic activity of Giorgi Zdanovich (Maiashvili).

შესავალი

საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მონოგრაფიული ლიტერატურა თუ სხვა ნაშრომების, სადაც ვრცლად იქნება საუბარი საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩის შესახებ. როგორც უკვე ავღნიშნეთ მასზე, ძალზე მწირი მასალები არის წარმოდგენილი სხვადასხვა სახით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. კანდელაკის, დ.კაკაბაძის, დ. ჭუმბურიძის, ი. ნაროკიძის შრომები, აქ დაწვრილებით არის გადმოცემული გიორგი ზდანოვიშის შესახებ, სხვა შემთხვევებში ამ პერიოდის ისტორიულ, პუბლიცისტურ თუ მონოგრაფიულ შრომებში ფრაგმენტუ ლადაა წარმოდგენილი მისი პიროვნება. აქედან გამომდინარე,ძალიან ბევრია ისეთი საკითხი,რომელიც მეტ სიცხადესა და სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ შევეცადეთ,არსებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო, პუბლიცისტური და საარქივო მასალების საფუძველზე ყურადღება გაგვემახვილებინა შემდეგ საკითხებზე:XIX-XX საუკუნეების საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ეროვნულ კონცეფციასა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოღვაწეობაზე,მის ღვაწლსა და დამსახურებაზე რევოლუციურ საქმიანობაში და ასევე საქართველოში მანგანუმისა და ჭიათურაში მუნიციპალურ და საგანმანათლებლო საქმეებზე.

ვფიქრობ, მრავალი მკვლევარი დაინტერესდება გიორგი ზდანოვიჩის პიროვნებით და ჩვენი ნაშრომი საშუალებას მისცემს განავრცოს თავისი ხედვა და ახლებურად აღიქვას ეს ეპოქა.

ნაშრომში წარმოდგენილია არაერთი სიახლე: გიორგი ზდანოვიჩის რევოლუციური მოღვაწეობა რუსეთსა და საქართველოში, მისი მონაწილეობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მისი ეროვნული და კრიტიკული წერილები პუბლიცისტიკაში, „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“, ჭიათურაში მუნიციპალურ და საგანმანათლებლო საქმეში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარეობის პერიოდი.ასევე შევისწავლეთ გიორგი ზდანოვიჩის პირადი არქივი და მისი საქველმოქმედო საქმიანობა.

ნაშრომზე მუშაობის დროს მოგვიხდა საქართველოს ხუთი სხვადასხვა და პეტერბურგისა და მოსკოვის არქივებშიმასალების მოძიება, საქართველოში უახლესი ისტორიის XIX-XX საუკუნის პერიოდის შესწავლა ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო, მემუარულ და ლიტერატურულ შრომებში.შევისწავლეთ ამ დროის პუბლიცისტიკა. განსაკუთრებით საინტერესო მასალები დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში, სადაც მისი პირადი ფონდია წარმოდგენილი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, რომლის ფონდშიც ვპოულობთ გიორგი ზდანოვიჩის საცხოვრისთან დაკავშირებულ მასალას და სხვა დეტალებს, საქართველოს ეროვნული არქივი, სადაც შემონახულია მასალები გიორგი ზდანოვიჩის უკანონო შვილის არსებობის შესახებ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმი და სხვა საჭირო მასალები.

შესწავლილი გვაქვს,აგრეთვე,საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ს. მესხის, ეგ. იოსელიანის, ს. გერსამიას ფონდები, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის არქივში ი. მეუნარგიას ფონდი.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მოსკოვოს ოქტომბრის რევოლუციისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივები.სადაც შემონახულია გიორგი ზდანოვიჩის რევოლუციური მოღვაწეობის წლები. უფრო მცირე, მაგრამ ყურადსაღები მასალები წარმოდგენილი იყო ქუთაისისა და ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. შესწავლილია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ და სხვადასხვა საჯარო ბიბლიოთეკებში არსებული წიგნთსაცავი და საგაზეთო მასალები.

მარტივი არ იყო მოძიება მასალებისა რომლებიც ეხებოდა გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რადგან ეს დოკუმენტები გაფანტული იყო და ელოდა გამომზეურებას.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) პიროვნებითა და მოღვაწეობით მეტი და მეტი მკვლევარი დაინტერესდა. მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ნაშრომმა კიდევ მეტად გაზარდა დაინტერესება ამ საკითხის მიმართ.

საარქივო მასალების, საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა.

ა) წყაროების მიმოხილვა

ჩვენ მიერ საკვლევად აღებული თემა გახლავთ პოლონელი წარმოშობის გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ეროვნული კონცეფცია და პუბლიცისტურ-ეკონომიკური მოღვაწეობის შესახებ საქართველოს არქივებში დაცულია არაერთი დოკუმენტი.

გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი (მაიაშვილი) XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის მოღვაწეობაზე მოიძებულ მასალათა შორის არც ისე ბევრია დამუშავებული და შესწავლილი. გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრებისა და რევოლუციურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს დღემდე გამოუქვეყნებელ საარქივო მასალებს, რომლებიც ინახება თბილისის, ქუთაისის, ვილნიუსის, ტომსკის,კიევისა და სხვა ყოფილი სსრ კავშირში შემავალი ქვეყნების არქივებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცნობებს ჩვენ ვხვდებით მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისისა და ქუთაისის არქივებში.

მეტად საინტერესო მასალები ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში, ქუთაისის ცენტრალურ არქიში,საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის სერგო მესხის, ეგნატე იოსელიანის, სერგო გერსამიას ფონდებში.ზუგდიდის დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის არქივის იონა მეუნარგიას ფონდში.ასევე მოსკოვის ოქტომბრის რევოლუციის არქივში, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიულ არქივში.

მდიდარი მასალებია დაცული ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში,სადაც წარმოდგენილია გიორგი ზდანოვიჩის პირადი არქივი (ფონდი№ 6416). სწორედ აღნიშნულ არქივის ხსენებულ ფონდში მოვიძიეთ ჩვენთვის საინტერესო მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი,რომელთა უმრავლესობაც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში,ამ მასალების გაცნობაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან 1917 წლამდე საქართველოს კაპიტალისტური მეურნეობის, მარგანეცმრეწველობის ისტორიის, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესახებ.არქივში მრავლადაა დაცული გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის)პირადი წერილები, რომლებიც გამოგზავნილია იმდროინდელ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და კერძო პირთა მიერ.ასევე გიორგი ზდანოვიჩის მიერ მიწერილი წერილები რუს და ქართველ მოღვაწეებისადმი.იქ გვხვდება

ი.ჯავახიშვილის, ი.გომართელის, გ.ლასხიშვილის, ი.ბაქრაძის, ი.ეკალაძის, ი.გომელაურის, პ.გოთუას, დ.ბაქრაძის, გ.ვოლსკის, ი.ნაკაშიძის, ი.ოცხელის, რ.ფანცხავას, ს.ქვარიანის, ნ.დადიანის, გ.დიასამიძის, გ.რობაქიძის, გ.ჭიჭინაძის, სამ.ფირცხალავას, ალ.ჭიჭინაძის, ს.ხუნდაძის, ა.ჩხეიძის, მიხ.ყიფიანის, ქ.ქავთარაძის, კონს.ფოცხვერაშვილის,კიტა აბაშიძისა და სხვათა წერილები.ასევე არქივში წარმოდგენილია საქმიანი ქაღალდებიც, რადგან ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი ხდებოდა საზღვარგარეთაც, ამიტომ შავი ქვის საბჭოს საზოგადოებას საქმიანი ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა უცხოური ქვეყნის ფირმებსა და ბანკებთან,მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების ქუთაისის სამმართველოსთან, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროთან.არქივში ასევე დაცულია გიორგი ზდანოვიჩსა და სახელმწიფო სათათბირო დეპუტატებთან მიწერ-მოწერის ამსახველი დოკუმენტაცია,ოქმები,მიმოწერები,ხელშეკრულებები და ოფიციალური დოკუმენტები, გიორგის მიერ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი).გიორგი ზდანოვიჩის დაბადების თარიღად ლიტერატურაში უმთვრესად მიღებულია 1855წელი.გიორგის დედის სახელზე შედგენილ მოწმობაში გიორგი ზდანოვიჩის დაბადებისა და მონათვლის თარიღებად შესაბამისად ნაჩვენებია 1855 წლის 14 და 29 იანვარი (ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში გიორგი ზდანოვიჩის პირადი არქივი, საქ. 22/2393), გიორგი ზდანოვიჩის ნამსახურობის წიგნში კი 1854 წლის 4 ნოემბერი წერია. ამ თარიღს ასახელებს თავის რამდენიმე განცხადებაში დედამისი-მაია მიქელაძე.მამისა და დედის განცხადებები, ცხადია, სინამდვილეს შეეფერება, უფრო კომპეტენტურია.

არქივი ხუთი ნაწილისაგან შედგება.პირველ წიგნში ქართული წერილები,ხოლო მომდევნო ოთხში კი რუსულ და უცხოურ ენაზე შესრულებული წერილები და საბუთებია წარმოდგენილი სულ 3160 დოკუმენტი.გიორგი ზდანოვიჩის ამ მდიდარი არქივის გულმოდგინე შესწავლა გვარწმუნებს,რომ იგი ამ მასალების მნიშვნელობის მცოდნე პირის ან პირების მიერ არის გადარჩენილი ,მაგრამ ნაწილი განადგურებულია. ეს, ცხადია, იქიდან გამომდინარე, რომ გიორგი, როგორც ეტყობა, დიდი სიფრთხილითა და გულისხმიერებით ინახავდა უბრალო ჩანაწერს, მოსაწვევ ბარათებსაც კი. არქივში არ ჩანს მისი პუბლიცისტური სტატიებისა და წერილების ავტოგრაფები, წერილები დედისადმი, ისეთი საზოგადო მოღვაწეობის წერილებიც კი, რომლებიც პირდაპირი და

არაპირდაპირი წყაროებიდან იკრიბება.მასთან მიმოწერას აწარმოებდნენ: ა. კერენსკი, ი.ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. თუმანიშვილი, ალ. წულუკიძე, ნ. ნატანსონი, ივ.ჯავახიშვილი, მ. ყიფიანი და სხვები. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს წერილები არ შემოენახა გიორგის თავის არქივში. სავარაუდოდ, ამ წერილების ნაწილი დაკარგულია ან განგებ გადამალულია. როგორც ირკვევა, გიორგის ანდერძის თანახმად, არქივი გადაუციათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, შემდეგ იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოოდ, როგორც ჩანს, გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) არქივი ნაზარიშვილის ქალიშვილმა - ელეონორამ მიიტანა მუზეუმში, აღწერა და სისტემაში მოაქცია. რომ არა ელო ნაზარიშვილი, დღეს უამრავი რამ გაურკვეველი იქნებოდა, რადგან ეს ქალბატონი პირადად იცნობდა ყველა დოკუმენტს და მათს ავტორს, იმ მოვლენებს, რომელზედაც ამ დოკუმენტებშია საუბარი. სავარაუდოა, რომ გიორგი ზდანოვიჩის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი ვინმე კერძო პირის პირად არქივშია მოხვედრილი. რაც შეეხება მისი ნაწერების დედნებს, იგი შეიძლება გადაეცა გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ რედაქციას, რადგან 1916 წლის პირველი ნომრიდან გაზეთი იუწყებოდა, რომ „წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ გ. მაიაშვილის კრებულს“.ეს ცნობა სისტემატურად მეორდება. გაზეთის უკანასკნელ ნომერში კი გამოჩნდა განცხადება 1916 წლის ხელისმომწერთა საყურადღებოდ: ჩვენდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო გიორგი მაიაშვილის ნაწერების კრებულის,როგორც დაპირებული ვიყავით წლიურ ხელმომწერებზე, გამოცემა დაგვიგვიანდა.ეს უკანასკნელი ხელის მომწერებს დაურიგდებათ აპრილის პირველ რიცხვებში.ეს კრებული შემდეგში არ გამოცემულა და არც გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ არქივი არ შემონახულა. გაზეთის გამოცემიდან არ ჩანს,თუ რა სახის ნაწერები უნდა შესულიყო კრებულში.არქივის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ გიორგი მაიაშვილი თავის წერილების უმრავლესობას ხელმოწერის გარეშე აქვეყნებდა. მაგალითად, „სიბირსკაია გაზეტა“ გიორგი ზდანოვიჩის რჩეული წერილების I ტომში გვ.55-95), „ნოვოე ობეზრენიე“ გიორგი ზდანოვიჩის რჩეული წერილების I ტომში გვ.132-149,155-353 ,410-418 და II ტომში გვ.5-224,361-409, „ამირანში,“ და „ჩვენს მეგობარში.“ გიორგი ზდანოვიჩი ასევე იყენებდა ფსევდონიმებს. ესენი იყო: გ.გ, Г.М., Г.М.–швили, Г. და სხვა. ზოგიერთ წერილს იგი გიორგი ზდანოვიჩსაც აწერდა .ასევე დიდ ყურადღებას იმსახურებს გიორგი ზდანოვიჩის მოხსენებითი ბარათები, სხვადასხვა ზემდგომ ორგანოსთან მიწერ

- მოწერა, სიტყვები და მოხსენებები შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ანგარიშებში, შრომებში, რომლებიც 1900 წლებიდან რეგულარულად გამოდიოდა.

ამ ფონდში დაცული მასალები ნათლად წარმოაჩენს გიორგი ზდანოვიჩის პიროვნებას და მის ღვაწლს ქართველი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. როდესაც ვეცნობით გიორგი ზდანოვიჩის არქივს, იმ უამრავ დოკუმენტს, რომლებიც ამ საქმეებშია მოცემული, უნებლიეთ გვეუფლება რაღაც სიდიადის შეგრძნება,ვხვდებით, რომ საქმე გაქვს არა მარტო ადგილობრივ,ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ დაუცხრომელ მოღვაწესთან,არამედ ადამიანთან,რომელიც მოიცავს მთელს საქართვე ლოს,ერევა მისი ყოველი კუთხის ცხოვრებაში,ეხება საქართველოსა და უზარმაზარი რუსეთის იმპერიას.ამის დასტურია გიორგი ზდანოვიჩის პირად არქივში დაცული რუსეთის იმპერიიდან წარმოგზავნილი წერილები,შეტყობინებები,თხოვნა-მუდარები.როგორც ჩანს ესაა მაშინდელი მინისტრების,დუმის წევრების,ცნობილი მწერლების,მეცნიერ-მუშაკების,საზოგადო და კულტურის სფეროს მოღვაწეებისაგან. ძმობასა და სამსახურზე დამყარებული დიდი ორგანიზაციის დიდ მაგისტრად იყო წოდებული გიორგი ზდანოვიჩი. მის გვერდით იდგნენ ამ ეპოქის ცნობილი ეროვნული მოღვაწენი,ესენი იყვნენ: კიტა აბაშიძე, ეგნატე გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე და სხვები. მათი მიზანი იყო ქვეყანაში არსებული რეჟიმის უკეთესით შეცვლა,ხალხის მასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბრძოლა.მათ ბრძოლის ყველაზე დიდი და გაბედული გზა აირჩიეს.ეს გზა აირჩია უსაზღვროდ კეთილშობილმა, საზოგადოებისათვის თავდადებულმა გიორგი ზდანოვიჩმაც. ის ასევე კეთილშობილი და გულწრფელი იყო თავის ყველა არჩევანში. თუმცა, მისი რევოლუციური იდეალები, სოციალისტური შეხედულებები, მარქსიზმით გატაცება კრიტიკულად შეიძლება შეფასდეს არა მარტო დღეს, არამედ - მაშინდელი ეროვნული მოღვაწეების პოზიციიდა ნაც.მიუხედავად ამისა, გიორგი ზდანოვიჩს და მის თანამედროვე სოციალისტური მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებს ჰქონდათ თავიანთი სიმართლე, მიზანი და მომავლისათვის ბრძოლის პროგრამა.და ეს მსოფლმხედველობა ადამიანთა დახმარებას, საზოგადოების დაჩაგრული ნაწილის გაძლიერებას, მისი საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლას გულისხმობდა.

გიორგი ზდანოვიჩის მოღვაწეობის შესახებ ცოტაა დაწერილი და გამოკვლეული. რუსი და ქართველი ავტორები მას გაკვრით, სხვა მოღვაწეთა დახასიათებისას თუ

ეხებიან. რაც შეეხება არქივებს, ისიც არ არის სრულყოფილად დამუშავებული. ყოველივე ამან გადაგვაწყვეტინა შეგვესწავლა მისი ღვაწლი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ასევე მდიდარი მასალაა დაცული ქუთაისის საისტორიო სახელმწიფო არქივში (ფონდი № 9).სადაც ინახება მასალები, რომლებშიც საუბარია გიორგი ზდანოვიჩის ანდერძის შესაბამისად მის ქველმოქმედებაზე, საცხოვრებელი სახლის მდებარეობასა და მის სამომავლო ბედზე.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ არქივს (ფონდი № 481),იქ საუბარია უნიკალურ მასალაზე,რომელიც იმსახურებს დიდ ყურადღებას, რადგან გიორგი ზდანოვიჩი არ ყოფილა დაქორწინებული, ხოლო ამ საარქივო მასალაში კი აღმოჩნდა, რომ 1919 წლის 25 იანვრის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის სხდომამ განიხილა-ანასტასია ელიავას თხოვნა, საზოგადოება დახმარებოდა ზდანოვიჩის უკანონო შვილს გიორგი ვორობიოვს (8 წლის ბავშვს).

ქვემოთ მოცემული არქივები შედგება რამოდენიმე ფონდისაგან.აქ ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულ მათგანს:

საქართველოს ეროვნული არქივ

ა. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ფონდი (ფ.153).

ბ. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სასამართლო ფონდი (ფ.5).

გ. კავკასიის მთავარმართებლის ფონდი (ფ.7).

ზემოთ აღნიშნულ ფონდებში დაცულია მეტად საყურადღებო მასალა გიორგი ზდანოვიჩის შესახებ.აქვეა ბევრი ცნობა საქართველოში მისი დაბრუნებისა და შემდგომი მოღვაწეობის შესახებ. ასევე აღსანიშნავია ქუთაისის არქივში დაცული ფონდები, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ფონდი და სხვა.

საინტერესოა საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის სერგო გერსამიას ფონდები(№25256), სადაც საუბარია „შავი ქვის მრეწველთა საბჭოს“ მუშაობაზე, მანგანუმის გადაზიდვისა და ექსპორტის საქმეზე.ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის არქივი, იონა მეუნარგიას ფონდი და სხვა.

საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის სსრკ კავშირის ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი("Государственный архив Российской Федерации"),

ფონდი (№ 102, 109, 112), სადაც დაცულია იმ პერიოდის უნიკალური მასალა, როდესაც სტუდენტი გიორგი ზდანოვიჩი ჩართული იყო რევოლუციურ მოძრაობაში,მისი დაკავება,პატიმრობაში ყოფნა და განთავისუფლების შემდგომი მოკლე პერიოდი.

ა.ფონდი №102 პოლიციის დეპარტამენტის,რომელიც 1880 წლის აგვისტოდან პოლიციის დეპარტამენტის III განყოფილების მემკვიდრე, სახელმწიფო პოლიციის უმაღლესი ორგანო გახდა. ამ ფონდის სხვადასხვა განყოფილებაში 1880 წლიდან 1917 წლამდე გვხვდება ცნობები გიორგი ზდანოვიჩის ციმბირში გადასახლებასთან, იქ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით.ასევე,სამშობლოში დაბრუნებისა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მისი ყოფნის შესახებ. პოლიციის დეპარტამენტს ყოველწლიურად მის შესახებ ახალ-ახალი ცნობები შემოდიოდა. ოქტომბრის რევოლუციის სხვა ფონდებშიც გვხვდება გიორგი ზდანოვიჩზე ზოგიერთი მასალა. ამ მხრივ საყურადღებოა პ.ლავროვისა და ვ.სმირნოვის ფონდების საქმეში დაცული მასალა.

ბ.ფონდი 109(III განყოფილება,1-3 ექსპონანტი),მისი იმპერატორობითი უდიდებუ ლესობის საკუთარი კანცელარიის III განყოფილება.მესამე განყოფილება წარმოადგენდა პოლიტიკური პოლიციის უმაღლეს ორგანოს, რომელიც სახელმწიფო აპარატის სხვა ორგანოებზე მაღლა იდგა. გიორგი მაიაშვილი ზდანოვიჩი ამ ორგანოს ყურადღების ცენტრში იყო 1873 წლიდან.განსაკუთრებით ბევრი მასალა გიორგი ზდანოვიჩის შესახებ III განყოფილების მე-3 ექსპედიციის საქმეებშია.აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ტომი ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის შესახებ.ამავე ფონდში გვხვდება დედამისის თხოვნები,მასზე შედგენილი ცნობები,1880 წლამდე ციხესა და კატარღაში ყოფნის ამსახველი მასალები.

გ. მმართველი სენატის განსაკუთრებული დასწრების ფონდი /ОППС ф.112.оп1 и2. განსაკუთრებული დასწერება წარმოადგენდა უმაღლეს სასამართლო ორგანოს. მან 1877 წელს განიხილა „50-ის საქმე“ (რომელზედაც ჩვენ შემდგომ თავებში ვრცლად ვისაუბრებთ) აქ დაცულია 50 მსჯავდებულზე და, მათ შორის, გიორგი ზდანოვიჩზე წარმოებული გამოძიების მასალები, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები. აქვე ვხედავთ გიორგი ზდანოვიჩის პირად დოკუმენტებს, განცხადებებს, საბრალდებო აქტის დედანს, სასამართლოს მსვლელობის მასალებს, სასამართლო სხდომის მოკლე ოქმს და სხვა მეტად საყურადღებო დოკუმენტებს.

სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდი (№1405,1280) (Санкт-Петербургское государственное казенное учреждение «Центральный государственный исторический архив Санкт-Петербурга» (ЦГИА СПб))

ა. იუსტიციის სამინისტროს ფონდ №1405-ში ვხვდებით გიორგი ზდანოვიჩზე იუსტიციის მინისტრის მიერ იმპერატორისათვის სხვადასხვა დროს წარმოდგენილ მოხსენებებს (დედნებს), აქვეა ცალკე საქმე 50 პირისა. ამ საქმეში გვხვდება გიორგის დედის,მაია მიქელაძის,მრავალი თხოვნა, წერილი და განცხადება და თვითონ გიორგის განცხადებები. ამავე ფონდში შენახულია საცნობარო მასალა გიორგი ზდანოვიჩზე.

ბ. შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის ფონდში მოხვედრილი დოკუმენტები (ფონდი№1282),შეეხება გიორგი ზდანოვიჩის შესახებ სხვადასხვა ინსტანციებთან მიმოწერას. აქვეა მისი განცხადებებიც.

გ. პეტრე-პავლეს ციხის კომენდანტის ფონდ№ 1280-ში შენახულია მასალა,რომელიც გიორგი ზდანოვიჩის ამ ციხეში დამწყვდევისას, ლიტერატურით სარგებლობას, სხვადასხვა პირთან შეხვედრას, საბრალდებო აქტის გაცნობას, დამცველის დანიშვნას, წინასწარ დაკავებას, სახლში გადაყვანას და სხვა მასთან დაკავშირებულ თემებს ეხება. საჭირო მასალას მოვიპოვებთ ასევე კავკასიის კომიტეტის ფონდში, ლ. მელიქოვის, პ. შეგოლევისა და სხვათა პირად ფონდებში (მოსკოვოს ოქტომბრის რევოლუციის, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიულ არქივებში მასალის მოძიება მოხდა ელექტრონული საშუალებით).

გამოყენებულია ინტერნეტრესურსი მცირე რაოდენობით, რადგან ძალზე მწირი და დაუზუსტებელია ის მასალა, რომელიც ინტერნეტსივრცეშია განთავსებული.

მნიშვნელოვანი მასალებია თავმოყრილი ქართულ და რუსულ პერიოდიკის გამოცემაში. ქართულ პერიოდულ გამოცემებში საინტერესოა გაზეთებიი: „კვალი“, „ივერია“, „ჩვენი მეგობარი“, „მოამბე“, „მეგობარი“, „საქართველოს კალენდარი“, „ამხანაგი“, „საქართველო“, „ალიონი“, „მწყემსი“, „ქუთაისი“. ჟურნალები: „სახალხო საქმე“, „მოამბე“, „საქართველოს ეკონომისტი“, „იმედი“ და ა.შ.

რუსულ პერიოდულ გამოცემებში საინტერესოა გაზეთები: „ნოვოე ობოზრენიე“, „სიბირსკაია გაზეტა“, „ჟურნალნიე ობოზრენია“.ჟურნალები: „ვპერედ“, „კრასნი არხივ“, „რუსსკაია მისლ“, „წითელი არქივი“, „მინუვშიე გოდი“, „კანდალნი ზვონ“, “კატარღა ი სსილკი“ და ა.შ.

ბ) ისტორიოგრაფიული მიმოხილვა.

აქ წარმოდგენილია ნაშრომის სუბიექტისა და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ არსებული მონოგრაფიული გამოცემები ქართულ და რუსულ ენებზე.ასევე,გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მათ შორის, უპირველესად აღსანიშნავია ქართული მონოგრაფიული გამოცემების შემდეგი შრომები: ი. კანდელაკის რედაქციით გამოცემული რჩეული ნაწერები (ორ ტომად), გიორგი მაიაშვილი (თბილისი, 1892–1916), დ. კაკაბაძის „გიორგი (მაიაშვილი) ზდანოვიჩი“ (თბილისი, 1969), დ.ჭუმბურიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, „გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი)“ (თბილისი, 2008), ი. ნორაკიძის „გ.ფ. ზდანოვიჩ-მაიაშვილი და ნაროდნიკების საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ევოლუცია საქართველოში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში“ (თბილისი, 1968), გ. ლასხიშვილის „მემუარები“ (თბილისი, 1932).სხვა შრომებში ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი გიორგი ზდანოვიჩი. მაგალითად, დ. კლდიაშვილის „მოთხრობები და პიესები“ (თბილისი, 1947), კონსტანტინე გამსახურდიას რჩეული თხზულებები „ჰამლეტი თუ დონკიხოტი“ (თბილისი, 1965), მ. გაფრინდაშვილის „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე“ (თბილისი,2002),შ.დადიანის „რაც მახსენდება“ (თბილისი, 1959), ვ. კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX საუკუნე) (თბილისი, 1959), გ. მჭედლიძის „ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“ (ქუთაისი, 1993), გ. დეკანოზიშვილის „მემამულის დაბრუნება“ (თბილისი, 2010), ა. ბაქრაძის ქართული მწერლობა „მონოგრაფიული ნარკვევები XIX საუკუნის პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში“ (თბილისი, 2003), გოდერძი და პეტრე ვაჭრიძეების „ქართულ მოღვაწეთა მოგონებები“ (ქუთაისი, 1995), გოდერძი ვაჭრიძის „დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან“ (ქუთაისი, 2006), შალვა დადიანის „გირგვლიანების ოჯახი“ (თბილისი, 1956) და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია რუსული მონოგრაფიული გამოცემების შემდეგი შრომები: ვ.კალაში, „რეჩი ი ბიოგრაფიი“ (მოსკოვი, 1907), ვ. საბლინ, „50-ის პროცესი“ (მოსკოვი,1906), ლ.დეიჩ, „16 წელი ციმბირში“(მოსკოვი, 1924),ა.შილოვი, „რევოლუ ციური მოძრაობის მოღვაწენი რუსეთში“ (მოსკოვი, 1930), ა.სმირნოვი, „XIX საუკუნის 30-60-იანი წლების რევოლუციური კავშირები ნაროდნიკების პოლონელებთან“ (მოსკოვი, 1962), ვ.ბოგუჩარსკი, „70-იანი წლების აქტიური ხალხოსნობა“ (მოსკოვი,

1912), ა.დოლგუშინი, „ცოცხლად დამარხულები“ (პეტერბურგი, 1921), ო. აპტეკმან, „70-იანი წლების საზოგადოება „ზემლია ი ვოლია“ (პეტროგრადი, 1924), ნ. ვიტაშევსკი, „განვლილი წლები“, ი. პისაროვი “ხალხში სიარული“ (მოსკოვი, 1929) და ა.შ.

საკვლევი თემის აქტუალობა. სადისერტაციო თემის „გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის)ეროვნული კონცეფცია და პუბლიცისტურ-ეკონომიკური მოღვაწეობა“ აქტუალობა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ აღნიშნული პერიოდის პრობლემატური ფაქტებისა და მოვლენების შესახებ მრავალი მასალა დღემდე გამოუქვეყნებელია. მონოგრაფიული ნაშრომი ნათელს მოჰფენს ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენებს და გიორგი ზდანოვიჩის ღვაწლს ქვეყნის წინაშე. ამ პერიოდის საზოგადო მოღვაწეთა ეროვნულ სულისკვეთებაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის იმპერიული მარწუხებისგან თავის დაღწევა და სოციალურ თანასწორობაზე დემოკრატიული სახელმწიფოს შენება. მათ უხდებოდათ შიდა თუ გარე პრობლემებთან გამკლავება. გამოწვევების მოგვარების გზაზე გვერდიგვერდ იდგნენ ქართველი თუ სხვა ქვეყნიდან რეპრესიების შედეგად ჩამოსახლებული მებრძოლი სულის ადამიანები. ეს ინტერნაციონალური ძალა კიდევ ერთი მაგალითი იყო ჩვენი ქვეყნის ტოლერანტული სულისკვეთებისა. აღნიშნულ ეპოქაში მომხდარი მოვლენები მიზეზ-შედეგობრივ გამოძახილს პოვებს საქართველოში ამჟამად მიმდინარე, თანამედროვე ეპოქის რეალობაში. XIX-XX საუკუნეებში განვითარებულმა მოვლენებმა სწორედ რომ, XXI საუკუნეში პოვა გამოხმაურება.

ნაშრომის (კვლევის) მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია გიორგი ზდანოვიჩის(მაიაშვილის) ეროვნული კონცეფცია და ეკონომიკურ-პოლიტიკური მოღვაწეობის წლების ნაკლებად ცნობილი და საერთოდ უცნობი ფაქტები, რომლებიც განვითარდა საქართველოსა თუ ცალკეულ რეგიონებში ქვეყნის ეროვნული, კულტურული და მუნიციპალური განვითარებისათვის.

გიორგი ზდანოვიჩს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა გალერეაში.

პოლონური წარმოშობის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ყველა ქართული და ეროვნული საქმის ავანგარდში იდგა. აქედან გამომდინარე, სადოქტორო თემაზე მუშაობისას განვიხილეთ გიორგი ზდანოვიჩის ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები. მისი მოღვაწეობა როგორც საქართველოში,ასევე -

რუსეთში. განსაკუთრებულად საინტერესოა გიორგი ზდანოვიჩის ეროვნული შეხედულებები, რომლებიც აისახა მის მოღვაწეობასა და ძირითად პუბლიკაციებში.

ჩვენ მიერ შესწავლილი,გაანალიზებული და კომენტირებულია გიორგი ზდანოვიჩის ცალკეული ნაშრომები. აგრეთვე, ყურადღება გამახვილებულია მისი ჟურნალისტური და ეკონომიკური მოღვაწეობის ძირითად ასპექტებზე. ამავე დროს სადისერტაციო ნაშრომის ცალკეულ თავებში განვიხილავთ გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ეროვნულ კონცეფციასა და პოლიტიკური მოღვაწეობის მნიშვნელოვან საკითხებს.

მოკრძალებულად შევნიშნავთ, რომ ეს არის პირველი ცდა, წარმოაჩინოს კადრს მიღმა დარჩენილი ფაქტები.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საარქივო დოკუმენტებს, პერიოდიკის მასალებსა და აგრეთე სხვა სამეცნიერო ლიტერატურას.

ნაშრომის პრქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში „გიორგი ზდანოვიჩის(მაიაშვილის) ეროვნული კონცეფცია და ეკონომიკურ-პოლიტიკური მოღვაწეობა“ წარმოადგენს საქართველოში პოლონელი წარმოშობის ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. 1855 წლიდან დღემდე საქართველოში და, კერძოდ, გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრებაში,განვითარებული მოვლენების აღწერას. ამ კუთხით არაერთი სიახლეა წარმოდგენილი ამ სადისერტაციო ნაშრომში.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებებს წარმოადგენს, რომ იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს XIX-XX საუკუნის ამ პერიოდით და გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილის მოღვაწეობით დაინტერესებულ პირებს როგორც სამეცნიერო წრეებიდან,ისე მკითხველებს და მიაწვდის მათთვის ამ დრომდე უცნობ ან ნაკლებად ცნობილი ფაქტების შესახებ ინფორმაციას.ნაშრომში წარმოდგენილია მრავალი საარქივო მასალა საქართველოსა და რუსეთში გიორგი ზდანოვიჩის ბიოგრაფიულ და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.შესაბამისად, იგი, უპირველესად და მარტივად, შესაძლებელია გამოიყენონ საქართველოში ამ ეპოქის და კონკრეტულად გიორგი ზდანოვიჩის პიროვნებითა და მოღვაწეობით დაინტერესებულმა პირებმა. ნაშრომი დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებს,სტუდენტებს,რომლებმაც მასში წარმოდგენილი მასალა შეიძლება გამოიყენონ სამეცნიერო პუბლიკაციებში.

კვლევის მეთოდები. სადისერტაციო ნაშრომი დაფუძნებულია ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, რაც თავის თავში მოიცავს საანალიზოდ შერჩეული თემის შესახებ არსებული დოკუმენტური თუ სხვა სახის წერილობითი წყაროების საარქივო,ისტორიოგრაფიული,პერიოდიკის მოძიებას.საკითხის შესწავლი სას, გამოვიყენეთ აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდი.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანი. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია მონოგრაფიულად შევისწავლოთ XIX-XX საუკუნეებში გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრება და მოღვაწეობა. განვიხილოთ მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა, კერძოდ გიორგი ზდანოვიჩი,როგორც მანგანუმის ყრილობის ხელმძღვანელი, მისი მონაწილეობა 50-იანელთა პროცესში, გიორგი ზდანოვიჩის მოღვაწეობა სოციალური ჟურნალისტიკის მიმართულებით, შევისწავლოთ გიორგი ზდანოვიჩის პუბლიცისტური წერილები და სადისერტაციო ნაშრომში განვიხილოთ როგორც საქართველოს, ასევე საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხები გიორგი ზდანოვიჩის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე.ჩვენი მიზანია,რომ მაღალ დონეზე შევისწავ ლოთ ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი,ამისთვის სრულყოფილად გამოვიყენოთ საარქივო მასალები,სხვა ენებზე შესრულებული ნაშრომები, მწირე მონაგრაფიული ლიტერატურა.ვფიქრობთ, რომ საბოლოოდ ნაშრომი საკმაოდ საინტერესო სახეს მიიღებს და დახმარებას გაუწევს საქართველოს უახლესი ისტორიის ამ პერიოდის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

ქრონოლოგიური ჩარჩო. სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1855-1917 წლებს.

თავი I

გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის)ცხოვრება და მოღვაწეობა

გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი(მაიაშვილი) ეკუთვნოდა XIX საუკუნის 70–იანი წლების ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენელთა რიცხვს. ამ უდიდესი პიროვნების ცხოვრება და შემოქმედება, მისი მდიდარი მემკვიდრეობა,დიდი ხანია იმსახურებს მონოგრაფიულ შესწავლას. მისი სახელი 1877 წლიდან აქტიურად გვხვდება მეცნი ერების სხვადასხვა დარგში.

გიორგი ზდანოვიჩმა, როგორც რევოლუციონერმა და პუბლიცისტმა, ჯერ კიდევ რუსეთში მოიხვეჭა სახელი. იგი იყო „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის“ გამოჩენილი წარმომადგენელი, რომელმაც თავისი რევოლუციური საქმიანობით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. გიორგი ზდანოვიჩის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთი საინტერესო წერილი გამოქვეყნდა უკანასკნელ წლებში **(კაკაბაძე,1969: 3).**

გიორგი ზდანოვიჩის ბიოგრაფია რამდენიმე სიტყვით პირველად გადმოგვცა ვ. ბურცევმა **(ბილოე,1903: №3, 202)**. შედარებით უფრო დიდი მასალა ვლადიმირ კალაშის ბროშურაშია მოცემული **(ბარდინ,1907:4)** მისი ცხოვრების შესახებ თავდაპირველ ბიოგრაფიულ მონაცემებში მრავლადაა შეცდომები. სწორი და მცდარი მონაცემები არეულია. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი: ბიგრაფიის შემდგენელს იგი გამოყვანილი ჰყავს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტად მაშინ, როცა გიორგი ზდანოვიჩს მოსკოვის უნივერსიტეტში არასოდეს უსწავლია. ლევ დეიჩის წიგნში ის ოსად არის მიჩნეული **(დეიჩი,1924:3)** და ა.შ. რევოლუციამდე გამოსული მასალებიდან აღსანიშნავია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოთავსებული სტატია **(დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. XXI: 1907).** ვახტანგ კოტეტიშვილის სტატია-ნეკროლოგი.

გიორგი ზდანოვიჩის შესახებ საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული ლიტერატუ რიდან ყურადღების ღირსია ი. მონოვის მიერ შედგენილი მოკლე ბიოგრაფია, რომელიც დაბეჭდილია „ბიო-ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში“ **(კონა,1930:453).**მის რევოლუციურ მოღვაწეობას ეხებიან ნიკოლაი კარჟანსკი,ირაკლი ანთელავა და სხვა.

1.1. გიორგი ზდანოვიჩის წარმომავლობა და ოჯახი

გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი დაიბადა 1855 წლის 16 იანვარს სამხედრო ექიმის ოჯახში. 1859 წლის 22 აპრილს გაცემულ ერთ-ერთ სანდო ცნობაში წერია: „В метрике Кутаисской Архангельских церкви, за 1855 год, записано так: Георгий сын штабс- капитана Феликса Самсонова Здановича и законной жени эго, Марии ... Оба православной веры, рожден 16-ого,и крещен 29 января…(1855 წლის ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის მიერ გაკეთებულ ჩანაწერში საუბარია: გიორგი არის შტაბს-კაპიტან ფელიქს სამსონის ძე ზდანოვიჩისა და კანონიერი მეუღლის,მარიას,ვაჟი... ორივე არის მართლმადიდებელი, მეტრიკაში დაბადების თარიღად მითითებულია 1855 წლის 16 იანვარი და მონათლულია 29 იანვარს)**(ქსუ. გიორგი ზდანოვიჩის პირადი არქივი,1854: (ფ.ზდანოვოჩის ნამსახურობის წიგნი)).**

გიორგის მამა ფელიქს სამსონის ძე ზდანოვიჩი პოლონელი იყო ვილნოს გუბერნიიდან (**სმირნოვი,1962:60).** იგი 1836-1838 წლებში ვილნოს სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში სწავლობდა. მე-19 საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში ვილნოს აკადემია რევოლუციური მოძრაობის კერა იყო. აკადემიაში არსებობდა საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციები-ე.წ„დემოკრატიული საზოგადოება“, რომლის წევრიც გახლდათ ფელიქს ზდანოვიჩი.მისი მიზანი იყო თანასწორუფლებიანობის დამყარება, კაცობრიობის გათავისუფლება. ორგანიზაციის წევრები ცდილობდნენ რუსეთსა და მის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ერების დასავლეთ ევროპის რევოლუციონერებთან კავშირს და რუსეთის მეფის წინააღმდეგ გაერთიანების პოლიტიკას აყალიბებდნენ. მათი ლოზუნგი იყო „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის“ ბრძოლა. 1830-იან წლებში ორგანიზაციის წევრები ჩაცვივდნენ. ორგანიზაცია განადგურდა. მარტო სტუდენტთა კავშირიდან სამხედრო სასამართლოს გადასცეს 24 სტუდენტი. მათ შორის იყო ფელიქს ზდანოვიჩიც. სასამართლო განაჩენის თანახმად ზოგი სიკვდილით დასაჯეს, ზოგი კი კავკასიაში რიგით ჯარისკაცად გაამწესეს. ვილნოს სამხედრო-ქირურგიული აკადემიიდან მესამე კურსის სტუდენტი ფელიქს ზდანოვიჩი 1830 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის,კავკასიაში რიგით ჯარისკაცად განწესებული, კერძოდ, საქართველოში 1839 წელს მთელი ოჯახით გადმოასახლეს (**გერსამია, „მოგონება ქართველ მწერლებზე“ - ფონდი № 25256**

თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი). სამხედრო ბეგარას ის სოხუმის მიდამოებში დისლოცირებულ შავი ზღვის მესამე საბაზო ბატალიონში იხდიდა (**გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის)პირადი არქივი, საქმე №2393: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი**). მაშინ ბრძოლები კავკასიის მთიელების წინააღმდეგ მიმდინარეობდა.

ფელიქს ზდანოვიჩი ყველაზე სახიფათო უბნებზე იყო მივლენილი. მან მალევე მიიპყრო ყურადღება და 1841 წელს უნტეროფიცრობა მიიღო.1850 წელს „ნიჭიერ და მამაც მეომარს“ ერთგვარი რეაბილიტაცია მისცეს, მაგრამ ზოგიერთიმუხლით მაინც შეზღუდეს. 1851 წლიდან შტაბს-კაპიტანი იყო. 1857 წელს,გარდაცვალების შემდეგ, კაპიტნის წოდება მიიღო. იგი იყო წმინდა ანას მე-4 ხარისხის ორდენის, წმინდა გიორგის ორდენის და სხვათა. კავალერი (**გიორგი ზდანოვიჩის პირადი არქივი, საქ. №22: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი).** ფელიქს ზდანოვიჩი თავის დროისათვის ფართო განათლების მქონე ადამიანი იყო. კავკასიაში ყოფნისას ძალიან დაუახლოვდა ქართულ საზოგადოებას. უსაზღვროდ შეუყვარდა ქართველი ხალხის მეამბოხე სული და თავისუფლებისაკენ ლტოლვა. კარგად შეისწავლა ქართული ენა, საქართველოს ისტორია და ლიტერატურა. ფელიქს ზდანოვიჩი ქართველთა შორის პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდა და ყოველთვის ხაზს უსვამდა ქართველი და პოლონელი ხალხის ერთნაირ ისტორიულ ბედს. იგი ხშირად სტუმრობდა იმერეთის ცნობილი თავადის, მანუჩარ მიქელაძის,ოჯახს.ამ ოჯახში იკრიბებოდნენ დასავლეთ საქართველოს მოწინავე საზოგადოება და რუსეთიდან კავკასიაში გადმოსახლებული რევოლუციონერები. ფელიქს ზდანოვიჩს შეუყვარდა კულაშელი მანუჩარ მიქელაძის ქალიშვილი მაია, რომელიც ცნობილი ყოფილა თავისი სილამაზით, სიდარბაისლითა და გონიერებით.ის მთელ საქართველოში განთქმული ქალი იყო. 1851 წელს მასზე ჯვარი დაიწერა. (მაია მიქელაძე და ნიკო ნიკოლაძის დედა ლიზი ლორთქიფანიძე-მანუჩარ მიქელაძის გერი მანუჩარ მიქელაძის სახლში ერთად იზრდებოდნენ). ამიტომ ნიკო ნიკოლაძე თავის მოგონებებში („წარსულიდან“) წერს: „მაია მიქელაძე და დედაჩემი ერთ ლოგინში გაიზარდნენ და სიკვდილამდე მხურვალე მეგობრებად დარჩნენო“ (**ნიკოლაძე,1931:7**). მაიაზე გიორგი ლასხიშვილი თავის მოგონებაში წერს: „იმერეთში, რასაკვირველია, დღესაც ბევრს ახსოვს აწ განსვენებული მარიამი ანუ, როგორც ყველანი ეძახდნენ, მაია მიქელაძის ქალი ქორქაშვილისა. იგი თავის დროზე

განთქმული იყო სილამაზით, დარბაისლობითა და ჭკუით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული განათლება არ ჰქონდა მიღებული, შედარებით განვითარებული ადამიანი იყო და ესმოდა ახალი დროის მისწრაფება-მოთხოვნანი“.კარგად იცნობდა და შესწავლილი ჰქონდა თავისი ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა, ერკვეოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებში. ყველა ამ სიკეთესთან ერთად იგი იყო შესანიშნავი დიასახლისი, შრომისმოყვარე, კეთილშობილი დედა, რომლისთვისაც უცხო იყო ქედმაღლობა. ამ მხრივ, იგი მკვეთრად განსხვავდებოდა მისი დროის მაღალი წრის მანდილოსნებისაგან (**ლასხიშვილი,1885-1915:39**). მას, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, აქტიური მონაწილეობა მიუღია საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილ ომარ-ფაშასა და მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და რეგულარული ჯარის ნაწილებისა და გურია- სამეგრელო-იმერეთის ლაშქრის მონაწილეებისათვის გმირობისა და მამაცობის ნიშანი მიუცია. საქართველოში შემოჭრილი ომარ-ფაშას საექსპედიციო არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ფელიქს ზდანოვიჩსაც გამოუჩენია. გამოცდილი და მამაცი ოფიცერი თავის ადიუტანტად აუყვანია გურიის რაზმისა და გურია-სამეგრელო-იმერეთის ლაშქრის უფროსს, გენერალ ივ. მუხრან ბაგრატიონს. თათრებთან ბრძოლაში ფელიქს ზდანოვიჩს უმაღლესი ჯილდო დაუმსახურებია.1857 წლის 20 ოქტომბერს,39 წლის წლის ასაკში,ფელიქს ზდანოვიჩი გარდაიცვალა. გიორგი ჯერ კიდევ პატარა ყოფილა, 4 წლის, როცა მამა გარდაეცვალა. მაია და გიორგი უმწეო მდგომარეობაში აღმოჩდნენ. მცირეწლოვანი გიორგი მთლიანად დედის მზრუნველობის ქვეშ მოექცა. დედა-შვილს თავდავიწყებით უყვარდა ერთმანეთი. დედა თავს არ ზოგავდა, რომ ობლად დარჩენილი პატარა გიორგი კარგად აღეზარდა.

უმამულოდ და უსახსროდ დარჩენილი მაია იძულებული გახდა მალევე მეორედ გათხოვილიყო. ის ცოლად გაჰყვა ქუთაისის სასამართლო პალატის პროკურორს, ხანდაზმულ, მაგრამ შეძლებულ ლევან ქორქაშვილს. ლევანმა იკისრა გიორგის აღზრდა **(მაიაშვილი,1968:428).**ლევან ქორქაშვილთან მაიას შეეძინა ოთხი ვაჟიშვილი: ნიკოლოზი, მიხეილი, კოსტანტინე და ვასილი. გიორგი ზდანოვიჩი, დედის ხაზით, ძმებს შორის ყველაზე უფროსი იყო.

მაია მიქელაძემ თავის ხუთივე ვაჟიშვილს მისცა კარგი განათლება და საზოგადოებას მათი სახით შესანიშნავი მოქალაქეები და მოაზროვნე ადამიანები

აღუზარდა. მაია მიქელაძის ოჯახი ცნობილი იყო ხელგაშლილობითა და სტუმარ-მასპინძლობით.

მათს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლები,რომლებიც კამათობდნენ როგორც მიმდინარე საჭირბორიტო საკითხებზე, ასევე-ისტორიულ თემებზედაც. ამ საუბრებს პატარა გიორგი მთელი გულისყურით ისმენდა და იგებდა თავისი ხალხისა და ქვეყნის ბეჩავ მდგომარეობას, მათს თავზე დატეხილ ისტორიულ უსამართლობას. ასეთი შეხვედრები და საუბრები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა პატარა ზდანოვიჩზე და ბავშვობიდანვე განაწყობდა მას არსებული წყობისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით. გიორგი ზდანოვიჩსა და მის ძმებს შორის ყოველთვის კარგი და გულთბილი დამოკიდებულება იყო. დედა არც ერთს არ აკლებდა თავის ზრუნვასა და ამაგს. მისთვის ბავშვების სიყვარული და მათს მომავალ ბედზე ზრუნვა ყველაზე მაღლა იდგა. განსაკუთრებით კი ეს იგრძნობოდა პატარა გიორგისადმი დამოკიდებულებაში.

გიორგი ზდანოვიჩის რადიკალურად აღზრდას ისიც უწყობდა ხელს, რომ გუბერნიის პროკურორი ლევან ქორქაშვილი მტრულად იყო განწყობილი იმპერიული რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიმართ. მისივე სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გიორგის თავის ოთხ შვილში არ არჩევდა,ზრუნვასა და ამაგს არ აკლებდა მას. დაწყებითი განათლება გიორგი ზდანოვიჩმა მიიღო ოჯახში დედის ხელმძღვანელობით.დედამ შეასწავლა მას ქართული წერა-კითხვა;უკითხავდა ისტორიულ მითხრობებს, აცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო იდეებს, მის ჰუმანიზმს, რაც გიორგის ძალიან მოსწონდა. გიორგი ზდანოვიჩმა ოჯახში შეისწავლა რუსული ენაც.

გიორგი ზდანოვიჩს ბავშვობიდანვე იტაცებდა ბუნებისმეტყველება და ყვავილების მოშენება. იგი დიდ მიდრეკილებას იჩენდა აგრონომიული მეცნიერებისადმი. ეს თვისება მან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა.

ბავშვობაში გიორგი ზდანოვიჩი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავისი თანატოლი გლეხის ბავშვებსა და ღარიბთა შვილებთან.იგი თავისი თვალით ხედავდა და განიცდიდა მათ დუხჭირ ცხოვრებას, მათი მშობლების უუფლებობასა და დამცირებულ მდგომარეობას. ცხოვრებისაგან მიღებული და ნანახი სურათები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მომავალ რევოლუციონერზე.

ლევან ქორქაშვილის გარდაცვალების შემდეგ მაია მიქელაძე აღარ გათხოვილა. მან მთელი თავისი სიცოცხლე შვილების აღზრდის კეთილშობილ საქმეს შესწირა. მის ზნეობრივ სახეს ჩრდილი არასოდეს მისდგომია (კაკაბაძე ,1969 :7).

1.2. გიორგი ზდანოვიჩი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასა და პეტერბურგში

1860 წელს გიორგი შეიყვანეს ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში,1864 წელს იგი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში ჩარიცხეს **(მაიაშვილი, 1968:429)**.

გიმნაზიაში გიორგი ბეჯითი მოსწავლე იყო, რუსული და ქართული ენების კარგ ცოდნას ამჟღავნებდა.მეტად მეგობრულსა და სიცოცხლით სავსე ყმაწვილს უყვარდა თამაში,მხიარულება,თუმცა ხშირად რაღაც ფიქრები შეიპყრობდა და ამ დროს სიტყვაძვირი ხდებოდა ხოლმე **(კაკაბაძე,1969:10).**

იმ ხანებში გიმნაზიაში გამოდიოდა მოწაფეთა გაზეთი, არსებობდა მოწაფეთა სხვადასხვა წრე. გიორგი ზდანოვიჩი გიმნაზიის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო,გამოირჩეოდა ორატორული და ორგანიზატორული ნიჭით.მისი მთავარი გატაცება მაინც წიგნები იყო. კითხულობდა უმთავრესად ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ლიტერატურას. მან ადრევე შეიცნო სოციალური ბოროტება და ეროვნული ჩაგვრა, რასაც მეფის რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ მგმინავი ერები განიცდიდნენ. მშრომელებს მბრძანებლობდა მთელი არმია ისპრავნიკებისა, ურიადნიკებისა, ჟანდარმებისა, პოლიციელებისა, ჩაფრებისა, რომლებიც იცავდნენ მეფეს, კაპიტალისტებსა და მემამულეებს მშრომელთა წინააღმდეგ **(კაკაბაძე,1969:10).**

ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოში ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობა რუს ჩინოვნიკებს ეჭირა.მთელი საქმეები დაწესებულებებსა და სასამართლოებში რუსულ ენაზე წარმოებდა.გაზეთებისა და წიგნების გამოცემა ეროვნულ ენაზე იკრძალებოდა.სკოლებში აკრძალული იყო დედაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა,ჩაეხშო ეროვნული კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას. რუსეთი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა. ირგვლივ გამეფებულ სოციალურ ბოროტებას გიორგი ზდანოვიჩი საკუთარი თვალით ხედავდა. მეფის ხელისუფლების ბეც მოხელეთა თვითნებობა ახალგაზრდა რევოლუციონერში მრისხანე გულისწყრომას ბადებდა. სწორედ ამ ორმა ძირითადმა ფაქტორმა, ირგვლივ გამეფებულმა აუტანელმა სოციალურმა ბოროტებამ და ქართველი ხალხის ეროვნულმა ჩაგვრამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ჭაბუკი ზდანოვიჩის მსოფლმხედველობის

ჩამოყალიბებაზე.ის ძალზე ბევრს კითხულობდა კლასგარეშე ლიტერატურას. განსაკუთ რებით გატაცებული იყო ქართული ლიტერატურით და ილია ჭავჭავაძის მეთურობით სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თერგდალეულების მოღვაწეობით. მგმნობიარე ყმაწვილზე განსაკუთრებული ზაგავლენა მოახდინა მისი ოჯახის ახლობლის,ნიკო ნიკოლაძის,საზღვარგარეთიდან ჩამოსვლამ და მისი მეოხებით რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეების გაცნობამ.

1871 წელს გიორგიმ ფრიადზე დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის სრული კურსი. 17 წლის გიორგი ზდანოვიჩი გატაცებული იყო უმაღლესი განათლების მიღების სურვილით,რომ უკეთ გამოსდგომოდა თავის ხალხს და ემსახურა ქვეყნის ინტერესებისათვის.ბევრი ფიქრისა და კამათის შემდეგ ოჯახში გადაწყდა,რომ უმაღლესი განათლების მისაღებად გაეგზავნათ იგი რუსეთში.დედა დაჟინებით ურჩევდა, რომ გაჰყოლოდა მამის კვალს და შესულიყო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, თუმცა გიორგი ზდანოვიჩს უფრო ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებების სწავლა იზიდავდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ იგი უმაღლესი განათლების მისაღებად მაშინდელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ცენტრში-პეტერბურგში გაემგზავრება.1871 წელს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტად ჩაირიცხა, როგორც მუდმივი მსმენელი, ხოლო 1873 წელს გადავიდა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, სადაც ადრე მამამისი სწავლობდა **(კაკაბაძე,1969:11)**. ზოგიერთი ავტორი შეცდომით მიუთითებს, რომ გიორგი ზდანოვიჩს თითქოს მოსკოვის უნივერსიტეტში ესწავლოს. ამ შეცდომას პირველად ყურადღება მიაქცია მკვლევარმა იური ნორაკიძემ,ვრცელ სტატიაში,რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „საქეკონომისტში“ **(ნორაკიძე ი., საქართველოს ეკონომისტი,1962).**

1871 წელს გიორგი ზდანოვიჩი გაემგზავრა შორეულ პეტერბურგში-მაშინდელი რუსეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრში. სატახტო ქალაქმა თავისი ღირსშესანიშნავი ადგილებით, განსაკუთრებით კი თავისი ხალისიანი ახალგაზრდობით,დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჭაბუკ ზდანოვიჩზე.იგი მაშინვე ჩაება ახალგაზრდების მშფოთვარე ცხოვრების ფერხულში და თავი ისე დაიჭირა თითქოს პატარა პროვინციულ ქუთაისში კი არა,არამედ აქ,რუსეთის სატახტო ქალაქში, ყოფილიყოს დაბადებული და აღზრდილი.ეს თავდაჭერილობა,მოხერხებულობა, თანდაყოლილი ნიჭიერება, რომლითაც იგი უხვად იყო დაჯილდოებული, აგრეთვე,

ერთგვარად კადნიერი სითამამეც, დიდად ეხმარებოდა მას,შემოეკრიბა თავის გარშემო ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე (კაკაბაძე,1969:11).

გიორგი ზდანოვიჩის პეტერბურგში ჩასვლა დაემთხვა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობას. როგორც ცნობილია, 1866 წლის შემოდგომაზე დაიწყო პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარება ,რომელიც 1869 წლის ზამთარ- გაზაფხულამდე გაგრძელდა.რუსეთის იდეურ ცხოვრებაში 60-70-იანი წლების მიჯნაზე მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც ახალგაზრდა თაობის სახელმწიფოებრიობის მოწყობის ახალ ხედვას გულისხმობდა.1869 წლის მარტში სამედიცინო- ქირურგიულ აკადემიასა და ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სტუდენტთა მღელვარებამ მძვინვარე ხასიათი მიიღო. 1870 წლის გაზაფხულისათვის მას უნდა მოჰყოლოდა საერთო სახალხო აჯანყება. შეშინებულმა მთვრობამ სამედიცინო-ქირურგიული აკადემია დახურა და დაიწყო „არეულობაში“ მონაწილე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა რეპრესიები.აი, ასეთი ვითარება დახვდა სასწავლებლად ჩასულ ახალგაზრდა ჭაბუკს, რომელიც პატარა ნაპერწკლის მოლოდინში იყო,სულით-ხორცამდე რომ აფეთქებულიყო.

გიორგი სტუდენტობიდანვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. იგი ხარბად დაეწაფა არალეგალურ ლიტერატურას, 60-იანი წლების რევოლუციონერების ნაშრომებს და დიდი სიმპატიები გამოამჟღავნა მათი შრომებისადმი.მან ადრიდანვე დაამყარა ურთიერთობა რევოლუციურად განწყობილ სტუდენტობას და მათ მიერ შექმნილ ორგანიზაციებთან. იგი ახლოს იყო ე.წ. „ჩაიკოვსკის წრესთან“. ასევე სტუდენტი გიორგი ზდანოვიჩი აქტიურ მონაწილეობას იღებდა „კავკასიის რევოლუციურ წრეში“.1874 წელს იგიმეტსახელით „რიჟა“ „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზა ციის“ წევრი გახდა.ჟანდარმერიას გიორგი ზდანავოჩის ასეთი მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია და ამავე წლის 14 მარტიდან მასზე დააწესა მკაცრი საიდუმლო მეთვალყურეობა.

გიორგი ზდანოვიჩი არასდროს გაურბოდა პრობლემებსა და ხიფათს,რაც იმითაც დასტურდება, რომ ყველაზე რთულ ხიფათიან და საპასუხისმგებლო საქმეს ჩაუდგა სათავეში. კერძოდ, მას დაეკისრა უცხოეთიდან ფარული ლიტერატურის შემოტანა. მომდევნო, 1875 წელს,ოცი წლის გიორგი ზდანოვიჩი დააპატიმრეს სხვა თანამოაზრეებთან ერთად.1877 წელს გახმაურებულ „50-ისა“ და „193-ის“ პროცესებზე

წარმოთქმულმა გაბედულმა სიტყვამ სახელი მოუხვეჭა ახალგაზრდა რევოლუციონერს **(ჟურნალი „ვპერედ“, №5, 1877 წ.).**

გიორგი ზდანოვიჩს ექვსი წლითა და რვა თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელს სხვადასხვა საპყრობილეში იხდიდა. გიორგი ზდანოვიჩის დედა მწარედ განიცდიდა შვილის მძიმე ხვედრს. იგი მეფის სახელზე თხოვნას თხოვნაზე აგზავნიდა, მაგრამ ამაოდ. დედამ გუბერნატორ ლორის-მელიქოვის დახმარებით შეძლო ორჯერ ენახა თავისი სათაყვანებელი ვაჟიშვილი. გიორგი ზდანოვიჩი უარს ამბობდა ყოველგვარ შეწყალებაზე და დედას ბოდიშს უხდიდა უარით მიყენებული წყენისა და სულიერი ტკივილისათვის, რასაც შვილის დაპატიმრების გამო გრძნობდა. ის დედას არწმუნებდა მის მიერ არჩეული გზის სამართლიანობაში. 1875 წლიდან 1881 წლამდე გიორგი ზდანოვიჩმა თავისი პატიმრობა მოსკოვის, ხარკოვისა და ბორისოგლების ცენტრალურ ციხეებში გაატარა.1882 წელს იგი გადაასახლეს კარაში (ქვეყანა-რუსეთი, სუბიექტი დაღესტნი, ლაკსკის მუნიციპალიტეტის პატარა სოფელი, რომელიც დაარსდა 1143 წელს. https://ru.wikipedia.org/wiki/Кара_(Дагестан)). 1883 წლის 15 მაისის მანიფესტით გიორგი ზდანოვიჩს სასჯელის ვადა ერთი მესამედით შეუმცირდა,მაგრამ სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნების უფლება არ მისცეს.1884 წელს ჯერ ვერხოლენსკში, სემიპალატინსკში, ხოლო შემდეგ ტომსკში ცხოვრობდა **(კაკაბაძე,1969:57)**. 1889 წელს გიორგი ზდანოვიჩს აღუდგინეს სამოქალაქო უფლებები, მას საქართველოში დაბრუნების უფლება მიეცა. ქართველი საზოგადოება სამშობლოში მის დაბრუნებას სიხარულით შეხვდა. გიორგი ზდანოვიჩი მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დასახლდა **(საბლინ, „რეჩი ი ბიოგრაფიი“,1907:20)**.კერძოდ,ყოფილი ქართული გიმნაზიის გვერდით,გეგუთის ქუჩაზე (ამჟამად ალ. წულუკიძის ქუჩა) თავის მოხუც დედასთან ერთად **(კაკაბაძე,1969:76).** სამწუხაროდ, 1891 წელს მაია მიქელაძე გარდაიცვალა,რაც გიორგიმ ღრმად განიცადა **(ჭუმბურიძე, 2008:128).** გიორგიმ პატიმრობაშივე დაიწყო ლიტერატურული საქმიანობა, ჯერ პატიმართა ხელნაწერ ჟურნალში აქვეყნებდა წერილებს, 1882 წელს კი ჟურნალ „ივერიას“გაუგზავნა ვრცელი სტატია „წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“ **(ჟურნალი „ივერია“, № 9, გვ. 99-124)**.გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ეს ნაშრომი ერთობ საჭირო პოლემიკის დასაბამად იქცა. ეს ფაქტი კარგად ახასიათებს გიორგი ზდანოვიჩის შეუპოვრობას, მის უდრეკ ხასიათსა და რევოლუციური საქმისადმი თავგანწირვას. თავისუფლებაში სამშობლოში,

საქართველოში, მყოფი გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ქართულ და რუსულ ენებზე ეწეოდა და აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაშიც“ და ნიკო ნიკოლაძის „ნოვოე ობოზრენიეშიც“.ეკონომიკურ და პოლიტიკურ თემებზე დაწერილი სტატიების გარდა, გამოქვეყნებული აქვს საყურადღებო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგისა და გიორგი ნათიძის (მელანიას) ნაშრომებზე.

გიორგი ზდანოვიჩი დიდად ნიჭიერი პუბლიცისტი იყო, განათლებული, ფართო თვალსაწიერის მქონე, ღრმა ანალიზის უნარით, წერის მაღალი კულტურითა და ობიექტურობით გამორჩეული.ერთგან თავის ჟურნალისტურ კრედოს ასე გადმოგვცემს: „პუბლიცისტმა ყოველთვის ჯეროვანი გარკვევით უნდა დაგვანახოს,რა იყო, იმისი აზრით, წარსულში კარგი, გამოსადეგი მერმისისათვის და რა იყო ავი, არა-საქებური, რომელიც, სწორედ იმიტომ, რომ ავია, საუკუნოდ უნდა დამარხულ იქნას ისტორიის არქივებში“. გიორგი ზდანოვიჩის პირველივე პუბლიკაცია ქართულ პრესაში 1882 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებული ვრცელი პოლემიკური, ერთობ თამამი სტატია „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, უპირველეს ყოვლისა, იმით არის საყურადღებო, რომ მასში პირველად დაისვა მწვავედ საკითხი ეკონომიკური ცხოვრების აქტიურად განხილვა-გაშუქების აუცილებლობისა ჩვენს პრესაში **(ჟურნალი „ივერია“,1882 წ, №7,8,9, გვ. 129).**1891 წელს გაზეთ „ივერიაში“ გაგრძელებებით დაიბეჭ და გიორგი მაიაშვილის ვრცელი ნაშრომი „ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო“, რომელშიც პუბლიცისტი პრემოდერნსა და მოდერნს (ახალ დროს) ადარებს ერთმანეთს და მსჯელობს ქართველი ქალის ადგილსა და მის წვლილზე ოჯახში და საზოგადოებრივ სარბიელზე ძველ და ახალ საქართველოში **(გაზეთი „ივერია“, 1891 წ. №95-99, 110, 121, 127, 128, 130, 140,1 42).**

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ზდანოვიჩმა ერთხანს ქუთაისის სამიწათმოქმედო ბანკში დაიწყო მუშაობა.წლების განმავლობაში გიორგი ზდანოვიჩი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავჯდომარე, რომელსაც 1909 წელიდან გარდაცვალებამდე თავმჯდომარეობდა.

გიორგი ზდანოვიჩს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭიათურის მარგანეცის წარმოების ორგანიზების საქმეში. იგი თავმჯდომარეობდა 1902 წელს შექმნილ ,,შავი ქვის

საზოგადოებას”– 190 წევრისაგან შემდგარ მრეწველთა საბჭოს. იმ პერიოდში არ ყოფილა ჭიათურაში არც ერთი ღონისძიება, რომელშიც გიორგი ზდანოვიჩი არ იღებდა მონაწილეობას.აკეთებდა ქუჩებს, გზებს, ხიდებს, მუშათა თეატრებს, სასადილოს, ბიბლიოთეკებს, აბანოს, წყალსადენებს, საკანალიზაციო სისტემებს და სხვა მშენებლობებს. აიგო მცირე ელექტოსადგური და 1907 წლიდან ჭიათურის მოსახლეობა ელექტროგანათებით სარგებლობდა.გაიყვანეს სატელეფონო ხაზები. 1897 წელს ჭიათურაში საექიმო პუნქტი და აფთიაქი გაიხსნა.გიორგიზდანოვიჩის (მაიაშვილის) ინიციატივით შეიქმნა მუდმივი საკონტროლო კომისია, რომელმაც მრეწველებსა და უცხოეთის ფირმის წარმომადგენლებს საგრძნობლად შეუზღუდა მუშაობის წონაში მოტყუების შესაძლებლობა.

1911-14 წლებში ჭიათურაში უკვე არსებობდა ჭიათურის საქალაქო სასწავლებელი, ჭიათურის ვაჟთა უმაღლესი სასწავლებელი, ქალთა დაბალი დაწყებითი სასწავლებელი, სამთო ტექნიკის განყოფილება და სხვა.გიორგი ზდანოვიჩმა (მაიაშვილმა) მთელი თავისი ნიჭი, გონება და რკინისებური ნებისყოფა მშობელი ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლას შესწირა **(კაკაბაძე,1969:81).**

რაც შეეხება გიორგი ზდანოვჩის პირად ცხოვრებას, მას, სამწუხაროდ, ცოლ-შვილი არ ჰყოლია. მისი უახლოესი მეგობარი იგონებს, რომ თვითონ გიორგიმ უამბო მას თავის სასიყვარულო თავგადასავალზე.როდესაც იგი პეტერბურგში სწავლობდა და რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა, შეჰყვარებია ერთი რევოლუციონერი ქალიშვილი. გიორგის გრძნობები მის მიმართ სერიოზული ყოფილა და მის ცოლად შერთვას აპირებდა. სამწუხაროდ, ამ ქორწინებას გიორგის დაპატიმრებამ შეუშალა ხელი. შემდეგ ის ქალიშვილი სხვას გაჰყოლია ცოლად. ამას გიორგი ზდანოვიჩზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. მეგობრები გიორგი ზდანოვიჩის უცოლობას ამ ფაქტით ხსნიდნენ. გიორგის ნაკლებად უყვარდა საკუთარ თავზე საუბარი. იყო უბრალო და მეტად გულისხმიერი, სტუმართმოყვარე ადამიანი. ის დახმარების ხელს უწვდიდა ბევრს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას. იყო შესანიშნავი მოსაუბრე და ორატორი.
ასე მარტოხელა, 62 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად 1917 წლის 30 ივლისს გარდაიცვალა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე,ცნობილი პუბლი ცისტი და მწერალი.მისი გარდაცვალების ამბავი ელვისებურად მოედო მთელს ქვეყანას. მას ადარებდნენ ხალხისათვის ტანჯულ და წამებულ გმირს, რომელმაც თავისი მთელი

პირადი ცხოვრება მათ შეალია. იბეჭდებოდა ნეკროლოგები, სტატიები, მოგონებები. თითქმის ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ადგილობრივ, ასევე სატახტო ქალაქში. უწყვეტ ნაკადად მოდიოდა კერძო პირებისა და ორგანიზაციების დეპეშები. ყველა ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა ამ შესანიშნავი ადამიანის გარდაცვალების გამო. მეგობრები იყვნენ მისი ჭირისუფლები. კიტა აბაშიძე პატარა ბავშვივით უვლიდა. ერთი წუთით არ მიუტოვებიათ ავადმყოფობის დროს. ამის ბედი კი ჰქონდა... დავით კლდიაშვილის მოგონებით „იგი სიყვარულით იყო შემოსილი იმ წრეში, რომელშიც მოხვდებოდა. მიშო ყიფიანმა მითხრა, რომ ციმბირში ყოფნის დროს ჩვენ და პოლონელ ციმბირელებს ჩხუბი მოგვდიოდა იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ზდანოვიჩიო: პოლონელები თავგამოდებით აცხადებდნენ, რომ ზდანოვიჩი მათია, პოლონელი; ჩვენ, ქართველები, გაცხარებით ვედავებოდით, რომ ზდანოვიჩი ჩვენია, ქართველია, ქართველი დედის შვილი.და მართლაც, ასე რომ არ ჰყვარებოდათ წარმოშობით პოლონელი კაცი,არქიელის გორაზე ბაგრატის ტაძრის ეზოში ვერ ჰპოვებდა სამუდამო განსასვენებელს. 1956 წელს კი გადაასვენეს ქუთაისის ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა „მწვანეყვავილას“ პანთეონში **(კაკაბაძე,1969:100).**

პირველ თავში მიმოვიხილეთ გიორგი ზდანოვიჩის პოლონური წარმომავლობა, მისი წინაპრების მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი (ბაბუის მონაწილეობა პოლონეთის 1830 წლის აჯანყებაში და მამის-ფელიქს ზდანოვიჩის ანტისამთავრობო სტუდენტური მოღვაწეობა. გიორგი ზდანოვიჩის დედა-მაია მანუჩარის ასული მიქელაძე ქართველი იყო და ზდანოვიჩის ლიტერატურული ფსევდონიმი- მაიაშვილი აქედან წარმოდგება.

მომდევნო თავებში შესწავლილ იქნება გიორგი ზდანოვიჩის სტუდენტური პერიოდი. გიორგი ზდანოვიჩი სტუდენტობიდანვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.1874 წელს იგი სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის წევრი გახდა და მისი მეტსახელი იყო ,,რიჟა“. მცირე დოზით აღნიშნულ თავში განხილულ იქნება მისი ცხოვრების ძირითადი ეტაპები,რადგანაც სრულყოფილად მისი ცხოვრების ცალკეული ეტაპების შესახებ საუბარი გვექნება სადისერტაციო ნაშრომის მომდევნო თავებში.

თავი II

გიორგი ზდანოვიჩის მონაწილეობა „50-ის პროცესში“ და გიორგი ზდანოვიჩი - მანგანუმის ყრილობის ხელმძღვანელი

აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან ქვეყნის მომავლით დაინტერესებული პირები ძალებს არ იშურებდნენ და ეწირებოდნენ კიდეც თავიანთ დასახულ მიზნებს. 1875 წლიდან ერთიმეორის მიყოლებით ჟანდარმერია იჭერდა რევოლუციური ორგანიზაციების წევრებს. დარჩენილებს მეტად მძიმე ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ გულს არ იტეხდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ. ყოველდღიურად რევოლუციონერთა წრეს აკლდებოდნენ თანამებრძოლები, მაგრამ ამის მიუხედავად, ცდილობდნენ გაეგრძელებინათ და გაეფართოვებინათ, ახალი თანამებრძოლებით შეევსოთ დანაკლისი,საერთო ენა გამოენახათ სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებთან, განემტკიცებინათ ურთიერთობა საზღვარგარეთ მყოფ თანამოაზრეებთან და უზრუნველეყოთ არალეგალური ლიტერატურის შემოტანა და გავრცელება. მათ შორის,თავისთავად გამორჩეულად შეგვიძლია აღვნიშნოთ გიორგი ზდანოვიჩის მოღვაწეობა. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რევოლუციურ წრეებს შორის, ანგარიშს უწევდნენ მის მუშაობა და შეხედულებებს.მიუხედავად დიდი მცდელობისა, წრე თანდათან ვიწროვდებოდა. გიორგი ზდანოვიჩი კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. როცა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რევოლუციონერი აიყვანეს, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან აკრძალულ ლიტერატურას ფლობდა და, რაც მთავარია, პოლიციამ შეძლო ხელში ჩაეგდო ძვირფასი საბუთები, მათ შორის, შიფრით დაწერილი ფურცელი, რომლის ამოკითხვის შემდეგ აშკარა გახდა ბევრი საიდუმლო,ეს ჩავარდნა მეტად საბედისწერო აღმოჩნდა. ამას ისიც დაემატა, რომ ფაქტზე აიყვანეს ბევრი რევოლუციონერი. გამოძიება ერთი წელი გაგრძელდა. გამოძიების პროცესში გათავისუფლდა რამდენიმე კაცი. საბოლოოდ სასამართლოს გადაეცა ორმოცდათერთმეტი ადამიანისაგან შემდგარი სია, მაგრამ კატია კამინსკაია ფსიქიურად დაავადდა, პროცესზე წარსდგა მხოლოდ ორმოცდაათი. ამის შემდეგ მოსკოვის საქმე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, იქცა სრულიად რუსეთის საქმედ. აშკარა გახდა, რომ

,,სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციას“ მართლაც დიდი და ფართო მუშაობა ჩაეტარებინა, სულ მცირე დროის განმავლობაში ბევრი და სერიოზული საქმე ეწარმოებინა.

2.1. გიორგი ზდანოვიჩი და „50-ის პროცესი“

მიიჩნეოდა, რომ „50-ის პროცესი“ უტყუარი დადასტურებაა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობისა.პროცესზე ბრალდებულ პირთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენი თანამემამულე გიორგი ზდანოვიჩი, რომელმაც თავისი გამბედაობით, ნიჭითა და რევოლუციის საქმისადმი თავდადებით ღირსეულად დაიკავა საპატიო ადგილი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.დიდია ამ პროცესის მნიშვნელობა. 140 წლის გასვლის შემდეგაც არ დაუკარგავს მას თავისი მიმზიდველობა და შთაგვაგონებს, თუ როგორი შემართებაა საჭირო იდეისათვის, რწმენისათვის.

თვით პროცესმა “50-ის” სახელწოდება მიიღო იქიდან, რომ მასში ორმოცდაათი ბრალდებული მონაწილეობდა. საერთოდ 1874 წლის ივლისიდან დაწყებული არა ერთი და ორი პოლიტიკური პროცესი გაიმართა, მაგრამ, მათ შორის, მაინც აღსანიშნავია ეს „50-ისა“ და „193 -ის“ პროცესები. პირველი შედგა 1877 წლის თებერვალ-მარტში, ხოლო მეორე კი -1877 წლის ოქტომბრიდან 1878 წლის იანვრამდე გაგრძელდა. მეფის მთავრობა მიზნად ისახავდა ძირფესვიანად ამოეძირკვა რევოლუციური მოძრაობა. დაპატიმრებულთა რიცხვმა 1873-1874 წლებში 2000 კაცს გადააჭარბა. გამოძიებამ თითქმის 37 გუბერნია მოიცვა. ამ პროცესების გამართვის დროისათვის პატიმართა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.ბევრი პატიმარი საშინელი მოპყრობის გამო გასამართლებამდე გარდაიცვალა, ბევრი ფსიქიკურად შეიშალა, მათგან მრავალი ადმინისტრაციული წესით ციმბირში გადაასახლეს. მიუხედავად ამისა, პატიმართა რიცხვი მაინც საგრძნობი იყო. ამიტომ საქმე გაყვეს ორ ნაწილად. პირველ საქმეში გადიოდა 50 ბრალდებული, ხოლო მეორეში-193.ზოგი პატიმარი ერთსა და იმავე დროს ორივე საქმეში გადიოდა ბრალდებულად.ვიდრე უშუალოდ პროცესზე ვისაუბრებთ, მინდა მოკლედ შევჩერდეთ იმ უდიდეს გამოხმაურებასა და წარუშლელ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც პეტერბურგში გამართულმა ამ პროცესებმა დატოვა ხალხში.

„50-ისა“ და „193-ის“ პროცესების დიდი მნიშვნელობა იმაშია, რომ ამან პირველად მიიპყრო რუსეთის საზოგადოების ფართო ფენების ყურადღება.რომელთა საქმიანობაც მანამდე,აუცილებლობის გამო კონსპირაციულ ხასიათს ატარებდა.ამ ახალგაზრდობას აქამდე არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი შეხედულებანი და მიზნები არც

პრესაში და არც საზოგადოებრივ კრებებზე, ახლა კი მათ გადაწყვიტეს სასამართლო პროცესი გამოეყენებინათ ტრიბუნად და თავიანთ სიტყვებში გადმოეცათ ხალხის ბეჩავი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები,აეხსნათ საზოგადოებისათვის მათთვის ლეგალურად მოქმედების შეუძლებლობა,ისიც,რომ მათთვის გარდაუვალი შეიქნა დასდგომოდნენ რევოლუციურ გზას,რათა მიეღწიათ სოციალიზმის გამარჯვე ბისათვის.საზოგადოება გაოცებული იყო.აქამდე მან ცოტა რამ იცოდა სოციალიზმის შესახებ და ნაკლებად აინტერესებდა იგი. მეფის მთვრობა, რომელიც დათანხმდა ამ საქმის საჯაროდ განხილვას,ასეთ შედეგებს არ ელოდა.იგი ფიქრობდა„წითელი აჩრდილით» დაეშინებინა საშუალო ფენები,მათს შიშზე დაეფუძნებინა თავისი პოლიტიკა და მთელი საზოგადოებისთვის დაენახვებინა ამ მოძრაობის დისკრედიტაცია.იგი იმედოვნებდა,რომ,როდესაც დამსწრე საზოგადოება თავისი ყურით მოისმენდა ბრალდებულთა რევოლუციურ სიტყვებს ტახტისა და მეფის წინააღმდეგ, ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ, მემამულეთა საკუთრებისა და შეძლებულთა პრივილეგიების წინააღმდეგ, მათ გამოსვლებს მეფის ხელისუფლების დამხობისა და მდიდართა შეუბრალებელი განადგურების, ეკლესიების დანგრევისა და ეკლესიის მსახურთა რეპრესიების შესახებ,მათს მოწოდებებს ამქვეყნად ადამიანთა შორის თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის, მშრომელთა შორის მიწა-წყლის თანაბრად განაწილების შესახებ, გამოიწვევდა ზიზღსა და სიძულვილს მათ მიმართ და სამუდამოდ გაუტეხდა სახელს ამ მოძრაობას საზოგადოების თვალში. მოხდა პირიქით, ამ ახალგაზრდების თავგანწირვამ, კეთილშობილურმა ენთუზიაზმმა, მათმა ტანჯვამ საყოველთაო თანაგრძნობა გამოიწვია. საზოგადოება ისმენდა ბრალდებულთა მგზნებარე სიტყვებს, რომლებშიც მხილებულია არსებული რეჟიმის მთელი უვარგისობა და სისაძაგლე... პროცესმა ყველას ნათლად დაანახა,თუ ვინ იყვნენ ეს ბრალდებულები, რისთვის ან ვისთვის სწირავდენენ ისინი თავს. პროცესზე ნანახმა და მოსმენილმა საზოგადოების უმრავლესობაში იდეისათვის ამ წამებულთა მიმართ გულწრფელი თანაგრძნობა და არსებული რეჟიმისადმი ზიზღი და სიძულვილი დაბადა. ეს იყო მეფის მთავრობის სრული პოლიტიკური მარცხი, მისი სიბეცის კიდევ ერთი დადასტურება. მთავრობა უკვე ცდილობს შეზღუდოს საჯაროობის პროცესები, მაგრამ გვიანღაა.ეს იწვევს გულისწყრომას დამსწრე საზოგადოებისას, რომელმაც ბრალდებულთა გულწრფელი სიტყვებიდან უკვე იგრძნო, რომ იბადებოდა ახალი ძალა.

განსაკუთრებით თანაგრძნობით სარგებლობდნენ რევოლუციონერი ქალიშვილები ს.ვარდინა, დები ლუბატოვიჩები და სხვები. მათი გამბედაობა და სიმტკიცე, მათი თავგანწირვა ხალხის ბედნიერებისათვის აღელვებასა და განცვიფრებას იწვევდა, როგორც ახალგაზრდობაში, ასევე საზოგადოების ფართო ფენებში, როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთაც. აი, რას წერდნენ მაშინ „50 -ის " პროცესთან დაკავშირებით: „ამ პროცესამდე სოციალისტებს მხოლოდ ახალგაზრდობა იცნობდა, რაც შეეხება საზოგადოებას, მასებს, მათ არ იცოდნენ და არც სურდათ სცოდნოდათ, ვინ არიან ეს ადამიანები,როგორი იყო მათი მიზნები და მისწრაფებანი.მათ კანტიკუნტად ესმოდათ, რომ ადამიანებს იჭერდნენ, აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ... ხანდახან საზოგადოება თანაგრძნობითაც კი ეკიდებოდა მათ,როდესაც გაიგებდა,რომ ვიღაც მოკვდა ან შეიშალა, ანდა გაიგებდა პატიმართა მიმართ ჩადენილი მხეცობის შესახებ, უფრო შორს, მასებში, არ მიდიოდა ამ ადამიანთა თანაგრძნობა...და აი, დაიქუხა „50-ის" პროცესმა. განცვიფრებული საზოგადოება ჰხედავს ქალიშვილთა გაცისკროვნებულ სახეებს, ახალგაზრდები მშვიდი გამოხედვით და ბაგეებზე ბავშვური უწყინარი ღიმილით მიდიოდნენ იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან, სადაც იმედისათვის არავითრი ადგილი არ რჩება-მიდიან ცენტრალურ ციხეში, მრავალწლიან კატორღაში. საზოგადოება ისმენს ბარდინას შესანიშნავი სიყვარულითა და რწმენით აღსავსე სიტყვას, ისმენს ზდანოვიჩის უაღრესად მწყობრ გამოსვლას, რომელშიც მოაზროვნის ცივი და მკაცრი განსჯიდან ფანატიკოსის შეურყეველი და შეუპოვარი რწმენა გამოსჭვივის,და ბოლოს, როდესაც განცვიფრებულმა, შეძრწუნებულმა საზოგადოებამ არ იცის,რა თქვას და მოიფიქროს, მას თავს ატყდება გლეხის, უშუალოდ ხალხის წარმომადგენლის,პ.ალექსეევის მძლავრი, მქუხარე სიტყვა, რომელშიც ზუსტად ისმოდა იმ მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანი მასის ხმა, რომელიც თავის წიაღში შეუცნობ, მრისხანე, შესაძლოა სისხლიან მომავალს ატარებს **(საბლინ,1877:1-172).**

ამ პროცესს, პროცესში მონაწილე ბრალდებულთა გმირულ შემართებას, იდეისათვის მათ თავგანწირვას დადებითად გამოეხმაურა მთელი პროგრესული მსოფლიო. მას მიუძღვნეს თავიანთი შესანიშნავი ქმნილებანი გამოჩენილმა რუსმა პოეტებმა და მწერლებმა. მათ შორის აღსანიშნავია ტურგენევის შესანიშნავი ლექსი „ზღურბლზე". ლექსში დახატულია მორალური სახე რუსი ქალიშვილისა, რომელიც

ხალხის კეთილდღეობისათვის უარს აცხადებს პირად ცხოვრებაზე, სახელის მოხვეჭაზე და მზად არის არ შეუშინდეს ტანჯვა - წამების ეკლიან გზას.

ეს პროცესი იძლეოდა მდიდარ მასალას მეფის რუსეთში არსებული უვარგისი ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატის შესახებ, იქ გამეფებული ეროვნული ჩაგვრისა და აუტანელი სოციალურ ურთიერთობათა, ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ. პროცესმა კიდევ უფრო გააღრმავა და გააძლიერა რუსეთის ახალგაზრდობის რევოლუციური სულისკვეთება, რასაც მეფის მთავრობამ ნაცადი ხერხი - რეპრესიების გაძლიერება დაუპირისპირა. მსოფლიო პრესა, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს გამოხატავდა, მთლიანად წამებულთა მხარეზე იყო.

„50-ის პროცესი“ შედგა, როგორც აღვნიშნეთ, 1877 წლის თებერვალ-მარტში პროცესის ჩასატარებლად შეიქმნა სპეციალური სასამართლო „მმართველი სენატის საგანგებო საკრებულოს“ სახელწოდებით. თვით საქმეს ეწოდებოდა ასე: ,,საქმე სხვადასხვა პირთა შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ სახელმწიფოებრივ დანაშაულში კანონის საწინააღმდეგო გაერთიანების შექმნისა და დანაშაულებრივ თხზულებათა გავრცელებისათვის “ **(საბლინ,1877:1-172).**

საქმე გაირჩა ღია სხდომაზე, პროცესზე ბრალმდებლად გამოდიოდა მმართველი სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორის ამხანაგი ჟუკოვი. პროცესში მონაწილეობას იღებდა თხუთმეტი დამცველი, მათ შორის, ცნობილი ადვოკატი სვასოვიჩი. იგი იცავდა იოსებ ჯაბადარისა და სხვათა ინტერესებს. ბევრმა ბრალდებულმა საერთოდ უარი განაცხადა დამცველის ყოლაზე. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მათ ბრალი ედებოდათ: 1. მთავრობის საწინააღმდეგო ფარული საზოგადოების დაარსებასა და მასში აქტიურ მონაწილეობაში. 2. არსებული მთავრობის დამხობის მიზნით მთავრობის წინააღმდეგ ხალხის ამხედრებასა და უზენაესი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაში; 3. ნაწილობრივ მოსკოვის არალეგალურ სტამბებში დაბეჭდილ და ნაწილობრივ საზღვარგარეთიდან შემოტანილი დანაშაულებრივი ლიტერატურის გავრცელებაში; 4. რევოლუციური პროგრამის განსახორციელებლად მოქმედების წესდების შედგენაში.

ბრალდებულ ციციშვილს დამატებით ბრალი ედებოდა ჟანდარმერთა ოფიცრის მკვლელობის მცდელობისათვის.ციციშვილმა ჟანდარმთა ოფიცერს ორჯერ ესროლა, მაგრამ მიზანს ააცილა. საბრალმდებლო დასკვნა მათ მიაწერდა შემდეგი არალეგალური

ლიტერატურის გავრცელებას: „ფრანგი გლეხის ისტორია“, „ემილია პუგაჩოვი“, „ზღაპარი ოთხ ძმაზე“, „თავსატეხი მექანიკა“, ,,საგლეხო არჩევნები“, ,,ახალი ლექსებისა და სიმღერების კრებული“, „ჰეი, ჰეი, ძმებო“, „პარიზის კომუნა“, „ღმერთიცაა და ღმერთიც“ და ა.შ. საბრალდებო დასკვნა აღნიშნულ ნაწარმოებებს „დანაშაულებრივი შინაარსის წიგნებს უწოდებდა“.

პროცესის მონაწილე ორმოცდახუთი ბრალდებული გადაჭრით უარყოფდა წარდგენილ ბრალდებას. გიორგი ზდანოვიჩმა საერთოდ უარი განაცხადა დამცველის ყოლაზე. პროცესზე ბრალდებულებს თავი ამაყად და უშიშრად ეჭირათ. როგორც აღვნიშნე, მათ, ფაქტობრივად, სასამართლო პროცესი გამოიყენეს ტრიბუნად თავიანთი იდეების პროპაგანდისათვის. ისინი კონკრეტული ფაქტებით ააშკარავებდნენ მეფის ხელისუფლების დესპოტიზმს, მათ მიერ ქვეყნის მართვის უუნარობას, გამოთქვამდნენ ღრმა რწმენას სოციალური რევოლუციის გარდაუვალობის შესახებ.

ბრალდებულთა ასეთი მკაცრი და მოულოდნელი გამოსვლებით გაოგნებული პროცესის თავმჯდომარე წონასწორობას კარგავდა და მუქარით აწყვეტინებდა მათ სიტყვებს. ერთხელ საქმე სკანდალამდეც კი მივიდა და თავმჯდომარემ ჟანდარმებს მიმართა, რომ ორი უკანასკნელი ორატორი სხდომის დარბაზიდან გაეყვანათ.

მეფის სასამართლოს თვითნებობა და მისი რეაქციული არსი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, როდესაც პეტრე ალექსეევმა თავისი მგზნებარე სიტყვა დაასრულა ასეთი გაფრთხილებით:„აღდგებიან მუშათა მილიონები,რომლებიც თავიანთი კუნთმაგარი ხელებით ნაცარტუტად აქცევენ თვითმპყრობელობას...“ კარგად დაახასიათა მეფის სასამართლოს არსი პროცესის ერთ-ერთმა მონაწილემ, როდესაც საქვეყნოდ განაცხადა: „ეს სასამართლო არ არის, ეს წმინდა წყლის კომედიაა,უფრო სამარცხვინოც კი,ვიდრე - საროსკიპო სახლი იქ ქალები გაჭირვების გამო იძულებულნი არიან გაჰყიდონ თავიანთი სხეული, აქ კი სენატორები ფლიდობის, მლიქვნელობის, ჩინებისა და მსხვილი შემოსავლის მიღების გამო, ვაჭრობენ სხვათა სიცოცხლით, ჭეშმარიტებითა და სამართლიანობით. ვაჭრობენ ყველაფრით, რაც ასე ძვირფასია კაცობრიობისათვის ... “

„50-ის პროცესი“ წარმოადგენს ნათელ დადასტურებას იმისას,თუ როგორ ხელიხელ– ჩაკიდებულნი იბრძოდნენ რუსეთისა და საქართველოს შვილები მეფის

რუსეთის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ რევოლუციური ბრძოლების დაწყების გარიჟრაჟზე **(საბლინ,1877:1-172).**

„50-ის პროცესზე“ ბრალდებულად გამოდიოდა ხუთი მოწინავე ქართველი სტუდენტი, ხუთივე მგზნებარე როვოლუციონერი და დაუცხრომელი მებრძოლი მეფის თვითმპრობელობის წინააღმდეგ. ესენი არიან :

1. გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი ,22 წლის (მეტსახელად „რიჟა“);
2. ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი ,22 წლის (მეტსახელად „მიხეილი“);
3. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ციციშვილი ,25 წლის (მეტსახელად “სანჩო“);
4. ანთიმოზ ევდოვის ძე გამყრელიძე ,23 წლის (მეტსახელსდ „გამკა“);
5. მიხეილ ნიკოლოზის ძე ჭიკოიძე ,24 წლის (მეტსახელსდ „თედორე“).

ეს სტუდენტები რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად იყვნენ წასულნი და სწავლობდნენ სხვადასხვა პროფილით.

ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა ის ფაქტი, რომ შესანიშნავ მებრძოლთა ავანგარდში ვხედავთ საქართველოს სახელოვან შვილებს. გიორგი ზდანოვიჩის, ალექსანდრე ციციშვილის, ივანე ჯაბადარის, ანთიმოზ გამყრელიძის, მიხეილ ჭიკოიძისა და სხვათა სახით. მათ ამ მოძრაობაში შეასრულეს თვალსაჩინო როლი, თავი გამოიჩინეს ორგანიზატორული უნარით, სიმამაცით, იდეურობითა და გმირული შემართებით **(საბლინ,1877:1-172).**

საარქივო საქმეების მიხედვით, გიორგი ზდანოვიჩი მოსკოვში 18 სექტემბერს უნდა იყოს ჩასული,19 სექტემბერს კი იგი კურსკის ვაგზალზე დააპატიმრეს.ამ დაპატიმრება სთან დაკავშირევული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ხარკოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, გენერალ-მაიორ კოვალსკის 1875 წლის 18 სექტემბერს III განყოფილებისათვის დეპეშა გაუგზავნია: „გუშინ აღმოვაჩინე: რომ 20 აგვისტოსათვის კიშინიოვიდან მოსკოვში გაგზავნილ იქნა 3 ყუთი ტყავის საქონელი. ერთი ყუთი მოიპარეს, რომელშიც ნაპოვნი იქნა აკრძალული ლიტერატურა“ **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.109, III განყოფილება; 3 ექსპონანტი, საქ.144, ნაწილი 127, ტ 1, გვ. 258).**

მეორე დღეს, ე ი. 19 სექტემბერს III განყოფილებამ მოსკოვიდან გენერალ-ლეიტენანტ სლეზკინის დაშიფრული დეპეშა მიიღო: „დღეს სამხრეთ სარკინიგზო გზაზე სადგურზე დაპატიმრებულ იქნა ვინმე ვერნერი, რომელსაც თან აღმოაჩნდა

რევოლუციური ხასიათის წიგნებით ორი ყუთი,რომელიც გამოგზავნილი იყო კიშინიოვიდან“ **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.109, IIIგანყოფილება; 3 ეკსპონანტი, საქ.144, ნაწილი 127, ტ1, გვ. 262.).**

ორივე დეპეშა იმპერატორ ალექსანდრე II-ეს წაუკითხეს 1875 წლის 26 სექტემბერს. ხარკოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, გენერალ-მაიორ კოვალსკის მოხსენებით, 1875 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ხარკოვში არალეგალური ლიტერატურა გავრცელებულა. გამოძიებით დაუდგენიათ, რომ 23 აგვისტოს, როცა მატარებელს ხარკოვში გაუვლია, არტელის მუშებს მოუპარავთ ერთი ყუთი, რომელზედაც ეწერა „ტყავი“. არტელის წევრ ნიკოლოზ გავრილოვს ყუთი თავის ორ ამხანაგთან ერთად ბინაში მიუტანია. ყუთში ტყავის ნაცვლად წიგნები, ჟურნალები და გაზეთები უპოვიათ, წერა-კითხვის უცოდინარ გავრილოვს წიგნების დიდი ნაწილი ორ მანეთად და 50 კაპიკად მეწვრილმანე მოხუცი ქალისა და ვიღაც კაცისთვის მიუყიდია. კაცს წიგნები ძალიან იაფად გაუყიდია, ხოლო მოხუც ქალსა და გავრილოვს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ:გაზეთ ,,ვპერიოდის” ერთი ნომერი 34 ცალი, „ცბიერი მექანიკა“-94, „კაპიტალი და შრომს“-10, „გლეხური სიმართლე“ -30, „ემელიან პუგაჩოვი“ -30, „ვპერიოდი“ - ორი ტომი, „ღმერთი ღმერთია“ ერთი ცალი, ამასთან,როცა გავრილოვს გაუგია, რომ მის ხელში მყოფი წიგნები აკრძალული იყო, ბევრი ცეცხლში დაუწვავს **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.109 , III განყოფილება; 3 ექსპონანტი, საქ.144,ნაწილი 127 , ტ 1 ,გვ. 275).**

მოსკოვის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ ჩატარებული ღონისძიება ჩანს მისი უფროსის 1875 წლის 19 სექტემბრის მოხსენებიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „ხარკოვის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსმა შემატყობინა, რომ გუშინ,საღამოს დაახლოებით 8 საათზე, ხარკოვში, სამგზავრო მატარებელში აღმოჩენილ იქნა გზავნილი სამი ყუთის შემადგენლობით, რომელიც კიშინიოვიდან მოსკოვში იყო გაგზავნილი.აღნიშნული ბარგი მოიცავდა რევოლუციურ ლიტერატურას, ტყავის საქონლის სახელწოდებით. ერთ-ერთი ყუთი მოიპარეს ხარკოვში და შეცვალეს შეშის ნაპობებით. მთხოვეს გამეცა განკარგულება ამ საქმესთან დაკავშირებით“

ჟანდარმერიამ მეთვალყურეობა დააწესა იმ პირზე, ვინც აღნიშნული ყუთის მისაღებად გამოცხადდებოდა. ამ გზით 19 სექტემბერს დააპატიმრეს ვინმე ვერნერი. მეორე დღეს,ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დათვალიერებისას, ჟანდარმე

რიისა და პროკურორის წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო საფოსტო ქაღალდის ხუთ ფურცელზე დაწერილმა „მოსკოველთა“ ორგანიზაციის წესდებამ და „თემთა შორის ურთიერთობის პირობებმა“, შიფრებმა, საზღვარგარეთის მისამართებმა და სხვა **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ.5)**.

იმავე დღეს დაკითხულმა პატიმარმა არ მოისურვა თავისი ვინაობის გამხელა და განაცხადა, რომ ზემოთ აღნიშნული ნივთები მას არ ეკუთნის **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ. 7.)**. 21 სექტემბერს მოსკოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა სათანადო მოხსენება ორგანიზაციის წესდების თანდართვით გაუგზავნა III განყოფილებას. ეს მოხსენება 27 სექტემბერს ლივადიაში კვლავ წაუკითხეს იმპერატორს,ხოლო წესდება, სტამბურად სასწრაფოდ გადაბეჭდეს და იმპერიის ჟანდარმთა სამმართველოს გადაუგზავნეს **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი,ფ.112 , საქ.142, გვ.217-219).**

24 სექტემბერს ჟანდარმებმა მიაგნეს სასტუმროს, სადაც 18 სექტემბერს კონსტანტინე ვერნერი გაჩერდა.მიასნიცკის ნაწილის მეოთხე კვარტალში - მორესეიკის ქუჩისა და ლუბიანკის გასასვლელის კუთხეში ერემეევის სახლის 31-ე ოთახის გაჩხრეკისას აღმოაჩინეს ჩემოდანი, რომელშიც იპოვეს წერილები, მისამართები, თმის შესაღები, წამლები, იმავე დღეს მოწმეების თანდასწრებით კ.ვერნერს გაუსინჯეს თმა და წვერი და დაადგინეს,რომ მას იგი შავად ჰქონდა შეღებილი **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი,ფ.112,საქ.148,გვ.12).** პატიმრის თმა თანდათანობით ბუნებრივ წითელ ფერს დაუბრუნდა. ციხის საკანში ტუსაღს თვით მოსკოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი გენერალი სლესკინი ეახლა და ,,ბატონ რიჟას” მიესალმა. 25 სექტემბერს კი უფროსმა III განყოფილების შეფს მისწერა: ,,შესამჩნევია, რომ ის წითურია. მისი ვინაობის დასადგენად ჩვენ მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები”...**(ოქტომბრის რევოლუციის არქივი,ფ.109, საქ.144,ნაწილი 127 , ტ.1, გვ. 301).**

24 სექტემბერს ,,ივან ანდრეევს”,ასე უწოდა დაპატიმრებულმა თავს, დაკითხვის დროს წაუყენეს პატიმარი პარმენ მიქელაძე (ოდესაში მისი მოკავშირე და თანამშრომელი). პარმენმა განაცხადა, რომ იგი ამ პიროვნებას არ იცნობს.

მოსკოვის ჟანდარმთა სამმართველომ ,,რიჟას” ვინაობის დასადგენად ქმედითი ღონისძიებები მიიღო: მისი სურათები სათანადო მიმართვებითნჟანდარმთა სამმართველოებს დაუგზანა. ამუშავდა აგენტურა. მალე მესამე განყოფილებას ხელში

ჩაუვარდა საზღვარგარეთ ლუკა ივანიშევიჩისადმი მიწერილი ნიკოლაი დიმიტრიევისა და ივან კუზმინის წერილები, სადაც, სხვებთან ერთად, რევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმული "გიორგი რიჟა" იყო ნახსენები **... (ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.109, III განყოფილება საქ.144 ,ნაწილი 127, ტ.1 , გვ. 324).**

დიდი ხნის ძიების შემდეგ დაადგინეს, რომ ნ. დიმიტრიევი თბილისში ცხოვრობდა. მოსკოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მიმართვის საფუძველზე 1876 წლის 24 იანვარს თბილისში ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა ორლოვსკიმ თავის თანაშემწე შტაბს-კაპიტან ხრისტოფოროვის თანდასწრებით დაკითხა ნ. დიმიტრიევი **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ. 43).** ეს უკანასკნელი, როგორც ეტყობა, შეშინდა და ძალზე გულახდილი ჩვენება მისცა. მისთვის წარდგენილ ერთ-ერთ სურათში მან იცნო გიორგი ზდანოვიჩი და განაცხადა, რომ გიორგი ზდანოვიჩს იგი პეტერბურგიდან მხოლოდ სალმით იცნობდა,ივანე ჯაბადარის ბინასა და სამინისტროში შეხვედრია, მასთან შეხვედრას გაურბოდა, რადგან ჩემი ამხანაგებისაგან მასზე არცთუ ისე მოსაწონი დახასიათება მესმოდა. სახელდობრ, რომ ის ძალზე ლიბერალია და უყვარს მაღალფარდოვნებაში ლიბერალური ფრაზების წარმოთქმაო „დიმიტრის ჩვენებით"ამხანაგები და ნაცნობები მას წითური წვერის გამო „რიჟას" ეძახდნენ.გიორგი ზდანოვიჩს ეს სახელი არ სწყინდა და ზოგჯერ თვითონაც ხმარობდა.ასე, მაგალითად,ივანე ჯაბადარმა პარიზში ჩვენი ყოფნისას ზდანოვიჩის წერილი მიიღო, სადაც გვარის ნაცვლად "გიორგი რიჟა"იყო ხელმოწერილი. დიმიტრიევის ჩვენებით,ის ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში,ხოლო შემდეგ პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში სწავლობდა.

ჟანდარმერიაში მოხვედრილ თავის წერილებზე დიმიტრიევმა განაცხადა: ,,საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ზდანოვიჩს არსად არ შევხვედრივარ. თბილისში ყოფნისას ჯაბადარის მამისა და სამედიცინო ქირურგიული აკადემიის სტუდენტ ხუდადოვისაგან გავიგე, რომ ჯაბადარი, ჩიკოიძე და ზდანოვიჩი მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდის გამო მოსკოვში იყვნენ დაპატიმრებუ ლები. ეს მე მაშინ პარიზში ივანიშევიჩს მივწერე. ჯაბადარსა და ჩიკოიძეს ,,ბიძია გროსოტები" ვუწოდე, ხოლო ზდანოვიჩს- „გიორგი რიჟა".

ეგნატე იოსელიანის შესახებ გიორგი ზდანოვიჩმა ჟანდარმერს უპასუხა:სატყეო უნივერსიტეტის სტუდენტ იოსელიანს მე ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს

ვიცნობდი. იოსელიანმა ინსტიტუტი დაამთავრა და ერთი კვირის წინათ თბილისში შევხვდი, სადაც მგონი ახლაც იმყოფებაო.

ჟანდარმერია ეგნატე იოსელიანს დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა.,,ივანე ანდრეევის " სახელით, ეჭვმიტანილთა შორის ერთ-ერთი ეგნატე იოსელიანიც იყო, ასე მაგალითად, დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ,1875 წლის 19 დეკრმბერს, ჟანდარმთა კორპუსის მაიორი გიორგი ზდანოვიჩს უმტკიცებდა, ეგნატე იოსელიანი ხარო, რაზედაც გიორგი ზდანოვიჩმა უპასუხა: ,,იოსელიანად თავს არ ვცნობ. ახსნა-განმარტების მიცემა არ მსურს" **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112 , საქ.148, გვ. 29).**

1876 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ნამდვილ ეგ.იოსელიანს მიაგნეს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოში გამოიძახეს და მკაცრად დაკითხეს. იცოდა,თუ არა იოსელიანმა დიმიტრიევის ჩვენების შინაარსი, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ჩვენებიდან იგრძნობა მისი მარწუხებში მომწყვდევა. ცნობილმა რევოლუციონერმა, უაღრესად ფრთხილმა კონსპირატორმა, საქართველოში იმ დროს არსებული მძლავრი რევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა რუსეთში, კერძოდ, გიორგი ზდანოვიჩის ხელმძღვანელობით მოქმედ ორგანიზაციასთან მტკიცედ დაკავშირებულმა ეგნატე იოსელიანმა გამოსავალი ჟანდარმებთან თავის „გულმართალ" ჩვენებაში იპოვა და ზდანოვიჩ-რევოლუციონერის პიროვნების სამხილებლად მათ არავითარი ცნობა არ მისცა. მან განაცხადა: პეტერბურგში ყოფნისას ვიცნობდი ყველა კავკასიელ სტუდენტს და მათ შორის, ქუთაისის გიმნაზიადამთავრებულ გიორგი ზდანოვიჩსაც, იგი შემდეგ პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა და სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში გადასვლას ცდილობდა, მაგრამ მოახერხა თუ არა, ეს არ ვიცი, რაც შეეხება მის (გიორგი ზდანოვიჩის - ი.ნ)აზრებსა და მიმართულებას, ზუსტად მისი განსაზღვრა არ შემიძლიაო. ამხანაგები მას თმის ფერის გამო ხუმრობით „რიჟს" უწოდებდნენ, თუმცა ეს მეტსახელი არ წარმოადგენდა ისეთ ტერმინს, რომელსაც შეეძლო მისი გვარის შეცვლა. ჩემთვის წარმოდგენილი ორი ფოტოსურათიდან ერთში, სახელდობრ, პალტოიან და წვერიან მამაკაცში მე ვაღიარებ ზემოთ ნახსენებ ზდანოვიჩთან მსგავსებასო**(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ. 47).**

ამოქმედდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო. ძებნა დაუწყეს საქართველოში მცხოვრებ იმ ზდანოვიჩებს, რომლებსაც შეიძლებოდა სტუდენტი შვილი ჰყოლოდათ. გიორგი ზდანოვიჩის მშობლების მოსაძებნად და დაუყონებლივ

გასაჩხრეკად რამდენიმე მიმართვა გაუგზავნეს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, საქ. სსრ, ფ.153, საქ.29, გვ.16)**. ძიება პირველ ხანებში უნაყოფო იყო. როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გუბერნიაში, რამდენიმე ზდანოვიჩი აღმოჩნდა, მაგრამ არც ერთს არ ჰყავდა სტუდენტი შვილი. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა 1876 წლის 14 თებერვალს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს ოფიციალურად მოახსენა, რომ მოსკოვში დაპატიმრებული გიორგი ზდანოვიჩის მშობლები ქუთაისის გუბერნიაში არ ცხოვრობენო **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, საქ.სსრ, ფ.153 , საქ.29, გვ.28).**

გიორგი ზდანოვიჩის მშობლებისა და ვინაობის დადგენა ამით თითქმის დამთავრდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს,პოლკოვნიკ ამოსოვს,მოუვიდა თავისივე თარჯიმნის, ქავთარაძის,პატაკი. ჟანდარმთა ამ ერთგულ მეძებარს ქუთაისში თავისი ნაცნობების წყალობით დაედგინა, რომ ის პიროვნება, რომელსაც III განყოფილება ეძებდა, გიორგი ზდანოვიჩი უნდა ყოფილიყო, რომლის დედა მაია მიქელაძე უკვე თექვსმეტი წელია ცოლად ჰყავს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს ყოფილ პროკურორს, სახელმწიფო მრჩეველ ლევან ნიკოლოზის ძე ქორქაშვილს. ქავთარაძეს ზუსტად დაუდგენია მაიას წლოვანება, გიორგის მიერ ქუთაისის გიმნაზიის დამთავრებისა და რუსეთში გამგზავრებების თარიღები. ამასთან ისიც გაუგია, რომ დედისათვის კერძო წყაროებით გიორგის დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია ცნობილი ყოფილა **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ. 54).**

1876 წლის 23 თებერვალს პოლკოვნიკმა ამოსოვმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორ სმიტენის თანდასწრებით დაკითხა გიორგის დედა - მაია მიქელაძე და მამინაცვალი ლევან ქორქაშვილი.

ჟანდარმთა წინაშე წარსდგა რევოლუციონერი შვილის ღირსეული ქართველი დედა. მართლაც, მაიასათვის ცნობილი იყო ის, რომ გიორგის ჟანდარმერია ეძებდა დასაპატიმრებლად. მან უარი თქვა შვილის ადგილსამყოფლის ცოდნაზეც. მისთვის წარდგენილ გიორგის სურათზე განაცხადა: „ეს ჩემი შვილი არ არისო", თან შვილის ისეთი სურათი წარადგინა, რომელსაც გიორგისთან ნაკლები მსგავსება ჰქონდა და დაუმატა:გთხოვთ ეს სურათი თქვენ მიერ გამოყენების შემდეგ დამიბრუნოთ, ხოლო

სხვა სათქმელი არაფერი მაქვსო **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ. 60).**

მაიას არც ლევან ქორქაშვილი ჩამორჩა, სურათში მანაც „ვერ იცნო გიორგი".- ჩემთვის წარმოდგენილ ორ ფოტოსურათში გიორგი ზდანოვიჩთან მსგავსებას არ ვხედავო - იყო მისი პასუხი **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი,ფ.112, საქ.148,გვ. 57)**. ამის შემდეგ ჟანდარმებმა 25 თებერვალს გიორგის სურათი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორ ნ. ლევანდეს წარუდგინეს, მან ფოტოსურათი გიმნაზიის ყოფილ მოწაფე გიორგი ზდანოვიჩს მიამსგავსა **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ.63).**

კლასის დამრიგებლის მოადგილემ ნიკოლოზ გრიგოლის ძე აბულაძემ სურათსა და გიორგი ზდანოვიჩს შორის „ძალზე მცირე მსგავსება" ნახა **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ.63).**

თბილისსა და ქუთაისში წარმოებული გამოძიების მასალები მოსკოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს გადაეგზავნა. აშკარა მამხილებელი საბუთების შემდეგ,1876 წლის 23 მარტს,კაპიტან დუნკინსა და პროკურორის მოადგილე გერიკეს „ივან ანდრეევად" წოდებულმა ტუსაღმა განუცხადა: „მე სინამდვილეში გახლავართ გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი; განათლება მივიღე ქითაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ვარ მართმადიდებელი აღმსარებლობის, რაც შეეხება ჩემს მშობლებს: მამა-ფელიქს სამსონის ძე ზდანოვიჩი შტაბსკაპიტანის თანამდებობაზე მსახურობდა,ის ამჟამად უკვე გარდაცვლილია, დედა-მაია მიქელაძე ამჟამად არის მეორე ქორწინებაში, სახელმწიფო მრჩეველ, ლევან ქორქიშვილთან. მშობლები ცხოვრობენ ქუთაისში. უმაღლესი განათლების მიღება დავიწყე პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ სწავლა არ დამისრულებია" **(ოქტომბრის რევოლუციის არქივი, ფ.112, საქ.148, გვ.75).** ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვით, გიორგი ზდანოვიჩი იყო სამედიცინო ქირურგიული აკადემიის სტუდენტი.ეს ფაქტი არ დასტურდება არც აკადემიის სტუდენტთა სიებით,არც აკადემიის მიერ გაცემული ცნობითა და არც თვით გიორგი ზდანოვიჩის პირადი განცხადებით. იგი ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან თავისი სურვილით გამოსულა 1873 წელს. მაგრამ, როგორც ჩანს, აკადემიაში არ მოწყობილა.მისი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის შესახებ ცნობაც გაუგებრობაზეა აგებული.

გიორგი ზდანოვიჩის მიმართ წარმოებული წინასწარი გამოძიება მხოლოდ და მხოლოდ მისი პიროვნების დადგენით ამოიწურა. სხვა ჩვენების მიღება ჟანდარმებს არც უცდიათ, რადგან ისინი ყოველთვის ერთ პასუხს იღებდნენ: „ახსნა - განმარტების მიცემა არ მსურს, მეტი სათქმელი არაფერი მაქვს“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 50 დაპატიმრებულთა შორის იყო გიორგი ზდანოვიჩი. თავიდან ის ბევრს ეცადა დაემტკიცებინა, რომ იგი არ იყო ე.წ. რევოლუციონერი „წყეული რიჟა“ და ბრალი არ ეღიარებინა, მაგრამ, როგორც ვიცით, გარკვეულმა ვითარებამ აიძულა სიმართლე ეთქვა.სამაგიეროდ გიორგი ზდანოვიჩი ოსტატურად ახერხებდა თავისუფლებაში მყოფ რევოლუციონერებთან დაკავშირებას და საქმიანი რჩევა -დარიგების მიცემას.

გიორგი ზდანოვიჩის დაპატიმრების შემდეგ სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაცია სულს ღაფავდა.გიორგის არ დაუკარგავს იმედი და,სანამ გამოუვალი მდგომარეობა არ დადგა,ბრალი არ უღიარებია და ის ციხიდან გაქცევაზედაც ოცნებობდა.ერთ-ერთ თავის წერილში ციხიდან იგი თავის ამხანაგს წერდა: „ძმებო, თავში ერთი აზრი მომივიდა, არა მხოლოდ დავამტკიცო, რომ „რიჟა“ არა ვარ,არამედ თავს თავად ვუშველო.ამისათვის თქვენ უნდა გამოიჩინოთ მონდომება,თორემ მთელი გეგმა ჩაიშლება. მე არ ვიცი შიგნით მოყვრები არიან თუ მტრები, მაგრამ გული მეუბნება, რომ გავრისკო და მართლაც სიმამაცე ბევრს ნიშნავს. ვაპირებ, თავი დავიხსნა აქედან. გამომივა და ხომ კარგი,არადა არც ეგ არის უბედურება. ჩემი გეგმისათვის ბევრი არაფერი მჭირდება, მაგრამ არც ცოტა იქნება,-ვფიქრობ მე, რომელსაც პატიმრობაში მყოფს ყოველივე ვარდისფერ ფერში მეჩვენება.თქვენც შეხედეთ ამ ყველაფერს ფხიზელი თვალით და მომწერეთ თქვენი აზრი.პროკურორი არ მეშვება, ცდილობს,დავასახელო ჩემი გვარი და გულახდილად ვესაუბრო მათ. დავპირდი ზრდილობიანად, მელოდონ“ **(ზდანოვიჩი გ. წერილი “წითელი არქივი” ტ.1-20. გვ.188-206)**.მეორე წერილში მათ გიორგი ატყობინებს, რომ აპირებს გზიდან გაქცევას, ამიტომ საჭიროა აცნობონ, თუ სად და ვისთან შეიძლება თავის შეფარება: „სავარაუდოდ,სასამართლოს შემდეგ მე წამიყვანენ პიტერში-ოდესა-კიშინიოვში ან და ბოლოს და ბოლოს კავკასიაში მაცნობეთ ყოველი შემთხვევისათვის რომელიმე მისამართი, შესაძლოა მომეცეს შესაძლებლობა გაქცევისა და აღარ დაველოდები გეგმას“ **(ზდანოვიჩი გ. „წითელი არქივი“ ტ.1-20, გვ.188-206).** აღნიშნული წერილებიდან ჩანს,

რომ,მიუხედავად დიდი დევნისა და მასიური დაპატიმრებებისა, ორგანიზაციების მთავარი ბირთვის იზოლირებისა, პოლიციას მიუგნებელი დარჩა ორგანიზაციის ბევრი წევრი,რომლებიც ცდილობდნენ დაპატიმრებულთა დახმარებას. ზუსტად მათ მიმართავდა გიორგი ზდანოვიჩი.ჩანს,რომ ისინი ყველანაირად ზრუნავდნენ, განეხორციელებინათ მისი სურვილები და ჰქონდათ გარკვეული გეგმებიც, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. გიორგი ზდანოვიჩს ვერავინ და ვერაფერმა უშველა, რათა დაემალა თავისი ვინაობა,ან მოეხერხებინა გაქცევა. 22 წლის ჭაბუკი პრაქტიკოს-რევოლუციონერის ბევრი ძვირფასი თვისებით იყო დაჯილდოებული და სრულიად შეგნებულად იყო ჩართული რევოლუციონერის მძიმე საქმიანობაში ის იყო პოლიტიკურად მომზადებული, პროგრესულად მოაზროვნე.მას სწამდა, რომ თეორიული მომზადება ვერაფერ დიდ სარგებელს მოუტანდა რევოლუციურ მოძრაობას, თუკი ის უშუალოდ არ იყო შერწყმული პრაქტიკულ-რევოლუციურ საქმიანობასთან. ამ უკანასკნელის წარმატება კი მისი შეხედულებებით, დამოკიდებული იყო ინტელიგენციასა და მშრომელ ხალხთან უშუალო დაახლოებაზე,რაც სასურველ შედეგს მოიტანდა .

გიორგი ზდანოვიჩის წერილები საინტერესოა არა მხოლოდ იმით, რომ მათი ავტორი ამჟღავნებს არა მარტო პოლიტიკურ მომზადებას, ფართო ერუდიციისა და პროფესიონალ-რევოლუციონერის საუკეთესო თვისებებს, არამედ-მომავალი ჟურნალისტის ნიჭსა და უნარსაც.ეს წერილები არაა მხოლოდ განათლებული პატიმარი რევოლუციონერის მიზნებისა და სურვილების უბრალო გამოხატულება. მათში ნამდვილად შეინიშნება იმისი მანიშნებელი ნაპერწკლებიც, რომლებიც მებრძოლი პუბლიცისტის პოტენციურ ძალასა და შესაძლებლობას ამჟღავნებს. სიტყვების ოსტატური გამოყენება, ფართო და მრავალფეროვანი მოვლენების მოკლედ და გასაგებად მოხაზვა, აზრის სინათლე და ნათქვამის დამაჯერებლობა-აი, რა ამოიკითხება მათში.

თვით სასამართლო პროცესის დაწყებამდე საქმეს დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდნენ. ამას ადასტურებს ისიც, რომ ძირითადი ორგანიზაციებისა და რევოლუციონერების დაკავების შემდეგ დაკითხვები და დაპატიმრების პროცესი არ წყდებოდა. პასუხისგებაში მიცემულ პირთა რიცხვი ასს გადასცილდა და 1876 წლისათვის გამოძიების მასალებმა 12 ტომი შეადგინა. ამ დროისათვის დაიკითხა 200

კაცი, პატიმრობაში იმყოფებოდა 39 პირი. გიორგი ზდანოვიჩი მოსკოვის სუშევსკის საპყრობილეში იმყოფებოდა **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.62)**. გაზაფხულზე იგი პეტერბურგის წინასწარდაკა ვების სახლში გადაიყვანეს **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.74-79).** ამ პერიოდისათვის ძირითადად დამთავრდა „მოსკოველთა" ორგანიზაციის საქმის გამოძიება და 1876 წლის 15 მაისს მოსკოვის სასამართლო პალატის პროკურორმა იუსტიციის მინისტრს,გრაფ პალენს,წარუდგინა მისი ამხანაგის პიოტრ ტიმაფეევის მიერ 101 კაცზე გაკეთებული დასკვნა. ამ პერიოდისათვის დაპატიმრებული იყო 56 კაცი. გამოძიების მასალა 3000-ზე მეტ ფურცელს შეადგენდა,ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები 320 კილოს იწონიდა **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.73).** 1876 წლის 8 ივლისს იუსტიციის მინისტრმა გრაფმა პაკენმა,III განყოფილების უფროსის,გენერალ-ადიუტანტ მეზენცევის,ნებართვით, იმპერატორს მოახსენა საბრალდებულო აქტის შედგენის შესახებ **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.109,III განყოფილება, 3 ექსპედიცია, საქ.144, ნაწილი153, გვ.125)**. მეფემ ბრძანა საქმე განეხილა მმართველი სენატის განსაკუთრებულ დასწრებას და საბრალდებო აქტის შედგენა დაევალებინათ სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორისათვის **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.110-111)**. 20 ივლისს იუსტიციის სამინისტროს მმართველმა ობერ-პროკურორის ამხანგს, დეროსს, დაავალა საბრალდებო აქტის შედგენა და დასკვნის წარმოდგენა **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.112)**. აგვისტოს პირველ რიცხვებში დე როსმა მოსკოვიდან მიიღო გამოძიების მასალები, მაგრამ ეტყობა საქმეს თავი ვერ გაართვა და 3 სექტემბერს პროკურორის მოვალეობა ჟუკოვს გადაეცა **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.127)**. ჟუკოვმა 16 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროს წარუდგინა მოხსენება, რომლის მიხედვით 54 პირის მიმართ ადმინისტრაციული ზომები უნდა მიეღოთ, 51 პირზე საბრალდებულო აქტი შეედგინათ,ხოლო დანარჩენი პასუხისგებისაგან გაეთავისუფლებინათ **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.129)**. 1876 წლის 26 სექტემბერს გიორგი ზდანოვიჩი პეტერბურგის პეტრე-პავლეს ციხეში გადაიყვანეს და

ტრუბეცკის ბასტიონის ცალკე საკანში დაამწყვდიეს **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1280, საქ.402, გვ.36,37)**. მასთან ერთად ციხეში იმყოფებოდნენ ივანე ჯაბადარი, ანთიმოზ გამყრელიძე და სხვა. ციხეში გიორგი ბევრს კითხულობდა ნებადართულ წიგნებს, როგორც კომენდანტის სამმართველოს საქმეებიდან ჩანს,მას წაუკითხავს შლესერის „მსოფლიო ისტორია“, კოსტრომაროვის „ისტორიული მონოგრაფიები“, მიწერ-მოწერა ჰქონია ნათესავებსა და ახლობლებთან. მას სტუმრობდნენ დეიდაშვილი,ხელთუფლიშვილი,რომელიც პეტერბურგში ცხოვრობ და და რევოლუციონერი ქალიშვილი **(კანდელაკი ი. ,1968:424).**

1876 წლის 30 ნოემბერს პროკურორმა კონსტანტინ ჟუკოვმა დაამთავრა საბრალდებო აქტის შედგენა და იგი გადასცა მმართველი სენატის განსაკუთრებულ დასწრებას **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1280, ოპ.1, 402, გვ.154)** სასამართლოს თავჯდომარემ, სენატორმა პეტერსმა, ეს აქტი 11 დეკემბერს პერსონალურად გადასცა პეტრე-პავლეს ციხის 15 პატიმარს **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1280, ოპ.1,402, გვ. 221)**. 14 დეკემბერს პროკურორის თხოვნით პატიმრების ნათესავებთან შეხვედრა აიკრძალა. პატიმრები მმართველი სენატის განკარგულებაში ჩაირიცხნენ **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1280, ოპ.1,402, გვ. 231, 240)**. დანიშნეს დამცველები -15 ადვოკატი პროფ.ვლადიმერ სპასოვიჩის მეთაურობით. სასამართლო პროცესი პირველად დაინიშნა 17 იანვრისათვის, ხოლო შემდეგ 1877 წლის 21 თებერვლისათვის გადაიტანეს **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1280, გვ. 267)**.ზოგიერთმა პატიმარმა, მათ შორის,გიორგი ზდანოვიჩმა, უარი განაცხადა დამცველის ყოლაზე, მაგრამ მათი თხოვნა განსაკუთრებულმა დასწრებამ არ დააკმაყოფელა **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი,ფ.112, საქ.142, ნაწილი I, გვ.217,218,219**). 16 დეკემბერს პატიმრები ხვდებოდნენ თავის დამცველებს, გიორგი ზდანოვიჩს დამცველად დაუნიშნეს ხატულარი. 26 დეკემბერს გიორგიმ ითხოვა,მის შესახებ არსებული გამოძიების მასალები მისთვის გადაეცათ . პროკურორმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა.

სენატმა გადაწყვიტა,სასამართლო პროცესი საოლქო სასამართლოს შენობაში ჩაეტარებინა. ეს შენობა დახურული დერეფნით დაკავშირებული იყო წინასწარი დაკავების სახლთან, საიდანაც პატიმრების წაყვან-მოყვანას საზოგადოება ვერ ნახავდა

და პატიმართა გაქცევის ნაკლები შესაძლებლობა იყო. 1877 წლის 12 თებერვალს სენატორმა პეტერსმა პეტერბურგის ციხის კომენდანტს სთხოვა, რომ სასამართლოს დღისათვის გიორგი ზდანოვიჩი და მისი თანამოაზრენი პეტრე - პავლეს ციხიდან წინასწარი დაკავების სახლში გადაეყვანათ **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1280, გვ.398).** 15 თებერვალს ჟანდარმთა ოფიცრის თანხლებით სპეციალურმა ბადრაგმა წაიყვანა რვა პატიმარი: გიორგი ზდანოვიჩი,კარდაშოვი, ციციანოვი,ჯაბადარი,ლუკაშევიჩი,როჟდესტვენსკი,ვორონიკოვი,ფიგნერი**(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1280, გვ.411).** თვრამეტი პატიმრის გადაყვანასთან დაკავშირებით III განყოფილება წინასწარ დაკავების სახლის მმართველისადმი თავის მიმართვაში წერდა:„დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, თქვენო უდიდებულესობავ,უმორჩილესად გთხოვთ,გასცეთ განკარგულება,აღნიშნული პატიმრები მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ გადაყვა ნილი წინასწარ დაკავების სახლში.განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე გამოიჩინეთ გიორგი ზდანოვიჩის, ივანე ჯაბადარის და კიდევ რამდენიმეს მიმართ, ისინი გამოირჩევიან თავიანთი მგზნებარე რევოლუციური ხასიათით" **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.103,განა.3; საქ.144, ნაწილი 127, ტ.2; გვ.116)**. პატიმრების წინასწარ დაკავების სახლში გადაყვანაზე მეფემ გაიკვირვა, მას უყვარდა საშიში რევოლუციონრების პეტრე-პავლეს ციხეში გამოკეტვა.

1877 წლის 21 თებერვალს დაიწყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი „50-ის პროცესი", რომელსაც ოფიციალურად ეწოდებოდა „საქმე კანონის საწინააღმდეგო ორგანიზაციის შექმნისა და დანაშაულებრივ თხზულებათა გავრცელებისათვის სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებულ სხვადასხვა პირთა შესახებ". სასამართლოს თავმჯდომარეობდა სენატორი კარლ პეტერსი. სასამართლოს წევრები იყვნენ სენატორები: პოხვისტნოვი, რენენკამპი, ნელოვი, ტიზენგაუზენი და ხვოსტოვი. „წოდებრივ წარმომადგენლებად" მიიწვიეს ჩერნიგოვის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი ნეპლიუევი, ვიშნევოლოცკის მაზრის თავადაზნაურთა წანამძღოლი მაიორი სპაზინ-ტორმოზოვი, ფსკოვის ქალაქისთავი სუტგოფი და სტაროდერევიანსკის მამასახლისი ლუკიანოვი.სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდიოდა პროკურორი კოსტანტინ ჟუკოვი. „50-ის პროცესის" შესახებ მდიდარი საარქივო მასალები და სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს,მათ შორის აღსანიშნავია:

ჟურნალი „ვპერედი“, 1877წელი; „ოფშინა“ 1878 წელი, #1; „სახელმწიფოებრივი დანაშაული რუსეთში“ (государственное преступление в России), შტუდგარდი,1904; „50-ის პროცესი კალაშის რედაქტირებით, 1906 წელი; ვ.ფიგნერის „50-ის პროცესი“, „კატარღა და გადასახლება“, 1927 წელი, #4(33); ჯაბადარი, „50-ის პროცესი“, „ბილოე“, 1907, #8, 9, 10; ვ.ვლადიმოროვი, “50-ის პროცესი“, „ოგონიოკი“, 1963, #29; მ.გორგიძე, ქართველები „50-ის პროცესში“, „ლიტერატუტული საქართველო“, 1964 წელი, #6.

სასამართლო პროცესზე დასწრება, მიუხედავად იმისა, რომ იგი საჯაროდ გამოაცხადეს, მოსაწვევი ბარათებით შეიძლებოდა. ბარათის მისაღებად კი სენატორ პეტერსის სპეციალური განკარგულება იყო საჭირო. მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა, ახალგაზრდობა მოაწყდა სასამართლოს დარბაზს და ზოგმა ნაცნობობით,ზოგმა კი ყალბი მოსაწვევით,მოახერხა შიგ შესვლა. რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ასეთი პროცესი მეტად უჩვეულო იყო. საბრალდებო სკამზე ისხდნენ შესანიშნავი ინტელიგენტები:ქალიშვილები სოფია ბარდინას და ახალგაზრდები გიორგი ზდანოვიჩის მეთაურობით, მუშები და სხვა იმ დროის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

პროკურორის მთავარი მიზანი იყო მთავრობის საწინააღმდეგო მტკიცე ორგანიზაციის არსებობის დამტკიცება თავისი წესდებით, პროგრამით, ხელმძღვანელი ცენტრით („ადმინისტრაციით“), ერთიანი სალაროთი.პროკურორი საბრალდებო აქტში ამტკიცებდა, რომ ორგანიზაცია სუფთა ინტელიგენტურ წამოწყებას წარმოადგენდა. მის შემქმნელად მიაჩნდა ხელმოცარული სტუდენტები, რომლებმაც რევოლუციური პროპაგანდის ჭირი საზღვარგარეთიდან შემოიტანეს და მისი მუშებში გავრცელება სცადეს.პროკურორის განცხადებით, „ორგანიზაცია შეიქმნა უშუალოდ იმ პირთა ხელმძღვანელობით, რომლებმაც დატოვეს რუსეთი და გადასახლდნენ საზღვარგარეთ, კერძოდ.შვეიცარიაში, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულებს ჰქონდათ ერთი მიზანი-იმპერიის მუშათა კლასებს შორის გაევრცელებინათ რევოლუციური იდეები.ასეთი გახლდათ ზდანოვიჩისა და მისი თანამოაზრეების მიმართ ბრალდება”.სინამდვილე კი სხვაგვარი იყო,ისინი აცხადებდნენ, რომ სურდათ გათავისუფლებულიყვნენ „რუსეთის კოლონიური“ რეჟიმიდან და მოეპოვებინათ ნანატრი თავისუფლება.მოგვიანებით, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს,ნათელი გახდა ხალხისთვის მათი ჭეშმარიტი ჩანაფიქრი და არა არსებული რეჟიმის მიერ წარმოდგენილი დასკვნა…

პროკურორი ცდილობდა,რუსეთის მშრომელ ხალხზე რევოლუციონერთა გავლენა ყოველმხრივ დაეკნინებინა და ამიტომაც პასუხისგებაში მიცემულ მუშებს გზიდან აცდენილებად, შეუგნებელ ადამიანებად სახავდა. იგი, მართალია, სამართლიანად მიიჩნევდა ორგანიზაციის ველაზე აქტიურ წევრებად გიორგი ზდანოვიჩს, ივანე ჯაბადარს,სერგეი ბარდინას და სხვა, მაგრამ ალექსეევსა და სხვებს მუშებს ჩრდილში ტოვებდა („მოსკოველთა“ ერთიანი ორგანიზაცია სამი ნაკადის შერწყმა იყო. ერთი მხრივ, იდგნენ ინტელიგენტი რევოლუციონერი მამაკაცები, მეორე მხრივ-ინტელიგენტი-რევოლუციონერი ქალები, ხოლო მესამე-მუშები. ორგანიზაციაში არ იყვნენ „გენერლები“ და „ჯარისკაცები“.ყველა თანაბარუფლებიანი წევრი იყო.თუ მათ შორის ვინმეგანსაკუთრებით გამოირჩეოდა, ეს მისი პირადი, ინდივიდუალური მონაცემებით იყო განპირობებული).

ჯაბადარის ინიციატივით, ბრალდებულებმა ორგანიზაციის არსებობის უარყოფის კურსი აიღეს.ამით ზოგიერთ ბრალდებულს,რომლის სამხილებლად სასამართლოს არ გააჩნდა სათანადო მასალები, მკაცრი სასჯელისათვის თავის დაღწევის საშუალება ეძლეოდა.მართალია,ორგანიზაციის არსებობის უარყოფა თითქმის შეუძლებელი იყო,მაგრამ კონკრეტულად მისი წევრების დადგენა სასამართლოსათვის ადვილი არ იყო.პროცეზე ორგანიზაცია მოფიქრებული გეგმითა და მის წევრთა ერთსულოვნებით წარსდგა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის წევრთა შორის არც ჩავარდნამდე და არც წინასწარ კვლევა-ძიების დროს, მით უმეტეს სასამართლო პროცესზე, არ გამოჩენილა არც გამცემი და არც სულმოკლე. პირიქით, თითოეული ცდილობდა, დანაშაული მაქსიმალურად თავის თავზე აეღო და ამით თანამებრძოლისათვის სასჯელი შეემსუბუქებინა.

ზოგიერთმა ბრალდებულმა დამცველზე უარი განაცხადა და თავიდანვე გადაწყვიტა,სასამართლო პროცესი რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის გამოეყენებინა: ამ რევოლუციონერთა შორის,როგორც ჩანს,ფუნქციები განაწილდა. რევოლუციონერ-ინტელიგენტთა სახელით სიტყვის წარმოთქმა იკისრა-გიორგი ზდანოვიჩმა, რევოლუციონერ-ქალიშვილთა სახელით- სოფია ბარდინამ, ხოლო მუშა-რევოლუციონერთა სახელით-პეტრე ალექსეევმა.

სასამართლოს ძიებას საქმისათვის ახალი მასალა არ მიუცია.რაც შეეხება გიორგი ზდანოვიჩის სამხილებლად თბილისიდან გამოძახებულ ნიკოლაი დიმიტრევს, იგი

სასამართლო პროცესზე ავადმყოფობის მომიზეზებით არ გამოცხადდა.პროცესზე გამოირჩეოდა გიორგი ზდანოვიჩი. მას ღირსეულად ეჭირა თავი, როგორც ეს პროფესიონალურ რევოლუციონერს შეეფერებოდა. მას ერთხელ აღებული ტაქტიკის ხაზისათვის არ უღალატია. იგი ექსპერტებს, პროკურორსა და მოწმეებს გონებამახვილური შეკითხვებითა და რეპლიკებით ჩიხში ამწყვდევდა და გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადებოდა.პროცესის კულმინაციური წერტილი იყო სიტყვა ბრალდებულებისა რომელთა შორის იყო გიორგი ზდანოვიჩი, რომელმაც დამცველზე უარი თქვა და თავდასაცავი სიტყვით გამოვიდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ივანე ჯაბადარმა თავის მოგონებებში **(ჟურნალი „ბილოე", 1907 ,#10, გვ. 195-196)** „50-ის" პროცესზე გიორგის სიტყვა უარყო. ბევრმა მკვლევარმა გაიზიარა ეს მოსაზრება. არსებობს საპირისპირო მოსაზრება,რომელიც შეგვიძლია განვამტკიცოთ მრავალი ლიტერატურული წყაროთი და საარქივო მასალებში მოცემული ფაქტებით. სინამდვილეში გიორგი ზდანოვიჩის მიერ წარმოთქმული სიტყვა „50-ის" პროცესზე 1877 წლის 9 მარტით თარიღდება და არა 10 მარტით.ეს ხარვეზი გაზეთ „ვპერიოდში" იყო გაპარული.

9 მარტის სხდომაზე სასამართლოს თავჯდომარემ პეტერსმა სიტყვა მისცა გიორგი ზდანოვიჩს.დარბაზში მყოფნი მოელოდნენ,რომ ახალგაზრდა რევოლუციონერი თავის მართლებას შეეცდებოდა, მაგრამ დასაცავი სიტყვის ამგვარ დაწყებას შეუძლებელია სათანადო შთაბეჭდილება არ მოეხდინა სასამართლოსა და მსმენელებზე,თვით ბრალდებულებზედაც.გიორგი ზდანოვიჩი უდავოდ ითვალისწინებდა,რომ პროცესზე გამომსვლელთაგან ყველაზე მეტად სწორედ მას ევალებოდა ეთქვა,თუ შეიძლება ასე ითქვას,თეორიული შინაარსის სიტყვა.იგი გამოდიოდა, აგრეთვე, პეტრე ალექსეევზე წინ,რომლის სიტყვაზე ყველანი დიდ იმედებს ამყარებდნენ.თავისი გამოსვლით გიორგის გარკვეული ატმოსფერო უნდა შეექმნა,რომ რევოლუციონერ მუშას წარმატებით წარმოეთქვა თავისი შინაარსიანი სიტყვა. გიორგი ზდანოვიჩის სიტყვაში. მოცემული იყო არსებული წყობის უვარგისობის ღრმა ანალიზი.მან ამაყად განაცხადა, რომ სოციალური რევოლუცია ბოლოს მოუღებდა ხალხთა ჩაგვრას და დაამყარებდა დედამიწაზე ძმობას, მეგობრობასა და კეთილდღეობას.ეს უბრალო სიტყვები მოჩვენება და გაზვიადება არ იყო.ამ ორი პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის თანადგომისა და მეგობრობის დასტური იყო ე.წ. „50-ის" პროცესი. გიორგი ზდანოვიჩის ბრწყინვალე

გამოსვლა, რომელიც, მართალია, მას არ დაამთავრებინეს, მაგრამ ისიც, რისი თქმაც მოასწრო, ჩვენ წინაშე აცოცხლებს რევოლუციონერის სახეს,რომელმაც ბრძოლისა და მოღვაწეობის ხანმოკლე გზა განვლო და ახალგაზრდა მოაზროვნეს, რომელსაც აქვს თავისი შეხედულება მის თანამედროვე ცხოვრებაზე და ამ შეხედულების გადმოცემის საკუთარი სტილი და მანერა, ლოგიკური თანმიმდევრობა და პუბლიცისტური ოსტატობა.გიორგი ზდანოვიჩის სიტყვის აღნიშნული ტექსტი,ალბათ დამცველთა მეოხებით,რევოლუციონერთა ხელში აღმოჩნდა და იგი 50-ის პროცესის სხვა მასალებთან ერთად ელვის სისწრაფით გავრცელდა ხალხში.ტექსტი ხელიდან ხელში გადადიოდა და ინტერესით იკითხებოდა არა მარტო ადგილობრივ პრესაში, არამედ-საზღვარგარეთ,კერძოდ,ლონდონში,სადაც გადაუგზავნეს ჟურნალ „ვპერიოდის“ რედაქციას,რომელმაც იგი სასწრაფოდ დაბეჭდა მე-5 ტომში **(ჟურნალი „ვპერედი”, გვ.156-160).**

აი, ეს სიტყვაც: „ბატონო მოსამართლენო, თქვენ მოისმინეთ ბრალდება, მოისმინეთ დაცვა, ახლა მოუსმინეთ ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ბრალდების მტკიცებით გაკიცხვას იმსახურებს, ხოლო დაცვის - ყოველ შემთხვევაში ზოგიერთის დამცველის განცხადებით - შებრალებას. შებრალება! მე არ ვიცი, ვსაჭიროებთ კი ჩვენ, საერთოდ, ვინმეს შებრალებას. მაგრამ, რაც შემეხება პირადად მე, განკიცხვას უფრო დავთანხმდებოდი, ვიდრე შებრალებას“. შებრალება საჭირო არ არის-იგი შეურაცხმყო ფელია… ერთი ძველი ფილოსოფოსი, თუ არ ვცდები, დემოკრიტე. ამბობდა: „დამცინეთ, მაგრამ ნუ შემიბრალებთ!... „ჩემი დაცვა მოკლე იქნება, ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ. მე სავსებით უკუვაგდებ საქმის ფაქტიურ მხარეს, თუმცა შემეძლო ზოგი რამ ჩემს სასარგებლოდ მეთქვა. მაგალითად, შემეძლო თქვენი ყურადღება მიმეპყრო იმ გარემოებაზე, რომ კიშინიოვის არც ერთ სასტუმროში არავის ვუცნივარ,არ ვუცნივარ ასევე კიშინიოვის ვაგზალში მწონავსა და მოლარეს.ამასთანავე დავძენ, რომ ისინი ყოველთვის ცნობენ-ხოლმე იმ პირს, რომელმაც წიგნები გაგზავნა. მაგრამ მე ყოველივე ამას მხედველობიდან ვუშვებ, გვერდს ვუვლი, შესაძლოა, დღეს უკანასკნელადაც მიწევს ლაპარაკი და ეს მაძლევს უფლებას,იმედი ვიქონიო, რომ ნებას დამრთავენ,გამოვთქვა ზოგიერთი საერთო მოსაზრება თანამედროვე მოძრაობაზე. ჩვენში ძალიან არის გავრცელებული შეხედულება, რომ რუსეთი მკვეთრად განსხვავდება დასავლეთ ევროპისაგან, რომ ჩვენ მივდივართ და მოვალენიცა ვართ ვიაროთ განსხვავებული,

საკუთარი გზით. ამ შეხედულებაში ბევრი სიმართლეა. მაგრამ მას ძალიან ხშირად ბოროტად იყენებენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეცნიერებამ არ იცის ეროვნება, რომ ცივილიზაცია და ადამიანური იდეების ცნება საერთაშორისოა. რა თქმა უნდა, კაცობრიობის იდეალები გარდაიქმნებიან ხალხთა ისტორიული ცხოვრების პირობების შესაბამისად. ასე რომ, არსებითად რჩებიან რა ყველა ხალხისათვის საერთოდ, ამავე დროს ისინი, ესე იგი, იდეალები, დეტალებში ესადაგებიან ქვეყნის პირობებს. მაგრამ ევროპის ცივილიზაციის შესწავლამ დაგვანახა, რომ რუსეთისათვის სრულიადაც არ არის ხელსაყრელი,გამოეყოს ევროპის ხალხების ოჯახს, რომ, პირიქით, იგი ვალდებულია საკუთარი ბედი დასავლეთის ბედს დაუკავშიროს და მასთან ერთად იმუშაოს არსებობისათვის საუკეთესო პირობების მისაღწევად. სახალხო ცხოვრების ეკონომიკური საფუძველი ყველგან ერთნაირია. როგორც იქ,დასავლეთში, ასევე აქ, რუსეთშიც, არსებობს, ერთი მხრივ, მცირე ჯგუფი,-ვუწოდოთ მას თუნდაც პრივილეგირებული ჯგუფი, მეორე მხრივ,კი- მასა,უმრავლესობა, რომელიც განწირულია გამოუვალი ტანჯვისათვის. მრავალი დიადი გონება და მრავალი კეთილშობილური გული მუშაობდა სოციალური საკითხის გადასაჭრელად. სოციალიზმი ისევე ძველია, როგორც თვით სამყარო. მხოლოდ საკითხის გადაწყვეტის ფორმები და საშუალებანია განსხვავებული სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში. უკანასკნელ დროს, როდესაც ეგრეთ წოდებულმა, მოვლენათა ბუნებრივმა მსვლელობამ სრული განვითარება მიიღო, როდესაც გარკვევით და ცხადად გამომჟღავნდა თანამედროვე ცივილიზაციის ბნელი მხარეები, სოციალიზმი პრაქტიკულ ნიადაგზე დადგა და შექმნა თავისი დამოუკიდებელი პარტია... სახალხო პარტიის ძალები დღითი დღე იზრდება, რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო საშიში ხდება ის უფსკრული, რომელიც უსაქმურ მაძღართა უმცირესობას დამშეული და განძარცული უმრავლესობისაგან ყოფს. თანამედროვე ევროპის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ხალხებმა შეიგნეს თავიანთი ინტერესების სოლიდარობა, თავიანთი მდგომარეობის ერთგვარობა და ერთმანეთს ხელი ხელს მისცეს საერთო ბრძოლისათვის. ასე რომ, სოციალური საკითხის უახლესი ხედვა (დაყენება) კაცობრიობას ყოფს არა ეროვნებებად, არამედ-მჩაგვრელებად და ჩაგრულებად. ადამიანთა საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებად დაყოფის საზომს წარმოადგენს არა ტერიტორია, არა ენა და ტომობრივი თავისებურებანი,არამედ-

ეკონომიური საწყისი, რომელიც სახალხო ცხოვრებას უდევს საფუძვლად. ეკონომიკური წყობილება ყველგან ერთნაირია. მე გეკითხებით,შეიძლება თუ არა ამ თვალსაზრისით რუსეთის გამოყოფა მუშათა მოძრაობიდან? განა არ შეიძლება ევროპის ხალხთა მოთხოვნები აქ ისეთივე უფლებით წარმოვიდგინოთ, როგორიც იქ არის? არა მგონია, ვინმემ გაბედოს მტკიცება, რომ საერთოდ შრომის პირობები რუსეთში მკვეთრადაა განსხვავებული დასავლეთის შრომის პირობებისაგან. რა თქმა უნდა, თითოეულ ქვეყანას თვისი თავისებურებანი გააჩნია, მაგრამ ეკონომიკური საკითხის მთვარი ძარღვი ყველგან აბსოლუტურად ერთნაირია და ამის გამო, რომ შესაძლებელი ხდება, სოციალური საკითხის ერთნაირად დაყენება ყველა ხალხისათვის, რუსეთის ჩათვლით. აი, რატომ ვხედავთ ჩვენ, რომ სოციალიზმის, როგორც იდეის,განვითრება რუსეთში, თითქმის დასავლეთში,მისი განვითრების პარალელურად მიმდინარეობდა. საილუსტრაციოდ საკმარისია მივუთითოთ ორმოციანი წლების დასასრულზე ევროპაში და სამოციანისა ჩვენში, ანდა საკითხის თანამედროვე დაყენება აქ და იქ.ამასთანავე სოციალური საკითხის დაყენების სიმტკიცეს რუსეთში ხელი შეუწყო რუსი ხალხის ისტორიულმა ბედმა. მე მინდა ვთქვა, რომ სახალხო ცხოვრების ელემენტები თავიანთ თავში შეიცავდნენ მრავალ მსგავსებას თეორიულ სოციალიზმთან, ამიტომ იგი არ ყოფილა ჩვენში რაღაც არაჩვეულებრივი და შეუთახმებელი რუსეთის ცხოვრების პირობებთან პირიქით,არსებობდა და ნაწილობრივ ახლაც არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად სოციალიზმი დასავლეთში თითქმის რევოლუციურია,ჩვენში კი-კონსერვატორული. თუ იქ ეს საკითხი ძალით უნდა გადაწყდეს, აქ მისი გადაწყვეტა შეიძლება მშვიდობიანი გზით. ამ შეხედულებას თავდაპირველად მარტო ჩამორჩენილი ადამიანები როდი უჭერდნენ მხარს. რუსეთის ახალგაზრდობას, რომელმაც სოციალისტური რწმენა გამოიმუშავა, ბუნებრივია, იგი ცხოვრებაში უნდა გაეტარებინა. მისი პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით, ესე იგი, საკითხის მშვიდობიანად გადასაჭრელად,წარმატებული გამოდგა. ყველა მის ცდას, თუ პირდაპირ მტრულად არა, ყოველ შემთხვევაში, უნდობლად ხვდებოდნენ. ეს უნდობლობა იქამდე მიდიოდა, რომ მოღვაწეები მოულოდნელად სადღაც ქრებოდნენ, ორგანიზაციები იშლებოდა, საქმე დაცემისაკენ მიდიოდა. ახალგაზრდობა დაფიქრდა: რა ვაკეთოთ,სანუკვარი მიზნისაკენ მშვიდობიანი გზით სიარული, როგორც ჩანს, შეუძლებელია გულხელდაკრეფილი ჯდომა და ლოდინი - როდის გადაჭრიან ზემდგომნი საკითხს, რწმენის სიწრფელესა და

მიზნის სიდიადეს ვერ ეთვისება... ნუთუ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ბუნებრივი სვლა გადაწყვეტს საკითხს, რომ ჩვენი მოვალეობაა მხოლოდ თვალ-ყურის დევნება, სახალხო ცხოვრების შესწავლა და ისტორიის კანონების გაცნობა და, რადგანაც კედელს შუბლით ვერ გავანგრევთ, ამიტომ ჩვენი მისწრაფებები და მოთხოვნები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებულ, ისტორიულად გამომუშავებულ სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირობებს? მაგრამ ეს ხომ სხვანაირად დოქტორ პანგლოსისათვის ხელის ჩამორთმევას, ანუ, სხვა სიტყვებით, იმის აღიარებას ნიშნავს, რომ თითქოს ჩვენში ყველაფერი უკეთესისაკენ უნდა მიემართებოდეს? არა, ასეთი ორაზროვანი ფილოსოფია არ შეიძლებოდა მოსწონებოდა რუსეთის ახალგაზრდობას. ერთი მხრივ, სოციალისტურ მოძღვრებათა პროგრესმა დასავლეთში, მეორე მხრივ, რუსეთის შინაურმა პირობებმა რუსეთის ახალგაზრდობის სოციალიზმი, მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, რევოლუციურ სოციალიზმად გარდაქმნა. მან, ახალგაზრდობამ, მიუხედავად მთელი საფრთხისა, გადაწყვიტა, რომ მიზნისაკენ რევოლუციური გზით იაროსის. ამიტომაა, რომ თანამედროვე მოძრაობა უპირატესად სოციალურ-რევოლუციურია. იგი არ წარმოადგენს შემთხვევით, გარდამავალ მოვლენას, მან თითქმის მთელი ახალგაზრდობა, მთელი მისი სიცოცხლისუნარიანი ძალები მოიცვა. არ შეიძლებოდა იგი მეც არ შემხებოდა. მეც იმავე გზით წავედი, მთელი შესაძლებლობისა და ძალ-ღონის დაუზოგავად ხალხის განთავისუფლების დიადი მიზნისათვის ვმუშაობდი და კვლავაც იმავე სულისკვეთებით ვიმუშავებდი, პატიმრობაში რომ არ ვიმყოფებოდე.მაგრამ რა არის სახალხო ღონისძიება და რაში მდგომარეობს იგი? პასუხი ასეთია:სახალხო შრომის არავითარი ექსპლუატაცია არ უნდა ეწეოდეს, რომ ხალხის შეგნება არ უნდა იჩრდილებოდეს უმეცრების ცრურწმენებით, რომელსაც უკიდურესი სიღატაკე ბადებს და არ უნდა ეცემოდეს ხალხის ზნეობა, რაც გარდაუვალია სახალხო ცხოვრების მომაკვდინებელ ვითარებაში. ამის მიღწევა შესაძლებელია თემების სრული დამოუკიდებლობისა და ავტონომიის დროს. ისინი ერთობლივად ფლობენ მიწასა და საწარმოო იარაღებს თავისუფალი შრომის პირობებში, როდესაც იგი სავალდებულო იქნება ყველა ინდივიდისათვის. აი, ჩემი მისწრაფებები. მათი განხორციელების საშუალებას, ჩემი აზრით, წარმოადგენს ხალხში მათი ინტერესების სოლიდარობის შეგნების შეტანა, ხალხის უკმაყოფილების გააზრება, დაქსაქსული ძალების გაერთიანება და არსებობის უფრო სამართლიანი პირობების

ერთობლივად მიღწევა. ხალხის მდგომარეობა რომ აუტანელია, ხალხის უკმაყოფილება რომ დიდია, ყოველივე ეს უდავო ფაქტია და ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ეს ფაქტი უნდა გამოვიყენოთ არა უნაყოფო, ცალკეული ბუნტისა და ამბოხებისათვის, არამედ საკითხის უფრო მეტი სერიოზულობით და მტკიცედ გადაჭრისათვის. ასეთია საერთო ხაზებში ჩემი რწმენა და ესაა, რომ მაიძულებს, რომ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმ პროგრამის ირგვლივ, რომელიც მე ჩამომართვეს. ვაღიარებ, რომ ბრალდებისა და დაცვის მიერ ამ დოკუმენტზე არაერთგზის მითითების შემდეგ უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია არ შევეხო ამ საკითხს, მაგრამ არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი ერთ ფაქტს; პროკურორმა, დაახასიათა რა ჩვენი მოძრაობა,მას პოლიტიკური მოძრაობა უწოდა და არა სოციალისტური, ხოლო ჩვენ კი-პოლიტიკური როვოლუციონრები და არა სოციალისტები. მას არც კი შეეშინდა,შეედარებინა თანამედროვე მოძრაობის პრინციპები ინტერნაციონალის პრინციპებთან. მართალი მოგახსენოთ, ვერ გამიგია, რისთვის დასჭირდა მას ასეთი შედარება, მაგრამ ამ შედარებიდან ჩემთვის ერთი რამ ნათელია: ან პროკურორი საკმაოდ არ იცნობს სოციალურ და ზნეობრივ მეცნიერებებს, ანდა იგი სხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, რასაც საქმის არსთან კავშირი არ აქვს, მაგრამ ამ საგანს არ შევეხები, რადგანაც ეს წვრილმანამდე მიმიყვანდა, რაც აქ, სასამართლოს სხდომაზე, შესაძლოა უადგილო იყოს. თუმცა მიმაჩნია, რომ თვით პროგრამას შეეძლო მიეთითებინა პროკურორისათვის მისი შეხედულებების მცდარობაზე,მაგრამ მან ეტყობა არ მოისურვა სათანადოდ ჩასწვდომოდაამ ფაქტს. სხვათაშორის, პროკურორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ პროგრამის ერთ განყოფილებას. მინდა სწორედ ამ განყოფილებაზე ვისაუბრო ახლა, მაგრამ,უპირველეს ყოვლისა, უნდა განვაცხადო, რომ ეს პროგრამა ჩემს კალამს არ ეკუთვნის, მე არა ვარ მისი ავტორი. ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ასე ვთქვა, თავიდან ბრალდების აცილება მსურდეს. არა! მე სოლიდარობას ვუცხადებ მის საერთო მიმართულებას, მაგრამ ჩემი რწმენა ნებას არ მაძლევს,დავეთანხმო ზოგიერთ განყოფილებას. ასეთია მაგალითად, განყოფილება, ეგრეთ წოდებული, წმინდა აგიტაციის შესახებ. ამავე განყოფილებაზე უთითებდა პროკურორიც და ცდილობდა, მოეცა ისეთი განმარტება, რომელიც მიზნად ისახავდა,დაემტკიცებინა, რომ ჯგუფები ძარცვა-გლეჯვისათვის იქმნებიან. თუ მას პირდაპირ ასეთი დასკვნა არ გაუკეთებია, ყოველ შემთხვევაში, გადაკვრით მაინც გულისხმობდა ამას. პროგრამა ამ ჯგუფს

მიზნად უსახავს სახსრების მოპოვების ამოცანას, მაგრამ არ მიუთითებს, თუ რომელი გზით მოიპოვებენ ეს ჯგუფები ამ სახსრებს. ძარცვა-გლეჯვაზე იქ კრინტიც არაა დაძრული. თუმცა იმავე პირობებში არის პარაგრაფი, რომელიც ორგანიზაციის წევრებს, პროპაგანდისტებს უკრძალავს მისდიონ მხოლოდ სახსრების მოპოვებას.

აი, როგორი აზრი აქვს ამ საკითხს. მაგრამ გვერდს ვუვლით რა საკითხის ამ ნაწილს, თვით პროექტის შესაძლებლობა ჯგუფების შესახებ საერთოდ აიხსნება არა სოციალური საკითხის დაყენების ხასიათით რუსეთში, არამედ იმ დევნითა და შევიწროებით, რომელსაც რუსეთის ახალგაზრდობა განიცდის. უკიდურესობა ყოველთვის წარმოშობს საწინააღმდეგო თვისების მქონე უკიდურესობას, დაწოლა ყოველთვის იწვევს საწინააღმდეგო ძალას.ეს მექანიკის კანონია. მართლაც ძნელია დამშვიდებით იყო, როდესაც ახალგაზრდობის დარწმუნების ერთადერთ საშუალებას ციხე და კატორღა წარმოადგენს, როდესაც ყოველგვარი პატიოსანი გზა უხეში ძალით იხშობა, მაგრამ,თუ რაოდენ ნაკლებ სარწმუნოა ასეთი საშუალებანი, ნათლად ჩანს რუსეთის ახალგაზრდობის მწარე ისტორიიდან. თითქმის ყოველდღე კარგავს იგი რამდენიმე მეგობარს,ამხანაგს.ერთს აცილებს კატორღაში, სხვებს კი, რომლებმაც ტანჯვა ვერ აიტანეს-საფლავში, მაგრამ მას არასდროს უღალატია თავისი მიზნებისა და ამოცანებისათვის. ბატონო მოსამართლენო, მხოლოდ ბავშვური გატაცებისა და თავმოყვარეობის და, მით უმეტეს, ბინძური ქვეყნის გრძნობის გამო, ადამიანები იშვიათად სწირავენ თავს და მიდიან ნებაყოფლობით ტანჯვამდე.ადამიანებს სარისკო საქმეების ჩასადენად ამოძრავებთ მხოლოდ ის რწმენა,რომელიც ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა. ამჟამად ახალგაზრდა ძალას, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო პრაქტიკული ცხოვრების წუმპეში ამოსვრა, აბსოლუტურად არ ესმის, თუ როგორ შეიძლება არ იმუშაო ხალხის ინტერესებისათვის, როგორ შეიძლება იჯდე გულხელდაკრეფილი, ანდა გეშინოდეს,თუ რა შედეგი მოჰყვება შენს პატიოსან მისწრაფებებს. თავის განწირვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, შეიქმნა, ასე ვთქვათ, სოციალისტური ატმოსფერო, სწორედ ისეთი პირობა, რომელიც თანამედროვე მოძრაობის წარმატებას გვიწინასწარმეტყველებს. იმ მიზნების გარდა, რომლებიც ზემოთ აღვნიშნე,ე.ი.,გარდა იმისა, რუს ხალხში ცოცხლობს სოციალიზმის, თანასწორობის იდეა, რომელიც სათემო მიწის მფლობელობაში გამოიხატება, გარდა რუსეთის ახალგაზრდობის თავგანწირვისა და თავისი რწმენისადმი ერთგულებისა.

ახლანდელი მოძრაობის მომავალი კიდევ საერთო ისტორიული პირობებითაცაა უზრუნველყოფილი. რუსეთის ცხოვრების ელემენტების განვითარების ისტორია ბევრად განსხვავდება დასავლეთ ევროპის განვითარების ისტორიისაგან. ჩვენ იქ ვხედავთ მძლავრად განვითარებულ პოლიტიკურ ცხოვრებას, მრავალგვარ პარტიებს და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა ინტერესების ბრძოლას. ასეთი რამ რუსეთში არ არსებობს და ამას თავისი ისტორიული მიზეზები აქვს. დასავლეთში პარტიების შექმნა აუცილებელი იყო: წარმოიშვებოდა განსაზღვრული ინტერესები, იდეები, რომლებიც ადამიანებს მჭიდრო ორგანიზებულ პარტიებად რაზმავდნენ. ბრძოლა იქ უხსოვარი დროიდან დაიწყო და ამგვარად მიმდინარეობდა: პირველად იქმნებოდა საზოგადოებრივი, წოდებრივი ინტერესები, შემდეგ კი ისინი იღებდნენ ჩამოყალიბებულ სისტემებს, იქცეოდნენ თეორიად. ევროპის ყოველი პარტია თავის დროს წინ უძღოდა მიძრაობას, წარმოადგენდა პროგრესულ ძალას და ფლობდა მოწინავე აზრებს. არც ერთ პარტიას არ შეიძლება ჰქონდეს მომავალი, თუ მას უნარი არ შესწევს საერთო ინტერესებისათვის ადამიანთა მსხვერპლი გაიღოს. არც ერთი პარტია არ შეიძლება იყოს ძლიერი და ცოცხალი პარტია, თუ მისი წევრები თავგანწირვით არ ემსახურებიან პარტიის საქმეს. გარდა ამისა, პარტია ძლიერი იყო და წარმოადგენდა მოწინავე აზრს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მისი და ხალხის ინტერესები განუყოფელი რჩებოდა. რუსეთში კი მთელი ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცხოვრება და არავითარი ბრძოლა არ შეიმჩნეოდა. რუსეთის ისტორიის დასაწყისი, როგორც ჩანს, შეიცავდა თავისი პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ელემენტებს. მაგრამ აი, დადგა თათრობის ჟამი და ყველაფერი ჩაკვდა. ამ მყუდროებაში, ამ ძილის დროს, მუშაობდა მხოლოდ ერთი ძალა-ძალა მონარქიული. თათრების უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ ყველა ინტერესი სახელმწიფო ხელისუფლებაში განხორციელდა, ყოველი თვალი მისკენ იყო მიპყრობილი.ამ დროს თავადაზნაურობა კარგავს თავის დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ამ წოდების წევრები მეფის მსახურები და ყურმოჭრილი მონებია, ბურჟუაზია არ არსებობს. სახალხო პარტია და სახალხო თავისუფლება,რომელიც თათართა დარბევას გადაურჩა,განადგურებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.დიდი ნოვგოროდი და ფსკოვი დაეცა.პარტიები არ შეიძლებოდა არსებულიყო.სასულიერო წოდება არ ითვლებოდა განცალკავებულ დამოუკიდებელ კორპორაციად-იგი სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დამორჩილებულ ორგანოს

წარმოადგენდა.თავადაზნაურობა ვერ ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით,მას პირადი საკუთრებაც კი არ გააჩნდა, ყველაფერი: მიწაც, ადამიანებიც,მეფეს ეკუთვნის და მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული - უწყალობოს თუ ჩამოართვას მათ მთელი ქონება.არ არსებობს თავადაზნაურთა ინტერესები, არ არსებობს თვით თავადაზნაურობა, როგორც დამოუკიდებელი წოდება.თავმჯდომარე სენატორი პეტერსი:(აწყვეტინებს ზდანოვიჩს) ეს საქმეს არ შეეხება:გიორგი ზდანოვიჩი:მე კი მიმაჩნია, რომ სწორედ საქმეს შეეხება.მე მინდოდა ამ ისტორიულ ფაქტზე მითითებით დამედგინა ის დებულება, რომ რუსეთში, ასე ვთქვათ,პრივილეგირებულთა პარტიების შექმნა უაზრობაა. მათ ხელიდან გაუშვეს ხელსაყრელი ისტორიული წუთი.მინდოდა მეჩვენებინა სოციალურ-რევოლუციური მოძრაობის მთელი კანონიერება და განსაკუთრებით ის, რომ მხოლოდ სახალხო პარტიას აქვს მომავალი, ეს იმიტომ,რომ გამოხატავს უმრავლესობის ინტერესებს და იმიტომაც,რომ მარტო ის დგას ჩვენი დროის მოწინავე იდეების განვითარების სიმაღლეზე.იგი ძლიერია, ძლიერია თავისი ერთიანობით,პრინციპების სიწმინდით, საკუთარ წევრთა თავგანწირვით. მისი გამარჯვება უეჭველია. პირველი მსხვერპლი, მრავალი მისი წევრის დაღუპვა, უფრო მეტ ძალასა და ზნეობრივ ღირსებას ჰმატებს მას. მე ღრმად მწამს ხალხის გამარჯვება ,სოციალური რევოლუციის ზეიმი". ამ დოკუმენტს თავისი დიდი ისტორიული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

ბრალდებულთა გამოსვლები მუშა-რევოლუციონერ პეტრე ალექსეევის სიტყვით დაგვირგვინდა. მოგვიანებით ვიტაშევსკი წერდა: „ვფიქრობ, რომ ვიტაშევსკის ტექსტი ინტელიგენტ-რევოლუციონერმა ჯაბადარმა დაწერა", რასაც ჯაბადარი უარყოფდა და თანამებრძოლებიც ეთანხმებოდნენ მას. ჯაბადარმა დასძინა, რომ მან მხოლოდ სიტყვის მომზადება დაავალა მას და საერთო მიზნისაკენ მიმავალი გეზი უჩვენა. მართალია, სტილისტური შეცდომებიც გავასწორეთ და წინასწარი რეპეტიციაც მოვაწყვეთ, მაგრამ სიტყვა უდავოდ ალექსეევისაა. ამ სიტყვას ვლადიმერ ლენინმა რუსი მუშის „წინასწარმეტყველება" უწოდა.

ბრალდებულთა სიტყვებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო რევოლუციონერებზე, არამედ ფართო საზოგადოებაზე - რევოლუციისაგან შორს მდგომებზეც კი. ამ სიტყვებზე აღიზარდა რევოლუციონერთა მრავალი თაობა. მართლაც, გიორგი ზდანოვიჩი "50-ის პროცესზე" გამოვიდა არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალმდებელი იმდროინდელი სინამდვილისა და

დამცველი იდეური კრედოსი, როგორც ეს მას თვითონ ესმოდა და სწამდა. სასამართლომ, ცხადია, კარგად შეიცნო ამ დიდი ძალის მნიშვნელობა, რის გამოც ახალგაზრდა რევოლუციონერთა მიმართ უმკაცრესი ზომების მიღება გადაწყვიტა. ყოველი ღონე, გზა უნდა გამოეყენებინათ მათი სულისკვეთებისა და ერთიანობის მოსასპობად. 1877 წლის 21 თებერვალს დაწყებული „50-ის პროცესი“ დასასრულს მიუახლოვდა. 1877 წლის 14 მარტს გამოცხადდა განაჩენი, რომლის მიხედვით ორგანიზაციის შექმნაში, არალეგალური ლიტერატურის შემოტანასა და გავრცელებაში, პირველ რიგში, დამნაშავედ ცნეს გიორგი ზდანოვიჩი. ასევე,ისიც აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობისას 50 ბრალდებულთა შორის გიორგი ზდანოვიჩი სიაში პირველი ეწერა **(საბლინ,1906:5).**

მეფის სასამართლომ გიორგი ზდანოვიჩს მიუსაჯა 6 წლითა და 8 თვით საკატორღო მუშაობა ყველა უფლების ჩამორთმევით. მისი განაჩენი ნაწილობრივ შემსუბუქებული იყო იმ გარემოებით, რომ დანაშაულის ჩადენის დროს, ანუ 1875 წელს გიორგი სრულწლოვანი არ იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ დედამისმა მაია მიქელაძემ შვილისაგან დამოუკიდებლად (გიორგი სასტიკი წინააღმდეგი იყო) დაიხმარა თავისი მაღალი წრის ნათესავ-ნაცნობები და არაერთგზის მიმართა შუამდგომლობით კავკასიაში მეფისნაცვალს, III განყოფილებას, იუსტიციის მინისტრს და სხვებს **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.109, განყ.3; საქ.144, ნაწილი 153, ტ.1, გვ.125-126**). იგი შვილის საქმეების მოსაგვარებლად პეტერბურგში ჩავიდა და გავლენიანი პირების მეშვეობით წინასწარდაკავების სახლში შვილის ნახვა შეძლო (**ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.231**). რასკვირველია, ყოველივე ამან ერთგვარი გავლენა მოახდინა სასჯელის ზომაზე. 1877 წლის 5 აპრილს კიდევ შეიკრიბა სასამართლო განაჩენის საბოლოო სახით გამოსაქვეყნებლად. პროცესი დამთავრდა იმით, რომ მმართველი სენატის საგანგებო საკრებულომ გამოიტანა განაჩენი, რითაც ყველა აქტიური რევოლუციონერი მკაცრად დაისაჯა. ეს იყო არა მართლმსაჯულების, არამედ ანგარიშსწორების აქტი ბრალდებულთა მიმართ.

ეს იყო უკანასკნელი დღე, როცა მეგობრები ყველა ერთად იყვნენ და ერთმანეთს უცქერდნენ. ამის შემდეგ დაიწყო მათი მძიმე და ხანგრძლივი კატორღული ცხოვრება. არა მარტო გასამართლების შემდეგ, არამედ გამოძიების პროცესშიც გიორგიმ და მისმა

მეგობრებმა მძიმე ფიზიკური და მორალური ტრავმა მიიღეს. განსაკუთრებით მძიმე იყო მათთვის სანუკვარი ოცნებებისა და დიდი იმედების ტრაგიკულად დასრულების გამო განცდილი ტკივილი. ამას ისიც ემატებოდა, რომ ციხეში საგანგებოდ აუარესებდნენ პოლიტიკური პატიმრების ყოფასა და მათ მიმართ დამოკიდებულებას.

სასჯელის სიმკაცრემ ყველა გააოცა. ოფიციალურ ადვოკატთა წარმომადგენლებიც ვერ მალავდნენ თავიანთ გაკვირვებას და იმ აზრისა იყვნენ, რომ ამით არა მხოლოდ პატიმრებმა, არამედ პოლიტიკურად მთავრობამაც წააგო **(ჯაბადარი ივ.,1907).** ამიტომ იყო, რომ სასამართლომ და პროკურატურამ, ადვოკატთა საშუალებით, პატიმრებს წინადადება მისცა,დაეწერათ თხოვნა სასჯელის შემცირების შესახებ. ვაჟმა პატიმრებმა აიძულეს ქალები დათანხმებულიყვნენ ამ წინადადებას. მაგრამ თვითონ ხუთმა მათგანმა (პეტრე ალექსეევმა, გიორგი ზდანოვიჩმა, ივანე ჯაბადარმა, ალექსანდრე ციციშვილმა და ყარდაშოვმა) ამგვარი თხოვნის დაწერა მიზანშეწონილად არ ჩათვალეს.

ნიშანდობლივია, რომ გიორგი ზდანოვიჩმა შეწყალებასა და სასჯელის შემსუბუქებაზე შუამდგომლობის აღძვრა აუკრძალა დედასაც, რომელიც საგანგებოდ ჩავიდა პეტერბურგში, მოელაპარაკა სათანადო გავლენის პირებსაც, რომლებსაც იმპერატორთან დახმარება აღუთქვამთ, მაგრამ გიორგიმ მტკიცედ განუცხადა დედას: „თუ ასეთ რამეს გაბედავ, სამუდმოდ დაგკარგავო“ **(კლდიაშვილი დ.(1932), გერსამიას ს.(1982),№ 7,8, მოგონებანი“ ქართველ მწერლებზე”,საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი)**, მიუხედავად ამისა, დედას მაინც მიუმართავს მეფისათვის იუსტიციის მინისტრის მეშვეობით, მაგრამ აღნიშნულ თხოვნას მესამე განყოფილებამ გაუკეთა შენიშვნა: „გიორგი ზდანოვიჩი ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტია”.იქვე წერილში,1877 წლის 27 მაისს მისწერა: „განაჩენის შემსუბუქების შესახებ შემოსულია დედის თხოვნა III განყოფილებაში შვილზე, რომელიც პირველი ქორწინებიდან მოქალაქე ქორქაშვილთან ჰყავს, ვფიქრობთ, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ურიგოა, რადგან ის მიეკუთვნება პროპაგანდისტთა იმ ჯგუფს, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რომელიც მტკიცედ მისდევს თავის მიზანს, მანვე ჩაუყარა საფუძველი რევოლუციურ თანამეგობრობას“. ასეთი მინაწერით მან საკითხის დადებითად გადაწყვეტის გზა მოსპო.

განაჩენი, რომელიც წარედგინა მის უდიდებულესობას შერბილების მიზნით, ჟანდარმერიის შეფის რჩევით და აღნიშნული მინაწერის საფუძველზე უცვლელად დარჩა ძალაში.

საერთოდ, „50-ის პროცესმა“ დიდი სიმპატიები მოუპოვა მის გაბედულ მონაწილეებს. ვასილ ბოგუჩარსკის თქმით, „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურმა ორგანიზაციამ“ გამცემთა „წყალობით“ მალე დაამთავრა თავისი არსებობა,მაგრამ მან დატოვა „ყველაზე ნათელი და ანდერძი მომავალი თაობებისათვის, შეექმნათ განმათავისუფლებელი მოძრაობები“ (**ბოგუჩარსკი,1912:227**). ამ დროის პრესაში, ლიტერატურასა თუ ხელოვნების დარგში მრავლად მოიპოვებოდა ამ მოვლინის გმირების ხოტბა.

არსებული წესის თანახმად, კატორღამისჯილ პატიმრებს ჯერ ცენტრალურ ციხეში აგზავნიდნენ, ხოლო იქიდან შემდეგ საკატორღო ადგილებზე ანაწილებდნენ.

სასჯელის მოხდა გიორგი ზდანოვიჩს სხვადასხვა ციხეში და მეტად მძიმე ვითარებაში მოუხდა.1877 წლის ოქტომბერში გიორგი ზდანოვიჩი ნოვო-ბელგრადის ცენტრალურ-საკატარღო ციხეში გადაიყვანეს და ცალკე საკანში მოათავსეს. ნოვო-ბელგრადის ცენტრალური საკატარღო ციხე ააშენეს ხარკოვის მახლობლად და გათვალისწინებული იყო განსაკუთრებით საშიში პატიმრებისათვის. გიორგი ზდანოვიჩი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახელმწიფო დამნაშავე, ხარკოვის გუბერნიის პეჩენგოს ცენტრალურ ციხეში გადააგზავნეს გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით.

ციხის რეჟიმი პოლიტიკური პატიმრებისთვის, შეიძლება ითქვას, პირდაპირ აუტანელი იყო. გიორგი ზდანოვიჩი, რომელსაც მტკიცედ სწამდა სოციალური რევოლუციის გამარჯვება, მხნედ იტანდა ყველა გაჭირვებას. ციხის შენობა ორ ნაწილად – მარცხენა და მარჯვენა მხარეებად იყოფოდა. თითოეულ მხარეში 15-15 საკანი იყო. საკნის სიგრძე 5 მეტრი, სიგანე კი ორნახევარი ნაბიჯი იყო. გიორგი ზდანოვიჩმა ამ ციხის მარცხენა მხარეს # 25 საკანში გაატარა სამი წელი .მან თავისი გაუტეხელი რწმენითა და დაუშრეტელი მეამბოხე სულით ადმინისტრაციის სიძულვილი დაიმსახურა. გიორგი ზდანოვიჩმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1878 წლის სამი ივლისის პატიმართა მღელვარებაში- ე.წ. „შიმშილობაში“ (**დოლგუშინი, 1920:17).** ორი ივლისიდან გიორგი ზდანოვიჩი საიდუმლო მიმოწერისათვის კარცერში იჯდა.

თანამოაზრეების შიმშილობის გამო კარცერიდან ის დროზე ადრე გაათავისუფლეს. ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ გიორგი ზდანოვიჩი სთხოვდა თანამოაზრეებს, შეეწყვიტათ შიმშილობა. მოხდა პირიქით, თვით გიორგიც მათ შეუერთდა. ნათელი გახდა, რომ მათ ყველა შეუერთდებოდა, მაგრამ ამას ამ ეტაპზე ხელს უშლიდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ დანარჩენი პატიმრები ციხის მარჯვენა ფლანგში იმყოფებოდნენ და ჯერჯერობით არ იცოდნენ, თუ რა ხდებოდა მარცხენა ფლანგში (**"ზემლია ი ვოლია", ა.დოლგუშინი. გვ.16**). პატიმრები არანაირ მოლაპარაკებაზე არ მიდიოდენ ციხის ადმინისტრაციასთან. პირიქით, მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და შესაძლებელი იყო მთელ ციხეს მოსდებოდა და მასობრივი ხასიათი მიეღო. პატიმრები რამე განსაკუთრებულს და არაკანონიერს არ ითხოვდნენ, არც-შეწყალებას ხელისუფლების მხრიდან. პატიმართა მოთხოვნა შემდეგში მდგომარეობდა:

1. პოლიტიკური პატიმრების სისხლის სამართლის დამნაშავეებთან გათანაბრებას ;
2. ცალ -ცალკე პატიმრობის მოსპობას;
3. ფიზიკური შრომის ნებართვას;
4. ახლობლებთან შეხვედრასა და მათგან საჭმელის მიღების ნებართვას;
5. ცენზურის მიერ ნებადართული წიგნების კითხვის საშუალებას;
6. ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ადამიანურ მოპყრობას.

ციხის ადმინისტრაცია არც კი ფიქრობდა,პატიმართა რომელიმე მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, არც ამ შიმშილობის შედეგებზე ფიქრობდა თავდაპირველად. პირველ ორ დღეს პატიმრებისათვის საჭმელი მიჰქონდათ, პატიმართა მიერ უარის შემდეგ კი უკან მოჰქონდათ, მესამე დღიდან კი საჭმელს საკანში ტოვებდნენ. პატიმრები მას ახლოს არ ეკარებოდნენ. პატიმართა პროტესტი არა და არ ცხრებოდა, პირიქით, მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდებოდა. შეშინებული ციხის უფროსი გუბერნატორთან ხარკოვში გაიქცა. შიმშილობის დაწყებიდან შვიდი დღის შემდეგ, 10 ივლისს, ციხის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება,პატიმრებისათვის საჭმელი იძულებით მიეცათ. მათ მიმართეს უკიდურეს ზომებს და მოშიმშილეებს ძალით, მაშებითა და ოყნებით აწოდებდნენ საკვებს. არც ასეთ არაადამიანურ მოპყრობას გამოუღია რაიმე შედეგი. საბოლოოდ ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა პატიმრებისათვის ცოტაოდენ დათმობაზე წასულიყო და მათი მდგომარეობის შემსუბუქება შეეთავაზებინა. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვიტეს პატიმრებმა შიმშილობა.

ამდენი დღის შიმშილით დაუძლურებულებს, იძულებითი საკვების მიღებით ნატანჯ პატიმრებს უკანასკნელ დღეებში საწოლიდან ადგომა უჭირდათ. მათი ჯანმრთელობა აღნიშნულმა ფაქტმა საშინლად შეარყია.

მართალია,პატიმრები დანაპირებს იმედის თვალით უყურებდნენ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ეჭვის თვალით უცქერდნენ მათ მიმართ წარმოთქმულ ყველა სიტყვას.მათი ეჭვი უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. ყველაფრის მიუხედავად, ციხის ადმინისტრაციის დაპირება დაპირებად დარჩა-პატიმრების მდგომარეობა კი უარესდებოდა. ციხის ადმინისტრაცია, როგორც ჩანს, კარგად ვერ აფასებდა, თუ რა მებრძოლი სულის პატრონები იყვნენ ციხის პატიმრები, რა რთული გზა ჰქონდათ გამოვლილი და,რა თქმა უნდა, ასეთ დამამცირებელ დამოკიდებულებას ისინი არ შეეგუებოდნენ. მათმა მგზნებარე სულის გამოძახილმა დიდხანს არ დააყოვნა და 1878 წლის აგვისტოდან ახალი მღელვარება დაიწყო, რასაც შედეგად კიდევ უფრო მძიმე რეპრესიები მოჰყვა პასუხად.

1878 წელს მაია მიქელაძეს დიდი ძალისხმევის შედეგად დართეს ნება თვეში ერთხელ შვილის ნახვისა. ნებართვის მიღებისთანავე მაია გაეშურა შვილის სანახავად ხარკოვში. დედას შემაძრწუნებელი სურათი დახვდა.ქუთაისში დაბრუნებისთანავე,1878 წელს 30 აგვისტოს, შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა თხოვნით, რომელიც შემდეგი შინაარსისა იყო: „თქვენო აღმატებულებავ, მე მქონდა შეხვედრა შვილთან, რომელიც წინა ქორწინებიდან მყავს გიორგი ზდანოვიჩთან, ის იმყოფება ნოვი-ბელგრადის ცენტრალურ ციხეში, ჩემი თვალი ვნახე და დავრწმუნდი იმაში ,რომ უმკაცრესი მოპყრობით და საკანში მარტოობით ძალზე დაუძლურებულია.მისი მხედველობა საგრძნობლად იკლებს და,თუ არ ჩაერევა ექიმი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა თვალის სიბრმავეს გამოიწვევს. მისი ყოფა იმდენად რთულია, რომ უტოლდება ნელ-ნელა სიკვდილის საფრთხეს, რასაც ხელს უწყობს აკრძალვის გამო მისი სრული უმოქმედობა. ყოველივე ამის შემხედვარე, მოხუცმა და გულჩათხრობილმა დედამ სიკვდილის პირას მყოფი შვილისა, გავბედე და შევაწუხე თქვენი აღმატებულება თხოვნით, რომ მისცეთ ჩემს შვილს უფლება,დაკავდეს რაიმე კანონიერი საქმით. მე მჯერა თქვენი გულისხმიერებისა და გულმოკლული დედის ვედრება თქვენი აღმატებულებისათვის მისაღები იქნება (**ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.109, განა.3; საქ.144, ნაწილი 127, ტ.3, გვ.208**). შინაგან საქმეთა

მინისტრის კანცელარიიდან ეს თხოვნა III განყოფილებაში მოხვდა, აქ ჟანდარმთა შეფისათვის წარსადგენად შეადგინეს ცნობა, სადაც ეწერა: გიორგი ზდანოვიჩის დედა არაერთგზის მიმართავდა მოწყალების თხოვნით, რათა შეემსუბუქებინათ სასჯელი მისი შვილისათვის, მაგრამ შედეგი არ იყო.

გიორგი ზდანოვიჩის დედამ მწარედ განიცადა შვილის მძიმე ხვედრი. იგი მეფის სახელზე თხოვნას თხოვნაზე აგზავნიდა, მაგრამ ამაოდ. მეფის მთავრობას გაგონებაც კი არ უნდოდა გიორგი ზდანოვიჩის მდგომარეობის რაიმე შემსუბუქებაზე, ბოლოს მოხუცმა დედამ გადაწყვიტა,კვლავ წასულიყო ხარკოვში. მან გუბერნატორ ლორის მელიქოვის დახმარებით შეძლო კიდევ ენახა ციხეში თავისი სათაყვანებელი ვაჟიშვილი. გიორგი ზდანოვიჩისთვის შეღავათების მიცემასა და მისთვის მდგომარეობის შემსუბუქებაზე მოხუც დედას უარი უთხრეს. მაია მიქელაძისათვის უდიდესი ბედნიერება იყო კატორღამისჯილ შვილთან შეხვედრა. გიორგი ზდანოვიჩმა ბოდიში მოუხადა დედას, იმ სულიერი ტანჯვისათვის, რასაც იგი ასე ღრმად განიცდიდა შვილის დაპატიმრების გამო. იგი თავს არ იმართლებდა დედის წინაშე, არწმუნებდა მის მიერ არჩეული გზის სამართლიანობაში, რომელიც კაცობრიობის უმაღლესი იდეალებისათვის თავდადებულ ბრძოლაში გამოიხატებოდა. დედას სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ თანაგრძნობა გამოეცხადებინა თავისი ვაჟისათვის და ამხნევებდა ყოველმხრივ. ეს იყო დედა-შვილი მეტად ამაღელვებელი შეხვედრა.

რევოლუციონერთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ ციხიდან ინფორმაცია ჟონავდა, რის გამოც აჭრელებული იყო ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საზღვარგარეთაც წერდნენ ამის შესახებ. რაზედაც მეტყველებს პარიზიდან ერთ-ერთი აგენტის ინფორმაცია. (1878 წ.,3 სექტემბერი), აღნიშნული ამბავი მიმოწერებით დასტურდება კიდეც. მიუხედავად ყველაფრისა, ციხის ხელმძღვანელობა კარგა ხანს არანაირ დათმობაზე არ მიდიოდა მანამ, სანამ პატიმართა გაქცევის მცდელობაც არ დაფიქსირდა. საბოლოოდ ხარკოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, ციხეში არსებული მდგომარეობით დაშინებული, იძლებული გახდა ერთ-ერთ მოხსენებაში ეღიარებინა, რომ პატიმართა მოთხოვნებიდან რაღაც მაინც უნდა შეესრულებინათ და ციხის ადმინისტრაციას რაღაც მაინც უნდა დაეთმო. ამას ისიც დაემატა, რომ გოლდენერგის ცენტრალურ ციხეში პოლიტიკური პატიმრების

წამებისათვის მოკლეს გუბერნატორი. ამის შესახებ ამბავი მალე გავრცელდა. გარეთ მყოფმა რევოლუციონრებმა მალევე შეძლეს და აცნობეს სხვადასხვა ციხეში მყოფ პოლიტიკურ პატიმრებს აღნიშნული ფაქტი. ამაზე მეტყველებს ციხეში ნაპოვნი გიორგი ზდანოვიჩის მიერ დაწერილი ბარათი. ამ ბარათიდან ნათლად ჩანს, რომ პატიმრებს კავშირი ჰქონდათ თავისუფლებაში მყოფ რევოლუციონერებთან. წერილი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გიორგი ზდანოვიჩის გაუტეხელ ენერგიასა და ციხიდან ბრძოლის გაგრძელების სურვილს, იგი ცდილობს არა მარტო თავის ბედში მყოფ პატიმართა მდგომარეობის შემსუბუქებას, არამედ მომავალი პოლიტკატორღელთათვის ადამიანური მოპყრობის მიღწევას. III განყოფილების გიორგი ზდანოვიჩის წერილის ასლის მიღების წინ, 1878 წლის 5 აპრილს ციხეში შეგზავნილი ერთ-ერთი აგენტი იტყობინებოდა, „ბოლო დროის საუბრებიდან ვასკვნი, რომ ნოვო-ბელგრადის ციხეზე იგეგმება 400 კაციანი შეიარაღებული ჯგუფის თავდასხმა, ამ თავდასხმას აფერხებს ის ფაქტი, რომ ჯერ არ იციან,საზღვარგარეთის რომელი ქვეყნიდან და როგორ შემოიტანონ იარაღი.სავარაუდოდ, აგენტის ეს ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ამ პერიოდში „ზემლია ი ვოლიას“ (მაშინდელ ერთადერთ მძლავრ ორგანიზაციას) ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად საკმაო ძალა და სახსრები არ გააჩნდა” **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.109, განყ.3; საქ.127, გვ.208-209)**. მოგვიანებით ჟანდარმერიამ ისევ დაიწყო აღნიშნული ბარათის ირგვლივ გამოძიების ჩატარება.გიორგი ზდანოვიჩმა დაადასტურა წერილის ავტორობა, მაგრამ ყოველგვარ ახსნა-განმარტებაზე უარი განაცხადა. ბარათთან დაკავშირებით სვიტიჩი გადმოგვცემს: „მოგვიყევით, - მიმართა ოფიცერმა გიორგი ზდანოვიჩს, - გვიამბეთ ყველაფერი, რაც იცით თქვენს წერილზე და შემდეგ დამატებით კითხვებს დაგისვამთ.

-მე არ ვაპირებ ვისაუბრო არც ჩემს წერილზე და არც იმაზე, თუ რა შინაარსისაა და, თუ ვინ იგულისხმება ზედმეტსახელებში.

-როგორც გსურთ, მაგრამ, ვფიქრობ, თქვენი მდგომარეობისათვის უკეთესი იქნებოდა.

-მე კარგად მესმის,ჩემს განმარტებაზე უარის გამო რა მომელის. ვიცი, რომ შეიძლება დამადონ ბორკილი, გადამპარსონ თავი, მაგრამ მაინც არ ვაპირებ აღნიშნული წერილის შინაარსზე ვისაუბრო.

-ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს,ძალდატანებით გაიძულოთ საუბარი, იმაშიც ცდებით, რომ ამის გამო სასჯელს მიიღებთ.

გიორგი ზდანოვიჩი დააბრუნეს თავის კამერაში, ხოლო ორი დღის შემდეგ მოვიდა ზედამხედველი, რომელსაც ქაღალდი ეჭირა ხელში,აღნიშნული ე.წ. „ქაღალდი“ ხარკოვის ახალ გუბერნატორს გამოუგზავნია.მასში საუბარი იყო ზდანოვიჩის დასასჯელ მეთოდებზე. აღსრულებამაც არ დააყოვნა, რადგან ზდანოვიჩს სიტყვაც არ დასცდენია წერილში ნახსენები პირების შესახებ და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არანაირი განმარტება არ მიუცია.

ცნობილია ასეთი ფაქტიც: სვიტიჩი თავის „პოლიტიკური კატარღელის მოგონებებში“ მოგვითხრობს ზდანივიჩის ქცევისა და იქ გამეფებული წესების შესახებ: ციხეში მოკლეს პოლიტიკური პატიმარი კროპოტკინი. ამასთან დაკავშირებით გიორგი ზდანოვიჩმა ამხანაგებს მიმართა ბარათით, თუ როგორ გამოხმაურებოდნენ ისინი იმ ფაქტს: „ჩვენ ვალდებულნი ვართ,-წერდა ზდანოვიჩი,-გამოვთქვათ პროტესტი რაიმე ფორმით ყველა იმ სისაძაგლის წინააღმდეგ, ჩვენ რომ გვეპყრობიან, მაგრამ იმისათვის, რომ პროტესტი რაღაც განყენებილი არ გამოგვივიდეს, თავდაპირველად ჩვენ უნდა მივმართოთ „ბაბუას“, გავიგოთ მისი აზრი და ისიც, თუ რა ზომების მიღებას დააპირებს ამის შემდეგ. „ბაბუაში“ იგულისხმებოდა სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალური ორგანო „ვოლია“. ბარათი ხელში ჩაუვარდა ციხის ადმინისტრაციას.ამან დიდი განგაში გამოიწვია. მიუხედავად მუქარისა, გიორგი ზდანოვიჩს ვერც ამჯერად ვერაფრით ათქმევინეს, თუ ვინ იგულისხმებოდა ამ „ბაბუაში“. ციხის ადმინისტრაციამ დასაშინებლად ბრძანება გასცა, რომ გიორგი ზდანოვიჩისათვის ბორკილები დაედოთ, თავი გადაეპარსათ და წაერთმიათ ნათესავებთან მიმოწერის უფლება. მაგრამ ყოველი მუქარა მუქარად რჩებოდა. გიორგის ზდანოვიჩს ეს არ აშინებდა.

ამ ამბის შემდეგ ციხეში თვითონ გუბერნატორი ვალი გამოცხადდა. გენერალი სასწრაფოდ გაეშურა № 25-ე საკანში, რომელშიც გიორგი ზდანოვიჩი იმყოფებოდა .

-”აბა რას ფიქრობ? ნუთუ სრულებით არ გინდათ გვითხრათ, ვინ არის ეს „ბაბუა“ ?

- არა , არ მინდა!

- აი, ხომ ხედავ, შენ ბორკილებში ხარ, თავგადაპარსული, ჩამორთმეული გაქვს დედასთან მიმოწერის უფლება ,არ გაგაჩნია საწერი მოწყობილობა; საკმარისია,ერთი სიტყვა გვითხრა და ახლავე მიიღებ შემსუბუქებას .თქვი !”

-არა, არ ვიტყვი.

გენერალი ვალი მხრებს იჩეჩავს და აღარ იცის კიდევ რა უთხრას. გიორგი ზდანოვიჩი ელაპარაკება გუბერნატორს იმ სასჯელის უსამართლობაზე, რომელიც მას დაადეს, უმტკიცებს ამ ღონისძიებათა უსამართლობას, სასჯელთა შესახებ დებულების თვალსაზრისითაც კი.გენერალი ღელავს.ტუჩებს იკვნეტს.მხრები უთრთის…

-„ოჰ, როგორ არ იცი,როგორ არ იცი?”-წამოიყვირა გენერალმა . „იეცით მას წესდება გადასახლებულთა შესახე, “- მიმართავს იგი ზედამხედველს და საკანიდან გადის.

გუბერნატორის წასვლიდან ორი კვირის შემდეგ გიორგი ზდანოვიჩის საკანში შედის ზედამხედველი და აძლევს მას დედის წერილს, რომელსაც თან ოფიციალური ქაღალდი ახლავს. გიორგი ზდანოვიჩს წერილის შინაარსი ეუცნაურა. დედა წერდა, რომ გამოტეხილიყო, დაეჯერებინა უფროსებისათვის, არ ეწყენინებია დედისათვის, რომელმაც ამდენი ხანია არაფერი იცის შვილის შესახებ; ნუ იტანჯავს თავს ზედმეტად. დედა ურჩევს გიორგის მოუყვეს გუბერნატორს ყოველი, რაც მან იცის. ასეთ რჩევას აძლევს დედა, რომელიც ბარათში იყო მოხსენებული …

ოფიციალურ ქაღალდში, რომელსაც გუბერნატორი ვალე აწერდა ხელს, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ,თუ გიორგი ზდანოვიჩი შეასრულებდა დედისა და უფროსთა სურვილს, მას მიენიჭებოდა უფლება,მიმოწერა ეწარმოებინა დედასთან, გადაეცემოდა საწერი მოწყობილობა, ახსნიდნენ ბორკილებს და აღარ გადაპარსავდნენ თავს.

ძალიან თვალსაჩინო იყო გიორგი ზდანოვიჩისათვის ის, რომ მთელი ეს ისტორია შეთითხნილი იყო გენერალ ვალეს მიერ. თუ დედამ დაწერა ეს წერილი, ის რაღაც ფაქტმა, სავარაუდოდ, შვილის მდგომარეობის გაუარესების მუქარით, აიძულა დაეწერა აღნიშნული წერილი. ერთხელ ზდანოვიჩის დედამ, მაია მიქელაძემ, ხარკოვის გუბერნატორისაგან მიიღო ოფიციალური ქაღალდი, რომელშიც მას გუბერნატორი წინადადებას აძლევდა,მიეწერა შვილისათვის წერილი და ერჩია,გამომტყდარიყო. გუბერნატორი იმუქრებოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შვილის საქმე ცუდად წავიდოდა. შეშინებული დედა იძულებული გახდა,მართლაც,მიეწერა შვილისათვის აღნიშნული წერილი. დედის წერილის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ გიორგი ზდანოვიჩთან საკანში სრულიად მოულოდნელად შედის ვიღაც გენერალი და თავაზიანი ღიმილით ეკითხება, მიიღო თუ არა მან დედისაგან გამოგზავნილი წერილი და აქვს თუ არა განზრახვა მისწეროს პასუხი. ამაზე გიორგი ზდანოვიჩს მიუგია, რომ,რა

თქმა უნდა, მას დიდი სურვილი აქვს მისწეროს დედას წერილი, მაგრამ ვალეს მიერ შემოთავაზებული პირობების მიღება კი არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია.

„იცით რა, ეს ჩემთვის სულერთია,- განაცხადა გენერალმა.- მე ამაში არც ჩავერეოდი, მაგრამ გენერალმა ფონ-ვალმა მთხოვა მოგლაპარაკებოდით და მეც ვასრულებ მის თხოვნასო“ და საკნიდან გავიდა.მაგრამ ბარათთან დაკავშირებული ინფორმაცია ამით არ დამთავრებულა. ვალი არ მშვიდდებოდა. როდესაც დაინახა, არაფერი გამოუვიდა, მან უკანასკნელ საშუალებას მიმართა - გიორგი ზდანოვიჩს აუკრძალა ჟურნალის მიღების უფლება, მაგრამ ეს ღონისძიებაც უნაყოფო აღმოჩნდა. გიორგი ზდანოვიჩმა ამჯობინა ბორკილდადებული ყოფილიყო დაეკარგა ჟურნალის წაკითხვისა და დედასთან მიმოწერის უფლება, ვიდრე დაეკმაყოფილებინა ციხის ადმინისტრაციისა და თვით ხარკოვის გუბერნატორის მოთხოვნა - პირადი კეთილდღეობისათვის გაეცა თავისი ამხანაგები. ეს ფაქტი კარგად ახასიათებს გიორგი ზდანოვიჩის შეუპოვრობას, მის უდრეკ ხასიათსა და რევოლუციური საქმისადმი თავგანწირვას.

შემორჩენილია ზოგიერთი ცნობა, ზოგიერთი დეტალი ცენტრალურ ციხეში გიორგი ზდანოვიჩის(მაიაშვილის) ცხოვრებიდან.

ვინმე ვიტაშევსკის გადმოცემით, ახლად დანიშნულმა ციხის უფროსმა კოპინმა პატიმრებს აუკრძალა კედელზე კაკუნით ლაპარაკი. გიორგი ზდანოვიჩი არ დაემორჩილა ამ აკრძალვას. იგი არ უჯერებდა ზედამხედველს და მანაც გიორგის ეს თავგასულობა ციხის უფროსს აცნობა. გამოცხადდა ციხის უფროსი კოპანი-მეტად მკაცრი და უჟმური ხასიათის მქონე ადამიანი. მან გიორგი ზდანოვიჩს „თქვენობით“ მიმართა, რომ ამიერიდან კედლებზე კაკუნი აკრძალულიაო.

-ვაკაკუნებდი და კვლავაც დავაკაკუნებ, - მიუგო გიორგი ზდანოვიჩმა. აქ კოპინი მოთმინებიდან გამოვიდა, ტონს აუწია და ყვირილზე გადასულმა, სხვათა შორის თქვა: - შენ გავიწყდება ვინა ხარ. შენ კატორღელი ხარ და ვალდებული ხარ უფროსთა ბრძანება უსიტყვოდ შეასრულო. რა თქმა უნდა, გიორგის ყვირილი ვერ შეაშინებდა, რადგან უმკაცრესი სასჯელიც კი, რომელიც მან არაერთხელ გამოიარა, ვერაფერს აკლებდა მის მებრძოლ სულს. სხეულზე მიყენებული იარები დროთა განმავლობაში შუშდებოდა, ხოლო გამცემის სახელი მთელი ცხოვრების ლაქად დარჩებოდა. ეს ძალიან კარგად იცოდა გიორგი ზდანოვიჩმა. ეს ფაქტი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია და ნათლად მეტყველებს გიორგი ზდანოვიჩის შეუპოვრობაზე.

1879 წლის 2 მარტს ციხის ადმინისტრაციას ხელში ჩაუვარდა გიორგი ზდანოვიჩის კიდევ ერთი წერილი, რომელშიც იგი მოუწოდებდა პატიმრებს,დაეწყოთ ბუნტი და არ მორიდებოდნენ ციხის უფროსის მოკვლასაც კი. იგი მოითხოვდა შეეტყობინებინათ გარეთმყოფთათვის,თუ როგორ კვირაობით ამწყვდევდნენ კარცერში უმიზეზოდ, ადებდნენ ხელბორკილებს და ისე ამყოფებდნენ განუსაზღვრელი დროით, როგორ აყენებდნენ პირად შეურაცხყოფას პატიმრებს, ცდილობდნენ,გაეტეხათ მათი მებრძოლი სული და ა.შ. **(„ბილოე“, 1907 წ. № 4).**

1879 წლის 2 აპრილიდან იმპერატორ ალექსანდრე II -ზე თავდასხმის შემდეგ ციხის რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრდა. ციხეში გამეფებულმა უსასტიკესმა რეჟიმმა საბოლოოდ გატეხა ბევრი პატიმრის ჯანმრთელობა, რაც ზოგი მათგანისათვის ფატალური შედეგითაც დასრულდა.

პატიმრებს აკრძალული ჰქონდათ მიწერ-მოწერა, ნახვაზე ხომ ზედმეტი იყო საუბარი. გიორგი ზდანოვიჩის დედა მაია მიქელაძე არაერთგზის მიმართავდა თხოვნით იმპერატორს. ახლა იგი უკვე სთხოვდა არა შვილის ხვედრის შემსუბუქებას, არამედ-საერთოდ განთავისუფლებას. რა თქმა უნდა, ეს თხოვნა-ვედრება უპასუხოდ რჩებოდა. 1879 წელს 14 -15 ივლისს ციხეში კვლავ დაიწყო მღელვარება, სადაც, როგორც ყოველთვის, გიორგი ზდანოვიჩი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამჯერად პატიმრებმა, როგორც იქნა, ციხის ადმინისტრაცია აიძულეს ცოტაოდენ დათმობაზე წასულიყო. დანაპირებმა შეღვათებმა კიდევ ერთი წელი დაიგვიანა. 1880 წლის მაისიდან პატიმართა მდგომარეობა ერთგვარად შეამსუბუქა. წყვილად სეირნობის ნებაც დართეს. აღმოჩნდა, რომ ბევრი პატიმარი ერთმანეთს სახით საერთოდ არ იცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის გვერდით საკნებში წლების განმავლობაში ისხდნენ. ეს შეღავათები ძალიან ხანმოკლე აღმოჩდა და მალე ყველაფერი ძველებურ რეჟიმში ჩაჯდა.1880 წლის შემოდგომაზე ხარკოვის ცენტრალური საკატარღო ციხეების ტუსაღები, მათ შორის გიორგი ზდანოვიჩი, მცენსკის გამანაწილებელ ციხეში გადაიყვანეს. იქ არსებული მსუბუქი რეჟიმის გამო პატიმრებმა ამ ციხეს „სასტუმრო“ უწოდეს **(ვიტაშევსკი1907:175)**. იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობამ მათ აქ მოუსწრო და ჯალათი მეფის ხვედრმა ისინი აღაფრთოვანა **(ვიტაშევსკი,1907: 178).** 1881 წელს პატიმართა ერთი ჯგუფი, რომელშიც გიორგი ზდანოვიჩიც იყო, ციმბირისაკენ გზას გაუყენეს. მათ ყოველდღე 25 ვერსი უნდა გაევლოთ, გზაში პატიმრები შეაჩერეს ტობილსკში,

კრასნოიარსკის ციხეში და სამი თვის შემდეგ ისინი ირკუტსკში ჩავიდნენ. მთელი გზა ქართველებს ფეხით გაუვლიათ.

კრასნოიარსკის ციხეში, სადაც, როგორც ოციპ აპტეკმანი იგონებს, თავი მოუყარეს „სახელმწიფო დამნაშავეთა“ დიდ ჯგუფს - დაახლოებით 180 კაცამდე, რომელშიც გიორგი ზდანოვიჩიც იყო. მისივე თქმით,პატიმრები, როგორც წესი, ჯგუფდებოდნენ პირადი ნაცნობობისა და სიმპატიების მიხედვით. ამიტომ თვითონ იგი გაერთიანდა ქართველთა ჯგუფში, თავის ძველ მეგობრებთან ერთად .სწორედ ამ ჯგუფის დამსახურებაა, რომ გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) შეიყვანეს საქმის კურსში „ზემლია ი ვოლიას“ გათიშვის შესახებ **(აპტეკმანი,1924 :104).**

კრასნოიარსკის ციხიდან 1882 წლის თებერვალში გიორგი ზდანოვიჩი კარის საკატორღო ციხეში გადაიყვანეს. ამ დროს კარის ციხეში მკაცრი რეჟიმი იყო გამეფებული, მაგრამ პატიმრები მაინც ახერხებდნენ,გარეთ მყოფებისათვის მიეწვდინათ თავიანთი ხმა. ორ მაისს კარის ციხიდან რევოლუციონერი პატიმრები გაიქცნენ. გიორგი ზდანოვიჩსა და ქართველ რევოლუციონერებს კატორღაში ყოფნის ვადა უკვე უთავდებოდათ, მათ გაქცევის საქმის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს,რის გამოც სასჯელის ვადა ერთი წლით გაუზარდეს. ამ ფაქტის გამოაშკარავების შემდეგ ციხეში საშინელი რეჟიმი გამეფდა. ორ მაისს დაარბიეს კარას მამაკაცთა სატუსაღო. პატიმრები ჯგუფებად დაყვეს სხვადასხვა სარეწებზე. ნაწილი უსტკრისაკენ წაიყვანეს, ნაწილი-ზედა კარაში, ხოლო ზოგიერთი-ამურში. ამურის ჯგუფში მოხვდნენ გიორგი ზდანოვიჩი და მისი თანამებრძოლები. 15 კილომეტრი მათრახის ქვეშ სულ ფეხშიშველა არბენინეს,სისხლის სამართლის დამნაშავეების ბანაკში მიიყვანეს და მათგან იზოლირებულად მოათავსეს. სისხლის სამართლის პატიმრები, რომელთა შორის ბევრი კავკასიიდან იყო, დაეხმარნენ საშინელ პირობებში მყოფ პატიმრებს, თავისი ულუფის ნაწილი მათ დაუთმეს **(ვიტაშევსკი,1914: 135).** 1875 წლიდან 1881 წლამდე გიორგი ზდანოვიჩმა თავისი პატიმრობა მოსკოვის, ხარკოვისა და ბოროსოგლების ცენტრალურ ციხეებში გაატარა. 1882 წელს იგი გადაასახლეს კარაში. აქ მანიფესტმა მოუსწრო და სასჯელის ვადა ერთი მესამედით შეუმცირეს. ამ საქმეში ერთგვარი როლი ითამაშა იუსტიციის მინისტრისადმი მაია მიქელაძის თხოვნამ **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, პოლიციის დეპარტამენტი. მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.7)**. იუსტიციის მინისტრის

წარდგენით, 1884 წლის 11 ივნისს სპეციალურად შექმნილმა განსაკუთრებულმა თათბირმა გიორგი ზდანოვიჩზე გაავრცელა 1883 წლის 15 მაისის მანიფესტი **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, პოლიციის დეპარტამენტი. მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.14),** რომლის საფუძველზე იგი გლეხთა საზოგადოებაში გადაირიცხა და შვიდი წლის შემდეგ ევროპულ რუსეთში დაბრუნების ნება დაერთო, მაგრამ რიგი გადასახლებების შემდგომ, 1884 წელს გადაასახლეს ვერხოლენსკში, ხოლო შემდეგ,1885 წელს,უფლება მისცეს ტომსკში გადასულიყო და იქაურ გლეხთა საზოგადოებას მისწეროდა **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, პოლიციის დეპარტამენტი. მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.102-105)**. ამ დროისათვის უაღრესად მოხუცებული გიორგის დედა მაია მიქელაძე კვლავ ძველი ენერგიით იბრძოდა შვილის განთავისუფლებისათვის, 1888 წლის ზაფხულში მას უსარგებლია იმპერატორ ალექსანდრე III-ისა და მეფის ოჯახის საქართველოში ჩამოსვლით, პირადად გადაუცია მეფისათვის შვილის დაბრუნებაზე თხოვნა.

მაია მიქელაძის მეფისადმი, დედოფლისადმი, კავკასიის მეფისნაცვლისა და მინისტრებისადმი გაგზავნილ წერილებს, თხოვნებსა და განცხადებებს შორის, რომლებიც სხვადასხვა არქივების ფონდებშია გაბნეული, მეფისადმი ეს თხოვნა, რომელიც 1888 წლის შემოდგომაზე დაწერა დედამ, უკანასკნელი დოკუმენტია.ის კიდევ ერთხელ ადასტურებს დედის შვილისადმი თავგანწირულ დამოკიდებულებას-შვილის ხვედრის შესამსუბუქებლად და ამიტომ მოგვყავს ზოგიერთი ადგილი ამ თხოვნიდან. მაია მეფეს წერდა: „...ჩემს შვილს სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეეძლება. შესაძლოა მას აუსრულდეს სანუკვარი ოცნება და განთავისუფლდეს, რაც შემეხება მე, დარდისაგან დაუძლურებულ დედას, ულმობელი სიბერე ნელ-ნელა მიკარგავს იმედს ჩემი შვილის ხილვისას.ბოლო წლები სულ იმაზე ვფიქრობ, რომ შესაძლოა,ისე ჩავიდე სამარეში, არ მომეცეს, სასიკვდილო სარეცელზე მყოფს, შვილის გულში ჩახუტებისა და შვილთან გამომშვიდობების შესაძლებლობა. მისი ასეთი მდგომარეობის მიზეზია ახალგაზდობის გაუაზრებელი გატაცება, რამაც გამოიწვია ის, რომ ახალგაზრდობის საუკეთესო წლები მან ციხეებსა და გადასახლებებში გაატარა“. იმპერატორის გულის მოსალბობად ის წერდა: „თქვენი ბრწყინვალების საქართველოში ჩამობრძანების სახსოვრად, გთხოვთ, დამიბრუნოთ ჩემი შვილი. ვთვლი, რომ მან

საკმარისად იწვნია თავის ახალგაზრდული გატაცების შედეგი და საკმარისზე მეტად მოიხადა სასჯელი,გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მოიღეთ მადლი მოხუცი დედისა და დროზე ადრე დამიბრუნეთ შვილი. მოხსენით მას ბრალი, რომელსაც მრავალი წელია უმძიმეს პირობებში იხდის,1875 წლიდან დღემდე“ (ამ თხოვნის დედანი შენახულია იუსტიციის სამინისტროს საქმეებში) (**ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, 1892, საქ.7428, გვ.437).** მაია მიქელაძის ეს თხოვნა მეფის შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გადაუგზავნია და მისგან გიორგი ზდანოვიჩზე მოხსენება მოუთხოვია. პოლიციის დეპარტამენტში გიორგი ზდანოვიჩზე შეუდგენიათ ცნობა რამდენიმე ფურცელზე, რომელიც არაერთგზის შესწორებისა და გადაწერის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა 1888 წელს 10 ნოემბერს მეფეს წარუდგინა, ამასთან დასძინა, რომ გიორგი ზდანოვიჩის ხვედრის შემსუბუქების შესახებ თქვენ წინაშე მოხსენებით იუსტიციის მინისტრი წარსდგებაო **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1280, გვ. 398).**

გიორგი ზდანოვიჩმა პირნათლად მოიხადა სასჯელი და იმაზე მეტხანსაც დაყო პატიმრობაში, რაც მისჯილი ჰქონდა. 1888 წლის 11 ოქტომბერს თვით გიორგი ზდანოვიჩმაც მიმართა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს განცხადებით, რომელშიც აღნიშნა, რომ კანონით გათვალისწინებული სასჯელის ვადა გათავდა და ამიტომ გიორგი სთხოვდა: „ახლა მინდა,დავბრუნდე სამშობლოში, კავკასიაში, სადაც ცხოვრობს ჩემი ღრმად მოხუცი დედა, რომლის ცხოვრების უკანასკნელი დღეები მაინც იქნება მშვიდი, რადგან ეცოდინება, რომ მის გვერდით მისი შვილია, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში დაკარგული და უსაზღვროდ მონატრებული ჰყავდა“ **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში ,ფ.1405, საქ.7428, გვ.439)**. ამ თხოვნების ასლები შენახულია გიორგი ზდანოვიჩის პირად არქივში, საქმე #22.1888 წლის 28 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პოლიციის გამგებელმა იუსტიციის მინისტრს შეატყობინა, რომ მას შესაძლებლად მიაჩნდა გიორგი ზდანოვიჩის სამშობლოში დაბრუნება. იუსტიციის მინისტრმა, თავის მხრივ, 1888 წლის 14 დეკემბერს პოლიციის დეპარტამენტისაგან გამოითხოვა მაიასა და გიორგის თხოვნების დედნები, გიორგი ზდანოვიჩის გადასახლებაში ყოფნის ცნობა, რომელიც პოლიციის დეპარტამენტმა 1888 წელის 21დეკემბერს გადაუგზავნა **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ.697. მე-3 საქმეწარმოება,**

1892; საქ.697, ფ.40). 1889 წლის 20 იანვარს იუსტიციის მინისტრი პოლიციის დეპარტამენტს წერს, რომ „ჩვენი მხრიდან ვერ ვხედავთ ვერანაირ შემაფერხებელ გარემოებას, რის გამოც მაია ქორქაშვილისა და გიორგი ზდანოვიჩის,თხოვნაზე მისთვის სასჯელის შეემსუბუქებინათ,უარი ეთქვას. მაგრამ, ვფიქრობ, გიორგი ზდანოვიჩის, როგორც ყოველგვარი უფლებების ჩამორთმეული პირის, კავკასიაში გაგზავნა მასვე ჩააგდებს უმძიმეს მდგომარეობაში, რადგან ის არ მიეკუთვნება არც ერთი საზოგადოების ფენას. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სასჯელმოხდილი, ნაციმბირალი ადამიანის ევროპული რუსეთისა და კავკასიის ფარგლებში საცხოვრებლად გასაგზავნად გვჭირდება მისი ბრწყინვალების ნებართვა, ასევე მას უნდა დაენიშნოს ზედამხედველ-მეთვალყურე 5 წლის განმავლობაში, აღუდგეს უფლებები, გარდა კერძო საკუთების მფლობელობისა (**ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ.697. მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.41). 4** თებერვალს იუსტიციის მინისტრის წინადადებას შებოკი დაეთანხმა (**ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ. 7428, გვ. 450).** 1889 წელს 11თებერვალს იუსტიციის მინისტრის მოხსენების საფუძველზე მეფემ ინება და გამოსცა განკარგულება შემდეგი შინაარსისა: „ნება დაერთოს გადასახლებაში მყოფ გლეხ გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩს გადაადგილდეს იმპერიის ფარგლებში, გარდა დედაქალაქისა და გუბერნიებში არსებული მთავარი ქალაქებისა, 5 წლის განმავლობაში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე აღუდგეს სასამართლოს მიერ ჩამორთმეული უფლებები, გარდა კერძო საკუთრებაზე მფლობელობისა, რომელიც მას დაპატიმრებამდე ჰქონდა“ (**ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ.697. მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.44**). ასევე მას არ მიეცეს უფლება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მუშაობისა.მას არ ექნებოდა უფლება ეწარმოებინა ვაჭრობა და სხვა სამეურნეო საქმიანობაც კი.

1888 წლის 1 მაისის ეს დადგენილება გამოუცხადეს გიორგი ზდანოვიჩს (**ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ. 697. მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.53**). 20 მაისს მას სათანადო მოწმობები მისცეს და 22 მაისს იგი საქართველოსკენ გამოეშურა (**ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ.697.მე-3 საქმეწარმოება ,1892; საქ.697, ფ.56).** 16ივნისს უკვე ქუთაისში იყო და მას პოლიციის აშკარა მეთვალყურეობა დაუწესეს (**ოქტომბრის**

რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ.697. მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.57). საქართველოში დაბრუნებული გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) მშობლიურ ქუთაისში დასახლდა. მეფის საპყრობილეში ხანგრძლივმა ყოფნამ ოდნავადაც ვერ გატეხა მისი მებრძოლი, შეუდრეკელი გული.იგი ბოლომდე დარჩა ერთგული რევოლუციური იდეალები სადმი. გიორგი საქართველოში 18 წელი არ იყო ნამყოფი. აქედან 14 წლის განმავლო ბაში ციხეებში, საკატორღო სამუშაოებსა და გადასახლებაში გაატარა.მას დიდი სიხარულით შეხვდა ქართული მოწინავე საზოგადოება. შალვა დადიანს გიორგი ზდანოვიჩის პატივსაცემად საღამოც კი მოუწყვია. ის იგონებს: „გიორგი ზდანოვიჩის დაბრუნებას ყველა დიდი სიხარულით შეხვდა და მასზე ქართული ეროვნულად მოაზროვნე საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა **(დადიანი,1959:224)**. ამდენი ხნის შემდეგ (1875-1889წწ) გიორგი ზდანოვიჩს, როგორც იქნა, ეღირსა თავის სამშობლოში დაბრუნება.დაბინავდა,როგორც აღვნიშნეთ,ქალაქ ქუთაისში თავის მოხუც დედასთან,რომელსაც ყველაზე ძალიან უხაროდა შვილის დაბრუნება. იგი მოესწრო ამდენი ხნით დაკარგული შვილის გულში ჩახუტებას. გიორგიმ მრავალტანჯული საყვარელი დედის პატივისცემის ნიშნად, ლიტერატურულ ფსევდონიმად "მაიაშვილი" აირჩია. გიორგი ზდანოვიჩი მთელი შემართებით ცდილობდა კვლავ გამხდარიყო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, რაც მეფის სასამართლოს მიერ ჩამორთმეული უფლებების აღდგენაში იგულისხმებოდა, თორემ ის, როგორც პიროვნება, მიუხედავად პოლონური წარმოშობისა, უდიდესი სიმპათიით სარგებლობდა. ზუსტად იმისათვის, რომ ასეთი იმედისმომცემი თვალები მაშინდელი ღირსეული საზოგადოებისა, აძლევდა მას სტიმულს,ებრძოლა ქვეყნის აღმშენებლობისათვის თანამოაზრეებთან ერთად. მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენის საკითხი დიდხანს გაჭიანურდა. ასევე მასში პოლიციის მეთვალყურეობაც დიდ უხერხულობას იწვევდა. ასეთი მდგომარეობის გამო ის ხშირად მიმართავდა კავკასიის მთავარმართებელს თავად დონდუკოვ-კორსაკოვს. თავის თხოვნაში ის წერდა: "ჩემი განთავისუფლებით იმდენად გახარებული ვიყავი, რომ აღარ მივაქციე ყურადღება იმ შეზღუდვებს, რომელიც თქვენ დამიწესეთ (საუბარი იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებში მუშაობისა, წარმოება-ვაჭრობისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის აკრძალვაზე). როდესაც სამშობლოში დავბრუნდი, ჩემთვის ნათელი გახდა, თუ როგორ ბორკილებს მადებს ხელზე აღნიშნული აკრძალვა. თუ ამ მდგომარეობას

დავაკვირდებით, ის არაფრით არ განსხვავდება ჩემი პატიმრობაში ყოფნის მდგომარეობით. მე შეზღუდული მაქვს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არჩევნებში მონაწილეობა, მეკრძალება,ვიყარო კენჭი და ვიყო არჩეული, ასე რომ, მე მოკლებული ვარ ყოველგვარ მოქალაქეობრივ უფლებას, ასევე,ისიც ემატება ამას, რომ ხუთი წელი პოლიციის მეთვალყურეობა მაქვს დაწესებული. ასე რომ, თქვენო ბრწყინალებავ, გამიგეთ, როგორი უიმედოა ჩემი მდგომარეობა. უუფლებობა ისე არ იგრძნობოდა სატუსაღოებსა და ციმბირში, როგორც აქ, ჩემს სამშობლოში. არასოდეს მიგრძვნია იქ, ციმბირში, ისეთი ტკივილი უუფლებობის გამო, როგორც აქ, ჩემს სამშობლოში. მე განწირული ვარ უმოქმედობისათვის, იმისთვის,რომ ვერასდროს ვიქნები საკუთარი თავის იმედად, თუ არ შეიცვლება ამ დროისათვის არსებული ჩემი იურიდიული მდგომარეობა.მე დარწმუნებული ვარ, როდესაც მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩემი გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ,ის ფიქრობდა შეემსუბუქებინა ჩემი ბედი და არა გაეუარესებუნა ის.მისი აღმატებულების განაჩენი ჩემთვის ერთ-ერთ უმძიმეს სასჯელად გადაიქცა“. გიორგი ზდანოვიჩი დონდუკოვ-კორსაკოვს (კავკასიაში უმაღლესი ხელისუფლების წარმომდგენელსა და ადგილობრივი ცხოვრების მცოდნეს) სთხოვდა ზემდგომი ორგანოების წინაშე შუამდგომლობას,რათა აღედგინათ მისი ყოველგვარი უფლებები და ზემოთ აღნიშნულის გარდა,ნება მიეცათ უმაღლესი განათლების დასამთავრებლად რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში შესულიყო.დონდუკოვ-კორსაკოვმა გიორგი ზდანოვიჩის თხოვნას მხარი დაუჭირა და შუამდგომლობით მიმართა პოლიციის დეპარტამენტს 1890 წლის 13 მაისს (**ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ.697. მე-2 და მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.59**). პოლიციის დეპარტამენტმა ეს ყურადღების ღირსად არ სცნო და მთავარმართებელს შემდეგი პასუხი გამოუგზავნა: „იმის გათვალისწინებით, რომ მან სულ ახლო ხანს მიიღო შეწყალება და მიეცა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა,ზოგიერთი უფლების შეზღუდვით,არ მიმაჩნია მართებულად,შევაწუხო იმპერატორი შუამდგომლობით გიორგი ზდანოვიჩის მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ“ (**ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ.697. მე-3 საქმეწარმოება, 1892; საქ.697, ფ.58**).

რაც შეეხება უმაღლესი განათლების მიღების საკითხს, ამაზედაც უარი უთხრეს შემდგომი მოსაზრებით: “თქვენი დანაშაულებრივი, არაკანონიერი მოღვაწეობის

გათვალისწინებით, ის,რომ გამოიარა არაერთი საპყრობილე და გადასახლება, ასევე ასაკით ის უკვე 33 წელზე მეტისაა, ვთვლი, რომ აღნიშნული საკითხი არ დაკმაყოფილდეს" **(ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ფ.102, საქ.697. მე-3 საქმეწარმოება ,1892; საქ.697, ფ.63**).

გიორგი ზდანოვიჩს (მაიაშვილს) მძიმე პერიოდი დაუდგა. მართალია,ისარ კარგავდა იმედს და თხოვნას თხოვნაზე აგზავნიდა, გარდა იმისა, რომ ყველა უფლება ჩამორთმეული ჰქონდა და არც ერთი მისი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილებულა, მის ცხოვრებაში კიდევ ერთი უდიდესი ტკივილის მატარებელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. გაუარესდა მისთვის უსაყვარლესი დედის მდგომარეობაც. დედა-შვილს ერთად დიდიხანს არ უცხოვრიათ. მაია მიქელაძე მალე გარდაიცვალა. ეს მოხდა 1891 წელს. დამწუხრებულმა შვილმა ღრმად განიცადა დედის გარდაცვალება. თითქოს გადაურჩა განვლილ ურთულეს ცხოვრების გზას, მაგრამ ერთადერთი მისი ოჯახის წევრის-დედის გარდაცვალებამ სულით ხორცამდე შეძრა გიორგის უდრეკი სული. თითქოსდა ბეჭებზე დასცა ცხოვრების ამ უდიდესმა ტკივილმა. გიორგი ზდანოვიჩისათვის ეს დიდი ტკივილი მოუშუშებელ იარად დარჩა და მთელი დარჩენილი ცხოვრება თავისი მტკიცე სულისკვეთებით თავისი სამშობლოს,საქართველოს,კეთილდღეობას შეალია **(ჭუმბურიძე, 2008:128)**

გიორგიზდანოვიჩი (მაიაშვილი) აგრძელებდა ბრძოლას და, როგორც იქნა, მოგვიანებით, 1892 წელს 15 ივლისს მან მიაღწია იმდენს, რომ მოეხსნა პოლიციის აშკარა მეთვალყურეობა, მაგრამ სასამართლოს მიერ წართმეული უფლებები არ აღუდგინეს და ამასთან,პოლიციის ფარულ მეთვალყურეობას დაუქვემდებარეს **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.483**). დიდხანს იბრძოდა გიორგი ზდანოვიჩი თავისი უუფლებობისათვის, ის ხედავდა, თუ რამდენად დიდი იყო მისი საჭიროება საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.მან 1896 წელს თხოვნით მიმართა იმპერატორ ნიკოლოზ II-ს და ითხოვა სასამართლოს მიერ წართმეული უფლებების აღდგენა. გიორგი ზდანოვიჩის თხოვნა იყო ამგვარი: "თქვენო უდიდებულესობავ, მე დამაპატიმრეს და გამასამართლეს აკრძალული ლიტერატურის გავრცელების გამო.20 წლის ახალგაზრდისათვის მრავალწლიანი პატიმრობა და გადასახლება, ვფიქრობ,არის დანაშაულის გამოსასყიდად საკმარისი დრო. თქვენმა წინამორბედმა,მისმა უდიდებულესობამ

გამოიჩინა მადლიერება და ზოგირთი უფლებით, ციმბირიდან სამშობლოში დაბრუნების უფლება მომცა. თქვენი იმპერატორად კურთხევის ცერემონიალამდე, მე გავბედავ და გთხოვთ, დამიბრუნოთ მე მოქალაქეობრივი უფლებები, რომელიც მაქვს ჩამორთმეული. თქვენო უდიდებუ ლესობავ,თქვენდამი ერთგული გიორგი ზდანოვიჩი" **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.503**).გიორგის ტონით კმაყოფილმა იუსტიციის მინისტრმა თხოვნა დასკვნისათვის შინაგან საქმეთა მინისტრს გადაუგზავნა 1896 წლის 20 მარტს. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, აღნიშნა, „ვხედავ,რომ მისი სიტყვები ერთგულ მსახურებაზე,ჭეშმარიტია,აქვს დანაშაულის მონანიების გრძნობა,ასევე მისი სანიმუშო საქციელი,მე ვერ ვხედავ დამაბრკოლებელ გარემოებას,რის გამოც შესაძლოა უარი ეთქვას მოქალაქეს" **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადშ, ფ.1405, საქ.7428, გვ.502).**

გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრებაში დადგა დღე, როდესაც მას დამსახერებულად 1896 წლის 10 აპრილს აღუდგინეს სასამართლოს მიერ წართმეული ყოველგვარი უფლე ბები **(ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში, ფ.1405, საქ.7428, გვ.505**). მიუხედავად ამისა, ამგვარი მდგომარეობის ვადა განისაზღვრა 1902 წლის 2 დეკემბრამდე, ხოლო 1902 წლიდან გარდაცვალებამდე კვლავ რჩებოდა პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ.

გიორგი ზდანოვიჩის მიერ მეფისადმი ასეთი ერთგულების გამომცხადებელი თხოვნა არ შეიძლება აიხსნას იმ ეკონომიკური პირობებით, რომელშიც იგი ამ პერიოდში იმყოფებოდა. ამ ფაქტს შეეძლო მხოლოდ დაეჩქარებინა ეს პროცესი. ამ ნაბიჯის გადადგმა განპირობებული იყო ისეთი მოვლენებით, როგორიც იყო საქართველოში სამრეწველო და აგრარული მეურნეობის სწრაფი განვითარება.გიორგი ზდანოვიჩი კი ამ საქმის განვითარებაში თავისი პოტენციალის საჭიროებას ხედავდა. და ამიტომ ის აქტიურად ჩაება პუბლიცისტიკასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

2.2. გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) -მანგანუმის ყრილობის ხელმძღვანელი და მისი მოღვაწეობა ჭიათურის აღმშენებლობის საქმეში

ვაჭრობისა და კომერციული ურთიერთობების ინოვაციურმა განვითარებამ მე-18 საუკუნის მიწურულისთვის მანუფაქტურული წარმოების სწრაფი ზრდა და სოციალური, ტექნიკური და ეკონომიკური ცვლილებები განაპირობა. ინდუსტრიულმა რევოლუციამ ადამიანთა ყოფის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა და ის ძირეულად გარდაქმნა. დღეს ამ ცვლილებათა მატერიალური გამოვლინებები საყოველთაო ფასეულობას წარმოადგენს და შესწავლისა და დაცვის საგანია. ინდუსტრიული მემკვიდრეობის მნიშვნელობა საერთაშორისო დონეზე ფართოდ არის გააზრებული.მათი კვლევა, მოვლა-პატრონობა, ადაპტაცია და კონსერვაცია არაერთი ქვეყნის კულტურული ცხოვრებისა და კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველო მდიდარია წიაღისეულით.მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა ქვეყნის ინდუსტრიული მემკვიდრეობა ჯერაც პროფესიული ინტერესის მიღმა რჩება. სამწუხაროდ, ის არქიტექტურული თუ საინჟინრო შენობა-ნაგებობები და მათთან დაკავშირებული წარმოების ფორმები, რომლებიც მე-19 და მე-20 საკუნეების საქართველოში ინდუსტრიული დანიშნულებით იქმნებოდა, დღემდე შეუფასებელია და სისტემური შესწავლის საგანს არ წარმოადგენს.თვალსაწიერს მიღმაა დარჩენილი მნიშვნელოვანი ობიექტები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ სოციალური ცვლილების ანარეკლია. საქართველოს ინდუსტრიული მემკვიდრეობისადმი ინტერესი თანდათან გაიზრდება და ის სიღრმისეული შესწავლის საგანი გახდება, ფასეული და ღირებული ობიექტები კი უკვალოდ არ გაქრება და მომავალი თაობებისათვის სამუდამოდ არ დაიკარგება.

მე-19 საუკუნეში მთელ მსოფლიოში განთქმულია ჭიათურის მარგანეცი. მადნის აღმოჩენამ დიდი გავლენა იქონია იმერეთის რეგიონის სივრცით და ეკონომიკურ განვითარებაზე, ბიძგი მისცა საქართველოში ახალი ქალაქების, სატრანსპორტო კავშირებისა და სამრეწველო დარგების შექმნას. მანგანუმის მრეწველობის განვითრების პირველივე წლებში შეიკრა ჭიათურა-ზესტაფონი-ფოთის ინდუსტრიული წრედი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დღესაც უჭირავს.

ინდუსტრიული მემკვიდრეობა აერთიანებს ინდუსტრიული კულტურის იმ მატერიალურ გამოვლინებებს,რომელთაც ისტორიული,ტექნოლოგიური, სოციალური, არქიტექტურული და მეცნიერული ღირებულება აქვთ.

კვლევის ამ ეტაპზე შედარებით დეტალურად იქნა შესწავლილი მანგანუმის მრეწველობის განვითარების ისტორია, სამრეწველო პროცესის სპეციფიკა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო, სატრანსპორტო და სამრეწველო ობიექტები.

თემის შესწავლისას ვიხელმძღვანელეთ საარქივო დოკუმენტებითა და დარგობრივი ლიტერატურული წყაროებით.

ევროპელმა მეცნიერებმა ქიმიური ელემენტის-მანგანუმის მეცნიერული შესწავლა მე-18 საუკუნეში დაიწყეს. ექსპერიმენტებმა და კვლევებმა მალევე გამოააშკარავეს მისი თვისებები და სარგებლიანობა მეტალურგიულ წარმოებაში. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აქტიურად დაიწყეს მანგანუმის გამოყენება ფერადი ლითონების შემადგელობაში,ასევე ფოლადისა და თუჯის თვისებების გასაუმჯობესებლად.ამ გარემოებამ განაპირობა მანგანუმზე მოთხოვნილების ზრდა და ახალი საბადოების მოძიებასა და დამუშავებას შეუწყო ხელი.

ჭიათურის მანგანუმის საბადოს აღმოჩენა გერმანელი გეოლოგის, კავკასიის ცნობილი მკვლევრის,ვილჰელმ ჰერმან აბიხის (1806-1886) სახელს უკავშირდება. 1846 წელს მან აღმოაჩინა და შეისწავლა მანგანუმის საბადო ჭიათურა-საჩხერის მიდამოებში. სწორედ აბიხმა მიაწოდა კავკასიის იმდროინდელ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს პირველი ცნობები იმერეთის მიდამოებში მაღალი ხარისხის მანგანუმის საბადოს არსებობის შესახებ. ჭიათურა-საჩხერის მანგანუმის საბადო ზემო იმერეთში, მდინარე ყვირილას შუაწელში,მდებარეობს. 78,5 კვადრატული კილომეტრია საბადოს აუზის ფართობი, რომლის არეალი მდინარე ყვირილასა და სხვა ხეობებით არის დასერილი. იმპერიული მმართველობის პერიოდში ხალხი ამ სიკეთით, ფაქტობრივად, ვერ სარგებლობდა. მანგანუმის მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ,შორაპნის მაზრაში სოფელი ჭიათურა დროთა განმავლობაში სამთამადნო მრეწველობის ცენტრად იქცა.ჭიათურა იყო მოპოვებული მადნის პირველი შემკრები პუნქტი,სადაც თავს იყრიდნენ მადნის მტვირთავები,მაღაროს მუშები, მკვიდრი მოსახლეობა. მოსახლეობისა და წარმოებაში დასაქმებული მუშების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა კომუნალური თუ საყოფაცხოვრებო პრობლემები, რომლებიც მოგვარებას

საჭიროებდნენ. მრეწველთა ამხანაგობები და გაერთიანებები, წარმოების პროცესში შექმნილი სიძნელეების მოგვარების პარალელურად, მეტ-ნაკლები წარმატებით აღნიშნული საკითხების გადაჭრას ცდილობდნენ. ჭიათურის მეწარმეთა ძირითად მასას ქართველი თავადაზნაურობა და გლეხთა წრიდან გამოსული საქმოსნები შეადგენდნენ, ხოლო მადნის შემსყიდველი ექსპორტიორები კი უმრავლესად უცხოელები იყვნენ, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ სამრეწველო ბურჟუაზია მთლიანად ქართული იყო, ხოლო სავაჭრო-უპირატესად უცხოური. ისინი ქართველი მრეწველებისაგან ჩალის ფასად იძენდნენ ურთულეს პირობებში მოპოვებულ მადანს და შემდეგ კი დიდ ფასად ყიდდნენ და მდიდრდებოდნენ. ამრიგად, უცხოური ფირმები მარგანეცის მადანს ადგილობრივ ბაზარზე თითქმის მონოპოლიურად ბატონობდნენ. რადგანაც მეფის ხაზინა კრედიტს არ იძლეოდა, წვრილი და საშუალო მრეწველები იძულებულები ხდებოდნენ,მიემართათ უცხოური სავაჭრო-საექსპორტო ფირმებისათვის. ისინიც სესხს, თავისთვის მომგებიან პირობებში, უხვად იძლეოდნენ. სავსებით დაკაბალებული ადგილობრივი მრეწველები დამკრედიტებელი უცხოური ფირმების ტყვეობაში ცვივდებოდნენ და იძულებული ხდებოდნენ,მათთვის მეტად შეღავათიან ფასებში ეძლიათ მადანი, რითაც ეს ფირმები დიდ მოგებას ნახულობდნენ. გამკითხავი არავინ იყო. ადგილობრივმა წვრილმა და საშუალო მრეწველებმა არც უცხო ენა იცოდნენ, არც კაპიტალი გააჩნდათ და ვერც უცხოეთის ბაზარზე არსებულ ფასებში ერკვეოდნენ. ამით კი ისევ და ისევ უცხოეთის ფირმები სარგებლობდნენ და ჯიბეებს ისქელებდნენ. კიდევ უფრო რთულ ვითარებაში მუშები და გლეხები იყვნენ. მათი უფლებები და ეკონომიკური მდგომარეობა აუტანელი იყო. მათ მუშაობა ჯოჯეხეთურ პირობებში უხდებოდათ. არ იყო დადგენილი ნორმირებული სამუშაო დრო. სამუშაო დღე ხანგრძლივი იყო,ხელფასი კი - დაბალი.საგანმანათლებლო და სამედიცინო მომსახურეობაზე ზედმეტია საუბარი, როდესაც საყოფაცხოვრებო პირობები უკიდურესი იყო. ვინც ახლო-მახლო სოფლებში ცხოვრობდა, კიდევ შეეძლო ღამე სახლში გაეტარებინა, მაგრამ დაქირავებული მუშების უმრავლესობას უხდებოდა ღამე ნესტიან გვირაბებში ეცხოვრათ.მათი უსაფრთხოების დაცვაზე არავინ ზრუნავდა, რაც ფატალურ შედეგს იწვევდა. მართალია, არსებული წესის თანახმად, დამქირავებელი (მრეწველი) ვალდებულებას კისრულობდა დაზარალებულის მკურნალობის ხარჯებსა და გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის წევრებზე პენსიის გაცემის საკითხზე, მაგრამ

ეს ვალდებულება რეალურად არასდროს განხორციელებულა. ყოველი შემთხვევა თავად მუშის დაუდევრობას ბრალდებოდა. არაადამიანური საყოფაცხოვრებო პირობები მოსვენებისა და დახარჯული ენერგიის აღდგენის საშუალებას არ აძლევდა, ფიზიკურად და მორალურად აუძლურებდა და აუარესებდა მათს მდგომარეობას. უცხოეთის ფირმები მარტო იმით არ კმაყოფილდებოდნენ, რომ მათგან მადანს თითქმის მუქთად იძენდნენ. ისინი სხვა მაქინაციებსაც მიმართავდნენ: შეძენილ მადანში მათ ხშირ შემთხვევააში ნაღდი ფულის ნაცვლად აძლევდნენ თამასუქებს, რომლებსაც შემდეგ, როგორც წესი, აღარ ანაღდებდნენ. ამას ემატებოდა ისიც, რომ მთებიდან სახედრებითა და ცხენებით ვაი-ვაგლახით ჩამოზიდულ მადანს წონით ყიდულობდნენ, ხოლო მწონავები მშრომელებს ურცვხად ატყუებდნენ მადნის წონაში. მადნის მომტანს დამატებით უქვითავდნენ ამ მადნის ღირებულების 10 %-ს. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მაქინაციების წყალობით მადნის ქართველი მომპოვებლები კოტრდებოდნენ, იქმნებოდა რეალური საფრთხე,მარგანეცის მოპოვების მთელი წარმოება უცხოელებს ჩაეგდოთ ხელში.

90-იანი წლების შემდეგ გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) მსოფლმხედველობა შეოცვალა.მან უკან მოიტოვა თავისი რევოლუციური ზრახვები და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობაში ჩაება. ამ დროისათვის ის ისევ ჟანდარმერიის მხრიდან ისევ ჩუმი თვალთვალის ქვეშ იყო.მოგვიანებით,1899 წლის 2 დეკემბერს,გათავისუფლდა თვალთვალისაგან ისიც დროებით. დაახლოებით ასეთი იყო ვითარება ჭიათურაში, როდესაც გიორგი ზდანოვიჩი (მაიშვილი), როგორც თავისუფალი მოქალაქე, სათავეში ჩაუდგა ქვეყნისათვის სამეურნეო განვითარების საკითხს.მისი,როგორც ძველი რევოლუციონერის და მებრძოლი პუბლიცისტის ცხოვრებაში დაიწყო ახალი დრო.მან ფეხი შეადგა სრულიად განსხვავებული საქმიანობის სფეროში.1896 წელს საქართველოში ერთ-ერთ დიდ კაპიტალისტურ დაწესებულებას- შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ჩაუდგა სათავეში, როგორც საბჭოს თავჯდომარე. ქართველი საზოგადო მოღვაწეები მიესალმნენ „ყრილობის" შექმნას **(წერეთელი,1896: „კვალი", №3,2)**. გიორგის ეს გადაწყვეტილება არ იყო, შემთხვევითი ნაბიჯი. ის დარწმუნებული იყო საქართველო მტკიცედ ადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა საწარმოო ძალთა შემდგომი მძლავრი განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური წარმატება. ეს განვითარების პროცესი ისე წარიმართა, რომ თითოეული ქართველის ინტერესი ანუ

საქართველოს ეროვნული ინტერესები დაეცვათ.მან მიზნად დაისახა შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის მოგვარება. მისი გულისყური გლეხობისკენ იყო მიმართული. ოცნებობდა კაპიტალიზმის ისეთ განვითარებაზე, რომელიც მშრომელი ხალხის სასარგებლოდ წარიმართებოდა.

ჭიათურის აღმშენებლობასა და მარგანეცის მრეწველობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გიორგი ზდანოვიჩის სახელი. გიორგი ზდანოვიჩს (მაიაშვილს), რომელიც ღრმად იყო დაინტერესებული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებით, რაც ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების ქვაკუთხედად მიაჩნდა, კარგად ესმოდა ამ მადნის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისათვის.გიორგიმ ასეულობით მოხსენება, შუამდგომლობა თუ განცხადება წარუდგინა მთავრობის ორგანოებს, სადაც აღწერილი იყო მრეწველთა ვითარება. ჭიათურაში ზდანოვიჩი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ თეორიული აზროვნებითა და პუბლიცისტური საქმიანობით, ის იყო ქართულ სინამდვილეში ბურჟუაზიული ეროვნული მიმართულების იდეოლოგი და პრაქტიკული მოღვაწე.როგორც საზოგადო მოღვაწე, გიორგი ზდანოვიჩი სათავეში ედგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას და უნარიანადაც უძღვებოდა მის არცთუ იოლ მუშაობას. პრაქტიკულ სფეროში კი იგი არჩეული იყო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ და თანამედროვეთა შეფასებით, ,,მისი ენერგიის, გამჭრიახობისა და ნიჭის წყალობით დადგა ფეხზე და გაიზარდა ეს ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი საქმე”**(ლასხიშვილი,1992: 137).**

მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანოს-ყრილობის დაარსების ინიციატორი და ამ საქმის ორგანიზატორი გიორგი ზდანოვიჩია. გიორგი „მრეწველთა ყრილობას“ 1896-1917 წლებში თავმჯდომარეობდა. ასეთი ორგანოს შექმნა მიზნად ისახავდა მარგანეცის მრეწველობაში ჩაბმული ბურჟუაზიის გაერთიანებას, მანგანუმის მოპოვებასა და წარმოებაში მაღალი მაჩვენებლის მიღწევას,ამ სფეროს საშუალებით საქართველოს განათლებისა და კულტურის,ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარგანეცის მრეწველობის გაფართოვებას ,უცხოული კაპიტალის მონოპოლიური მდგომარეობის მოშლას, მოპოვებული მადნის ექსპორტს, სამრეწველო

რაიონის კეთილმოწყობას, მშრომელთა აუტანელი მდგომარეობის, შემლებისდაგვარად, შემსუბუქებას და ა.შ .

ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენელთა და გიორგი ზდანოვიჩის ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგად, რასაც ადგილობრივი მრეწველებიც უჭერდნენ მხარს, 1894 წელს აღიძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ჭიათურის მარგანეცის წარმომადგენლობითი - თვითმმართველი ორგანიზაციის დაარსებისთვის ნებართვის მიცემის შესახებ. 1896 წელს მეფის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ საკითხს.1896 წლის 15 აპრილს, საქმის ხანგრძლივი მომზადების შემდეგ, ქალაქ ქუთაისში შედგა „შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა პირველი (დამფუძნებელი) ყრილობა“ რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანოს დაარსებას. ყრილობის დებულების პროექტი შეადგინა გიორგი ზდანოვიჩმა, რომელიც შემდეგმა ყრილობამ, ზოგიერთი ცვლილებით, ერთხმად მიიღო. დებულება დეტალურად განსაზღვრავდა ამ ორგანოს შექმნის მიზნებსა და ამოცანებს, მისი წევრების უფლებებსა და მოვალეობებს, გამგებლობის საგნებს და ა.შ. ყრილობა იკრიბებოდა წელიწადში ერთხელ. მის მუდმივმოქმედ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა ყრილობის საბჭო, რომელიც ირჩეოდა ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით.შედგებოდა თავმჯდომარის, მოადგილის, ოთხი წევრისა და სამი კანდიდატისაგან. საბჭოს სხდომები იმართებოდა თვეში ერთხელ.

მრეწველთა ყრილობის საბჭოს ფუნქციებში შედიოდა: 1) მრეწველობისათვის ხელის შეწყობა, 2) ეროვნული კაპიტალისათვის მხარის დაჭერა, 3) მუნიციპალური საქმიანობა სამრეწველო რაიონში და 4) სამრეწველო აუზში კულტურულ-საგანმანათლებლო და ყოფაცხოვრებითი მუშაობისათვის ხელის შეწყობა. ყრილობის მუდმივმოქმედი აღმასრულებელი ორგანოს-საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გიორგი ზდანოვიჩი, რომელიც 1896-1917 წლებში უცვლელად ირჩეოდა ამ თანამდებობაზე. მისი მოადგილე იყო ცნობილი მოღვაწე და გამოჩენილი ლიტერატორი კიტა აბაშიძე.

1896 წელს,გიორგი ზდანოვიჩის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით,ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი გიორგი წერეთელი მკითხვე ლებს აუწყებდა: „ქუთაისს... მოხდა ფრიად შესანიშნავი კრება შავი ქვის მრეწველთ, ამ კრებით აღინიშნა ახალი ხანა სამრეწველო მოძრაობისა... დასავლეთ საქართველოს

მწარმოებელნი, სამართლიანი მოსაზრებით, წინ დადგომიან უცხო ქვეყნის კაპიტალისტების წარმომადგენლებს: უკაცრავად ნუ ვიქნებით და რადგან ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისაა, ჩვენსავე წარმოებაში უნდა დარჩეს, კეთილი ინებეთ და თქვენს ტყავში დაეტიეთო.გიორგი ზდანოვიჩმა ჩინებულად გაარკვია ეს საგანი იმ მხრით, რომ შემთხვევით საქონლის მყიდველს და უცხო ქვეყანაში გამტანს ის უფლება არ უნდა მიენიჭოს, რაც მადნის პატრონს და მის მომუშავეს ეკუთვნისო... გიორგი ზდანოვიჩს აღუძრავს კითხვა სამთო სკოლის დაარსებაზე ქუთაისის გუბერნიაში.მოსაწონი აზრია“. აუწყებდა **(გაზეთ „კვალის“ 1896 წლის № 12)**

თვით ეს ფაქტი ნათლად მოწმობს გიორგი ზდანოვიჩის ავტორიტეტისა და იმ ღვაწლის აღიარებას, რომელიც მან დაიმსახურა თავისი თავდადებული და უანგარო მოღვაწეობით. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი ქმედითი ღონისძიება, იქნებოდა ეს მუნიციპალური საქმიანობის კუთხით, მშრომელთა მდგომარეობის შემსუბუქებისა თუ კულტურულ - საგანმანათლებლო საქმიანობის ხაზით,რომ მის აღძვრასა თუ ცხოვრებაში გატარებისათვის ყველაზე აქტიური მონაწილეობა გიორგი ზდანოვიჩს არ მიეღო.

მრეწველთა ყრილობამ და მისმა საბჭომ გიორგი ზდანოვიჩის ხელმძღვანელობით ფართოდ გაშალა მუშაობა მუშათა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, სახალხო განათლების გასავრცელებლად. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამრეწველო ექსპლუატაციის საკითხების მოწესრიგებას, ახალი გზების გაყვანას, ძველების გაუმჯობესებას, ყვირილაზე ხიდების აგებას, დიდ ზრუნვას იჩენდა საბაგირო გზების გაყვანაზე. მისი ინიციატივით დაისვა და გადაიჭრა საწარმოო პროცესებისა და მადნის გადაზიდვაში ტექნიკური სიახლეების დანერგვის სხვადასხვა პრობლემა, გაატარა ღონისძიებები მადნის უცხოელ შემსყიდველ-ექსპორტიორთა მოქმედების შესაზღუდავად და მარგანეცის მრეწველობაში უცხოური კაპიტალის მომძლავრების წინააღმდეგ,რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ჭიათურაში რკინიგზის შტოს შეყვანის შემდეგ **(მაიაშვილი,1968:197).**ბევრი რამ გაკეთდა მისი ხელმძღვანელობით მადნის გადაზიდვის საშუალებათ „ევროპულად მოწყობისა“ და მარგანეცის მრეწველობისათვის ეროვნული სულის ჩადგმისათვის.ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა გიორგი ზდანოვიჩის,როგორც გამჭრიახი და ნიჭიერი ხელმძღვანელ - ორგანიზატორის,როლი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მრეწველთა ყრილობა,ძირითდად, საქართველოს ეროვნული ბურჟუაზიის, მისი ინტერესების დამცველი ორგანო იყო, მაგრამ მან თუ მაინც ესოდენ ბევრი რამე გააკეთა, როგორც ამას შემდგომში დავინახავთ, ეს უპირველეს ყოვლისა, გიორგი ზდანოვიჩისა და მის ირგვლივ შემოკრებილი პროგრესული მამულიშვილების უდიდესი დამსახურებაა, რომლებსაც არა ერთი და ორი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდათ, რომ მშრომელთათვის, და საერთოდ, ეროვნული საქმისათვის, სასარგებლო და მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაეტარებინათ ცხოვრებაში.

როდესაც გიორგი ზდანოვიჩი მარგანეც მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას დასთანხმდა, იგი ვარაუდობდა, რომ შეიძლებოდა ამ ადგილის გამოყენება ხალხის... თავის მხრივ, ისინიც, რომლებიც მას ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ გიორგი ზდანოვიჩი თავის მაღალ ადამიანურ ღირსებებს, სისპეტაკესა და ეკონომიური საკითხების ცოდნას მთლიანად ამ ეროვნულ საქმეს მოახმარდა და,როდესაც გიორგი ზდანოვიჩი ამ თანამდებობას იკავებდა, მას არ ამოძრავებდა პირადი გამდიდრება. მისი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ეკონომიურად ძლიერი ეს უწყება გამოეყენებინა საერთო ეროვნული ინტერესებისათვის და უცხოელი კაპიტალისტების განსადევნად.

შეძლებისდაგვარად გიორგი ზდანოვიჩმა (მაიაშვილმა)ერთიც შეძლო და მეორეც.მან მრეწველთა საბჭო აქცია ფართო მნიშვნელობის კულტურულ დაწესებულებად, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ხელმძღვანელობდა სწავლა-განათლების მიღების საქმეს(სტიპენდიების დანიშვნით,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის ღონისძიებათა დაფინანსებით) **(ზდანოვიშიას პირად არქივში ფ.6416 #390, 395, 1858, 1927)**. უდავოა ისიც, რომ მან თავის გარშემო შემოიკრიბა არა საქმოსნები, არამედ, ქართველი პატრიოტი მოღვაწეები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მწერლები და ჟურნალისტები,რის გამოც ამ თავისთავად სულ სხვა დანიშნულების დაწესებულებაში ფართო კულტურული და ლიტერატურული მუშაობაც მიმდინარეობდა.

თეატრმცოდნე სერგო გერსამია იგონებს: „შავი ქვის მრეწველთა საბჭო მან გადააქცია ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა საკრებულოდ... აქვე

ტარდებოდა სათათბიროდ მოწვეულ პირთა შეკრებები სხვადასხვა საკითხის განსახორციელებლად.აქვე წყდებოდა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების გამგეობათა სხდომები და სხვა. არც ერთი საზოგადო საქმე ოფიციალურად არ აღიძვრებოდა ისე, რომ გიორგი ზდანოვიჩს არ შეკითხვოდნენ, მისი რჩევა არ მოესმინათ“.

გიორგი ზდანოვიჩის ინიციატივით მრეწველთა ყრილობის საბჭოსთან დაარსდა შტატ-ბიურო, რომელსაც ევალებოდა ცნობების შეკრება-გამოქვეყნება ჩვენში და საზღვარგარეთ მარგანეცზე მოთხოვნილებისა და ფასეულობის შესახებ.მან სპეციალურად შეისწავლა ბრაზილიისა და კუბის მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობა,შეადგინა მეტად საინტერესო მოხსენება,რომელიც შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა.ინგლისური ენიდან ათარგმნინა საყურადღებო ნაშრომი ინდოეთის შავი ქვის მრეწველობის შესახებ,ზრუნავდა მდინარე ყვირილას დაბინძურებისაგან დასაცავად ,რომ ახლო- მახლო სოფლებს ჰქონოდა სუფთა წყალი.

საყურადღბოა გიორგი ზდანოვიჩის მუნიციპალური საქმიანობა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამრეწველო რაიონის ცენტრის-ჭიათურის კეთილმოწყობას. მისი დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად, წინათ მიყრუებული სოფელი ჭიათურა თანდათანობით სამრეწველო ქალაქის სახეს იღებდა. ჩაისახა და განვითრდა მრეწველობის დამხმარე სახელოსნოები, გაიხსნა სავაჭრო და საკრედიტო დაწესებუ ლებები, მადნის შესანახი ფარდულები, ბაქნები, საცხოვრებელი სახლები და სხვა. მარგანეცის მრეწველთა მესამე ყრილობაზე მკაცრად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ ჭიათურის ქალაქის ტიპის დასახლებად გარდაქმნას და მისთვის ჩვეული მგზნებარებით დაასაბუთა ამისი აუცილებლობა, იქ თვითმმართველობის დაწესების აუცილებლობა. მრეწველთა ყრილობის სახსრების ნაწილს იგი ახმარდა ჭიათურაში გზების, ქუჩების, ხიდების, სასწავლებლების, ბიბლიოთეკის, სამკითხველოს, მუშათა თეატრის, იაფფასიანი სასადილოს, აბანოს, წყალსადენის, საკანალიზაციო სისტემის და სხვათა მშენებლობას. აიგო 150-250 ცხენის ძალიანი ელექტროსადგური.1907 წლიდან ჭიათურის მოსახლეობა ელექტროგანათებით სარგებლობდა. გაიყვანეს სატელეფონო ხაზები. 1906 წელს ჭიათურაში აიგო მუშათა თეატრის ახალი შენობა,აგრეთვე,მრავალი კაპიტალური ნაგებობა. მათ შორის აღსანიშნავია საქალაქო სასწავლებლის შენობა,სარემონტო სახელოსნო, ტექნიკური

ბიურო და სხვა.დაარსდა სახელმწიფო ბანკის განყოფილება, გაიხსნა მომრიგებელი სასამართლო, მოეწყო სახანძრო რაზმი, ხელოვნური ყინულის დასამზადებელი სახელოსნო და სხვა მრავალი.

მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად გიორგი ზდანოვიჩის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მრეწველთა ყრილობისა და მისი საბჭოს მიერ საგრძნობი მუშაობა ჩატარდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა გამოენახა სახსრები მუშათა სამედიცინო მომსახურეობისათვის, სანიტარული დაწესებულებების მნიშვნელობისათვის, მუშათა დაზღვევის მოსაწესრიგებლად. როგორც აღვნიშნეთ, ჭიათურაში მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები თავიდანვე აუტანელი იყო. 1900 წელს მრეწველთა ყრილობამ სპეციალურად განიხილა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და დამზღვევი საზოგადოების დაარსების საკითხი. გადაწყდა, ხელფასი დაერიგებინათ შაბათობით, ხოლო კვირა დასვენების დღედ ცხადდებოდა (აქამდე მუშებს ხელფასს კვირა დღეს აძლევდენ -ხოლმე, რითაც მათი დასვენების დღე საგრძნობლად იზღუდებოდა). ჭიათურაში აიგო შესანიშნავი აბანო, სამრეცხაო მექანიკური საშრობით. გადაწყდა,დაწესებულიყო მაღაროებში იაფფასიანი სასადილოები. შემოიღეს მუშათა დაზღვევა. მართალია, იგი იმ მუშებს შეეხებოდა რომლებიც უშუალოდ მაღაროებში მუშაობდნენ, ეგრეთ წოდებული სამთო მუშები, მაგრამ ეს მაინც საგრძნობი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.სამთო მუშათა დაზღვევის ფონდი იქმნებოდა ნახევარკაპიკიანი საფუთო გამოსაღებისაგან. იზრდებოდა მეწარმის პასუხისმგებლობა და უბედური შემთხვევის დროს დაშავებულ მუშაზე გასაცემი თანხის რაოდენობა. არსებული წესის თანახმად, უბედური შემთხვევისას მუშას გასამრჯელო ეძლეოდა, თუ ის სამ დღეზე მეტი ხნით დაკარგავდა შრომის უნარს. მეწარმე მხოლოდ მაშინ თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებდა, რომ უბედური შემთხვევა განზრახ ან მუშის უხეში დაუდევრობით მოხდა. მუშის სიკვდილის შემთხვევაში მეწარმეს უნდა გადაეხადა დასაფლავების ხარჯები 15-30 მანეთის რაოდენობით. ეს დამოკიდებული იყო გარდაცვლილის ასაკზე; ყოველწლიურად უნდა მიეცა პენსია გარდაცვლილის ოჯახისათვის ხელფასის 2/3 -ის რაოდენობით. დასახიჩრების შემთხვევაში ვალდებული იყო აღმოეჩინა მისთვის უსასყიდლოდ სამედიცინო დახმარება ან აენაზღაურებინა მკურნალობის ხარჯები. მკურნალობის პერიოდში უნდა მიეცა მუშისთვის მისი საშუალო ხელფასის 50%..მუშის

მიერ შრომის უნარის სრულად დაკარგვის შემთხვევაში მას უნდა მისცემოდა პენსია,ხელფასის 2/3-ის რაოდენობით. პროფესიონალური მუშის წლიური საშუალო ხელფასი 260 მანეთით განისაზღვრებოდა. ცხადია, ბევრი მრეწველი არ ასრულებდა ამ წესს და ათასგვარ მაქინაციებს მიმართავდა. ამის გამო იყო, რომ მრეწველთა მერვე ყრილობაზე გიორგი ზდანოვიჩი თავის მოხსენებაში პენსიების შესახებ აღნიშნავდა: ბევრი მრეწველი სრულიად არ ასრულებს მე-6 ყრილობის გადაწყვეტილებას. მრეწველები დაზარალებულ მუშებს ქრთამს სთხოვენ საბჭოში დაზღვევის თანხის 9/10 ნაწილის მისაღებად წარსადგენი ცნობების გაცემისთვისო. გიორგი ზდანოვიჩის წინადადებით ამ ყრილობამ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პენსია უნდა გაეცა მრეწველთა საბჭოს იმ მეწარმეთა ხარჯზე, რომელთა საბადოშიც უბედური შემთხვევა მოხდებოდა.

მუშათა ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი განიხილა მე-5 ყრილობამაც. საამისოდ გამოიყო სპეციალური კომისია. მაღაროებში აშენდა ქვითკირის სახლები და ხის ყაზარმები უბინაო მუშებისათვის.1905 წელს ჭიათურაში, ხოლო 1906 წელს ჭიქოურში გაიხსნა იაფფასიანი სასადილოები მუშებისათვის.

1897 წელს ჭიათურაში გაიხსნა საავადმყოფოს ტიპის საექიმო პუნქტი ექვსი საწოლით და პატარა აფთიაქით. მაშინ მას მხოლოდ ერთი ექიმი ემსახურებოდა. შემდეგში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა, აიგო ახალი საავადმყოფო 80-100 საწოლით. მას 26 თანამშრომელი ემსახურებოდა, მათ შორის, ორი ექიმი და ხუთი ფერშლი. ავადმყოფებს ისეთი კვება ჰქონდათ, როგორც იმდროინდელ საქართველოში არც ერთ საავადმყოფოში არ ყოფილა. ჩამოყალიბდა სამედიცინო-სანიტარული და სანიტარულ-ვეტერინალური განყოფილებები და სხვა. სამრეწველო რაიონის ზოგიერთ სოფელში დაარსდა საექიმო პუნქტები. მათ ევალებოდათ მაღალმთიან ადგილებსა და მაღაროებში პირველადი საექიმო დახმარების აღმოჩენა. სოფლის ადგილებში, სადაც უწყლობას განიცდიდნენ, გაიყვანეს წყალსადენები.მაღაროების წყაროს წყლით მოსამარაგებლად,სადაც ეს საჭირო იყო ტარდებოდა ღონისძიებები.

როგორც აღვნიშნეთ, მუშები მოპოვებულ მადანს წონით აბარებდნენ. ამ დროს მათ ძალიან ხშირად ატყუებდნენ მწონავები. გიორგი ზდანოვიჩის ინიციატივით შეიქმნა მუდმივი საკონტროლო კომისია, რითაც მრეწველებსა და უცხოეთის ფირმების

წარმომადგენლებს საგრძნობლად შეეზღუდათ მუშების წონაში მოტყუების შესაძლებლობა.

იყო განზრახვა,მაღაროებში გაეხსნად უფასო სასადილოები, მაგრამ ამ კარგი ღონისძიების გატარებას პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა გიორგი ზდანოვიჩის თაოსნობითა და თავკაცობით სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხაზით. უპირველეს ყოვლისა, მრეწველთა ყრილობამ და მისმა საბჭომ იზრუნეს მარგანეცის მრეწველობისათვის სამთო-ტექნიკური კადრების მოსამზადებლად, სამრეწველო რაიონში განათლების გასავრცელებლად. გაიხსნა სახალხო სკოლები სოფელ მღვიმეში, ზედა-არგანასა და შუქრუთში. ჭიათურაში გაიხსნა ორწლიანი სამთო სასწავლებელი. დიდი ყურადღება ექცეოდა ჭიათურის სასულიერო სამრევლო სკოლას. მის შესანახავად ყოველწლიურად საბჭო 600 მანეთს ხარჯავდა. 1897 წლიდან ჭიათურასა და ქუთაისში (ყრილობის საბჭოს შენობაში) გაიხსნა საერთო სარგებლობის სამკითხველო. საბჭო დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჭიათურის განყოფილებას. აშენდა საკვირაო სკოლა, სახალხო სამკითხველო და სახალხო თეატრი. მალე გაფართოვდა ჭიათურის დაწყებითი სასწავლებელი და სამკითხველო. ახალი სამკითხველო დაარსდა,აგრეთვ,სოფელ ჭიქოურში.

1904 წელს შეიქმნა ორგანიზაცია „ჭიათურის საზოგადოებრივი კრება“, რომელიც მიზნად ისახავდა მუსიკისა და დრამატული ხელოვნების მოყვარულთა გაერთიანებას. 1911-1914 წლებში ჭიათურაში არსებობდა ჭიათურის საქალაქო სასწავლებელი, ჭიათურის ვაჟთა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, ჭიათურის დაწყებითი სასწავლებელი, ქალთა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, ჭიათურის ქალთა დაბალი დაწყებითი სასწავლებელი, ჭიათურის სამთო -ტექნიკური განყოფილება და სხვა.

გიორგი ზდანოვიჩის ინიციატივით მწერალთა საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა და სტუდენტთა სტიპენდიებით უზრუნველყოფის საკითხს. 1900 წელს მწერალთა მესამე ყრილობის გადაწყვეტილებით სამთო სკოლებში დაწესდა სტიპენდია წელიწადში 300-500 მანეთის ოდენობით, უმაღლესი სამთო სასწავლებლის სტუდენტთათვის სტიპენდიის რაოდენობა განისაზღვრა წლიურად 600 მანეთის

ოდენობით. 1905-1906 წლებში საბჭო სტიპენდიების ხაზით იხდიდა 30000 მანეთს წლიურად, სტიპენდიატთა რიცხვი 165-185 კაცს აღწევდა. სტიპენდიები მოსწავლეებს ენიშნებოდათ მათი ნიჭისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით. დაბალი ტიპის სასწავლებლებში სტიპენდიატთა რიცხვი შეადგენდა 78-ს, საშუალო ტიპის სასწავლებლებში-65-ს,ხოლო უმაღლესში-28-ს. ისინი სწავლობდნენ დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ჩვენში, ასევე რუსეთსა და უცხოეთში. როგორც ვხედავთ,საბჭოს დახმარებას მრავალი მოსწავლე იღებდა. ამ სტიპენდიებით მრავალი მოსწავლე აღიზარდა როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთსა და საზღვარგარეთ. ბევრი მათგანი შემდგომში მეცნიერების, ხელოვნებისა და მრეწველობის გამოჩენილი მუშაკი გახდა. მათ შორის აღსანიშნავია პროფესორი ყიფშიძე, ნიკოლაიშვილი, ინჟინრები - ხუნდაძე,წულიკიძე,ჩხეიძე, კომპოზიტორი ფოცხვერაშვილი, მხატვარი კაკაბაძე, მწერალი ჭუმბაძე და სხვა მრავალი.

საკითხის ასეთი უბრალო ჩამოთვლაც კი ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ ნაყოფიერი და შინაარსიანი იყო გიორგი ზდანოვიჩის მოღვაწეობის ჭიათურის პერიოდი.

ცხადია ასეთი საქმიანობა არ მოსწონდათ ცარიზმის მოხელეებსა და ბევრ არაქართველ სპეციალისტს, მაგრამ სამაგიეროდ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ გიორგი ზდანოვიჩს ამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

გიორგი ზდანოვიჩის დამსახურებაა ისიც, რომ უცხოეთის ფირმებმა ვერ შეძლეს,ხელში ჩაეგდოთ და გაბატონებულიყვნენ მარგანეცის მრეწველობაში.

გიორგი ზდანოვიჩთან საბჭოში ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და განიხილავდნენ ერის საჭირბოროტო საკითხებს, მსჯელობდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაზე და მის მძიმე შედეგებზე ქართველი ხალხისათვის, სახავდნენ ღონისძიებებს,თუ როგორ დაეღწიათ თავი ასეთი მდგომარეობისაგან და სხვა.ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარებისათვის. გიორგი ზდანოვიჩი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ასეთ განხილვებში, მსჯელობებში, გამართულ დისკუსიებში. იგი მისთვის ჩვეული პირდაპირობითა და გამბედაობით იბრძოდა იდეისათვის,არსებულ სოციალურ-პოლიტიკური უკუღმართობათა

წინააღმდეგ **(კლდიაშვილი,1932:118)**:ქალაქის გამგეობაში სამი წლის სამსახურის შემდეგ გადავიდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოში...საბჭოში ყოფნა უკვე იმითი იყო კარგი, რომ საბჭოს შემადგენლობა იყო პირველხარისხოვანი ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. თავმჯდომარედ იყო გიორგი ზდანოვიჩი,მის მოადგილედ-კიტა აბაშიძე,ზდანოვიჩის ავტორიტეტი აქ უსაზღვრო იყო...მაგრამ თავდაჭერილი იყო და ყველას სადად და სრული კეთილგანწყობილებით ეპყრობოდა... ოცნებობდა ჭიათურა გადაექცია სამაგალითო საჩვენებელ პუნქტად... მისი მუყაითობით იმ მოგების თანხიდან, რომელიც საბჭოს ჰქონდა, მოწყობილი იყო სასწავლებლები, მშვენიერი საავადმყოფოები, საფერშალო პუნქტები. 25000 მანეთი ყოველწლიურად გადადებული იყო მოსწავლეთა სტიპენდიებისათვის... მშვენიერი სანახავი იყო იგი მუშების წარმომადგენელთა შორის, მისი მუსაიფი მათთან, მუსაიფი გულწრფელი და მისთვის მზრუნველი ადამიანის...

გიორგი ზდანოვიჩს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ბევრი ედგა ოპოზიციაში, ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მისთვის და დაეცათ მისი ავტორიტეტი, რომ ხელში ჩაეგდოთ საქართველოს მარგანეცის მრეწველობის სადავეები და გამოეყენებინათ იგი ბურჟუაზიის ინტერესებისათვის მშრომელთა საწინააღმდეგოდ. მაგრამ ასეთი ოპოზიცია ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა, რადგანაც ხალხმა კარგად იცოდა, თუ ვინ იყო გიორგი ზდანოვიჩი და ვისი ინტერესებისათვის იღვწოდა იგი. შემთხვევითი არ არის, რომ მას 1896-1917 წლებში უცვლელად ირჩევდნენ მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარედ. ცნობილია დავა გიორგი ზდანოვიჩსა და ნიკო ნიკოლაძეს შორის, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი არ ატარებდა ღრმა პრინციპულ და იდეურ ხასიათს. საქმე შეეხებოდა საფუთო გამოსაღებს ნახევარი კაპიკის ოდენობით.ნიკო ნიკოლაძე, რომელიც მაშინ ფოთის ქალაქის თავი იყო,ფოთის მშენებარე ნავსადგურის ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვდა, რომ ყოველი ფუთი მარგანეცის გაზიდვაზე მარგანეცის მრეწველთა ყრილობას გაეღო ნახევარი კაპიკი,რომელიც ამ მშენებლობის საქმეს უნდა მოხმარებოდა.გიორგი ზდანოვიჩი ამის წინააღმდეგი იყო იმ მოტივით,რომ ფოთის ნავსადგურის მშენებლობა ისედაც საკმარისად იყო დაფინანსებული,ხოლო ასეთი გამოსაღების დაწესება მძიმე ტვირთად დააწვებოდა მრეწველთა ყრილობის ბიუჯეტს, რომელიც,ძირითდად,ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებს ხმარდებოდა.ეს დავა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ბევრი

იწერებოდა მაშინ პრესაში ამის შესახებ.ამ საკითხს მიეძღვნა ცალკეული ბროშურებიც კი,იმართებოდა კამათი,რაც ბოლოს მაინც უშედეგოდ დამთავრდა(**კაკაბაძე,1969:81**).

2.3. გიორგი ზდანოვიჩის ღვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში

გიორგი ზდანოვიჩი ოთხი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. დედამ,მაია მიქელაძემ,თავისი ბედი დაუკავშირა ქუთაისის გუბერნიის პროკურორს ლევან ნიკოლოზის ძე ქორქაშვილს. ის განათლებული, ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანი იყო. გიორგის რადიკალურად აღზრდის საკითხში, გარდა იმისა, რომ ის რევოლუ-ციური სულისკვეთებით განწყობილი ბაბუის (1855 წელს მეფის რუსეთმა პოლონეთში 1830 წელს აჯანყებაში მონაწილეობის გამო საქართველოში გადმოასახლა) და მამის გარემოცვაში იზრდებოდა, მისი მამინაცვალიც ლევან ქორქაშვილი მეტად მტრულად იყო განწყობილი მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიმართ საქართველოში.

ბავშვობაში გიორგი ზდანოვიჩი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თანატოლ გლეხის ღარიბ ბავშვებთან.იგი თავისი თვალით ხედავდა და განიცდიდა მათს დუხჭირ ცხოვრებას, მათი მშობლების უუფლებობასა და დამცირებულ მდგომარეობას. ცხოვრებისაგან მიღებული და ნანახი სურათები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მომავალ რევოლუციონერზე. სკოლის ასაკში ის გატაცებული იყო ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ლიტერატურით. მან ადრევე შეიცნო სოციალური ბოროტება და ის ეროვნული ჩაგვრა, რასაც მეფის რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ მდგომი ხალხი განიცდიდა. მთელი არმია ისპრავნიკებისა, ურიადნიკებისა, ჟანდარმებისა, პოლიციელებისა, ჩაფრებისა, რომლებიც იცავდნენ მეფესა და მემამულე მშრომელებს სასტიკად უსწორდებოდნენ. მცირეწლოვანი გიორგი ამ ყველაფრის მოწმე ხდებოდა. ამას ემატებოდა ქართველ ხალხში რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარება. ყოველივე ეროვნულის ჩახშობა, ხელისუფლება არარუს ეროვნებათა „გარუსების" პოლიტიკას ატარებდა. ცარიზმი არარუსი ხალხის ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა. გიორგი ზდანოვიჩი ირგვლივ გამეფებულ ბოროტებას საკუთარი თვალით ხედავდა. რუს მოხელეთა თვითნებობა მასში მრისხანე გულისწყრომას ბადებდა. სწორედ ამგვარმა ფაქტორებმა, ირგვლივ გამეფებულმა აუტანელმა სოციალურმა ბოროტებამ და ქართველი ხალხის ეროვნულმა ჩაგვრამ მოახდინა გადამწყვეტი გავლენა გიორგი ზდანოვიჩის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

1871 წელს გიმნაზიის დასრულების შემდეგ,გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა შორეულ პეტერბურგში. მან იქ თან

ჩაიტანა მეფის კოლონიური რეჟიმის სიძულვილით ანთებული გული, რომელიც მხოლოდ ნაპერწკალს ელოდა, რომ აფეთქებულიყო და იგი აფეთქდა კიდეც.

გიორგი ზდანოვიჩის პეტერბურგში ჩასვლა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც რუსეთის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა გატაცებული იყო „ხალხში გასვლის“ რევოლუციური იდეით, რომელიც ეპიდემიასავით ვრცელდებოდა. ამ რევოლუციურ მოძრაობაში ფართოდ მონაწილეობდა რუსეთში უმაღლესი განათლების მისღებად წასული ქართველი ახალგაზრდობა. მათ საამისოდ გარკვეული მიზეზები ჰქონდათ;თავიანთი სამშობლოს დამონებული და უუფლებო მდგომარეობა, საქართველოში გამეფებული აუტანელი სოციალური ჩაგვრა, ეროვნული ენისა და კულტურის შევიწროება და გამოდევნა, მეფის მოხელეთა სიბეცე, ცარიზმის მიერ საქართველოში ქართველი ხალხის გარუსების პოლიტიკის გატარება. განსაკუთრებულად მძიმედ ქართველი სტუდენტობა განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას, ქართული ენის გაქრობის მცდელობას, ეროვნული კულტურისა და ეროვნული დაწესებულებების უგულებელყოფას. უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორი შემართებით გამოხატავდნენ ქართველი ახალგაზრდები პროტესტს ამგვარი მდგომარეობისა, და წეს-წყობილების მიმართ. როდესაც ასეთი პროტესტანტული სულით გამსჭვალული ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში მიდიოდა უმაღლესი განათლების მისაღებად, მათ თან მიჰქონდათ ეროვნული შეურაცხყოფის გრძნობა და სიძულვილი სოციალური ბოროტებისადმი.

ქართველი სტუდენტებისათვის ნათელი ხდებოდა, რომ, გარდა იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომელიც ერთნაირად ჩაგრავდა რუს და ქართველ ხალხს, არსებობდა მეორე მოწინავე და პროგრესულად განწყობილი საზოგადოება და მათი შთამომავალი, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა სოციალური ბოროტებისა და ხალხთა ეროვნული ჩაგვრის მოსასპობად.ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ რევოლუციური მოძრაობა გაანადგურებდა ისტორიულ უსამართლობას და ხალხს თავისუფლებასა და ბედნიერებას მოუტანდა.

სტუდენტი გიორგი ზდანოვიჩი თვითონ ცხოვრებამ დააყენა არჩევანის წინაშე: გაჰყოლოდა უმაღლესი ცოდნის მიღების გზას და, როგორც ექიმს, ემსახურა თავისი ხალხისათვის,თუ ჩაბმულიყო რევოლუციურ ბრძოლაში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რადგანაც გიორგი ზდანოვიჩი ყოველთვის თავისი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდა, ამიტომ მან ხანგრძლივი ფიქრისა და მერყეობის შედეგად, თავისი უსაყვარლესი დედის სურვილის საწინააღმდეგოდ,გადაწყვიტა, თავისი მომავალი მოღვაწეობის ასპარეზად პროფესიული რევოლუციონერის ეკლიანი გზა აერჩია და შეეწირა ამ საქმისათვის ყველაფერი, რაც კი გააჩნდა - პირადი კეთილდღეობა, დაუშრეტელი ენერგია და ნიჭი.

XIX საუკუნის 70-იან წლებში გიორგი ზდანოვიჩი სტუდენტობიდანვე აქტიურად თანამშრომლობდა რუს და ქართველ რევოლუციურ-დემოკრატთა წრეებთან. მან თავის თანატოლ-თანამოაზრეებთან (ძირითადად ქართველ და რამდენიმე სხვა ეროვნების სტუდენტთან) ერთად დააარსა არალეგალური პოლიტიკური წრე, რომელიც ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას. მათ შორის იყო „ქართველთა წრე“ და „კავკასიის რევოლუციური წრე“. პირველად გიორგი ზდანოვიჩმა ურთიერთობა დაამყარა „კავკასიის რევოლუციონერთა წრესთან“.1874 წელს ივანე ჯაბადარის და სხვა ქართველი ეროვნული სულისკვეთების სტუდენტებმა კიდევ ერთი ახალი წრე „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაცია“ ჩამოაყალიბეს. ამ წრის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის იყო გიორგი ზდანოვიჩი. მათივე დამსახურებაა ცალ-ცალკე არსებული ქართული არალეგალური წრეების გაერთია ნება „ფრიჩის“ სახელწოდებით. მასში გაერთიანდნენ ძირითადად ქართველი სტუდენტები და სტუდენტური წრეები. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გიორგი ზდანოვიჩი იყო.იმპერიალისტური რუსეთის ბატონობის დამხობას რევოლუციაში ხედავდნენ. რთული პროცესი აღმოჩნდა გლეხების დარწმუნება რევოლუციური ნაბიჯების გადადგმაში.ამისი მიზეზი ისიც გახლდათ,რომ ახალგაზრდა რევოლუციონერები კარგად არ იცნობდნენ არც მუშებს და არც გლეხებს. არ იცოდნენ მათი ჭეშმარიტი საჭიროებანი. ამის დასტურად შეგვიძლია უამრავი მაგალითის მოყვანა. შევჩერდებით ერთ-ერთ მათგანზე: (გიორგი ზდანოვიჩის ტუნის ნაშრომზე.) არიან საზოგადოების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან მუშათა და გლეხთა ფენებს, მაგრამ ისინი საერთოდ არ იცნობენ რევოლუციურ წიგნებს და, რა თქმა უნდა, არც წაკითხული აქვთ რომელიმე მათგანი. წერილის ბოლოს: „გიგზავნით წიგნებს, იმოქმედეთ, იმუშავეთ მის გავრცელებაზე

მუშათა და გლეხთა ფენებში,არსებული დუხჭირი მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ რევოლუციური გზითაა შესაძლებელი და ბოლოს აჯანყდით!“

დადგა საჭიროება ქვედა ფენებთან დაახლოებისა. ახალგაზრდა რევოლუციონერებმა ფიქრისა და საუკეთესო გამოსავლის ძიების პროცესში გადაწყვიტეს-დადგა დრო გამოეყენებინათ ე.წ „ხალხში გასვლის“ მეთოდი, რათა გაეწიათ პროპაგანდა,რომ აღნიშნული რეჟიმიდან თავი დაეღწიათ.

მოგვიანებით შეიქმნა „რევოლუციური მოქმედების პროგრამა“. ეს პროგრამა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სახელოვანი თანამემამულის,გიორგი ზდანოვიჩის, სახელთან. მეფის იუსტიცია ამ პროგრამის შექმნას მთლიანად გიორგი ზდანოვიჩს მიაწერა თვითონ კი ამ ბრალდებას უარყოფდა.მოგვიანებით ჩატარებულმა ძიებამ და ექსპერტიზამ დაადასტურა,რომ პროგრამა ნამდვილად გიორგი ზდანოვიჩის ხელით იყო გადაწერილი.აღნიშნული პროგრამის მიხედვით,გარდა საერთო მოქმედებისა, ორგანიზაციის წევრებს დავალებული ჰქონდათ სხვადასხვა საკითხის მოგვარება და კურირება. გიორგი ზდანოვიჩს დაევალა ყველაზე რთული,ხიფათით სავსე და საპასუხისმგებლო საქმე. მას ეკისრებოდა უცხოეთიდან აკრძალული ლიტერატურის მოძიება, ფარულად შემოტანა და საქართველოში მისი გავრცელება. გიორგი ზდანოვიჩი, როგორც რევოლუციონერი, ცნობილი იყო მეტსახელად „რიჟა“. ის ორგანიზაციის წევრთა შორის დიდი გავლენით სარგებლობდა.საბოლოოდ სწორედ ეს ისტორიული დოკუმენტი დაედო საფუძვლად „50-ის პროცესის“ ცნობილ პოლიტიკურ პროცესს. გასამართლებულთა შორის იყო გიორგი ზდანოვიჩი, რომელსაც რუსეთის მეფის ჟანდარმერიამ აღმოუჩინა ე.წ „რევოლუციური მოქმედების პროგრამა“.

მეფის ჟანდარმერიამ და საიდუმლო პოლიციამ კარგად იცოდნენ , თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა გიორგი ზდანოვიჩი რევოლუციონერთა შორის. აქედან გამომდინარე, ყველა ღონეს ხმარობდნენ და ხელიდან არ უშვებდნენ მისი ხელში ჩაგდების შესაძლებლობას. მარჯვე და მოხერხებული კონსპირატორი ოსტატურად უსხლტებოდათ ხელიდან და მასთან კარგა ხანს ვერაფერი გააწყვეს.

საბოლოოდ მეფის ჟანდარმერიამ და საიდუმლო პოლიციამ მაინც შეძლეს მიეგნოთ რევოლუციური ორგანიზაციისათვის და დაეპატიმრებინათ მისი მეთაურები. 1875 წელს, ვინმე გამცემის გამო კი არა, სრულიად შემთხვევით, საქმე გახსნა ისეთმა

ადამიანმა,რომელიც არ უკავშირდებოდა რევოლუციურ საქმიანობას. მასობრივად დაიწყო რევოლუციონერთა ჩავარდნა-დაპატიმრებები.პირველი დაპატიმრებების ტალღას გიორგი ზდანოვიჩი გადაურჩა. მოგვიანებით,1875 წლის სექტემბერში, როდესაც გიორგი ზდანოვიჩმა არალეგალური წიგნებით სავსე ტვირთს მიაკითხა, ჟანდარმერიამ აიყვანა. აღნიშნულ ტვირთში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი რევოლუციური ხასიათის ლიტერატურის დიდი რაოდენობა. გიორგი სარგებლობდა ყალბი პასპორტით, რომელიც ვინმე ვერნერის სახელზე იყო გაცემული. ასევე ზდანოვიჩს მიზნობრივად ჰქონდა შეცვლილი თმის ფერი. პასპორტი ჩამოართვეს. გიორგი ზდანოვიჩი უარყოფდა თავის ვერნერობას და ამბობდა, რომ პასპორტი ბაზარში შემთხვევით იპოვა. თვითონ თავი ივანე ანდრეევის სახელით გააცნო. ანდრეევის ბინაც გაჩხრიკეს, იქაც მრავლად აღმოჩნდა აკრძალული ლიტერატურა და რევოლუციური მოქმედების ამსახველი დოკუმენტაცია. ის დანაშაულს არ აღიარებდა და უარყოფდა ზემოთ აღნიშნული მასალის კუთვნილებას. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, გამოძიებამ შეძლო და დაადგინა მისი ვინაობა და საქმიანობის სფერო. ასევე ამას ხელი შეუწყო მისი გარეგნობის ბუნებრივ მდგომარეობაში ჩადგომის პროცესმა, კერძოდ, შეღებილმა თმამ ბუნებრივი ფერი მიიღო. საბოლოოდ გიორგი ზდანოვიჩს მოუწია თავისი ვინაობის აღიარება.

ამგვარად, ფარული ორგანიზაციების აღმოჩენიდან შვიდი თვის გასვლის შემდეგ ჩავარდა გიორგი ზდანოვიჩი. მეფის ჟანდარმერია გამარჯვებას ზეიმობდა, ცდილობდნენ ეს ფაქტი დასაშინებლად გამოეყენებინათ და სასტიკად გაესწორებინათ ანგარიში „შეთქმულთათვის“.მიზნად ჰქონდათ დასახული,სახელი გაეტეხათ მათთვის და მათი საქმიანობისათვის საზოგადოების თვალში.

1874 წლის ივლისიდან დაწყებული არაერთი პოლიტიკური პროცესი გაიმართა. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია „50-ის“ და „193-ის“ პროცესები. პირველი 1877წლის თებერვალ-მარტში, ხოლო მეორე კი 1877 წლის ოქტომბრიდან 1878 იანვრამდე გაგრძელდა. „50-ის“ პროცესზე გასამართლდა 50 ბრალდებული, აქედან გამომდინარე მიიღო სახელწოდება აღნიშნულმა პროცესმა.გასამართლებულთა შორის იყო ხუთი მოწინავე ქართველი სტუდენტი.ისენი მეფის თვითმმართველობის წინააღმდეგ მებრძოლი და მგზნებარე რევოლუციონერები,ასევე დაუცხრომელი სულის ადამიანები იყვნენ.დაპატიმრებულთა რიცხვმა 1874-1878 წლებში ორი ათას კაცს

გადააჭარბა. გამოძიებამ თითქმის 37 გუბერნია მოიცვა. მათი რიცხვი კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, მაგრამ სასამართლო პროცესამდე ბევრი მათგანი საპატიმროში საშინელი მოპყრობისა და ფსიქიკური აშლილობის გამო,გასამართლებამდე, გარდაიცვალა. ბევრი მათგანი კი, ადმინისტრაციული წესის მიხედვით, ციმბირში გადაასახლეს.

აღნიშნულ პატიმართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ 22 წლის, ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე ჭაბუკი,გიორგი ფელიქსის-ძე ზდანოვიჩი. „50-ის“ პროცესზე გიორგი ზდანოვიჩის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ღრმა ანალიზი მოიცვა არსებული წყობილების უვარგისობაზე.მისი სიტყვა ელვის სისწრაფით გავრცელდა საზოგადოებაში და დღემდე არ დაუკარგავს თავისი მიმზიდველობა და აქტუალურობა.

მეფის მთავრობა მიზნად ისახავდა, ძირფესვიანად ამოეძირკვა რევოლუციური მოძრაობა. პროცესი ღია საჯარო მოსმენით მიმდინარეობდა. ახალგაზრდა რევოლუციონერებმა სასამართლო პროცესი გამოიყენეს ტრიბუნად. მათ მიეცათ შესაძლებლობა,თავიანთ სიტყვაში გადმოეცათ ხალხის ბეჩავი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები, აეხსნათ საზოგადოებისათვის მათი ლეგალურად მოქმედების საჭიროება.მათ ისაუბრეს იმაზედაც, რომ ხალხის ბეჩავმა და უუფლებო მდგომარეობამ განაპირობა მათი რევოლუციურ გზაზე დადგომა. საზოგადოება გაოცებული იყო ახალგაზრდა რევოლუციონერთა მტკიცე სულისკვეთებით. მეფის მთავრობა, რომელიც დასთანხმდა ამ საქმის საჯაროდ განხილვას, ასეთ შედეგს არ ელოდა. ისინი ფიქრობდნენ, „წითელი აჩრდილით” დაეშინებიათ საშუალო ფენა, შიშზე დაეფუძნებინათ თავისი პოლიტიკა და მთელი საზოგადოების თვალში მოეხდინათ ამ მოძრაობის დისკრიმინაცია.მეფის რუსეთი იმედოვნებდა,რომ ხალხი მათ ზიზღითა და სიძულვილით შეხედავდა. ეს ყველაფერი კი მოხდა პირიქით.

პროცესმა ყველას ნათლად დაანახა, თუ ვინ იყვნენ ეს ბრალდებულები, რისთვის და ვისთვის სწირავდნენ ისინი თავს. პროცესზე ნანახმა და მოსმენილმა საზოგადოების უმრავლესობაში იდეისათვის ამ წამებულთა მიმართ გულწრფელი თანაგრძნობა და არსებული რეჟიმისათვის მათი ზიზღი და სიძულვილი დაბადა. ეს მეფის მთავრობის სრული პოლიტიკური კრახი, მათი სიბეცის კიდევ ერთი დადასტურება იყო. მოგვიანებით მათ სურდათ პროცესის საჯაროობის შეზღუდვა, მაგრამ ბრალდებულთა გულწრფელი სიტყვებიდან საზოგადოებამ იგრძნო, რომ იბადებოდა ახალი ძალა.

პროცესზე გიორგი ზდანოვიჩს თავი ამაყად და უშიშრად ეჭირა.უარს აცხადებდა დამცველის ყოლაზე. მეფის სასამართლომ გიორგი ზდანოვიჩს ექვსი წლითა და რვა თვით საკატორღო მუშაობა ყველა უფლების ჩამორთმევით მიუსაჯა. განაჩენი წარედგინა მის უდიდებულესობას შერბილების მიზნით, მაგრამ იმპერატორმა, ჟანდარმერიის შეფის რჩევით, იგი უცვლელად დატოვა ძალაში.

პროცესში მონაწილე ბრალდებულთა გმირულ შემართებას, იდეისათვის მათს თავგანწირვას ეხმაურებოდა მაშინდელი პრესა, ლიტერატურა.ხელოვნების მუშაკებიც მათს მხარეზე იყვნენ.მსოფლიო პრესა, რომელიც მსოფლიო საზოგადოების აზრს გამოხატავდა, მთლიანად იწონებდა წამებულთა თავგანწირვას.

გიორგი ზდანოვიჩი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახელმწიფო დამნაშავე, თოთხმეტი წლის განმავლობაში ციხეებში, საკატარღო სამუშაოებზე და გადასახლებაში იმყოფებოდა.

ზდანოვიჩის მსგავსად,მაქსიმალური სასჯელის ზომები იყო გამოყენებული ახალგაზრდა რევოლუციონერთა მიმართ. ეს იყო არა მართლმსაჯულება, არამედ ანგარიშსწორების აქტი ბრალდებულთა მიმართ.

განსაკუთრებით საამაყოა ის ფაქტი, ამ შესანიშნავ მებრძოლთა ავანგარდში ვხედავთ საქართველოს არაერთ სახელოვან შვილს, მათ შორის გიორგი ზდანოვიჩს. მეფის საპყრობილეებში ხანგრძლივმა ყოფნამ ოდნავაც ვერ გასტეხა გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) მებრძოლი და შეუდრეკელი გული, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა რევოლუციური იდეებისადმი. იგი მზად იყო პირადი ბედნიერება მსხვერპლად მიეტანა ხალხის კეთილდღეობისათვის და საფრთხის წინაშე არასოდეს უკან არ იხევდა. გიორგი დიდი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში. იგი ხალხის განთავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო. იყო შესანიშნავი ორატორი, კარგი აგიტატორ-პროპაგანდისტი,დიდი ნიჭისა და რკინისებური დისციპლინის ადამიანი,მაღალი მორალური თვისებებით დაჯილდოებული მოღვაწე, მგზნებარე ტემპერამენტის რევოლუციონერი - ეს თვისებები მას რევოლუციონერთა შორის წინა პლანზე აყენებდა, მისი გავლენა ყველგან იგრძნობოდა.

1889 წელს სულიერად მხნე გიორგი ზდანოვიჩი და იმაზე ფიქრით დაბრუნდა, თუ როგორ გამოეყენებინა თავისი მომავალი ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის

სამსახურისთვის. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მისი მებრძოლი ბუნება ვერაფერმა გატეხა. მის მიერ განვლილი გზა მას მიაჩნდა სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებად. იგი საქართველოში მორალურად გამარჯვებული გაბრუნდა და ჩვეული ენერგიითა და მგზნებარე ტემპერამენტით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.მან თავისი მოღვაწეობის სფეროდ პუბლიცისტურ-კრიტიკული მოღვაწეობა აირჩია. ამ მიზნით,აირჩია პუბლიცისტის მახვილი კალამი, რომელიც სიკვდილამდე არ გაუშვია ხელიდან. მან, როგორც ფართო და მაღალი გემოვნების პუბლიცისტმა, რომელიც ფლობდა რამდენიმე უცხო ენასა და იცნობდა, ადგილობრივის გარდა, უცხოურ ლიტერატურას, მალევე მოიხვეჭა სახელი მკითხველთა შორის.ის საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტი გახდა. გიორგი ზდანოვიჩის დიდი ერუდიციის დამადასტურებელია ისიც, რომ ის შესანიშნავად უთავსებდა პრაქტიკულ საქმიანობასა და მწერლობას საზოგადოებრივ მოღვაწეობას.მან მეტად მდიდარი კრიტიკულ-პუბკიცისტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ის მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იღვწოდა მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყანაში ეროვნული სულისკვეთების გამოღვიძებისათვის.იგი ხშირად მოუწოდებდა საზოგადო მოღვაწეებს ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ გამოსვლას. ის ამბობდა, რომ მხოლოდ ღრმა ეკონომიკური ცვლილებები მიიყვანს ქვეყანას ნამდვილ თავისუფლებამდე და ეროვნულ დამოუკიდებლობამდე,გაათავისუფლებს დამონებულ საზოგადოებას დამოკიდებულე ბებისაგან და მოუტანს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას. გიორგი ზდანოვიჩს გულს უკლავს ის, რომ დიდიხანია ხედავს სამშობლოს, საქართველოს, გაჩუმებულს და გაყინულს, რომელსაც „თითქოს აღხოცოდეს" კაცები, რომელთაც შეუძლიათ იკისრონ მოვალეობა, გახდნენ ბელადნი მოძრაობისა, რომ ამით გამოაღვიძონ ხალხი იმ ღრმა ძილისაგან, რომელსაც მიეცა ისტორიული წამებისა და ტანჯვის შემდეგ ჩვენი ქვეყანა. მას მოჰყავს მაგალითი აკაკი წერეთლის ლექსიდან „ავადმყოფი":„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს", გიორგი ზდანოვიჩს მხედველობაში ჰყავს თერგდალეულები, რომლებიც სათავეში უდგნენ ქართველი ხალხის ნაციონალურ მოძრაობას. ქართველ ხალხში კვლავ გაიღვიძა ნაციონალურმა სულისკვეთებამ. სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე, საზოგადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა. ისინი გამოიწვია დრომ.

გიორგი ზდანოვიჩის კრიტიკა ხშირი იყო მათ მიმართ, ვინც საქართველოს ბეჩავი მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთ გზას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის მოგვარებაში ხედავდა. ეს ძალიან საჭირო ნაბიჯი იყო, მაგრამ არა ერთადერთი. ქვეყნისათვის პრაქტიკული მოქმედება და საქმე გადამწყვეტი იყო. თვით ზდანოვიჩმა 1909 წელს დააარსა და გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ზდანოვიჩი სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრად და ამ პარტიის ლიდერად ითვლებოდა, სხვა პარტიების წევრთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და დიდად ენდობოდნენ. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობის პერიოდში, როცა შედგა ინტერპარტიული კომიტეტი, იგი ამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს მოხდა იმ დროს,როცა რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ედგა სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტია, ხოლო გიორგი ზდანოვიჩი კი ეკუთვნოდა ახლად დაარსებულ, არამარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძველზე მდგომ პარტიას, რომელიც იმ დროს ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენდა. გიორგი ზდანოვიჩის ამ ფრიად პასუხსაგებ პოსტზე არჩევა, რასაკვირველია, აიხსნება მისადმი დიდი ნდობითა და უაღრესი პატივისცემით.

1905 წელს რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი).მას უფრო მუშაობდა საორგანიზაციო საქმეების მოგვარებაზე.1906 წელს ქ.ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გარედან გაიყვანეს გვირაბი და ციხიდან ბევრი პატიმარი გაიპარა. ამ საქმეს მეთაურობდა გიორგი ზდანოვიჩი, როგორც ინტერპარტიული კომიტეტის თავმჯდომარე და სამუშაოებიც მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი ზდანოვიჩი გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით. ლაპარაკობდა ზომიერი ხმით, აუჩქარებლივ, ზომიერი ჟესტებით და რკინისებრი ლოგიკით.მაგრამ თუ მოწინააღმდეგე კამათის დროს შეუჩუჩხურებდა,მაშინ კი აენთებოდა, ხმას აუწევდა და, როგორც იტყვიან, პირდაპირ „ცეცხლს აფრქვევდა პირიდან,“ ყოველი მისი გამოთქმული ფრაზა მოწინააღმდეგეს ლახვარივით ხვდებოდა. იმ დროისათვის გიორგის ასეთმა თვისებამ არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადაადგმევინა მას ეროვნული სულისკვეთების საქმეში.

ქართველმა ერისკაცებმა დაიწყეს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.1905 წელს მეფის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აგრესიით შეშინებულმა კავკასიის მეფისნაცვალმა, გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა,გადაწყვიტა პატარ-პატარა დათმობებზე წასვლა და დაიწყო მოსახლეობის გამოკითხვა ერთობის შემოღების შესახებ. მთელ საქართველოში მხოლოდ ამაზე საუბრობდნენ... ყველა ქალაქში იმართებოდა თათბირები, დისკუსიები, როგორი ტიპის ერთობა შემოეღოთ, როგორ ემოქმედათ. ასეთი თათბირი ქუთაისშიც ჩატარდა.

ქუთაისის თეატრში ნემსის ჩასავარდნი ადგილიც კი აღარ იყო. ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. სიტყვა გიორგი ზდანოვიჩმაც ითხოვა-დინჯად გავიდა კათედრასთან -წარმოსადეგი, შავ სერთუკში, ოქროს სათვალით და ისე დამაჯერებლად დაიწყო სიტყვის წარმოთქმა, რომ დარბაზი გაირინდა. იდგა და არჩევდა- „იმ მიზნით, რომ ხალხის ფართო მასებმა მიიღონ მონაწილეობა მართვა-გამგეობაში, მოითხოვს-შემოღებულ იქნას წვრილი საერო ერთეულები-სათემო ერთობა... ამას ის დადებითი მხარეები აქვს,რომ...“ ამ დროს მეფისნაცვლის მომხრეები აჩოჩქოლდნენ, ზდანოვიჩმა ამას ყურადღება არ მიაქცია და დინჯადვე განაგრძო, მაგრამ დარბაზში უცებ გასროლის ხმა გაისმა...ტყვია ზდანოვიჩს ასცდა, მაგრამ ისე ახლოს ჩაუარა, რომ მისი სერთუკის კალთა გახვრიტა... სიტუაცია აირ-დაირია... ზოგი გაფითრდა, ზოგმა გაქცევა დააპირა... პოლიციამ ხმა არ ამოიღო- სავარაუდოდ, წინასწარ იცოდა,რაც მოხდებოდა და თავი არ შეიწუხა. ზდანოვიჩი ტრიბუნასთან იდგა და მშვიდად ელოდა ხალხის დაწყნარებას...

„-მე აქ ვიღაც ხულიგანმა რევოლვერი მესროლა, -თქვა ბოლოს, ტყვიამ სერთუკში გამიარა. ალბათ ეგონა, რომ ეს შემაშინებდა და სიტყვას შევწყვეტდი. ის უბადრუკი შეცდა. მე ტყვია მკერდშიც რომ მომხვედროდა, თუ ლაპარაკის უნარი მექნებოდა, სანამ ჩემს სათქმელს არ დავამთავრებდი ,ამ ტრიბუნიდან არ ჩამოვიდოდი... მე გირჩევთ, ასეთ ხულიგნურ გამოსვლებს თავი დაანებოთ, ამით თქვენ ვერავის შეაშინებთ, ვერ შემაშინებთ მეც, ამიტომ წამოჭრილ საკითხზე ლაპარაკს კვლავ განვაგრძობ...“-და სიტყვა ბოლომდე დაამთავრა. დარბაზი ოვაციებისგან კინაღამ დაინგრა...(**ვაჭრიძე, 1995:290**)

გიორგი ზდანოვიჩი დიდი პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა და,თუ ვინმე საქართველოს შესახებ ცუდს ან რაიმე უმართებულოს იტყოდა, არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა და ბურთს ჩასჩრიდა პირში. (**ვაჭრიძე,1995:294**). არ შეიძლება

ყურადღების მიღმა დავტოვით კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი საქართველოს მამულიშვილისა.1914 წელს თბილისში ცნობილი რუსი პოლიტიკური მოღვაწე, შემდგომში დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი, იურისტი, ადვოკატი ალექსანდრ კერენსკი ჩამოვიდა. ის მაშინ სათათბიროს დეპუტატი და „ტრუდოვიკების“ფრაქციის თავმჯდომარე გახლდათ. მისი ვიზიტი საქართველოში საქმიანი იყო. წინა წელს კიევში ჟურნალი „ნოროდნოსტი როსიი“ შეიქმნა, რომელსაც ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი ლედნიცკი რედაქტორობდა. ჟურნალს იმ მცირე ერთა კულტურულ-პოლიტიკური დონე უნდა გამოერკვია, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ და გადაეწყვიტა ავტონომიის საკითხი-მზად იყო თუ არა ესა თუ ის ერი თავისუფლებისთვის, ქვეყნის დამოუკიდებლად მართვისთვის...

„ნოროდნოსტი როსიიში“ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მუშაობდნენ... საქართველოდან წარგზავნილი გახლდათ კიტა აბაშიძე.

ალექსანდრე კერენსკიმ მოიარა თითქმის მთელი საქართველო, ესტუმრა კულტურულ, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ დაწესებულებებს, გაეცნო მათს ხელმძღვანელებს, მოღვაწეებს, უბრალო თანამშრომლებს...ბოლოს ქუთაისში შემაჯამებელი თათბირის მოწყობა განიზრახა. იქ სურდა გამოეტანა ვერდიქტი-მზად იყო თუ არა საქართველო ავტონომიისთვის.

თათბირი შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში გაიმართა. ვისაც ხელი მიუწვდებოდა, ყველა კრებისკენ მიილტვოდა. ღელავდნენ ქართველები. ვიღაც კერენსკის მათი საუკუნეობრივი ისტორია, კულტურა და ტრადიციები უნდა შეეფასებინა.

კრებას გიორგი ზდანოვიჩი თავმჯდომარეობდა. კერენსკიმ, როგორც იქნა, დაიწყო- გააშუქა ჩვენი ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა, ცხოვრების, განათლების დონე და გადაწყვიტა,ასეთი ჩამორჩენილი ქვეყნისთვის ავტონომია ჯერ ძალიან ადრეაო...

დარბაზი ბობოქრობდა. ალექსანდრ კერენსკი თავისას „უბერავდა“. ზდანოვიჩი ოლიმპიური სიმშვიდით ისმენდა სულელურ, დამამცირებელ ვერდიქტს, ერთ წერტილს მისჩერებოდა გაბრაზების დასაფარავად. ორატორმა სიტყვა დაასრულა და ახლა კამათზე გადავიდეთო,მიმართა საზოგადოებას...

- დაასრულეთ? - მაინც ჩაეკითხა ზდანოვიჩი.

- დიახ, როგორც უკვე მოგახსენეთ,-მიუგო განცვიფრებულმა ალექსანდრე კერენსკიმ.

- დიდად პატივცემულო ალექსანდრ ფიოდოროვიჩ, მე რომ წინასწარ მცოდნოდა საქართველოსა და ქართველ ინტელიგენციაზე ასეთი აზრის იყავით, ასეთ საპატიო თათბირს არ მოვიწვევდი. შემდეგ კი დარბაზს მიმართა - არავითარი კამათი არ იქნება, თათბირს დახურულად ვაცხადებო.

კერენსკი გაფითრდა და გიორგი ზდანოვიჩთან შეკამათება სცადა:

- მე ასე არ მინდოდა მეთქვა, მე სხვა აზრი მქონდა, მე...

- თქვენ რაც გინდოდათ, მშვენივრად გადმოეცით, ყველაფერი გასაგებიაო - უპასუხა ზდანოვიჩმა, წამოდგა და დემონსტრაციულად გაემართა გასასვლელისკენ...

იმ დღეებში საქართველოში მხოლოდ ამაზე საუბრობდნენ, ის კი არა, ამბავმა რუსეთშიც ჩააღწია - როგორი სილა გაუწნავს გიორგი ზდანოვიჩს ალექსანდრე კერენსკისთვისო! იმ დღეს კერენსკიმ სრული კრახი განიცადა...**(კლდიაშვილი,1947:895).**

გიორგი ზდანოვიჩთან ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და განიხილავდნენ ერის საჭირბოროტო საკითხებს, მსჯელობდნენ კოლონიურ პოლიტიკაზე, იმაზე, თუ როგორ დაეღწიათ თავი რეჟიმის მარწუხებისაგან. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. გიორგი ზდანოვიჩი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ასეთ განხილვებში. იგი,მისთვის ჩვეული პირდაპირობით,იბრძოდა იდეისათვის, არსებული სოციალურ-პოლიტიკური უკუღმართობათა წინააღმდეგ. "ზდანოვიჩის ავტორიტეტი უსაზღვრო იყო... მაგრამ ასევე უსაზღვრო იყო მისი თავმდაბლობა... მშვენიერი სანახავი იყო იგი მუშების წარმომადგენელთა შორის, მისი მუსაიფი მათთან, მუსაიფი გულწრფელი და მისთვის მზრუნველი ადამიანის... გიორგი ზდანოვიჩს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ცდილობდნენ,დაეცათ მისი ავტორიტეტი, მაგრამ ასეთი ოპოზიცია ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა, რადგანაც ხალხმა კარგად იცოდა, თუ ვინ იყო გიორგი ზდანოვიჩი და ვისი ინტერესებისათვის იღვწოდა იგი **(კაკაბაძე, 1969:99).**

გიორგი ზდანოვიჩს შთამბეჭდავი გარეგნობა ჰქონია – მაღალი, სრული ტანის, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, წელში გამართული, მხარბეჭიანი. თავი დაფარული ჰქონდა მაღალი წაწვეტებული თმის ვარცხნილობით, ნიკაპი შემოსილი ჰქონდა იმდროინდელი

მოდის მიხედვით კოხტა შეპარსული წვერით (ატარებდა ბლანჟეს), რასაც მაღლიდან ამაყად დაჰყურებდა მოგრძო, კოხტად დაგრეხილი და ოდნავ ქვევით დაწეული ულვაშები. თმა ჟღალი ჰქონდა **(ვაჭრიძე,1995:91).**

ალ. წერეთელი საუბრობს გიორგი ზდანოვიჩის პიროვნულ თვისებებზე: "წინამძღოლი, მასწავლებელი, თანამედროვე საზოგადოების სახე" **(წერეთელი,(1917) გაზ. სახალხო საქმე, # 17).**

საერთოდ გიორგი ზდანოვიჩს არ უყვარდა საკუთარ თავზე წერა და ლაპარაკი, თუმცა საწერიც და სალაპარაკოც ძალიან ბევრი ჰქონდა. სძულდა გარეგნული ბრწყინვალება და თეატრალობა. იყო უბრალო და მეტად გულისხმიერი, ბევრს ეხმარებოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. მის პირად არქივში დაცული მასალები ადასტურებენ ამ ფაქტს **(კაკაბაძე,1969:100).**

გიორგი ზდანოვიჩი და მისი ოჯახი ყოველთვის გამოირჩეოდა თანადგომით, გულუხვობითა და სტუმართმასპინძლობით.

გიორგის თანამოაზრეებს არაერთხელ მიუღიათ თავშესაფარი მის ოჯახში, დედა, მაია მიქელაძე,მათზე საკუთარი შვილებივით ზრუნავდა. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გიორგი ლასხიშვილის მემუარებიდან: „ამრიგად, 1888 წლის იანვრის ოც რიცხვში ისევ ქუთაისს მომიხდა ჩასვლა. პირველი ჩემი განზრახვა იყო-მაშინვე გამეგზავნა თხოვნა კიევის ან ხარკოვის უნივერსიტეტში. საქმე ისაა, რომ ოდესის უნივერსიტეტის მმართველობამ ყველა გამორიცხულთ ერთნაირი მოწმობა არ მოგვცა. ზოგს მოწმობაში აღნიშნული ჰქონდა-გამორიცხულია და ნება აღარ აქვს სხვა უმაღლეს სასწავლებელში შესვლისაო. მე ეს არ მეწერა ჩემს მოწმობაში და ამიტომ სრული იმედი მქონდა, რომ სხვა უნივერსიტეტში უთუოდ მიმიღებდენ, მაგრამ მალე ამ განზრახვის ასრულება დროებით გადავდე: ერთის მხრით, სანამ მე თხოვნას გავგზავნიდი და პასუხს მივიღებდი, სამოსწავლო წელიწადიც გათავდებოდა; მეორე მხრივ, არც საშუალება მქონდა. ამიტომ გადავწყვიტე, გაკვეთილები ან რამე ადგილი მეძებნა, ცოტა ფული შემეგროვებინა და უნივერსიტეტისაკენ მომავალ შემოდგომაზე გავმგზავრებულიყავი. მაგრამ ამ დროს გადამხდა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი, რომელმაც ყველა განზრახვა-პლანი სრულებით დამიწეწა და სულ სხვარიგად დაატრიალა ჩემი ცხოვრების ჩარხი.

ქუთაისში მე დავბინავდი ჩემი ნათესავის - ლევან ქორქაშვილის ქვრივის სახლში.

იმერეთში, რასაკვირველია, დღესაც ბევრს ახსოვს აწ განსვენებული მარიამი ანუ, როგორც ყველანი ეძახდენ, მაია მიქელაძის ქალი - ქორქაშვილისა. ის თავის დროზე განთქმული იყო სილამაზით, დარბაისლობითა და ჭკუით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული განათლება არ ჰქონდა მიღებული, შედარებით განვითარებული ადამიანი იყო და ესმოდა ახალი დროის მისწრაფება-მოთხოვნანი. ამ მხრით მასზე დიდი გავლენა მოახდინა უსაყვარლესი შვილის – გიორგი ზდანოვიჩის (მაიას პირველი ქმარი სამხედრო ექიმი ზდანოვიჩი იყო) დატუსაღებამ, გასამართლებამ და ბოლოს კატორღაში გაგზავნამ. გიორგი 17 წლის არც კი იყო, ქუთაისის გიმნაზია რომ გაათავა და პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შევიდა. მალე ის ჩაერია მაშინდელ რევოლუციურ მოძრაობაში და თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა მოწინავე მებრძოლ ახალგაზრდობაში, როგორც დიდი ენერგიის, ნიჭის, ღრმა რწმენისა და მეტად კეთილშობილური გულის ადამიანმა. 1876 წელს იგი დაატუსაღეს, რამდენიმე წლის შემდეგ გაასამართლეს (ეგრეთ წოდებული, ორმოცდაათის პროცესი) და ექვსი წლით კატორღა მიუსაჯეს. ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარა ახალგაზრდამ, დატუსაღებიდან დაწყებული, ვიდრე სამშობლოში დაბრუნებამდე. ადვილად წარმოსადგენია, როგორ იტანჯებოდა დედამისი, რომლისთვისაც გიორგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და რომელსაც სიზმარშიაც კი არ მოელანდებოდა, თუ მის საყვარელ ბავშვს ასეთი მწარე ბედი ხვდებოდა!.

მოხუცებული ქალი ორჯერ წავიდა ქუთაისიდან რუსეთში-ერთხელ-პეტერბურგში, მეორედ - ხარკოვში, თავისი შვილის საშველად და სანახავად. შვილს რაღას უშველიდა, ხოლო ნახვა კი მოახერხა. ზდანოვიჩი იმ დროს ბელგოროდის ცენტრალურ სატუსაღოში იჯდა, საიდანაც ციმბირში (კატორღაში) უნდა გაეგზავნათ. ხარკოვის გენ-გუბერნატორი მაშინ იყო ლორის-მელიქოვი, რომელიც პირადად იცნობდა მარიამ მათეს ასულს და შვილის ნახვის ნება მისცა მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ. ახალგაზრდა შვილის პირველმა ნახვამ პატიმრის მაზრასა და ბორკილებში საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა მოხუცზე, რომელსაც ღრმად ჩაებეჭდა გულში ყველაფერი და აღივსო მძულვარებით მტარვალებისადმი. რამდენჯერ უამბნია ჩემთვის ტირილითა და ოხვრით ეს შეხვედრა და მთლად გიორგის თავგადასავალი. შემდეგში, როცა მე უკვე გიმნაზიაში უფროს კლასებში ვიყავი, რასაკვირველია, ჩემზე ეს ამბები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა... აღვნიშნავ აქვე, რომ უბედურ დედას უკვე ღრმად

მოხუცებულს და სიკვდილის პირას მდგომს, ბედმა გაუღიმა: 15 წლის განმავლობაში დაკარგული შვილის დაბრუნებას მოესწრო და მხოლოდ შემდეგ გარდაიცვალა. აი, ამ მოხუცებულ მანდილოსანს, რომელიც დედასავით მიყვარდა, ვებაასებოდი 1888 წლის 2 თებერვალს, როცა ზემოაღნიშნული ამბავი მოხდა, რომელმაც სრულებით სხვა მსვლელობა მისცა ჩემს ცხოვრებას. ის იყო ჩამოვიდა სოფლიდან და პირველი მისალმების შემდეგ ტკბილად, დედისამებრ მისაყვედურა: შვილო, რად იღუპავ თავს, შენც გიორგის მწარე გზაზე დგები?!.. მე ვუპასუხე, რომ საიმისო არა მომხდარა რა, სტუდენტების უბრალო არეულობა იყო, დროებით გამომრიცხეს და ისევ შევალ უნივერსიტეტში, ასე რომ საციმბირო და საშიში არა არის რა-მეთქი. ჯერ გათავებული არ მქონდა ეს საპასუხო ფრაზა, როცა ოთახში აჩქარებით შემოვიდა მოხუცებული მსახური და აკანკალებულის ხმით გვაუწყა: ეზოში აუარებელი პოლიცია შემოვიდა და აქეთკენ მოდიანო. გადავიხედეთ ფანჯარაში, მართლაც პოლიციელები და ჟანდარმები ალყას არტყამდენ სახლს, ბევრი კი მაღლა მოდიოდა, მეორე სართულისაკენ.

მე კარებში მივეგებე. აღმოჩნდა რომ ჩემთან მოდიოდნენ.ჟანდარმის ოფიცერმა გამომიცხადა, ოდესის ჟანდარმთა მმართველობის განკარგულებით უნდა გაგჩხრიკოთ და დაგაპატიმროთო .შევიყვანე ჩემს ოთახში. იქაურობა აიკლეს-ააქოთეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. სხვათა შორის,ამ გაჩხრეკიდან ერთი ეპიზოდი დამამახსოვრდა, რომელიც კარგად ახასიათებს, თუ სადამდე მიდიოდა „მათი” უაზრო ეჭვიანობა. ჩხრეკის დროს ჟანდარმის უფროსი ოფიცერი მომიბრუნდა და მკითხა: -ხშირად დადიხართ ხოლმე სოფელში? - სრულებით ვერ გავიგე,რას მეკითხება, როდინდელ ამბავს და პასუხი არ გავეცი.

-მე თქვენ გკითხავთ, სოფლებში ხშირად მოგზაურობთ?-მეორედ დამეკითხა ჟანდარმი. -მე ვუპასუხე, რომ ათი დღეა, რაც ჩამოვედი ოდესიდან და ჯერ ქუთაისიდან ფეხი არ გამიდგამსმეთქი. -მაშ ეს რა არის, რად გინდათ? - მიმითითა მან უნაგირზე, რომელიც დერეფანში ,ჩემი ოთახის კარებთან იდგა. ეს უნაგირი ჩემი არ არის, ჩემი სახლის პატრონების არის-მეთქი,-ვუპასუხე. გამოჰკითხეს მსახურს და ძლივს დამშვიდდნენ. ჟანდარმებმა იფიქრეს, ალბათ, სოფლად ხშირად დადის და პროპაგანდას ეწევაო.

გათავდა ჩხრეკა; ნება მომცეს შინაურებს გამოვთხოვებოდი და მეც შევედი ჟანდარმების თანხლებით ჩემი ძვირფასი ნათესავის ოთახში. მოხუცებული ქალი

თვალცრემლიანი მომეგება და დამლოცა. გამოთხოვებისას მითხრა: ღმერთმა გიხსნას, შვილო,მაგ მტარვალთა ხელიდანაო!..

ჩამსვეს ეტლში; გვერდით მომიჯდა ჟანდარმის ოფიცერი, წინა სკამზე ორი ჟანდარმი. ორივე მხარეს ეტლს მისდევდა ორი ცხენოსანი კაზაკი, უკან-მეორე ეტლი პოლიციელებით და ასე გავემართეთ ჟანდარმთა მმართველობისაკენ, რომელიც მაშინ სამოქალაქო, ბაღის («ბულვარის» როგორც ქუთაისში ეძახიან) გვერდით იმყოფებოდა. შუადღე იყო,იდგა თბილი დღე და ქუჩებში ბევრი ხალხი მიდი-მოდიოდა. ქუთაისში ასეთი უცნაური კორტეჟი არაჩვეულებრივი რამ იყო და ხალხში დიდი სენსაცია გამოიწვია „სტუდენტი, (სტუდენტის სერთუკი მეცვა) სტუდენტი დაუჭერიათო!“ მესმოდა თანაგრძნობის ხმა სხვადასხვა ადგილას შეჯგუფულ დამსწრეთაგან...მივედით ჟანდარმთა მმართველობაში, სადაც მალე წარვდეგ „სამსჯავროს“ წინაშე.პატარა ოთახში დიდ მაგიდას ერთ მხრიდან შემოსხდომოდა სამი კაცი: პროკურორის ამხანაგი ნეპოკოინიცკი, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ნესტერევი და მისი ადიუტანტი ფედოროვი. ჩვეულებრივ ფორმალური კითხვების შემდეგ ნესტერევი დიდის რიხით შემეკითხა:

-აღიარებთ თუ არა, რომ თქვენ ეკუთვნით ბოროტმოქმედთა კავშირს, რომელიც თავის თავს „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიას უწოდებს?! მე, რასაკვირველია, უარი ვუთხარი. შემდეგ დამიწყეს გამოკითხვა: იცნობ ამას თუ იმას, იყავით ამა თუ იმ კრებაზე, იყავით თუ არა სტუდენტთა ცენტრალურ სარევოლუციო ორგანიზაციაშიო და სხვა. საკითხები ოდესიდან იყო გამოგზავნილი და ზოგიერთი ისე მენიშნა, რომ ძალიან გავკვირდი და შევშფოთდი. საქმე ისაა, რომ ორიოდე სხდომა მეტად საიდუმლო გვქონდა გამართული. შვიდი კაცის მეტი არ დასწრებია და სხვა ამხანაგებმა ამ სხდომისა არაფერი იცოდნენ. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა ამ ორი სხდომის და იქ ნალაპარაკევის გამოც შემეკითხნენ ჟანდარმები. ცხადი იყო, ვიღაცას ამ შვიდი კაცისაგან გავუცივართ, ყველა გავუცივართ, ყველა და ყველაფერი, მაგრამ ვის?! სული შემეხუთა, თმა ყალყზე დამიდგა, როცა შვიდივე ამხანაგის სახემ სათითაოდ გაიელვა თავში; არა, არც ერთზე შეჩერება არ შემიძლია. მაშ,როგორ ავხსნა ეს ჯადოსნური გამჭრიახობა ჟანდარმებისა?!..

დაკითხვა გათავდა, ციხეში წამიყვანეს და ისევ თავბრუდასხმულივით ვიყავი: ისეთი საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ გარემოებამ, რომ ამხანაგებზე ეჭვი

უნდა შემეტანა. ამაზე ფიქრმა დამტანჯა, სანამ ციხეში ვიჯექ; მინდოდა გამეგო რამე, მაგრამ საიდან! მხოლოდ ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, ზაფხულში ოდესიდან ჩამოსული ამხანაგებისგან გავიგე ცოტათი საიდუმლო, თუმცა ბევრი რამ დღესაც გამოურკვეველია ჩემთვის. აი,თურმე,რა მომხდარა.როგორც ზემოთ ვწერდი, ზოგი დაპატიმრებული სტუდენტი ოდესის ციხეში დატოვეს და მათ შესახებ გამოძიება წარმოებდა. მათ შორის იყო ერთი ებრაელი გვარად გინცბურგი, მეტად ენერგიული და ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც მეტად საიმედო ამხანაგად მიგვაჩნდა ყველას. ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ გინცბურგი ციხიდან გადაეყვანათ ფსიქიატრიულ სამკურნალოში, როგორც ძალზე ნერვებაშლილი და ცოტა ჭკუაზე შერყეული. მის სანახავად მისული სტუდენტებისთვის გინცბურგს მთელი ისტორია უამბია: საშინლად მაწვალეს ციხეში, ბევრჯერ მცემეს,თითქმის სულ კარცერში ვეგდეო,ბოლოს ჰიპნოტიზმს მიმართეს და რაც ვიცოდი სტუდენტების წრეზე,ყველაფერი მათქმევინეს ჰიპნოზური ძილის დროსო... ამ ისტორიაში ბევრი რამ არის გაუგებარი.ოდესის პოლიტიკურ ციხეში მეტად სასტიკი რეჟიმი სუფევდა, მაგრამ ცემა-ტყეპაზე არაფერი არ გაგვიგონია. მერე,ეს ჰიპნოტიზმი რაღაა! მეორე მხრივ, ესეც საკვირველია: გინცბურგი ფიზიკურადაც ძლიერი იყო და სრულიად ჯანსაღი, სულითაც მეტად მაგარი ადამიანი, და ოთხ თვეში რა მოუვიდა, რომ ფიზიკურადაც ინვალიდი გახდა და ფსიქიატრების პაციენტიც შეიქნა?! ასე თუ ისე, იმის წყალობით ბევრი სასტიკად დაისაჯა, თვითონ კი მალე სამკურნალოდანაც გამოვიდა და ოდესაში დარჩა. შემდეგში ეს გინცბურგი სიონიზმის მხურვალე ადეპტი გახდა, საზღვარგარეთ წავიდა და ავსტრიის ქალაქ ლვოვში რუსულ ენაზე სიონისტურ გაზეთს სცემდა“ **(ლასხიშვილი,1992:24).**

1902 წლიდან გიორგი ზდანოვიჩი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი, ხოლო 1912 წლიდან-ქუთაისის განყოფილების მუდმივი წევრი და გამგეობის თავმჯდომარე. ქშწკგ საზოგადოებას მან ერთიანად გადაუხადა საწევრო 100 მანეთი (ვაჭრიძე,1995:295).

საქართველო და ქართველები გიორგი ზდანოვიჩისთვის ყველაფერი იყო. წარმოშობით პოლონელი გახლდათ, სულითა და ხორცით კი - ქართველი. გიორგი ზდანოვიჩი დიდი აღტაცებით შეხვდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებას. ქუთაისში ეწყობოდა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეებმა კარგად იცოდნენ გიორგი

ზდანოვიჩის რევოლუციური წარსული და მისი უანგარო თავდადება ხალხისთვის, კოლონებად გაემართნენ იმ სახლისაკენ, რომელშიც ცნობილი რევოლუციონერი გიორგი ზდანოვიჩი ცხოვრობდა. ისინი მიდიოდნენ დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით, რომ მიელოცათ მისთვის სანატრელი და ბედნიერი დღის დადგომა.

გიორგი ზდანოვიჩი ამ დროს მძიმედ ავადმყოფობდა და ლოგინად იყო ჩავარდნილი. მიუხედავად ავადმყოფობისა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და მხურვალედ მიესალმა მოზეიმე ხალხს, თვალებზე სიხარულის ცრემლები უკიაფობდა.

გიორგი ზდანოვიჩმა იცოდა, რომ დგებოდა ჟამი ქართველი ხალხის განთავისუფლებისა მეფის რუსეთის მარწუხებისგან. ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღარც თუ შორს იყო. აი ეს უაღრესად სასიხარულო ამბავი ქართველი ხალხისა გახდა მიზეზი გიორგის თვალზე მომდგარი ცრემლებისა. ორი საუკუნის მიჯნაზე მცხოვრებმა ამ ადამიანმა შთამბეჭდავი კვალი დატოვა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ბევრი რამ შემატა არა მარტო ქართულ კულტურას, არამედ მის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფასაც. დიდი წვლილი შეიტანა იმ მნიშვნელოვან საქმიანობასა და გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებში, რომელმაც საქართველო დემოუკიდებლობამდე მიიყვანა. მის გარეშე წარმოუდგენელია აღნიშნული ეპოქის დიდმნიშვნელოვანი მოვლენების გააზრება-შეფასება. მამით პოლონელმა და დედით ქართველმა პატრიოტმა უამრავ ქართულ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლასა და სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. პატრიოტიზმი, დაჩაგრული ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა, მჩაგვრელობისადმი უსაზღვრო ზიზღი, იქნება, მისი გენეტიკური თვისებაც კი იყო **(ჭუმბურიძე,2008:114).**

ამ თავში წარმოვადგინეთ ჩვენ მიერ საკვლევად აღებული პიროვნების საზოგადოებრივი საქმიანობა.როდესაც 1875 წელს 20 წლის გიორგი ზდანოვიჩი დააპატიმრეს თანამოაზრეებთან ერთად, იგი გარკვეულწილად პოლიტიკურ ლიდერადაც ჩამოყალიბდა და 1877 წელს გახმაურებულ ,,50-ის პროცესზე“ წარმოთქმულმა გაბედულმა სიტყვამ სახელი მოუხვეჭა ახალგაზრდა რევოლუციონერს. ზდანოვიჩი ახალგაზრდულსავე ასაკში, მიუხედავად იმისა, რომ მას თითქმის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ავტორიტეტული რევოლუციური და პოლიტიკური მოღვაწე იყო.

საინტერესო საკითხია გიორგი ზდანოვიჩის მოღვაწეობა მანგანუმის წარმოების საქმეში. გიორგი ზდანოვიჩს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭიათურის მარგანეცის წარმოების ორგანიზების საქმეში.იგი თავმჯდომარეობდა 1902 წელს შექმნილ ,,შავი ქვის საზოგადოებას“–190 წევრისგან შემდგარ მრეწველთა საბჭოს.დავით კლდიაშვილის მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ გიორგი ზდანოვიჩი და მისი მოადგილე კიტა აბაშიძე დიდ სამამულიშვილო საქმეს აკეთებდნენ ჭიათურაში, ცდილობდნენ რა ეს პატარა დასახლებული პუნქტი გადაექციათ სამაგალითო საჩვენებელ საწარმოო ცენტრად.აქვე გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) დაუპირისპირდა რუსეთის მომავალ პრემიერ-მინისტრს, ალექსანდრე კერენსკის, რომელიც მან თავისი კაბინეტიდან გამოაგდო.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილიდან დაიწყება გიორგი ზდანოვიჩის ეროვნული კონცეფციის განხილვა და მისი შესწავლა გაგრძელდება დისერტაციის მომდევნო თავებში.

თავი III

გიორგი ზდანოვიჩის პუბლიცისტური და ჟურნალისტური მოღვაწეობა

გამოჩენილ ქართველ პუბლიცისტთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს გიორგი ზდანოვიჩს (1855-1917), რომელიც მწერლობაში ცნობილია მაიაშვილის გვარით. მისი ლიტერატურული ფსევდონიმი „მაიაშვილი“ პირველად 1882 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში გამოჩნდა. გიორგი ზდანოვიჩმა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო გზა განვლო. საქართველოდან სასწავლებლად წასულმა სრულიად ახალგაზრდა სტუდენტმა მრავალმხრივი განათლება მიიღო. მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, მრავალწლიანმა კატორღამ მისი მებრძოლი ბუნება ვერ გატეხა. მის მიერ განვლილი გზა მას მიაჩნდა სამშობლოს წინაშე თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებად. ციხის კედლებშიც ის მუდმივად ცდაში იყო, რომ კავშირი დაემყარებინა ხალხთან და აზრები გაეზიარებინა მათთვის. ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ იგი საქართველოში მორალურად გამარჯვებული, სულიერად მხნე და იმაზე ფიქრით დაბრუნდა, თუ როგორ გამოეყენებინა თავისი მომავალი ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის სამსახურისათვის. ამ მიზნით,მან აირჩია პუბლიცისტიკის მახვილი კალამი, რომელიც სიკვდილამდე არ გაუშვია ხელიდან. იგი თანამშრომლობდა თბილისისა და ქუთაისის ქართულ და რუსულ პრესასთან. გიორგი მაიაშვილმა, როგორც ფართო განათლების პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა, მალე მოიხვეჭა ავტორიტეტი მკითხველთა შორის და ერთ-ერათი ცნობილი ჟურნალისტი გახდა (**კანდელაკი,1968:14**).

ამგვარად, გიორგი მაიაშვილი რეალიზმისა და დემოკრატიზმის მხურვალე მქადაგებლად გვევლინება 80-იან წლებში. სწორედ ამ პერიოდის რუსულ საზოგადოებრივ აზრში შექმნილი ვითარების ფონზე უნდა დავინახოთ და შევაფასოთ გიორგი მაიაშვილის კრიტიკული და პუბლიცისტური მოღვაწეობის პროგრესული მნიშვნელობაც. გიორგი მაიაშვილის კრიტიკოსისათვის ხელმისაწვდომი იყო საზღვარგარეთული ლიტერატურაც. ენების ცოდნის წყალობით, მას საშუალება ჰქონდა მისთვის საინტერესო ნაწარმოებს უშუალოდ დედანში გასცნობოდა.როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, იგი უმთავრესად იმ ნაწარმოებებზე ჩერდებოდა,

რომლებიც თარგმანის სახით იბეჭდებოდა. ამ გარემოებას,ცხადია,თავისი ობიექტური მიზეზი აქვს: იგი დაინტერესებული იყო არა უშუალოდ საზღვარგარეთელი მწერლების კრიტიკული შესწავლით, არამედ - უცხოური ლიტერატურის საერთო ხასიათით **(კანდელაკი,1968:624).**

გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრებიდან აღსანიშნავია ზოგიერთი ძირითადი მომენტი,კერძოდ, მისი მოღვაწეობა პუბლიცისტიკისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ძირითადი პროგრამა, რომლის განხორციელებისა–თვისაც იგი იღვწოდა თავისი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

1882 წელს,როდესაც გიორგი ზდანოვიჩი კარაში გადაასახლეს, პატიმარმა გიორგი ზდანოვიჩმა (მაოიაშვილმა) მოახერხა და კატორღელების მიერ გამოშვებულ ჟურნალ „კარაში“ და „კარიისკიი ლისტოკ ობიავლენია“-ში აქტიური მონაწილეობა დაიწყო. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგი „კარას“ ერთ-ერთი ნომრის რედაქტორიც იყო. „კარა“ სქელყდიანი ხელნაწერი ჟურნალი იყო. ხოლო “კარიისკიი ლისტოკ ობიავლენია“-იუმორისტული. პირველში ქვეყნდებოდა პუბლიცისტური ნაწარმოებები, ზოგჯერ-მოგონებებიც. ჟურნალი 3-4 თვეში ერთხელ გამოდიოდა. სულ მისი ხუთი ნომერი გამოვიდა **(ვიტაშევსკი,1914: #8 ,117,118.119).**

გიორგი ზდანოვიჩმა „კარაში“ მოათავსა სტატია საქართველოში რევოლუციური მუშაობის შესახებ. მისი აზრით, საქართველოში ეროვნული საკითხის წინ წამოუწევლად რევოლუციურ მუშაობას საფუძველი არ ექნებოდა, ქართველებს უნდა ებრძოლათ როგორც სოციალური, ისე ნაციონალური ჩაგვრის მოსასპობად **(ზალბერშტეინი,1956,#2,118).**

3.1. გიორგი ზდანოვიჩის წერილები ქართულ პერიოდულ გამოცემებში

1882 წლიდან ლეგალურად ითანამშრომლა და კავშირი დაამყარა ჟურნალ „ივერიასთანაც“, რომელშიც 1882 წელს გამოაქვეყნა პროგრამული შინაარსის სტატია- „წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“ **(კანდელაკი,1967:14).**

ქართველი საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი პროფ. გუგუშვილი ამ სტატიას მრავალმხრივ საინტერესო ტრაქტატს უწოდებს **(გუგუშვილი,1956:45).**

სტატია დაიბეჭდა ჟურნალის მე-7-8 და მე-9 ნომრებში. აღნიშნული სტატია ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით „გიორგი მაიაშვილი“, და ეს ფსევდონიმი გიორგი ზდანოვიჩმა ბოლომდე შეინარჩუნა დედის პატივსაცემად და იმის გამოც, რომ, მიუხედავად პოლონური წარმოშობისა, იგი ქართველად თვლიდა თავის თავს. ასე თვლიდნენ მას ქართველი მოღვაწეებიც და ასე იყო ცნობილი ოფიციალურადაც. „ივერიაში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ,შეიძლება ითქვას,არაჩვეულებრივი რეზონანსი პოვა.სანამ მისი მნიშვნელობისა და ინტერპრეტაციების შესახებ ვისაუბრებთ,უნდა აღვნიშნოთ მასში განვითარებულ შეხედულებებზე. სტატიამ ქართველ საზოგადოებაში დიდი კამათი და ვნებათა ღელვა გამოიწვია. პირველ რიგში, უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნება, მეტად სარისკო საქმე იყო, რადგან მასში ბევრია მეფის ხელისუფლებისათვის მიუღებელი, აშკარა თუ ფარული პოლიტიკური ხასიათის მსჯელობები და დებულებები. ჟურნალის რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ „წერილს“ შემდეგი შენიშვნა გაუკეთა: „რედაქცია საჭიროდ თვლის ამ დიადი საყურადღებო სტატიის შესახებ ცალკე სტატიაში ვრცლად ილაპარაკოს“ **(„ივერია“, 1882, #7-8 .გვ.167**). მართალია, დიდი ილია ამ სტატიას შემდეგ არ შეხებია, მაგრამ ქართული პრესის ფურცლებზე მის გარშემო დისკუსია 10 წელი არ შეწყვეტილა.

აღნიშნული სტატიით გიორგი მაიაშვილი მიზნად ისახავდა ქართული მწერლობის და ჟურნალისტიკის მესვეურებისათვის, რომლებიც მთელი ერის მესვეურებიც იყვნენ, თავისი შეხედულებები გაეზიარებინა მათი მოღვაწეობის ხასიათისა და მიმართულების შესახებ. მის ყველა ფრაზაში იგრძნობოდა, რომ იგი გამსჭვალული იყო დიდი გულწრფელობით და შორს იყო მისგან პრეტენზიული ჭირვეულობა ამასთან ერთად, აშკარად იგრძნობოდა, რომ ავტორი იმდროინდელი ცხოვრების თავისებურებაში

ჩახედული პირია და საკმაოდ კარგად იცნობს მის ეკონომიურსა და პოლიტიკურ მხარეებს **(კანდელაკი,1968:454).** გიორგი ზდანოვიჩის სტატიას გამოეხმაურნენ გაზეთ „შრომის“ ირგვლივ შემოკრებილი პუბლიცისტები: ვოლსკი (უმწიფარიძე), მჭედლიძე (ბოსლეველი) და სხვა.

ჩვენ გვინდა ამ სტატიაზე შედარებით ვრცლად შევჩერდეთ, რადგანაც იგი წარმოადგენს საპროგრამო ხასიათის დოკუმენტს,რომელშიც ნათლად ჩანს,თუ რა სურდა და რისთვის იბრძოდა ეს დაუცხრომელი და უანგარო მოღვაწე ქართველი ერისა. სტატია საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გიორგი მაიაშვილი მარქსის მოძღვრებაზე დაყრდნობით ცდილობს მკითხველებს გააცნოს ისტორიის მატერიალისტური გაგება (**კაკაბაძე,1969:63**). ავტორი აკრიტიკებდა თანადროულ ქართველ ინტელიგენციას ეკონომიკური პროგრამის უქონლობის გამო, ამტკიცებდა, რომ ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებას წინ უნდა წაძღოლოდა ეკონომიკური ჩაგვრისაგან თავის დაღწევა. „მხოლოდ ღრმა ეკონომიკური ცვლილებისათვის ბრძოლის გზა არის ნამდვილი თავისუფლებისადმი, მხოლოდ საუკეთესო ეკონომიკურის წეს- წყობილების დამყარება ეროვნულის დამოუკიდებლობისათვის, რასაკვირველია, ნამდვილად გაანთავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას“, - წერდა იგი (**ჭუმბურიძე,2008:129**). ამ წერილს გვერდს ვერ აუვლის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ვერც ერთი მკვკევარი. დღემდე დაუდგენელია, როდის, საიდან გამოაგზავნა ეს სტატია. გამორიცხულია ეს მომხდარიყო ნოვობელგოროდის ან კარის საკატარღო ციხეებიდან. ასეთ სტატიაზე მუშაობის საშუალება გიორგის 1880 წლის ოქტომბრამდე და 1882 წლის თებერვლის შემდეგ არ ექნებოდა. უფრო სავარაუდოა, რომ შედარებით ხელსაყრელი პორობები ამისათვის მცენსკის ციხეში, კრასნოიარსკისა და ირკუტსკის ციხეებში იყო. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მცენსკის ციხეში ის 1880 წლის ოქტომბტიდან 1881 წლის მაისამდე იმყოფებოდა.ციხის ჩანაწერებიდან ჩანს,რომ ის უნახულებია დეიდაშვილს **(ვიტაშევსკი,1907,„მცენის სასტუმრო“, „ბილოე“, #4:187**). სრულიად დასაშვებია, რომ გიორგიმ მას გადასცა ეს სტატია და სხვადასხვა მიზეზის გამო ჟურნალ „ივერიის“ რედაქციამ ვერ დაბეჭდა იგი 1882 წლის ზაფხულამდე.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჯერ კიდევ ვერხოლენსკში ყოფნისასგიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) აქტიურად ჩაება ციმბირის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და

პრესაში. ამ პერიოდში იგი ეცნობოდა ქვეყანაში განვითარებულ ახალ მოვლენებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა „სიბირსკაია გაზეტაში“.ეს გაზეთი 1881 წლის პირველი მარტიდან გამოდიოდა ტომსკში. მისი გამომცემელი იყო პავლე მაკუშინი-ციმბირში წიგნების მოვაჭრე და სახალხო განათლების მხურვალე დამცველი. 1887 წლის ბოლოს „სიბირსკაია გაზეტა“ მთლიანად პოლიტიკურ გადასახლებულთა ხელში გადავიდა. გაზეთს ფაქტობრივად გიორგი ზდანოვიჩი და დიმიტრი კლემენკი-„ზემლია ი ვოლიას“ ყოფილი რედაქტორი ხელმძღვანელობდნენ. იმ დრიოსათვის ის ერთ-ერთ საუკეთესო გაზეთად იქცა.მისი გავრცელების არეალი მოიცავდა არა მარტო აღმოსავლეთ ციმბირს,არამედ-ცენტრალურ რუსეთსაც.გაზეთით დაინტერესდა ცნობილი მწერალი გლებ უსპენსკი, რომელიც ძალიან დაუმეგობრდა გიორი ზდანოვიჩს.ის ხშირად წერდა გაზეთის რედაქციას.მათი სამომავლო მეგობრობის შესახებ ნათლად ჩანს ერთ-ერთ წერილში, სადაც იგი წერს: „დამიკოცნეთ პირველად ზდანოვიჩი, მე ის მიყვარსო“ **(პისაროვი,1929: 395).** გიორგი ზდანოვიჩი დიდი მოწიწებით სცემდა თაყვანს გლებ უსპენსკის პიროვნებასა და ლიტერატურულ ნიჭს.

„სიბირსკაია გაზეტას“ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, მაგრამ ოპოზიციურად განწყობილმა ნაწილმაც იჩინა თავი.ისინი ხშირად გაზეთს აბეზღებდნენ ზემდგომ ორგანოებში. ტომსკის უნივერსიტეტის ახლადდანიშნული რექტორი პირდაპირ აცხადებდა, რომ „სიბირსკაია გაზეტას“ დაუხურავად შეუძლებელი იქნება სტუდენტთა სიმშვიდის შენარჩუნება. ისევ წამოვა ახალგაზრდული რევოლუციური მღელვარებაო. ხელისუფლებას ხელში არ ჰქონდა რამე დამამტკიცებელი საბუთი პოლიტიკურად გადასახლებულთა მიმართ. გაზეთის გამომცემელი, რომელიც ფორმალურად იყო დანიშნული, ყოვლად უწყინარი ადამიანი ჩანდა. უნივერსიტეტის რექტორმა სწორედ მისი ასეთი თვისება გამოიყენა და ხელი ისეთ საგაზეთო სტატიის გამოქვეყნებაზე მოაწერინა, რომელიც შემდგომში გაზეთის დახურვის მიზეზი გახდა. გაზეთის მთავარი რედაქტორები ტომსკიდან გააძევეს **(შვეცოვი,1928:91**). „სიბირსკაია გაზეტაში“ მოწინავე ადგილზე გიორგი ზდანოვიჩის სტატიები იყო. აღნიშნული სტატიები პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილების ხასიათს ატარებდა.ისინი ქვეყნდებოდა გ.მ. ფსევდონიმით. ასევე ხშირად იყენებდა ფსევდონიმს „პრასტოი სმერტნი“. ასევე გიორგიმ 1886 წელს გერმანული გამოცემიდან თარგმნა „ფილოსოფიის სიღატაკე”. ამავე წლის ბოლოს მან თხოვნით მიმართა ვლადიმირ კოროლენკოს,დაბეჭდილიყო ამ თარგმანის სტატია

ჟურნალ „რუსსკაია მისლში“ და „იურიდიჩესკიი ვესტნიკში“. როგორც ჩანს, წერილი ადრესატს არ მიუღია. 1887 წელს 26 სექტემბერს გიორგი კვლავ სთხოვს კოროლენკოს ამ საქმეში დახმარებას. იმ დროისათვის გიორგი ზდანოვიჩის თარგმანი არ გამოქვეყნებულა. შესაძლოა რედაქციამ თავი შეიკავა მის გამოქვეყნებაზე. მოგვიანებით 1888 წელს საზღვარგარეთ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა გამოსცა, ხოლო გიორგი ზდანოვიჩის სახელით არც მისი შემდგომი მოღვაწეობის დროს არ გამოქვეყნებულა.

ციმბირში გადასახლებაში მყოფ გიორგის ძალიან უჭირდა თავის გატანა. მას საქართველოდან ძველი მეგობრები ეხმარებოდნენ,ისინი რუსულად და გერმანულად სათარგმნ მასალას უგზავნიდნენ და ამით ორიოდე გროშის შოვნის საშვალებას აძლევდნენ.

ნებართვის მიღებისთანავე გიორგი საქართველოში გამოემგზავრა. მას დიდი სიყვარულითა და სიხარულით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, რომელიც რევოლუციური იდეებით იყო გამსჭვალული.უწყობდნენ სადილებს,შეხვედრებს სხვადასხვა ოჯახებში, სადაც საქმიანი კამათი და დისკუსიები იმართებოდა. ერთ-ერთ ასეთ საქმიან შეხვედრას გამოჩენილი მწერალი შალვა დადიანი იგონებს: „ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი ახალი დაბრუნებული იყო კატორღიდან. ქუთაისის ინტელიგენციამ მას სადილი გაუმართა…ცნობილი ქუთათური მოღვაწე კოტე ბაქრაძის სახლში…

ქართველ საზოგადოებას მიაჩნდა, რომ სამშობლოს დაუბრუნდა ადამიანი, რომელიც იზრუნებდა ინტელიგენციის მომავალ საქმიანობაზე. ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა კი ზოგჯერ გადადიოდა ცხარე კამათში”. ამ შეხვედრას დასწრებია დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელიც, რომელსაც სიტყვაც წარმოუთქვამს, რადგან უგრძვნია ახალგაზრდა თაობის მხრიდან უფროსი თაობის დამსახურების ერთგვარი შეუფასებლობა. გიორგი გათავისუფლდა,მაგრამ ხელ-ფეხშეკრული იყო, რადგან უამრავი შეზღუდვა ჰქონდა დაწესებული,რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. მიუხედავად ამისა,ის თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში და ამით ის ცოტაოდენ ჰონორარსაც იღებდა,რაც ძალიან მცირე იყო. საქართველოში დაბრუნებისთანავე ის ჩაება საქართველის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფერხულში. კვლავ განაგრძო თანამშრომლობა გაზეთ „ივერიასთან“, რომლის რედაქტორი კვლავ დიდი ილია

იყო.გიორგი ზდანოვიჩი თავის სტატიებში იცავს მოვლენათა ისტორიულ ასპექტში შეაწავლის აუცილებლობას და ყოველი თაობისა და მოღვაწის დამსახურების ისტორიული თვალთახედვით შეფასებას მოითხოვს. „ყოველ დროს,- მისი თქმით,- ერის ცხოვრებაში თავისი განსაკუთრებული ხასიათი და თვისება აქვს“.მან კიდევ ერთი პროგრამული ხასიათის სტატია დაბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ ეს იყო სტატია სახელწოდებით „ძველი და ახალი თაობა და მათ გამო ლაპარაკი ჩვენში“. ასეთი იყო იმ სტატიის სათაური,რომლის ბეჭდვაც გაზეთის ექვს ნომერში გაგრძელდა(**გაზ. „ივერია“ , 1889 წ. : 222,223,226,228,233,238).**

ავტორს თავისი სტატიის სათაურად ეს თემა ტყუილად არ აუღია. ამ საკითხის ირგვლივ პრესის ფურცლებზე თუ საჯარო გამოსვლებში ძალიან გავრცელებული იყო ახალ და ძველ თაობებს შორის დაპირისპირება. „ძველ თაობებში“ იგულისხმებოდა თერგდალეულთა თაობა.აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „თერგდალეულების“ შესახებ დაიბეჭდა წერილების სერია გაზეთ „ნოვოე ობოზრენიასა“ და „საქართველოს კალენდარში“.„სამოციანი წლების მოღვაწეებმა,-წერს ის,-იმდენი რამე გააკეთეს ჩვენი ღარიბი და მოუწყობელი ქვეყნისათვის, ისეთი ღრმა და წარუშლელი კვალი დააჩინეს ჩვენი ზნეობისა და გონების წარმატების ისტორიას,რომ თვით გაბოროტებულნი და შეურიგებელნი მათი მტერნიც კი (მხედველობაში ჰყავს ძველი თაობა, - „მამები“) იძულებულნი იყვნენ მცირეოდენი ხნის შემდეგ, დადუმებულიყვნენ და პატივისცემით მოედრიკათ მუხლი მათ წინაშე“. რაც შეეხება უკანასკნელი დროის ახალგაზრდობას, მას, მისი თქმით, „თითქოს აღარ ახალისებს ახალი აზრი, არ აფხიზლებს მათს გონებას ახალი საზოგადოებრივი თეორია,... ახალი ამბავი საზოგადოების ცხოვრებისა“. ასევე მან გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ პროგრესული ხასიათის სტატიები სახელწოდებით: „მოკლე მიმოხილვა წარმოება-აღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა“, „ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო”. ქალთა საკითხს ის კიდევ მოგვიანებით,1893 წელს შეეხო სპეციალური სტატიით “ქალთა კითხვების საპასუხოდ ახალი მცდელობები” **(გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., N 3203**). აღნიშნული სტატიების ბეჭდვა გაზეთ „ივერიის“ თოთხმეტ ნომერში გაგრძელდა **(გაზ. „ივერია“ ,1891 წ., # 95, 96, 98, 99, 110, 121, 127, 128, 130, 140, 142).**

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ ასეთ გულუხვობას მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში და მხოლოდ რჩეული ავტორების მიმართ იჩენდა. „ივერიის“ რედაქტორს

უშუალოდ თავისი აზრი არასოდეს გამოუთქვავს გიორგი ზდანოვიჩის მიმართ, მაგრამ უკომენტაროდ და სიამოვნებით რომ ბეჭდავდა ამ ნიჭიერი პუბლიცისტის სტატიებს, ეს თავისთავად ბევრს მეტყველებდა მის დამოკიდებულებაზე თავისი თანამშრომლისადმი.

ასევე საინტერესო და ანგარიშგასაწევია გიორგი ზდანოვიჩის ის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც მან „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ თავის პირველ სტატიაში („მილიტარიზმი და კაპიტალიზმი“) გამოთქვა **(გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“,,1889 წ.,#2050, 2052, 2055)**. აღნიშნულ სტატიაში ავტორს მიზნად დაუსახავს,თავისი კრიტიკული შენიშვნები გამოეთქვა ცნობილი რუსი ეკონომისტისა და პუბლიცისტის, ლიბერალურად მოაზროვნე ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის,ვ.ვორონცოვის მიერ (**ჟურნალი„რუსსკაია მისლ“,1889 წ, # 9)** გამოთქმულ სტატიაზე - „მილიტარიზმი და კაპიტალიზმი“ და მასში წამოყენებულ დებულებაზე. ვორონცოვი უარყოფდა მსხვილი მრეწველობის განვითარებას და იცავდა კულტურული ფენის ინტერესებს. გიორგი თავიდანვე მიუთითებს,რომ, ვორონცოვის მცდარი აზრის მიუხედავად, ის ფლობს უნარს,მიიქციოს მკითხველის ყურადღება.

1890 წელს გიორგი ზდანოვიჩმა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდა სტატია - „კარლ ვებერი და სასოფლი-სამეურნეო სკოლები კავკასიაში“ **(გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, 1890 წ, # 2168**). ამ სტატიის დაწერის საბაბი გამხდარა ინჟინერ-ტექნოლოგ კარლ ვებერის მიერ სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების 1889 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე წაკითხული მოხსენება. მის ნაშრომებში იყო მოცემული მცდარი აზრი კავკასიელი ხალსის ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ. იგი ამბობს, რომ თითქოსდა სამხრეთელებს უმაღლესი განათლების მიღების უნარი არ შესწევთ. გიორგი ზდანოვიჩი ააღელვა კარლ ვებერის ამგვარმა თავხედურმა გამოხტომამ,მისმა აბდაუბდა და ბოროტმა აზრებმა, რის გამოც გიორგი მას ირონულ ტონში მოიხსენიებს.

1890 წელს გიორგი ზდანოვიჩს „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციამ დაუთმო თავისი გაზეთის ფრიად საინტერესო რუბრიკა - „ვ მირე ჟურნალოვ-ში“. ასეთი საერთო სათაურით გამოაქვეყნა ჯერ ხუთი სტატია, ხოლო შემდეგ იმავე ხასიათის წერილების გამოქვეყნება გააგრძელა რუბრიკით - „ჟურნალნიე ზამეტკი“, რომლის ბეჭდვას 1891 წელსაც აგრძელებდა და კიდევ ოთხი სტატია გამოაქვეყნა. აღნიშნული რუბრიკები იყო გაგრძელება „სიბირსკაია გაზეტაში“ დაბეჭდილი სტატიების „იზ ობლასტი

ჟურნალისტიკი“.ის აღნიშნული სტატიების მრავალფეროვანი სათაურებით ოსტატურად ემალებოდა ცენზურას.

გიორგი ზდანოვიჩი თავის წერილებში მოკლედ და გასაგებად გადმოსცემს იმ საკითხებზე, რომლებსაც იგი მსჯელობის საგნად ირჩევს ხოლმე სხვადასხვა ჟურნალების მიმოხილვისას. იგი ოსტატურად პიულობს საბაბს, რათა მკითხველს მიაწოდოს თავისი აზრი ამა თუ იმ საინტერესო კითხვაზე.

გიორგი ზდანოვიჩისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია სტუდენტებისა და საერთოდ ახალგაზრდობის აღზრდა, ვინაიდან იგი უშუალო კავშირშია ინტელიგენციის მომავალ ბედთან. ინტელიგენცია კი, მისი აზრით, ერის ცხოვრებში განსაკუთრებულ და სერიოზულ როლს ასრულებს, მაგრამ გიორგი ზდანოვიჩი საერთოდ არ იზიარებს იმ უკიდურეს შეხედულებებს, რომლებიც მაშინდელ საზოგადოებრივ აზრში შეინიშნებოდა და, რომელიც, შეიძლება ითქვას, კარგად გამოვლინდა მაშინდელ მოღვაწეთა ნაწერებში.იგი ინტელიგენციაში ხედავს ძალას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სიკეთის, ასევე ბოროტებისათვისაც. ამით ინტელიგენციაზე, როგორც განუყოფელ მთელზე, მსჯელობა მას გაუმართლებლად მიაჩნია. მას ისიც მშვენივრად ესმის, რომ ინტელიგენციის მოღვაწეობას ძირითადად განსაზღვრავს არა მისი განვითარება და სინდისი, არამედ-საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები.

თავის წერილებში „ჟურნალნიე ზამეტკი“ გიორგი ზდანოვიჩი შეეხო, აგრეთვე, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობისათვის საინტერესო საკითხს - რა ბედი ეწია და რა პერსპექტივას იძლევა თავადაზნაურობა - როგორც მიწისმფლობელი საგლეხო რეფორმის შემდეგ. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ის სარგებლობს (**ჟურნალ „რუსსკაია მისლში“,1891, #5**) გამოქვეყნებული ბირიუკოვიჩის სტატიით- „მიწათმფლობელები და მიწადმოქმედები“, რომლებიც, როგორც თვითონ შენიშნავს, არსებულ სასოფლო სამეურნეო კრიზისს ასახავს.

გიორგი ზდანოვიჩი არ ერიდებოდა მკაცრ და პირდაპირ მიმართვას არც თვით თავადაზნაურობისა და არც ბანკების მესვეურებისადმი, როცა ამას საერთო საქმე და ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა. მაგალითად,1891 წელს გიორგი ზდანოვიჩმა პრინციპულად მოსთხოვა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობასა და ქუთაისის მიხეილის ბანკს,მიეღოთ ყოველი ზომა, რათა დადებითად გადაწყვეტილიყო სასოფლო-

სამეურნეო სკოლის დაარსების საქმე ქუთაისში. იგი მთელი დამაჯერებლობით აჩვენებდა მკითხველს იმ სამეურნეო და კულტურულ მნიშვნელობას, რომელიც ამ სკოლას შეეძლო შეესრულებინა.**(გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, 1891 წ., #2646).** გიორგი ზდანოვიჩი რაც უფრო ახლოს და უშვალოდ გაეცნო ქართულ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მის ხასიათსა და ვითარებას, მით უფრო აქტიურად მოკიდა ხელი პრაქტიკული საკითხების დასმის და მათი დადებითად გადაწყვეტისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ მსჯელობას. ამის მაჩვენებელია თუნდაც მისი წერილების სერია - „ჩტო ტაკოე ელევატორ“, რომელიც 1891 წელს გამოაქვეყნა **(გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1891 წ., # 2739, 2744,1748,2749,2751).**

რაც შეეხება გიორგი ზდანოვიჩის რუსულ პრესაში მოღვაწეობს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მთელი მისი პუბლიცისტურ-კრიტიკული მემკვიდრეობის მიხედვით.მის შეხედულებებზე კონკრეტულ დასკვნებს იძლევა ის წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა რუბრიკით „იზ ობლასტი ჟურნალისტიკი“, „ვ მირე ჟურნალოვ“, „ჟურნალნიე ზამეტკი“. გიორგი ზდანოვიჩს თავისი თანამედროვე რუსული ჟურნალისტიკის შესახებ საკმაოდ მართებული და საფუძვლიანი შეხედულება ჰქონდა. 80-იანი წლებისათვის იგი ეკუთნოდა ჟურნალისტთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან აფასებდა ყოველი გამოცემისა და ყოველი ჟურნალისტის საქმიანობასა და დამსახურებას.

გიორგი ზდანოვიჩის პუბლიცისტურ-კრიტიკული მემკვიდრეობის შესწავლა ნათელყოფს, რომ იგი ვერ ურიგდება შექმნილ ჟურნალისტურ ატმოსფეროს და შეძლებისდაგვარად ახერხებდა კიდევაც თავისი სიტყვა ეთქვა ამგვარი კრიზისის გადალახვის მიზნით.

გიორგი ზდანოვიჩი აღნიშნავს, რომ დიდი ისტორიული ავბედობით აღსავსეა ჩვენი ქვეყნის ისტორია, რაც ბევრ ცვლილებას იწვევდა ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ მას არ შეეძლო „დაებადნა სრულიად ახალი საზოგადოებრივი წეს-წყობილება“.ეკონომიკურმა პროგრესმა ცხოვრების ყველა სფეროში ცვლილებები შეიტნა. ამიტომ, „ერთი უმთავრესი საქმე ჩვენი ინტელიგენციისა ის არის, რომ ალღო აუღოს ამ დღევანდელ საისტორიო ვითარებას“ და გააგებინოს ხალხს ახალი წყობილებისა და ცხოვრების ხასიათი. „ძებნა წარსულში სანატრელ-სასურველისა,ე.წ.,იდეალებისა, ძებნა იქ ოქროს საუკუნესი, რომლის გამოც ოცნებობს მუდამ ერი, - ამბობს გიორგი ზდანოვიჩი... არათუ

სამეცნიერო და გამოსადეგი საქმე არ არის, არამედ, ჩემი აზრით,შეუძლებელიც არის". მისივე აზრით,პუბლიცისტის მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აიღოს ხელი წარსულის განურჩეველი ქება - დიდებისა და კიცხვა-ძაგებისაგან.

გიორგი ზდანოვიჩის სტატიები სერიოზული მნიშვნელობისა იყო მაშინდელ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან ბევრ მტკივნეულ და აქტიურ საკითხს აყენებდა და საფუძვლიანად განიხილავდა.

გიორგის 1892 წლიდან აღუდგინეს მოქალაქეობრივი უფლებები და ის უფრო მეტი შემართებით, რომელიც არც მანამდე აკლდა, შეუდგა პუბლიცისტურ საქმიანობას.

სამწერლო მოწოდებით გიორგი ზდანოვიჩი პუბლიცისტი იყო,მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური მხარის გაშუქების ინტერესები მას, ისევე როგორც იმდროინდელ სხვა გამოჩენილ პუბლიცისტებს,ხშირად ვალდებულს ხდიდა ეკისრა ლიტერატურის კრიტიკოსის მოვალეობა.ამიტომაც მის ჟურნალისტურ მოღვაწეობაში საპატიო ადგილი უჭირავს ლოტერატურულ მოვლენათა ანალიზსა და შეფასებას.გიორგი ზდანოვიჩს ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებები გამოთქმული აქვს არა მხოლოდ უშუალოდ ლიტერატურისა და კრიტიკიკის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ წერილებში,არამედ პუბლიცისტურ სტატიებშიც.ამასთან,გიორგი ზდანოვიჩი,როგორც კრიტიკოსი არ იფარგლებოდა მხოლოდ ქართული ლიტერატურით: უფრო მეტი მას რუსული და ევროპული მწერლობის შესახენ უწერია.1892 წლიდან „ნოვოე ობოზრენიეს" ფურცლებზე მან გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო კრიტიკული წერილები ილია ჭავჭავაძის პოეზიისა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების შესახებ.ასევე მისი კრიტიკული სტატიები გამოიცა ქალაქ ქუთაისის მეხუთე საბჭის არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ქალაქისათვის საჭირბოროტო საკითხებზე **(გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე" ,1892 წ, # 2761, 2792,2844).**

1894 წლიდან გიორგი ზდანოვიჩის პუბლიცისტიკა თანდათან უფერულდება, იგი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადის, მაგრამ არც პუბლიცისტიკის სფეროს ტოვებს მთლიანად. 1896-1903 წლებში მის პუბლიცისტიკას შეემატა რამდენიმე სტატია: „ო ნაპროვლენიი მაგისტრალი ზაკავკაზსკოი ჟელეზნოი დოროგი ნა გ.კუტაისი", **(გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1896 წ., # 4313, 4315, 4318, 4320, 4321, 4326, 4331, 4333, 4334)**"

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი და მისი მოქმედება” **(ჟურნალი „მოამბე“, 1896 წ., # 4-6 გვ.111-144), „**გდე ბიტ ზდანიუ სუდებნიხ უჩრეჟდენიი კუტაისე”, „ეშო ო სინდიკატე მარგანეცპრომოშლენნიკოვ“ (1897), „პისმა ვ რედაკციუ”, „ოტვეტ გ.ჟორდანია“, „ეშიო ო მელკიხ ლიუდიახ“, „კუტაისკიე ბანკოვსკიე ვიბორი“ (1899), „ისკი ი ნეუსტოიკი პო ტკვარჩევსკიმ დელამ“, „ნეუსტოჩნიკი ი ხი დობროდეტელსკიე პასობნიკი“ (1902), „არტემლემსკაია ვეჟლივოსტ“ (1903).

ყველა ეს წერილი საინტერესოა არა მხოლოდ პუბლიცისტური ოსტატობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ,საერთოდ, ვინაიდან გიორგი ზდანოვიჩი არც ერთ კონკრეტულ საკითხზე არ მსჯელობს მშრალად და ზოგადთეორიული წინამძღვრების გარეშე. მიუხედავად ამისა, ცხადია,რომ მისი პუბლიცისტიკა თანდათან უფრო ვიწრო პრაქტიკულ საკითხთა ფარგლებში მოექცა.კერძოდ,ძნელი სათქმელია,თუ რამდენად გამართლებული იყო,რიმ ასეთ ნიჭიერ პუბლიცისტს ქუთაისის რკინიგზის ხაზის საკითხისათვის 9 სტატია მიეძღვნა **(გაზ.”ნოვოე ობოზრენიე”, 1896,# 4313,4315, 4318,4320,4321,4326,4331,4333,4334**) და მიეძღვნა მხოლოდ 1896 წელს და ისეთი დიდი შრომა გაეწია ამისათვის, როგორც ეს აშკარად იგრძნობა მათი კითხვისას. შეიძლება იგივე ითქვას იმავე წელს დაწერილ ვრცელ გამოკვლევაზე - „ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი და მისი მოქმედება“ **(ჟურნალი „მოამბე“, 1896, # 12,1897,#1,2,4**), რომელიც საკითხის შესწავლოს სიღრმითა და ობიექტური გაშუქებით გამოირჩევა ამ თემაზე დაწერილი უამრავი წერილისა და გამოკვლევისაგან.

გიორგი ზდანოვიჩმა კარგად განმარტა, მაგალითად, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ობიექტური კანონზომიერების შეჩერება შეუძლებელია.ამიტომ მისი მიზანია არა უბრალო მოძღვრის როლში წარუდგეს მკითხველს,არამედ დაარწმუნოს ის,რომ ლაპარაკი და აგიტაცია უძლურია შეცვალოს განვითარების საერთო ტენდენცია.ჩვენი ქვეყნის სვლა ახალ გზაზე ისეთი სწრაფი და ძლიერია,რომ რჩევა-დარიგებით,საზნეობო ქადაგებით ძნელიღაა შევცვალოთ ხასიათი უკვე ფეხადგმულ საეკონომიო ევოლუციისა ...

გიორგი ზდანოვიჩს (მაიშვილს) ღრმად სწამს, რომ მარტო ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით გატაცება საკმარისი არ არის.იგი სამართლიანად შენიშნავს,რომ არ დაერქმევა სამშობლო იმ ქვეყანას, სადაც არ შეიძლება იცხოვრო

შრომით,თუნდ წელებზე ფეხს იდგამდე.მოჰყავს საზღვარგარეთის მაგალითები.გიორგი ზდანოვიჩის აზრით“ჭეშმარიტნი მებრძოლნი ხალხის სიკეთისათვის, პატრიოტნი … მოყვარენი თავისი სამშობლოსი, თავისივე საკუთარი ხელით უთხრიან ორმოს ძვირფას თავის ქვეყანას, უკეთუ ივიწყებენ ხალხის ეკონომიურ ინტერესებს…უკეთუ გამოსდგომიან მხოლოდ ეროვნულს იდეებსა და ტრადიციებს „სტატია ყურადღებას იმსახურებს იმითაც,რომ მასში შესანიშნავადაა მოცემული ბურჟუაზიული დემოკრატიზმის სიყალბე და ფარისევლობა, მისი პოლიტიკური ლოზუნგების ნამდვილი არსი. ათასჯერ მართალია გიორგი მაიაშვილი,როდესაც წერს, რომ ყოველივე თავისუფლება და მისი პოლიტიკურად მინიჭებული უფლებანი და პოლიტიკური თავაზიანობაც დავიწყებულ იქნებიან ხომე თვით თავისუფლების მომხრეთა და მოყვარეთა მიერ, როდესაც საასპარეზოდ გამოდის სცენაზე ეკონომიური და არა პოლიტიკური საგანი… პოლიტიკური თავისუფლება და ეკონომიკური მონობა და დაჩაგრულობა ადვილად თავსდებიან ერთად ერთსა და იმავე ქვეყანაში… მოისურვებს თუ არა ხალხი ეკონომიკურ დაჩაგრულობას თავი დააღწიოს,მაშინვე ყოველსავე პოლიტიკურ თავისუფლებას შორს ისვრიან, როგორც მტერს, ისინივე, ვინც გუშინ და გუშინწინ მაღლა აფრიალებდა პოლიტიკური თავისუფლების დროშას…თავისუფლება ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია,მაგრამ ამით სარგებლობა და ამის შეთავაზება შეუძლია ეკონომიურად ძლიერს თავისი ინტერესების დასაცავად.ასეთი გახლავთ ეს ქებული პოლიტიკური თავისუფლება ბურჟუაზიისა! ასეთია მისი სიღრმე და სიგანე და მისი ხატება“.აქვე ეხება ეროვნული ზრდის საკითხს ბურჟუაზიულ ქვეყნებში და სამართლიანად შენიშნავს, რომ „მრეწველობის აღორძინება აწინდელ ხალხთა ეკონომიური ცხოვრების ვითარების მეოხებით ნიშნავს მეტი უფლების მქონეთა გამდიდრებასა და ხალხის გაღარიბებას... „ბატონყმობის დროს არავინ არ განსჯიდა ყმის კეთილდღეობაზე ბატონის სიმდიდრის მიხედვითო“ ასკვნის იგი.

გიორგი ზდანოვიჩი გაიტაცა საქართველოს ავტონომიის შექმნის საკითხმა და ალღო ვეღარ აუღო იმ დიდ ცვლილებებს, რომლებსაც მუშათა კლასი და მთელი პროგრესული ძალები აღწევდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ამ გარემოებას ხელი შეუწყო დიდმპყრობელური შოვინიზმის მქადაგებელი, რეაქციონერი პარტიების ანტიხალხურმა საქმიანობამაც. მათ წინააღმდეგ ბრძოლი ს პროცესში, მან მხედველობიდან გაუშვა დიდი მნიშვნელოვანი ფაქტები.

პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა გიორგი ზდანოვიჩში კიდევ უფრო გაზარდა რწმენა ნაციონალური ავტონიმიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ყოველივე ეს ნათლად იგრძნობა 1915 წელს გაზეთ „მეგობარში“ მის მიერ გამოქვეყნებულ წერილებში: **გაზეთი „მეგობარი“„ნაციონალიზმის გამარჯვება“ # 5, „ერთი თუ ორი პარტია“ # 11, კიდევ „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“ # 16, „დეზერტირები“ # 22, „ჩვენი დავა“ # 34 , „რა გვახარებს“ # 58, და 1916 წელს დაბეჭდილ სტატიაში -„მსხვილ თავადაზნაურთა იდეოლოგია“ (გაზეთი „ჩვენი მეგობარი“,# 41)**. გიორგი ზდანოვიჩს - ჟურნალისტს დიდ პატივს სცემდნენ,როცა მისი წერილები იყო დაბეჭდილი გაზეთებში, გაზეთის გამსაღებელნი საგანგებოდ გაიძახოდნენ „გიორგი მაიაშვილის წერილიაო“ და გაზეთის ეს ნომრებიც გაზრდილი ტირაჟით იბეჭდებიდა (სერგო გერსამიას მოგონებანი).

გიორგის საქართველოს გაძლიერების სურვილი არ ასვენებდა. იგი თვითონაც ღრმად იყო დარწმუნებული ქვეყნის გაძლიერებაში და ხაზგასმით აცხადებდა. „ჩვენ გვსურს საქართველოს გაძლიერება, აღორძინება, მაგრამ ახალი და არა ძველი შინაარსით. ჩვენ გვინდა შევქმნათ ახალი საქართველო, დავბადოთ ახალი დროის შესაფერი მშრომელი ხალხის დამცველი პირობები და არა ძველ კალაპოტში ჩავაყენოთ ჩვენი ქვეყანა“ **(გაზეთი “ჩვენი მეგობარი”,1916,# 41).**

გიორგი მაიაშვილი იძლევა სამოციან წლებში გატარებული რეფორმების შესანიშნავ კრიტიკას, აღნიშნავს, თუ ვისთვის იყო სინამდვილეში სასარგებლო ამ რეფორმის გატარება. მისი აზრით, „ყოველი რეფორმა ცხოვრების რომელ მხარესაც გინდა შეეხებოდეს, დარჩება უქმად და ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ იგი მტკიცედ შემეცნებულ და ცხადად გამოთქმულ პრინციპზე არ არის დამყარებული“. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ისტორიული მატერიალიზმის არსის გენიალური ფორმულირება, მოცემული მარქსის მიერ 1859 წელს ისტორიულ „წინასიტყვაობაში“ თავისი განთქმული წიგნისა - „პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის“. როგორც ჩანს, ეს „შესავალი“ გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილს) გადმოთარგმნილი აქვს რუსული გამოცემიდან. აღსანიშნავია, რომ იგი არსად არ ახსენებს მარქსის სახელს, თუმცა უდიდეს შეფასებას აძლევს მას. გიორგი მაიაშვილის სიტყვებით,მარქსი არის „უდიდესი და უაღრესად შემეცნებული კაცი ჩვენი დროისა და საუკუნისა, კაცი ისეთი, რომლის სურვილმა და მტკიცე-მეცნიერულმა წარმოდგენამ მსოფლიოზე (მსოფლმხედველობამ)ქმნა დიდი ძლევა“.

შემდეგ ამას მოჰყვება კარლ მარქსის სიტყვები, რომ ადამიანები თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას შედიან განსაზღვრულ,აუცილებელ,მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობებში - წარმოებით ურთიერთობებში, რომელნიც მათი მატერიალური საწარმოო ძალების განვითრების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამებიან, რომ ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას,რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება; რომ მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ პროცესებს… რომ ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას…რომ კაცობრიობა ყოველთვის ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაჭრაც მათ შეუძლიათ და სხვა. ჩვენ მარქსის ეს ცნობილი ფორმულირება თვიდან ბოლომდე მხოლოდ იმიტომ არ მოგვყავს, რომ იგი კარგადაა ცნობილი ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ გიორგი მაიაშვილმა კარგად იცოდა გერნანული ენა. გადასახლებაში ყოფნის დროს თავს ირჩენდა რეპეტიტორობით და იმით, რომ გერმანულიდან თარგმნიდა შრომებს. მას ნათარგმნი აქვს მარქსის თხზულებები. გიორგი მაიშვილი ცდილობს,თავისი საპროგრამო დებულებები დააფუძნოს და გამოიყენოს ამ მარქსისტული მოძღვრებიდან ადამიანთა საზოგადოების განვითარების შესახებ. თუ რა ღრმად ესმის გიორგი მაიაშვილს მარქსი, ჩანს მისივე სიტყვებიდან, როდესაც წერს: „მართალია, რომ ეკონომიკურ წყობილებას აქვს გავლენა პოლიტიკურს წყობილებაზედ და ეს გავლენა მასში ჩანს, რომ პირველი მეორეს მოაწყობს, თავის მოთხოვნილებათა გვერდით. მაგრამ ისიც მართალია, რომ პოლიტიკური დაწესებულებანიც, თავის მხრივ, როგორც მცველი ეკონომიკური ცხოვრების საძირკველისა, ცდილობენ ასე თუ ისე იმოქმედონ მასზე და დაუმორჩილონ პოლიტიკურს ცხოვრებას“. როგორც ვხედავთ, აქ გიორგი მაიაშვილი ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპში სწორ გაგებას იძლევა.

მთელი ეს მსჯელობა გიორგი ზდანოვიჩს (მაიაშვილს)სჭირდება იმის დასასაბუთებლად, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საქართველოს მესვეურნი, მისი წინამძღოლები და ბელადები, თუ მათ ნამდვილად უნდათ დაიხსნან სამშობლო იმ კოლონიური და დაბეჩავებული მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იყო ჩავარდნილი.

გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) საქართველოს „ბედისაგან სასტიკად დასჯილს“ უწოდებს და მოუწოდებს „წინამძღოლთ, რომელთაც უყვართ სამშობლო, თავისი ხალხი,დაუახლოვდნენ ამ ხალხს, გულმოდგინედ გაუსინჯონ ბედისაგან დასმული იარები, გამოიკვლიონ მისი სამწუხარო მდგომარეობა და ნამდვილად მეცნიერულად გაიგონ: რა გავლენა ჰქონდა დამოკიდებულებას ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებაზედ…ეკონომიკურ ურთიერთობაზედ“.

აქვე ეხება იგი პიროვნების როლს ისტორიაში და ამ საკითხს საკმაოდ დამაჯერებლად აშუქებს. იგი დასცინის ისეთ გმირებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ ხალხთა მოძრაობებს ისინი განაგებენ,და რომ ყველაფერი თითქოს მათს ნება-სურვილზეა დამოკიდებული. გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) შეხედულებებით ყოველი პოლიტიკური ან ეროვნული მოძღვრება და ამბოხება დასაწყისს იღებს იმ ეკონომიკური წყობილებისაგან, რომელიც ხალხში მოქმედებს. რაც უფრო „გაუვარგისდება“ ეკონომიკური წყობილება, მით უფრო გაძლიერდება პოლიტიკური მოძრაობა. „რასაკვირველია, პოლიტიკურ მოქმედ პირათ ჰგონიათ (ეს ცოტა არ აკმაყოფილებს იმათ თავმოყვარეობას), რომ პოლიტიკური მოძრაობა და ამბოხება იმათის მოქმედების წლობით ხდება,მაგრამ ის კი არ იციან, რომ თვითონ ისინი არიან წარმოშობილნი პოლიტიკური მოძრაობისაგან, რომლის ფესვი და ძირი იმალება ეკონომიკური ცხოვრების გაუარესებაში და მატერიალური წარმოების შევიწროვებაში“, ამასთანავე გიორგი მაიაშვილი არ უარყოფს პოლიტიკურ ბელადთა როლს და მათს გავლენას მოძრაობაზე, თუ ისინი ღრმად ჩასწვდებიან ამ მოძრაობის არსს და შეძლებენ სათანადო მიმართულებით წარმართონ იგი.გიორგი მაიაშვილის ღრმა რწმენით, მხოლოდ ხალხია ისტორიის მთავარი შემოქმედი, რომ არც ერთ საზოგადო მოძრაობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, თუ რამ ხალხი იმაში ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებს, ხალხი აძლევს მოძრაობას დიდ ძალას და მნიშვნელობას”.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი ზდანოვიჩი კრიტიკულ-ლიტერატურულ მიმართულების ხაზს აქტიურად გაჰყვა. მან არა ერთი ცნობილ პილიტიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და მწერლის მოღვაწეობის ღვაწლსა და ნაშრომების კრიტიკას მიჰყო ხელი.

პირველ რიგში, იგი მოითხოვს მოძრაობაში ხალხის ეკონომიური ინტერესების დაკმაყოფილებას, მერე კი სხვა ინტერესებისაც, როგორც არის პოლიტიკური და

ეროვნული. პოლიტიკური და ეკონომიური მოძრაობა რომ მჭიდრო კავშირშია ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს საქართველოს მაგალითი. მას გულს უკლავს, რომ დიდი ხანია ხედავს გაჩუმებულ და გაყინულ სამშობლოს.

ქვეყანას „თითქოს აღხოცოდეს…კაცები, რომელთაც შეეძლოთ იკისრონ მოვალეობა, გახდნენ ბელადნი მოძრაობისა,რომ ამით გამოაღვიძონ ხალხი იმ ღრმა ძილისაგან, რომელსაც მიეცა ისტორიულის წამებასა და ტანჯვის შემდეგ“.იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ მხოლოდ 1860 წლიდან სჩანან მოძრაობის ნიშნები ჩვენის მიმძინარე-ბულის ქვეყნისა, რომელიც „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“. აქ მას მხედველობაში ჰყავს თერგდალეულები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ქართველი ხალხის ნაციონალურ მოძრაობას. იგი აკრიტიკებს იმათ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თითქოს ეს მოძრაობა წარმოიშვა იმის შედეგად, რომ 1860 წელს რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა რამდენიმე ქართველი განათლებული ყმაწვილი კაცი, და რომ ამ განათლებულმა ყმაწვილკაცებმა, აღტაცებულებმა მამულის სიყვარულით, დააარსეს ჟურნალ-გაზეთები, გამოსცეს წიგნები და სხვა.გიორგი ზდანოვიჩი ამაში მხოლოდ ფაქტს ხედავს და არა ამ ფაქტის ახსნას; მისი აზრით, ამ მოძრაობის გამომწვევი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცხოვრების მატერიალური პირობების შეცვლა, განსაკუთრებით გლეხთა რეფორმის მომდევნო პერიოდში. „რადგანაც ცვლილება ბევრჯერ ხალხის სასარგებლოდ არ არის ხოლმე, ამისათვის ხალხი დიდ სიღარიბეში ჩაცვივდა...ხალხის ეკონომიური ცხოვრების წყობამ მოიყვანა მოძრაობაში თვითონ ხალხიც... აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ, საზოგადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა. ისინი გამოიწვია დრომ და არა პირიქით, ვგონებ, მათის თავმოყვარეობის საწყენს არაფერს ვამბობ: ეს ყველგან ასე იყო და ასეც იქნება“ **(კანდელაკი,1968:3-659).**

გიორგი ზდანოვიჩი აკრიტიკებს იმ პირებს, ვინც მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის მოგვარებაში ხედავდა საქართველოს ბეჩავი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ გზას, „ღაღადება სკოლებში ქართული ენის შემოღებას, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართული თეატრის გახსნაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ. ჩვენი ენის განვითარებაზე და გამშვენიერებაზე და სხვადასხვა... ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსი საგნები არიან, მაგრამ ამ საგნებზე გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი და ამასთანავე კმაყოფილებით

ძახილი, რომ მხოლოდ ამაოებაზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არ გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებული“. გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) მოუწოდებს ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, პირველ რიგში, ახსნან ეკონომიური საგნები, ყოველმხრივ შეისწავლონ ხალხის ეკონომიური ცხოვრება. იგი გულისტკივილს გამოთქვამს, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თითქმის არაფერი იწერებოდა პოლიტეკონომიის სფეროდან. აქვე იძლევა საკმაოდ ვრცელ საკუთარ პროგრამას,თუ როგორ უნდა ყოფილიყო შესწავლილი და გამოკვლეული ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, მისი სოციალური შემადგენლობა, ეროვნული შემოსავალი და სხვა. „თქვენ გიყვართ სამშობლო, თქვენი ენა, ხალხი, - წერს გიორგი მაიაშვილი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ, - მაგრამ არ გეტყობათ, რომ თქვენ ცნობიერებით მოფიქრებული გქონდეთ პროგრამა საზოგადოებრივი მოქმედებისა, სიყვარული-დიახ,საქები და პატივსაცემი გრძნობაა,ცხადია,მაგრამ ტარიელის სიყვარულით ქვევანას ვერ აღვაშენებთ და ვერ აღვადგენთ... საჭიროა შემუშავება და გამოკვლევა საზოგადოებრივის იდეალისა, ხალხთა ცხოვრების ყოველმხრის დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ“.

გიორგი ზდანოვიჩი საყვედურობს საქართველოს ისტორიით გატაცებულ პირებს, რომლებიც თავიანთ თხზულებებში მხოლოდ სხვადასხვა ლაშქრობებსა და სამეფო კარის ინტრიგებს აღწერენ, „იმის მაგიერ, რომ დაგვანახოთ ყოფა-ცხოვრება ხალხისა წარსულის დროს, იმის მაგიერ, რომ გაგვაცნოთ მაშინდელი უფლებრივი, იურიდიული და ეკონომიური ურთიერთობა, თქვენ სულ სხვას მოგვითხრობთ და თან ამ შესხმასა და ხოტბის წერას დარბაისლურ შრომას ეძახით!“

ასევე აღსანიშნავია გიორგი ზდანოვიჩის კრიტიკული სტატია, რომელიც მიუძღვნა ალექსანდრე ყაზბეგს, მის თხზულებათა სამტომეულის გამოსვლასთან დაკავში- რებით 1892წლის იანვარში, გაზეთ „ნოვორ ობოზრენიეს“ ფურცლებზე **(გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, 1892 წ.#2767,2768).**

კრიტიკოსმა მკითხველს საკმაოდ ვრცლად წარუდგინა თავისი შეხედულება გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტის თხზულებების ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ.

ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული შემოქმედება იმდროინდელ ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ კიდევ აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობას იწვევდა.ეს თითქოს კანონზომიერიც იყო:ალექსანდრე ყაზბეგმა სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მიაწოდა მკითხველს ყველა თავისი მხატვრული ნაწარმოები. მართალია, მკითხველი იმთავითვე დიდი მოწონებით შეხვდა ნიჭიერ პროზაიკოსს, მაგრამ კრიტიკას მაინც გაუძნელდა თავიდანვე სწორად და საფუძვლიანად შეეფასებინა ახალგაზრდა, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედი. ამიტომაც მათ შეხედულებებში ორი უკიდურესობის ანარეკლი და ნაჩქარევი დასკვნების გაკეთების კვალი შეინიშნება. ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა სამტომეულის გამოსვლა, რა თქმა უნდა, კრიტიკოსებს უადვილებდა დასაბუთებული და მართებული დასკვნების გაკეთებას. როგორც გიორგი ზდანოვიჩი შენიშნავს, ახლა მათ მიეცათ სრული შესაძლებლობა „დაენახათ მწერალი მთელი მისი შესაძლებლობებით", აღენიშნათ მისი ღირებულებები და ნაკლოვანებები, შეეფასებინათ მისი ტალანტი, თვალ - ყური ედევნებიათ იმ წამყვანი იდეისათვის, რომელსაც თავად მისდევდა თავისი მოღვაწეობის დროს". შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ყაზბეგის პირველი კრიტიკოსი, რომელმაც მწერალი შეაფასა მთელ მის შემოქმედებაზე დაყრდნობით,გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) იყო. ის წერს, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული ტალანტი უდავოა და მის შემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოების ცხოვრებაში. მიუხედავად ასეთი შექებისა, გიორგის მხრიდან მას მიაჩნია, რომ ქართულ ლიტერატურაში მაინც გადაჭარბებული გატაცებაა პოეზიით, რის გამოც ყველა დამწყები მწერალი თავს ვალდებულად თვლის გამოსცადოს ნიჭი ლექსების თხზვაში. ასეთი ტენდენცია გიორგის არ მიაჩნია გამართლებულად. ასევე როგორც კრიტიკოსი ამბობს, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება, გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად, მაშინ განიცდიდა ისტორიული მნიშვნელობის ძვრებს, რომლებიც მწერლობისაგან მოითხოვდა „არა ლექსებში დიდი სილამაზით აღწერილ ქვეყნიერებას,არამედ ყურადღებით არის შესასწავლი ჩვენი არსებობის პირობები". რაც არ უნდა კრიტიკულად მივუდგეთ გიორგის ამგვარ დამოკიდებულებას, მასში მაინც არის მარცვალი ჭეშმარიტებისა, რადგან ამ ქვეყნისათვის ამ მძიმე ისტორიულ ვითარებაში არა ლამაზად გადმოცემული ხოტბაა ქვეყნისათვის სასიკეთო, არამედ - მის სამსახურში დგომა და ხალხისათვის სასიკეთო ნაბიჯების გადადგმაში.

ასეთი შესავლის შემდეგ გიორგი ზდანოვიჩი იწყებს ალექსანდრე ყაზბეგის და მისი პროზაული თხზულებების შესახებ მსჯელობას. გიორგი ზდანოვიჩი რეალიზმის თაყვანისმცემელია და მას ვერ აკმაყოფილებს ნატურალისტთა ბანალური დაწვრილ-მანება და დეტალიზაცია. გიორგი აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ყაზბეგს გაიდეალიზებული აქვს გამორჩეული კუთხე და მისი გმირები, ხოლო სხვა დანარჩენი მისი პოეზიის მიღმა რჩება. გიორგი ზდანოვიჩი მის ამ მხრივ შემოქმედებას საკმაოდ მაღალ ასპექტში განიხილავს. დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ გიორგი თავისი შეხედულებებისამებრ შეეცადა ეჩვენებინა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ძლიერი და სუსტი მხარეები. აღსანიშნავი ისაა, რომ გიორგის კრიტიკა არ იყო მიმართული მხოლოდ დადებითისკენ ან მხოლოდ უარყოფითისაკენ.

რაც შეეხება თვით გიორგი ზდანოვჩს, ის, როგორ ჩანს, ღრმად არ ჩასწვდა ალექსანდრე ყაზბეგის სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობის არსს და საერო სიღრმით არაა გარკვეული მწერლის შემოქმედების მთავარ იდეურ აზრში. ალბათ, ამიტომ კრიტიკოსს ეჩვენება ერთფეროვნად მის მიერ დახატული პერსონაჟები. ვერც უსაფუძვლოდ მივიჩნევთ კრიტიკოსის მიერ წარმოთქმულ მოსაზრებებს.

ხურცილავა წერდა, რომ გიორგიმ ყაზბეგი ჩათვალა ხალხოსან მწერლად, მან ვერ აპატია ყაზბეგს ის, რომ მან მთის შეუბღალავი ცხოვრება იქადაგა. ის ამბობს, რომ გიორგი სხვა სფეროს მგოსანია და ვერ შეძლო მთელი ძალით დაენახა პოეტის მხატვრული შესაძლებლობა (**„თსუ შრომები“, 1984, ტ. XXV , გვ. 9-11**).

თავისი მორიგი გამოსვლა, ქართული მწერლობის საკითხებზე, გიორგი ზდანოვიჩმა ილია ჭავჭავაძის, როგორც პოეტის, დახასიათებას მიუძღვნა. ამჯერადაც კრიტიკული წერილები მან **„ნოვოე ობოზრენიეს“ (გაზ. „ნოვიე ობოზრენიე“, 1892 წ, # 2896, 2897; 2902)** ფურცლებზე გამოაქვეყნა.

ილია ჭავჭავაძის, როგორც პოეტის, დახასიათებით,კრიტიკოსის შემოფარგვლა გამოიწვია იმან, რომ სტატიები წარმოადგენდნენ რეცენზიას მწერლის თხზულებათა პირველ ტომზე, რომელიც 1892 წელს გამოვიდა და რომელშიც შესულია მხოლოდ პოეტური ნაწარმოებები. გარდა ამისა, როგორც სტატიებიდან ჩანს, გიორგი ზდანოვიჩი, საერთოდ, უკმაყოფილო ყოფილა იმ შეხედულებებით, რომლებიც იმდროინდელ კრიტიკასა და მკითხველთა გარკვეულ ნაწილში ყოფილა გავრცელებული ილია ჭავჭავაძის პოეზიის შესახებ. მისი თქმით, ილიას ლექსების შემფასებლების ძირითადი

ყურადღება გამახვილებულია მისი შემოქმედების გარეგან მხარეზე,ისინი არ ეხება მისი პოეტური ქმნილების მნიშვნელობას და მის დადებით მხარეებზე ზოგი დაწვრილებით, ზოგი კი ცინიზმით მიუთითებს.ილიას ზოგირთი კრიტიკოსი მართლაც ვერ ახერხებდა შესაფერი და ამომწურავი შეფასება მიეცა დიდი პოეტის ლირიკისათვის, ისინი ღრმად ვერ იგებდნენ ილიას პოეზიის ნოვატორულ ბუნებას და ე.წ. მსუბუქი პოეზიის ტრადიციათა შუქზე აფასებდნენ მას. გიორგი აღნიშნავს ილიას ზოგიერთი ლირიკული ლექსის მხატვრულ სისუსტეს. პოეტის მთელი პოეზიის ამგვარ შეფასებას კრიტიკის დიდ შეცდომად და მხოლოდ გაუგებრობად მიიჩნევს. მას ასევე გამოკვეთილი აქვს ილიას პოეზიის ძლიერების მთავარი წყარო. მისი ლექსების უპირველესი ღირსება. გიორგი ზდანოვიჩი განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს და მას ხიბლავს პოეტის სატირულლექსები.

გიორგი ზდანოვიჩი საგანგებოდ შენიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძეს ის ახასიათებს მხოლოდ როგორც პოეტს და არა - როგორც ადამიანს და საზოგადო მოღვაწეს.

თავისი სტატიის დასასრულს,გიორგი ზდანოვიჩი უბრუნდება ლექს „პოეტზე“ მსჯელობას, რათა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნოს ილია ჭავჭავაძის პოეტური პროგრამის ფართო საზოგადოებრივი შინაარსი, მისი ღრმა პატრიოტული აზრი და ის გარემოებაც,თუ როგორ მტკიცედ აღასრულა მან თავისი სიტყვა.ასე ამთავრებს გიორგი ზდანოვიჩი ილია ჭავჭავაძის, როგორც პოეტის, დახასიათებას და,თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ყველა მის წინამორბედ კრიტიკოსთა შეხედულებებს დიდი პოეტის პოეზიის შესახებ,დავრწმუნდებით,რომ მან აკაკი წერეთელთან ერთად (აკაკი წერეთლის „რამდენიმე სიტყვა“, „ჩონგურს“) თავის დროზე ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა ილია ჭავჭავაძის ლირიკის შესწავლისა და გაგების საქმეში.საერთოდ, მან ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა გაამდიდრა საინტერესო დაკვირვებებით ილია ჭავჭავაძის პოეტური ტალანტისა და მხატვრული ოსტატობის თავისებურებათა შესახებ .მაგრამ, რაც უფრო სამწუხაროა, გიორგი ზდანოვიჩის ეს წერილი, სრულიად დაუმსახურებლად, დღემდე სათანადო ასახვას ვერ პოულობს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეთა შრომებში.

ალექსანდრე ყაზბეგისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კრიტიკული შეფასების შემდეგ გიორგი ზდანოვიჩის ყურადღება მიიპყრო სამწერლო ასპერეზზე ახლადგადმოსულმა და ერთადერთი ბელეტრისტული თხზულების ავტორმა გიორგი

ნათაძემ, რომელაც ფსევდონიმად მელანია აირჩია. ის იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომელიც 80-იანი წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე.

1888 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა გ.ნათაძის მოთხრობა „ბნელო“, რომელმაც ახალგაზრდა მწერალს მკითხველი და იმედისმომცემი პროზაიკოსის სახელი მოუპოვა. მალევე დაიბეჭდა მოთხრობები „კრიალოსანი“ (1894), „ნავარდობა“ (1899) და სხვა.ამ მწერლის მიერ 1891 წელს „ბნელოს“ ცალკე ტომად გამოსვლა გახდა გიორგი ზდანოვიჩის კრიტიკის საბაბი.მან მწერლის შესახებ კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა სახელწოდებით „რეალიზმი ვგრუზინსკოი ლიტერატურე“ **(გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., # 3147,3150).**

გიორგი წერილს შემდეგი სიტყვებით იწყებს: „ქართულ ლიტერატურა შედარებით ღარიბია ბელეტრისტული თხზულებებით; ასეთ ვითარებაში კი „ბნელო“ შესამჩნევი ლიტერატურული მოვლენაა.ამას მკითხველთა ინტერესიც ადასტურებს“. თვითინ კრიტიკოსი არ ყოფილა აღფრთოვანებული ამ ნაწარმოებით და საკმაოდ მკაცრად მიუთითა ამ თხზულების მხატვრულ და იდეურ სისუსტეზე, ის საუბრობს ავტორის მოუმწიფებლობაზე. კრიტიკოსი სამართლიანად საყვედურობს მელანიას ისეთი პერსონაჟების გამოყვანას ნაწარმოებში, რომლებსაც არსებითი კავშირი არ აქვს მოთხრობის მთავარ შინაარსთან და არაფრით არ უწყობენ ხელს მოქმედების განვითარებას და გაგებას.ასევე, გიორგი საუბრობს იმაზე, რომ ეს თემა მას ახლად არ მიაჩნია, თუმცა მას თვლის მომგებიანად და სასარგებლოდ მხატვრული განზოგადებისათვის. მელანიას მოთხრობებისადმი ინტერესს, კრიტიკოსის შეხედულებით, ანელებს ის გარემოებაც, რომ ავტორი არ ცდილობს ღრმად ჩაიხედოს თავის გმირთა სულში და მოგვცეს მათი მოქმედებისა და ქცევის ახსნა. ეს კი მით უფრო სამწუხაროა, რომ ამას აკეთებს სრულიადაც არა სათანადო ნიჭის უქონლობის გამო. უდავოა, რომ გიორგი ზდანოვიჩი „რელიზმში“, როცა ის თავის სტატიას სათაურად აკეთებდა „რეალიზმ ვგრუზინსკოი ლიტერატურე“, სინამდვილეში გულისხმობდა „ნატურალიზმს“. მისი მკაცრი კრიტიკა „ბნელოს“ მისამართით გამოწვეულია სწორედ მისი ავტორის ნატურალისტურ სტილთან მიახლოებისა და ჭეშმარიტი რეალიზმის პრინციპებისაგან გვერდის ავლის გამო.

გიორგი ზდანოვიჩის ეს მიდგომა სამომავლოდ მეტ-ნაკლებად იყო გაზიარებული კრიტიკოსთა მხრიდან. უფრო სწორად, მათ მეტ-ნაკლებად წამოსწიეს წინ ნაწარმოებში

მის მიერ შენიშნული ღირსება-ნაკლოვანებანი და პრინციპულად ახალი ბევრი აღარაფერი უთქვამთ, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა შედარებით სრულად და დაწვრილებითაც განიხილა იგი.

დასასრულს, სამწუხარო იყო ის გარემოება, რომ აღნიშნული სტატიით გიორგი ზდანოვიჩმა დაამთავრა ქართული მწერლობის საკითხებზე წერა და ამის შემდეგ მხოლოდ პუბლიცისტიკას ემსახურებოდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ გიორგი ზდანოვიჩი ნაწილობრივ, მაგრამ გულდასმით შეეხო რუსული ლიტერატურის განვითარების პროცესს. ხშირად ინტერესდებოდა ე.წ. მეორეხარისხოვან წარმომადგენელთა შემოქმედებითაც.ზუსტად ამან განაპირობა ის ფაქტი,რომ პატიმრობაში ყოფნის დროს მას თანამშრომლობა შესთავაზა „სიბირსკაია გაზეტამ“, სადაც საინტერესო კრიტიკულ წერილებს რუბრიკაში „იზ ობლასტი ჟურნალისტიკაში“ ბეჭდავდა. გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მისი კრიტიკაც შეეხო ნიკოლაი მიხაილოვსკის, ნიკოლაი ბელინსკის, გლებ უსპენსკის, ვლადიმერ კოროლენკოს და სხვებს.

გიორგი ერთნაირი ინტერესით მსჯელობდა გამოჩენილ და სრულიად ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებზე.

ბოლოს გიორგი ზდანოვიჩი ამ თავის უდავოდ მეტად საინტერესო წერილებში ეხება ქართული და უცხოური ლიტერატურის ბედს და მოითხოვს ხალხისათვის გასაგებ ლიტერატურას ენითაც და შინაარსითაც, გმობს მაღალფარდოვნებისადმი გამოდევნებას ლიტერატურაში და ასევე ამთავრებს სტატიას: „შევეწყოთ და შევუთანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, ვისწავლოთ და განვვითარდეთ ხალხთან ერთდ, მასთან ერთადვე შევიმუშაოთ საზოგადოებრივი იდეალები“. გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრებიდან აღსანიშნავია ზოგიერთი ძირითადი მომენტი, მისი მოღვაწეობა პუბლიცისტიკისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ძირითადი პროგრამა, რომლის განხორციელებისთვისაც იგი იღვწოდა თავისი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

როგორც ვხედავთ, გიორგი მაიაშვილის ეს საპროგრამო დოკუმენტი საგულისხმოა ბევრის მხრივ. ზოგიერთ მის ღირებულებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ცხადია, იგი ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა მარქსიზმის ღრმად

წვდომისაგან, მაგრამ მისი ღირსება ისაა, რომ ქართულ პუბლიცისტიკაში ერთ-ერთმა პირველმა გაკვალა გზა მარქსისტული იდეების მიმართულებით. მან მეტად მდიდარი კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდროება დაგვიტოვა, საიდანაც აღსანიშნავია, როგორც ზემოთ ვიმსჯელეთ, გიორგი მაიაშვილის სტატია ბელინსკიზე(**გაზეთი „სიბირსკაია გაზეტაში“, 1888 წელს № 26,39)** გადასახლებაში ყოფნის დროს, აგრეთვე სტატიები „ძველი და ახალი თაობა და მათ გამო ლაპარაკი ჩვენში“ (**გაზეთი „ივერია“, 1889 წელი; # 222-238),** „მოკლე მომოხილვა წარმოება-აღებ–მიცემობისა ჩვენში ძველად და ახლა“ **(ჟურნალი "საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. № 1301),** „ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო“ **(გაზეთი „ივერია“,1891, # 95-142)**, „ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი და მისი მოქმედება“ **(ჟურნალი „მოამბე“, 1896,# 12, 1897 #1,3,4)**, „მსხვილ თავადაზნაურთა იდეოლოგია“**(გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, 1916, # 41)** და მრავალი სხვა, რომლებშიც იგი ატარებს და იცავს თავის ზემოთ აღნიშნულ შეხედულებებს.

გიორგი ზდანოვიჩი არა მარტო ქადაგებდა ზემოთ მოყვანილ წერილებში გადმოცემულ იდეებს, არამედ ცდილობდა კიდევაც მათ ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებას. ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის თავჯდომარედ მისი მოღვაწეობის მთელი პერიოდი (1896 – 1917 წელი), ნათლად ადასტურებს ამას.

კარგადაა ცნობილი გიორგი მაიაშვილის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. მან მთელი თავისი მგზნებარე სიცოცხლე ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისა და მისი კეთილდღეობის კეთილშობილ საქმეს მიუძღვნა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ზდანოვიჩმა (მაიაშვილმა) ერთხანს ქუთაისის სამიწათმოქმედო ბანკში დაიწყო მუშაობა საზედამხედველო კომიტეტის წევრად. აღსანიშნავია,საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი ჩვეული ენერგიიათა და მგზნებარე ტემპერამენტით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი უკეთ გაეცნო საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას,მის ხასიათსა და ვითარებას; გაშალა მეტად საინტერესო პუბლიცისტური და კრიტიკული მოღვაწეობა.

გიორგი ზდანოვიჩის დიდი ერუდიციის დამადასტურებელია ისიც, რომ იგი შესანიშნავად ახამებდა ერთმანეთში პრაქტიკულ საქმიანობასა და მწერლობას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რის გამოც გიორგი მაიაშვილს დაუწესეს პოლიციის ღია მეთვალყურეობა.ეს იმას ნიშნავდა,რომ მას ოფიციალურად ეკრძალებოდა სახელმწიფო

ან კერძო სამსახურში შესულიყო, მას სასამართლოში მოწმედ გამოსვლის უფლებაც კი არ ჰქონდა.ცხადია,ეს უარყოფით გავლენას ახდენდა მის მატერიალურ და მორალურ მდგომარეობაზე.გიორგი ზდანოვიჩმა ბევრი იბრძოლა,რომ მისთვის პოლიციის მეთვალყურეობა მოეხსნათ. მხოლოდ 1892 წელს შესძლო მან,მიეღწია ამისათვის, უშუალოდ ხელმწიფე იმპერატორის განკარგულების საფუძველზე. ამის შემდეგ მას უფლება მიეცა დაეწყო სამსახური. ცნობილია, გიორგი ზდანოვიჩის დაუცხრომელი ბრძოლა ბანკის მესვეურთა მომხვეჭელობის წინააღმდეგ. იგი გადაჭრით მოითხოვდა, რომ ბანკის მოგება მოხმარებოდა ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას, საგანმანათლებლო საქმეს, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დათხოვნილ მასწავლებელთა მატერიალურ უზრუნველყოფას და სხვა. საერთოდ გიორგი მაიაშვილი არავის არ ერიდებოდა და ყოველთვის მკაცრი და პირდაპირი იყო, როცა ამას საერთო საქმე და ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა. ამ ნიადაგზე მას ბევრი მტერი გაუჩნდა. წლების მანძილზე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთისის განყოფილების თავმჯდომარე ეხმარებოდა მას მატერიალურადაც.

გიორგი ზდანოვიჩის ირგვლივ, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, თავს იყრიდა იმდროინდელი მოწინავე საზოგადოება, იმართებოდა მსჯელობა და ცხარე კამათიც, ცხოვრებისეულ საჭირბოროტო თემებზე, ასევე ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაზე, მეფის მოხელეთა თვითნებობაზე, სახავდნენ ღონისძიებებს,თუ როგორ გამოეყვანად საქართველო ამ ბეჩავი მდგომარეობიდან.

განსაკუთრებით დიდ როლს უთმობდნენ ისინი ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს. როგორც ცნობილია, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) სოციალ-ფედერალისტი და მათი მესვეური იყო. იგი ეკონომიკურ საკითხებთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნული საკითხის მართებულად მოგვარებას. იგი მას ესახებოდა ფედერაციული გაერთიანების სახით, როდესაც საქართველოს შინაურ საქმეებში ექნებოდა ფართო ავტონომია, ხოლო საგარეო პოლიტიკის ხაზით მჭიდრო კავშირი იქნებოდა რუს ხალხთნ .

პირველმა მსოფლიო ომმა კიდევ უფრო გაზარდა მასში რწმენა ეროვნული ავტონომიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ამას მოწმობს 1915 წელს გამოქვეყ-ნებული მისი სტატიები „ნაციონალიზმის გამარჯვება“, „ერთი თუ ორი პარტია“, „კვლავ

ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“ და სხვა. ამ სტატიებში ნათლადაა გადმოცემული გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ეროვნული პროგრამა.მას,როგორც ფედერალისტს,ღრმად სწამდა, გარდაქმნა სოციალური ურთიერთობების სასარგებლოდ მთელი მშრომელი ხალხისა, განურჩევლად პროლეტარიატისა და გლეხობისა და შემოღება საქართველოში დემოკრატიულ პრინციპებზე აშენებული პოლიტიკური თვითმმართველობისა, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს როგორც ბუნებრივი შედეგი დემოკრატიული ბრძოლისა რუსეთში, რომელსაც მიზნად ექნება რადიკალურად გარდაქმნა პოლიტიკური რეჟიმისა მთელ სახელმწიფოში“ **(გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ , 1915 წლის # 41).**

ერთი სიტყვით, მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ორ ძირითად მიზანს ისახავდა: სოციალური უსამართლობის მოსპობასა და ეროვნულ თავისუფლებას საქართველოსათვის.

გიორგი ზდანოვიჩი განსაკუთრებით ახლო იყო ექიმ ნაზარიშვილის, ნიკოლაძისა და ფურცელაძის ოჯახებთან. აქ ხშირად იკრიბებოდნენ საქართველოს გამოჩენილი შვილები და მსჯელობდნენ საზოგადოებრივ, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. მათ შორის აღსანიშნავია გიორგი წერეთელი, ალექსანდრე გაბაშვილი, დიმიტრი ნაზარიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, კიტა აბაშიძე და სხვები. გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გადაჭრით მოითხოვდა ეროვნული თვითგამორკვევის უფლების აღიარებას ქართველი ხალხისათვის, მხარს უჭერდა რუს ხალხთან გულწრფელ მეგობრულ დამოკიდებულებას ცარიზმის წინააღმდეგ მათს საერთო ბრძოლაში. ხალხების სოციალური და ეროვნული განთავისუფლების გზას გიორგი მაიაშვილი ხედავდა სოციალურ რევოლუციაში, იგი მჭიდრო ურთიერთობაში იყო გამოჩენილ რევოლუციონერებთან, რომლებიც სხვა გამოჩენილ და პროგრესულად მოაზროვნე პირებთან ერთად ხშირად იკრიბებოდნენ მის ბინაზე ქალაქ ქუთაისში, რომელიც მდებარეობდა ყოფილი ქართული გიმნაზიის გვერდით. გეგუთის ქუჩაზე (ამჟამად ალექსანდრე წულუკიძის ქუჩა).

საქართველოში დაბრუნების შემდეგ გიორგი ზდანოვიჩის (მაიასვილის) რევოლუციური საქმიანობა, მისი ურთიერთობა იმ დროის გამოჩენილ რევოლუციონერებსა და საზოგადო მოღვაწეებთან შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის ჟანდარმერიას. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1905 წლის რევოლუციის

დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქციის წლებში. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბობოქრობდა რევოლუციის დაუძინებელი მტერი, პირსისხლიანი გენერალი სიები, რომელიც უნდა შეეპყროთ და სიკვდილით დაესაჯათ. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო გიორგი ზდანოვიჩი.მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ალიხანოვ - ავარსკიმ გასცა ბრძანება, დაეპატიმრებინათ გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), როგორც ერთ-ერთი საშიში პიროვნება, რომელიც რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის გარდა არალეგალური ლიტერატურის შემოტანა-გავრცელებაშიც იყო ეჭვმიტანილი. აღნიშნული არალეგალური ლიტერატურის შემოსატანად გიორგი ზდანოვიჩს (მაიასვილს) კავშირი ჰქონდა დამყარებული საზღვარგარეთ მცხოვრებ რუს და შვეიცარიელ რევოლუციონერებთან. მაგალითად: შვეიცარიაში მცხოვრებ კრავჩინსკი-სტეპნიაკთან, ელენცთან,ასევე, ამ დროს ჟენევაში მყოფ ვარლამ ჩერქეზიშვილთან. რუსულმა ჟანდარმერიამ და საიდუმლო პოლიციამ კარგად იცოდნენ ზდანოვიჩის განსაკუთრებული როლისა და ავტორიტეტის შესახებ, ამიტომ ფარულად ადევნებდნენ თვალს, მაგრამ მოხერხებული კონსპირატორი კარგა ხანს ვერ ჩაიგდეს ხელში. საიდუმლო თემების აღმოჩენა მას შემდეგ დაიწყო, როდესაც პოლიციამ ეს საქმე შემთხვევით გახსნა - ივანე ჯაბადარი და პეტრე ალექსეევი დააპატიმრა (ჭუმბურიძე,2008:125) კაზაკებმა და პოლიციელების გაძლიერებულმა რაზმმა ჟანდარმერიის ბრძანების აღსასრულებლად გიორგი ზდანოვიჩის ბინას მოულოდნელად შემოარტყეს ალყა. ეს ამბავი მსახურმა დაუყონებლივ აცნობა გიორგი ზდანოვიჩს. მან ეზოდან გაპარვა დააპირა, მაგრამ გვიანღა იყო. მაშინ მან მსახურს დაავალა პოლიციის ოფიცრისათვის მოეხსენებინა, ვითომც იგი სოფელში იყო წასული, თვითონ კი საწოლ ოთახში შევიდა და ისე მოხერხებულად ჩაწვა ლოგინში, რომ კაცი ვერ შეამჩნევდა,თუ იქ ვინმე იმყოფებოდა. ერთგულმა მსახურმა ოფიცერს ყველაფერი ისე მოახსენა,როგორც გიორგი ზდანოვიჩმა(მაიაშვილმა) აუხსნა, მაგრამ მან, რა თქმა უნადა, არ ირწმუნა მსახურის სიტყვები და ყველა ოთახი გულმოდგინედ დაათვალიერა. მათ შორის ისიც, რომელშიც საბნის ქვეშ გატრუნული გიორგი იმყოფებოდა.ოფიცერმა მართლაც ვერაფერი შეამჩნია, შეადგინა ადგილის დათვალიერების ოქმი და ხელმოცარული გაბრუნდა. მალე, ამის შემდეგ, გიორგი ზდანოვიჩი სოფელში წავიდა, ხოლო იქიდან თბილისში გადავიდა და არალეგურად ცხოვრობდა კარგა ხანს. აი რას წერდა ამ ფაქტთან დაკავშირებით (გაზეთი „ჩვენი

მეგობარი“ #413 -1917 წ.): „1906 წელს საშინელი რეაქციის დროს,მხცოვანი გიორგი ზდანოვიჩი იძულებული იყო უკვალოდ მიმალულიყო თითქმის ერთი წლის განმავლობაში,რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინა და ხელთ არ ჩავარდნოდა გამძვინვარებულ გენერალ ალიხანოვს,რომელიც არ მალავდა თავის განწყობილებას, მას უნდოდა გიორგის ხელში ჩაგდება და მისი ქუჩის ფარანზე ჩამოკიდა“.

ასე მოხერხებულად დაუსხლტა გიორგი ზდანოვიჩი მეფის ჟანდარმერიას, რომელიც მას ჩამოხრჩობას უპირებდა. გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრების ამ პერიოდის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ერთ საგულისხმო შეხვედრას, რომელიც მას თავს გადახდა:ერთხელ გიორგი ზდანოვიჩს თბილისიდან ქუთაისში პროკლამაციები მიჰქონდა.პროკლამაციებში ლაპარაკი იყო ტერორისტული აქტების მოხდენის ახალ წესებზე.თან ახლდა ორი თანამებრძოლი.როდესაც მატარებელი მიხაილოვის სადგურში გაჩერდა,მასთან მივიდა მისი ძველი მეგობარი, დოქტორი ნიკოლოზ ხუდადოვი თავის შვილთან-ვლადიმერ ხუდადოვთან ერათად.ამ ვლადიმერ ხუდადოვს თურმე პოლიცია ადევნებდა თვალს,როგორც რევოლუციურ საქმიანობაში შემჩნეულს.ჟანდარმერიის აგენტმა ეჭვი მიიტანა გიორგი ზდანოვიჩზედაც, ალბათ, მისი თანამზრახველიაო და დააკავა კიდეც.გიორგი ზდანოვიჩი მიიყვანეს ჟანდარმერიის ოთახში და მცველად კაზაკი მიუჩინეს. აგენტი გაემართა ჟანდარმერიის უფროსთან მოსახსენებლად, რომ დააკავა საშიში რევოლუციონერი. გიორგი ზდანოვიჩმა ისარგებლა ამით,კაზაკს სთხოვა ოფიციანტისათვის ეხმო ბორჯომის წყლის მოსატანად.ვიდრე კაზაკი ოფიციანტს უხმობდა, გიორგი ზდანოვიჩმა მოასწრო გულის ჯიბიდან პროკლამაციებისა და ფულის ამოღება. იგი მან ფარულად ფულთან ერთად გადასცა ოფიციანტს, რომელმაც ბირჯომის წყალი მოუტანა. პროკლამაციებისგან კი გათავისუფლდა, მაგრამ მას კიდევ რჩებოდა ხელბარგში გამოხვეული სხვა საშიში დოკუმენტები-მაგალითად, დებულება პარტიზანული ბრძოლების საწარმოებლად სამხედრო ორგანიზაციის შესახებ. მან მათი განადგურებაც შეძლო: კაზაკს სთხოვა საპირფარეშოში წაეყვანა იგი. ხელბარგიც თან წაიღო. იქ მან საეჭვო დოკუმენტები ტუალეტის მილში ჩასჩარა. როდესაც ჟანდარმერიის ოფიცერი და აგენტი დაბრუნდნენ, გიორგი მზდანოვიჩს საეჭვო დოკუმენტები აღარ ჰქონდა. ამის შემდეგ იგი თბილისში გადააგზავნეს. გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს

უფროსმა მას საქმის ვითარება გამოჰკითხა და, როგორც გაუგებრობის ნიადაგზე დაკავებული, მალევე გაათავისუფლა.

საერთოდ გიორგი ზდანოვიჩი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას ხშირად მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის. იგი ბევრს მატერიალურადაც ეხმარებოდა **(ქიმ , ფონდი 6416, საბუთი 1858),** მას არ უყვარდა უკან დახევა და საკმაოდ დიდ რისკზე მიდიოდა ხოლმე,როდესაც საკითხი რომელიმე რევოლუციურ-პოლიტიკურ წამოწყებას შეეხებოდა და როდესაც არალეგალურად მოქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციებს ჩავარდნის საფრთხე ემუქრებოდათ.აქ მას,კეთილშობილებისა და ჰუმანიზმის გარდა,თავისი დიდი გამბედაობა და რევოლუციური ბრძოლების გამოცდილებაც შველოდა.

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრებიდან, საიდანაც ნათლად ჩანს,თუ რაოდენ გაბედული სულის პატრონი იყო ეს გამოჩენილი ადამიანი, რომელიც ერთნაირი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა თვით იდეურად მოწინააღმდეგე არალეგალური პოლიტიკური დაჯგუფებებისა და პარტიების წარმომადგენელთა შორისაც კი. საკითხი შეეხება ქუთაისის ციხიდან 1906 წელს პოლიტიკური პატიმრების გაქცევის საქმის ორგანიზებას. ამ დროს ქუთაისის ციხე სავსე იყო პოლიტიკური პატიმრებით. ბევრს საკატორღო სამუშაოები და სიკვდილით დასჯაც ელოდა.ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულმა არალეგალურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა,დაეხსნა პოლიტიკური პატიმრები,ამ მიზნით ქუჩიდან ციხის ქვეშ ფარულად უნდა გაეყვანათ გვირაბი. საამისოდ ციხის მახლობლად გამოძებნეს შესაფერისი ბინაც, საიდანაც გვირაბის თხრა უნდა დაეწყოთ, მაგრამ აქ ისინი წინააღმდეგობას წააწყდნენ. ბინის პატრონი გადაჭრით ამბობდა უარს მათთვის ბინის მიქირავებაზე იმ მოტივით, რომ კარგად არ იცნობდა მათ და ქირის დროულად მიღებაც ეეჭვებოდა. ეს მთელ ამ წამოწყებას ჩაშლას უქადდა; დასახმარებლად მიმართეს გიორგი ზდანოვიჩს. ამ უკანასკნელმა დაუყონებლივ იხმო თავისი ნაცნობი სახლის პატრონი, შეძლო მისი დაყოლიება და მას წინასწარ მისცა 3000 მანეთის თამასუქი. ამის შემდეგ მუშაობა სწრაფი ტემპით წარიმართა. გვირაბი გადიოდა ქუჩის ქვემოთ, კვეთდა ციხის უზარმაზარ კედელს და იმ საკანთან მიდიოდა, სადაც პოლიტიკური პატიმრები იმყოფებოდნენ. ეს სარისკო წამოწყება, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა მაშინ, წარმატებით დამთავრდა. ნაწილი პატიმრებისა, განთავისუფლების შემდეგ,

საზღვარგარეთ წავიდა არალეგალურად, ნაწილი კი ჯაშუშთა დახმარებით კვლავ დააპატიმრა ჟანდარმერიამ. ციხიდან განთავისუფლებულ პოლიტპატიმართა შორის იყო ჩვენი სასიქადულო მწერალი ლეო ქიაჩელიც. აღსანიშნავია ისიც, რომ წამოწყების ინიციატორთა და ხელის შემწყობთა ხელში ჩაგდება პოლიციამ ვერ მოახერხა. შეუმჩნეველი გახდა თვით გიორგი ზდანოვიჩიც.

გიორგი ზდანოვიჩი რეალიზმისა და დემოკრატიზმის მხურვალე მქადაგებლად გვევლინება,მან მოკრძალებული, მაგრამ გარკვეული თავისი წვლილი შეიტანა 80-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკისა და რევოლუციური მოღვაწეობის სფეროში.რაც შეეხება მის რევოლუციურ საქმიანობას, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ხოლო მისი კრიტიკული მემკვიდრეობა ყურადღებას იქცევდა თავისი პროგრესული შეხედულე ბებით და მებრძოლი ტემპერამენტით.

როგორც კრიტიკოსი, გიორგი ზდანოვიჩი, საინტერესო და საყურადღებო ფიგურაა იმითაც, რომ მას თავისი შეხედულებების გამოთქმა შეეძლო როგორც ქართული, ასევე რუსული და საზღვარგარეთული მწერლობის საკითხებზე. შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ზდანოვიჩი ეკუთვნის კრიტიკოსთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს,რომლებიც 80-იანი წლების რეაქციის პერიოდში იცავდნენ და ავითარებდნენ ხალხის დემოკრატიზმისა და პროგრესული განვითარებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს. წარმოშობით პოლონელი და ქართული სულის მატარებელი გიორგი ზდანოვიჩი ცდილობდა მახვილი პუბლიცისტის კალმით გაეღვიძებინა თითოეული ქართველის მებრძოლი სული.

3.2. ქართულ-უცხოური პრესა გიორგი ზდანოვიჩის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ

უდიდესი პიროვნება, გამოჩენილი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე, ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი, რომელმაც კვალი დატოვა ქვეყნის ეროვნულ, სამრეწველო, პუბლიცისტურ საქმიანობაში, გიორგი ზდანოვიჩი, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფების შედეგად, 1917 წლის 30 ივლისს (ძველი სტილით) 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქვეყანას. მას დასტიროდა იმ დროის დიდი თუ პატარა, საზოგადო მოღვაწე თუ უბრალო მოქალაქე. წარმოშობით პოლონელი და ქართული სულისკვეთების ადამიანის გარდაცვალების გამო გლოვამ მოიცვა მთელი საქართველო. სამწუხაროდ, გიორგი ზდანოვიჩს ცოლ-შვილი არ დარჩენია... მეგობრები იყვნენ მისი ჭირისუფლები. კიტა აბაშიძე პატარა ბავშვივით უვლიდა. ერთი წუთით არ მიუტოვებიათ ავადმყოფობის დროს. ამის ბედი კი ჰქონდა... დავით კლდიაშვილის მოგონებით: „იგი სიყვარულით იყო შემოსილი იმ წრეში, რომელშიც მოხვდებოდა. მიშო ყიფიანმა მითხრა, რომ ციმბირში ყოფნის დროს ჩვენ და პოლონელ ცომბირელებს ჩხუბი მოგვდიოდა იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ზდანოვიჩიო: პოლონელები თავგამოდებით აცხადებდნენ, რომ ზდანოვიჩი მათია, პოლონელი; ჩვენ, ქართველები, გაცხარებით ვედავებოდით, რომ ზდანოვიჩი ჩვენია, ქართველია, ქართველი დედის შვილი“ და მართლაც, ასე რომ არ ჰყვარებოდათ წარმოშობით პოლონელი კაცი,ბაგრატის ტაძრის ეზოში ვერ პოვებდა სამუდამო განსასვენებელს.

1917 წლის 9 აგვისტოს იგი დაკრძალეს ქუთაისში, არქიელის გორაზე, ბაგრატის ტაძრის გალავანში,1956 წელს კი გადაასვენეს მწვანეყვავილას პანთეონში **(კაკაბაძე, 1969:100).**

გიორგი ზდანოვიჩის გარდაცვალების ფაქტს გამოეხმაურა მაშინდელი პრესა. თითქმის ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ადგილობრივ, ასევე სატახტო ქალაქში იბეჭდებოდა ნეკროლოგები, სტატიები, მოგონებები. უწყვეტ ნაკადად მოდიოდა კერძო პირებისა და ორგანიზაციების დეპეშები. ყველა ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა ამ შესანიშნავი ადამიანის გარდაცვალების გამო. თითქოს ყველა ქართულ

მართლმადიდებლურ ეკლესიაში გადაუხადეს პარაკლისი. მას პანაშვიდი მთელმა საქართველომ გადაუხადა **(ჭუმბურიძე,2008: 148).**

გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) მოღვაწეობის შესახებ იწერებოდა მრავლად. ამჟამად შევჩერდებით რამდენიმე მათგანზე. გაზეთები მას ახასიათებდნენ, როგორც უშიშარ რევოლუციონერს, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება ქვეყნის განმათავისუფლებელი საქმისათვის ბრძოლას შესწირა. ადარებდნენ ხალხისათვის ტანჯულ გმირს, უწოდებდნენ ხალხისა და ქვეყნისათვის წამებულს. იგონებდნენ მის გმირობასა და შეუდრეკლობას **(კაკაბაძე,1969:104).**

პუბლიცისტი საყვარელიძე წერილში-„სამძიმრის მაგიერ„-საუბრობდა იმ მაღალ იდეალებზე, რაც გიორგი ზდანოვიჩს ამოძრავებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე: „მოხუცმა სარდალმა მიისვენა ხანგრძლივი ბრძოლისა და ღელვის შემდეგ, ჩვენ, ახალგაზრდებს, გვმართებს გაათკეცებული მხნეობა, დაუშრეტელი ძალისა და ღონის გამოჩენა, რომ არჩილის (არჩილ ჯორჯაძე) და გიორგი ზდანოვიჩის დიდმა აზრებმა, ბრწყინვალე იდეალებმა გამარჯვება პოვოს ურიცხვ მტერთა შორის. „პუბლიცისტი მას ხევისბერ გოჩას, ინდიასა და სხვა, ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო გმირებს ადარებდა, ხალხს მოუწოდებდა მისი სახელის ირგვლივ შემოსაკრებად, მის უკვდავსაყოფად: „დავესესხოთ გიორგის ენთუზიაზმი, ცოდნა, გამოცდილება, რაინდობა,დარბაისლობა, სამშობლოს სიყვარული, მშრომელი ხალხისადმი თავდადება და ამ თვისებებით შეიარაღებულნი გავიდეთ ბრძოლის ასპარეზზე“,-მიმართავდა იგი ქართველ ხალხს **(გაზეთი „სახალხო საქმე“, 17,1917 წ., 4 აგვისტო)**.

შალვა ვადაჭკორიას მიაჩნდა, რომ გიორგი ზდანოვიჩის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო მთელი საქართველოსთვის, აუცილებლად თვლიდა, მის მიერ აღმართული დროშა ძირს არ დაეხარათ **(ვადაჭკორია 1917 წ. „ჩვენი გიორგი“, გაზეთი „სახალხო საქმე“,# 17,1917 წ., 8 აგვისტო).**

ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე წერეთელი წერდა: „აღსრულდა... მიიცვალა დიდი მასწავლებელი, აღარ ფეთქავს მისი გული,აღარ სცემს მაჯა.“ იგი თავს გიორგი ზდანოვიჩის მოწაფეთა შორის ასახელებდა და მიაჩნდა, რომ ის იდეები, რასაც მასწავლებელი ქადაგებდა, არ მოკვდებოდა საქართველოში: „მოწყურებულნი ვიყავით მის სიტყვას, მაგრამ იგი ჩვენთან იყო და ჩვენც ობლად არ ვგრძნობდით თავს და, როდესაც გზას გადამცდარი ჩვენივე ძმები ჩასაქოლად გვეკვეთებოდნენ, ჩვენ ხმამაღლა

შორიდან მასვე მივმართავდით: მასწავლებელო, შენ ხომ ხედავ, სული შენი ხომ გრძნობს ამ უსამართლო დევნას, მაგრამ შენ ჩვენთან ხარ, აბა, ჩვენც რისა გვეშინია-თქო?“ალექსანდრე წერეთლის ამ სიტყვებიდან ნათლად იკვეთება გიორგი ზდანოვიჩის პიროვნული თვისებები, წინამძღოლის, მასწავლებლის სახე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თანამედროვე საზოგადოების დიდ ნაწილზე,მათ შორის ახალგაზრდა ინტელიგენციაზე. აქედან ნათელია, რომ საქართველომ მართლაც დაკარგა ღირსეული მამულიშვილი და დიდი პიროვნება **(„სახალხო საქმე“, #17, 1917 წელი 4 აგვისტო, წერეთელი ა. გიორგი ზდანოვიჩის გარდაცვალების გამო, (სტატია გადმობეჭდილია გაზეთიდან-„ჩვენი მეგობარი“)).**

გაზეთი„სახალხო საქმე“ გიორგი ზდანოვიჩის გარდაცვალებას უამრავი ახალი ამბით ეხმაურებოდა. მათ შორის იყო სტატია -„ეროვნული პოლიტიკის ახალი ნიადაგი“, სადაც ეწერა, რომ სოციალური პრობლემები პოლიტიკურთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული,სტატია მკითხველს ახალ პირობებში ახალი ფორმით ბრძოლის დაწყებისაკენ მოუწოდებდა და საჭიროდ მიიჩნევდა გიორგი ზდანოვიჩის სახელის ამგვარი ფორმით უკვდავყოფას.

გაზეთი აღნიშნავდა, რომ გიორგი ზდანოვიჩის გარდაცვალების გამო გორში დიდი დემონსტრაციაც გაიმართა, სადაც სხვადასხვა პარტიათა სახელით გამოვიდნენ მათი წარმომადგენლები და ისაუბრეს გარდაცვლილის დიდ ღვაწლზე. გამორჩეულად ითქვა, რომ ეს დიდი პიროვნება არ იყო ჩაკეტილი რომელიმე პარტიის ჩარჩოში, ის ყველა ქართველისათვის ერთნაირად საყვარელი მასწავლებელი და მისაბაძი ადამიანი იყო. განსაკუთრებით საინტერესო იყო ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, რომელიც გიორგი ზდანოვიჩის დაკრძალვის წინა დღეს, 1917 8 აგვისტოს, გამოქვეყნდა „სახალხო საქმეში“.

წერილში ზაქარია ჭიჭინაძე წერდა,გიორგი ზდანოვიჩი მან პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ გაიცნო,პირად გაცნობამდე მისი საუკეთესო თვისებები ცნობილი იყო მისთვის,რადგან გიორგი ზდანოვიჩი ძალიან პოპულარული და საზოგადოებისათვის მისაღები პიროვნება იყო.ის ციხეშიც წერდა რევოლუციურ წერილებს, აღსანიშნავია, 1881 წელს ჟურნალ„ივერიაშიც“დაიბეჭდა მრავალი ასეთი სტატია.მან ქართველ საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მრავალი გამოხმაურებაც მოჰყვა„ივერიაშივე“.„როგორც ჩვენი ქვეყნის შვილი და დედით ქართველი,იყო მტკიცე ქართველი მამულიშვილი და დიდი სვეტი ანუ ბურჯი ჩვენი

ტომისა“,-წერდა ჭიჭინაძე და გიორგი ზდანოვიჩის დასახასიათებლად ბევრ კარგ მაგალითს იხსენებდა,თუ როგორ გულშემატკივრობდა იგი ქართულ **ენას („სახალხო საქმე“,17,1917 წ, 4 აგვისტო, ჭიჭინაძე,ზდანოვიჩი) .**

გიორგი ზდანოვიჩის საინტერესო ცხოვრების დეტალებს იგონებდა მისი თანაპარტიელი და მეგობარი-გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში. მისი აზრით, საქართველოს ავტონიმიისათვის ილია ჭავჭავაძესთან ერთად, სხვა ქართველი პატრიოტების მსგავსად, იბრძოდა გიორგი ზდანოვიჩი. საერთოდ გიორგი ზდანოვიჩის ცხოვრება ერთი დიდი ეპოქაა, ეპოქის სულის გამომხატველი. ამ დაუცხრომელმა ეროვნულმა მოღვაწემ, პუბლიცისტმა, მუდმივად მაძიებელმა ადამიანმა, თითქოსდა სულმოუთქმელად იცხოვრა, იღვაწა, იჯაფა, რის გამოც მას „მხცოვან მოღვაწედ“ მოიხსენებენ, მას ხომ ბავშვობიდანვე თანატოლებისაგან გამოარჩევდა „მოხუცებულობა გონებისაი“.მერე რა,თუ გიორგი ზდანოვიჩის პოლიტიკური და ცხოვრებისეული იდეალები ზოგჯერ უტოპიური იყო და ადამიანისათვის მიუღწეველი ჩანდა. სამაგიეროდ მან ხომ მთელი თავისი ენერგია უშურველად დახარჯა ადამიანთა უკეთესი მომავლისათვის, სოციალური - ეკონომიური წინსვლისათვის, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და ქართველი ხალხის განათლებისა და გაჭირვებიდან გამოყვანისათვის. ერთი კაცის ცხოვრებისათვის ამგვარი ღვაწლი სასახელოცაა და დასაფასებელიც **(ჭუმბურიძე,2008:150).**

გიორგი ზდანოვიჩის საცხოვრებელი სახლი ქუთაისში, მისივე ანდერძით, გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სახლი მდებარეობდა ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, ეკვროდა ვაჟთა გიმნაზიის (იგივე სათავადაზნაურო გიმნაზია) ეზოს. თუმცა, მამული, ანდერძის მიუხედავად, გაიყიდა კერძო პირზე. რადგან 1917 წლიდან თავადაზნაურთა მთელი ქონება სახელმწიფოს გადაეცა. გიმნაზიის დირექტორმა, ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწე - სილოვან ხუნდაძემ მამულის დაბრუნება სთხოვა დემოკრატიული საქართველოს მთავრობას. ის მართლაც გადასცეს გიმნაზიას **(ქსსა, ფონდი 9, საქ. 1601, ფ.17-19)** ამჟამად გიორგი ზდანოვიჩის ეზო და სახლი ქალაქ ქუთისის # 2 საჯარო სკოლის კუთვნილებაა. გიორგი ზდანოვიჩის არქივი ნაზარაშვილის ქალიშვილმა - ელეონორამ მიიტანა მუზეუმში, აღწერა და სისტემაში მოაქცია. რომ არა ელო ნაზარაშვილი, დღეს უამრავი რამ გაურკვეველი იქნებოდა,

რადგან ეს ქალბატონი პირადად იცნობდა ყველა დოკუმენტს და მათს ავტორს. ასევე იმ მოვლენებს,რაზედაც ამ დოკუმენტებშია საუბარი. **(ჭუმბურიძე,2008:147) .**

ნაშრომის ამ თავში განხილულია გიორგი ზდანოვიჩის პუბლიცისტური მოღვაწეობა. ჯერ კიდევ 1877 წლის შემდეგ, პატიმრობის დროს, დაიწყო. ჯერ პატიმართა ხელნაწერ ჟურნალებში აქვეყნებდა თავის წერილებს.1882 წელს კი ჟურნალ ,,ივერიას“ გაუგზავნა ვრცელი სტატია ,,წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“,რომელიც გამოქვეყნდა კიდევაც ჟურნალში და ერთობ საჭირო პოლემიკის დასაბამადაც იქცა.

1883 წლის 15 მაისის მანიფესტით გიორგი ზდანოვიჩს (მაიაშვილის) თავისუფლება მიენიჭა, მაგრამ სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნების უფლება არ მისცეს, ჯერ სემიპალატინსკში, ხოლო შემდეგ ტომსკში ცხოვრობდა.

1889 წლიდან მას, რომელიც ამ დროისთვის უკვე გამოცდილი და ცნობილი პუბლიცისტი იყო, საქართველოში ცხოვრების ნება დართეს. ქართველი საზოგადოება სამშობლოში მის დაბრუნებას სიხარულით შეხვდა.

გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ქართულ და რუსულ ენებზე ეწეოდა და აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი ნათიძის (მელანიას) შემოქმედებაზე.

გიორგი ზდანოვიჩი დიდად ნიჭიერი პუბლიცისტი იყო, განათლებული, ფართო თვალსაწიერის მქონე, ღრმა ანალიზის უნარით, წერის მაღალი კულტურითა და ობიექტურობით გამორჩეული. ერთგან თავის ჟურნალისტურ კრედოს ასე გადმოგვცემს:,,პუბლიცისტმა ყოველთვის ჯეროვანი გარკვევით უნდა დაგვანახოს,რა იყო, იმისი აზრით, წარსულში კარგი,გამოსადეგი მერმისისათვის და რა იყო ავი,არა-საქებური,რომელიც,სწორედ იმიტომ,რომ ავია,საუკუნოდ უნდა დამარხულ იქმნას ისტორიის არქივებში“.

დასკვნა

პირველი თავის შესავალში მოკლედ არის საუბარი ჯერ იმ ეპოქაზე, რომელშიც გიორგი ზდანოვიჩი მოღვაწეობდა,მერე კი მისი პიროვნების მონოგრაფიულად შესწავლის აუცილებლობასა და გიორგი ზდანოვიჩის ბიოგრაფიულ მონაცემებზე სამეცნიერო წრეებში,მაგრამ ისტორიული დოკუმენტებისა და პერიოდული პრესის განხილვას შემდეგ დადასტურდა ზოგიერთი საკითხის უზუსტობა.

პირველი თვის პირველ პარაგრაფში განხილულია გიორგი ზდანოვიჩის პოლონური წარმომავლობა, მისი წინაპრების მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი, ბაბუის მონაწილეობა პოლონეთის 1830 წლის აჯანყებაში და მამის - ფელიქს ზდანოვიჩის ანტისამთავრობო სტუდენტური მოღვაწეობა. აქვეა საუბარი გიორგი ზდანოვიჩის დედის -მაია მანუჩარის ასული მიქელაძის ქართულ წარმომავლობასა და განათლებაზე.

ვეცნობით გიორგის მშობლების ქორწინების საკითხს.ოთხი წლის გიორგი ზდანოვიჩს მამა გარდაეცვალა. დედამ-მაია მექელაძემ თავისი ბედი დაუკავშირა ქუთაისის გუბერნიის პროკურორს ლევან ნიკოლოზის ძე ქორქაშვილს. განხილულია გიორგის დაწყებითი განათლების მიღების საკითხი, საუბარია მის პიროვნულ ღირსებებსა და შეხედულებებზე.

პირველი თავის მეორე პარაგრაფში მცირე დოზით განხილულია გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) ცხოვრების ძირითადი ეტაპები. სრულყოფილად კი მისი ცხოვრების ცალკეული ეტაპების შესახებ ვსაუბრობთ სადისერტაციო ნაშრომის მომდევნო თავებში. აქ კი შესწავლილია გიორგი ზდანოვიჩის ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდი და პეტერბურგში მისი სტუდენტობის წლები. გიორგი ზდანოვიჩი სტუდენტობიდანვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.1874 წელს იგი სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის წევრი გახდა და მისი მეტსახელი იყო,,რიჟა“. გიორგი არასოდეს გაურბოდა პრობლემებს, ის ძალზე საპასუხისმგებლო საქმეს ჩაუდგა სათავეში, კერძოდ, ეკისრებოდა ფარული ლიტერატურის შემოტანა უცხოეთიდან. 1875 წელს ოცი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მოკლედ შევეხეთ 50-ის პროცესს და გიორგი ზდანოვიჩის სასამართლო განაჩენს. ამ პერიოდიდან იწყება გიორგის პირველი ნაბიჯები პუბლიცისტიკაში.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია გიორგი ზდანოვიჩის მონაწილეობა „50-იანელთა“ პროცესში,ასევე, აქვეა გიორგი ზდანოვიჩი-მანგანუმის ყრილობის ხელმძღვანელი და მისი ღვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

მეორე თავის პირველი პარაგრაფი კარგად ასახავს 20 წლის გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის)დაპატიმრებას 1875 წელს 20 წელს და მის ლიდერად ჩამოყალიბებას. აქ ვრცლადაა აღწერილი 1877 წელს გახმაურებული ,,50-ის პროცესი“ და ამ პროცესზე წარმოთქმული გიორგი ზდანოვიჩის დაცვითი სიტყვა.მისმა ამ გაბედულმა სიტყვამ სახელი მოუხვეჭა ახალგაზრდა რევოლუციონერს იმდროინდელ საზოგადოებაში.1877 წელს სხვებთან ერთად "50 - იანელების“ პროცესზე ის გაასამართლეს და მიუსაჯეს ციმბირში გადასახლება 6 წლითა და 8 თვით.

„50-იანელების“ პროცესზე გასამართლებულთა შორის იყო ხუთი მოწინავე ქართველი სტუდენტი.ესენი იყვნენ მეფის თვითმმართველობის წინააღმდეგ დაუცხრომელი სულის მებრძოლები, მგზნებარე რევოლუციონერები. აღნიშნულ პატიმართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ 22 წლის ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე ჭაბუკი გიორგი ფელიქსის-ძე ზდანოვიჩი. „50-იანელთა“ პროცესზე გიორგი ზდანოვიჩის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ღრმა ანალიზი მოიცვა არსებული წყობილების უვარგისობაზე.ეს სიტყვა ელვის სისწრაფით გავრცელდა საზოგადოებაში და დღემდე არ დაუკარგავს თავისი მიმზიდველობა და აქტუალურობა.

პროცესში მონაწილე ბრალდებულთა გმირულ შემართებას, იდეისათვის მათს თავგანწირვას ეხმაურებოდნენ მაშინდელი პრესა და ლიტერატურა-ხელოვნების მუშაკები. მსოფლიო პრესა, რომელიც მსოფლიო საზოგადოების აზრს გამოხატავდა, მთლიანად წამებულთა მხარეზე იყო.

გიორგი ზდანოვიჩი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახელმწიფო დამნაშავე, თოთხმეტი წლის განმავლობაში ციხეებში, საკატარღო სამუშაოებსა და გადასახლე ბაში იმყოფებოდა.

განსაკუთრებით საამაყოა ის ფაქტი, რომ ამ შესანიშნავ მებრძოლთა ავანგარდში ვხედავთ საქართველოს არაერთ სახელოვან შვილს, მათ შორის გიორგი ზდანოვიჩსაც. მეფის საპყრობილეებში ხანგრძლივმა ყოფნამ ოდნავაც ვერ გატეხა მისი მებრძოლი და შეუდრეკელი გული,იგი რევოლუციური იდეების ბოლომდე ერთგული დარჩა.

მან პატიმრობაშივე დაიწყო ლიტერატურული საქმიანობა, ჯერ პატიმართა ხელნაწერ ჟურნალში აქვეყნებდა წერილებს,1886 წელიდან ცხოვრობდა ტომსკში და ხელმძღვანელობდა"სიბირსკაია გაზეტას";1883 წლის 15 მაისის მანიფესტით გიორგი ზდანოვიჩს თავისუფლება მიენიჭა, მაგრამ სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნების უფლება არ მისცეს, ჯერ სემიპალატინსკში, ხოლო შემდეგ ტომსკში ცხოვრობდა.

აქვეა საუბარი ციხეში არსებულ გაუსაძლის პირობებზე.გიორგი შეწყალებისა და პატიმრობის ვადის შემცირებაზე რაიმე სახის თხოვნისა,სასტიკი წინააღმდეგი იყო.დედა,მაია მიქელაძე ძალიან განიცდიდა შვილის ასეთ გაუსაძლის მდგომარეობას და ამიტომ არაერთი შუამდგომლობის წერილი გაგზავნა ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციაში,რათა შემსუბუქებულიყო გიორგის მდგომარეობა.იმპერიალისტურმა მარწუხებმა ვერ გატეხეს გიორგი ზდანოვიჩის მტკიცე ხასიათი და ბობოქარი სული.ზდანოვიჩი ახალგაზრდულსავე ასაკში, მიუხედავად იმისა,რომ მას თითქმის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ავტორიტეტულ რევოლუციონერად და პოლიტიკურ მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

მეორე თავის მეორე პარაგრაფში საუბარია გიორგის საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

1889 წელს დაბრუნდა საქართველოში და ქუთაისში დასახლდა. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები და მოღვაწეები; მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული საქვეყნოდ განთქმული ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასთან. დაინტერესებული იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებით, რაც ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნული განვითარების ქვაკუთხედად მიაჩნდა. იყო მარგანეცის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანოს ყრილობის დაარსების ინიციატორი. საინტერესო საკითხია გიორგი ზდანოვიჩის მოღვაწეობა მანგანუმის წარმოების საქმეში. საყურადღებოა გიორგი ზდანოვიჩის მუნიციპალური საქმიანობა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამრეწველო რაიონის ცენტრის - ჭიათურის კეთილმოწყობას. მისი დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად, წინათ მიყრუებულიმა სოფელმა ჭიათურამ თანდათანობით სამრეწველო ქალაქის სახე მიიღო. გიორგი ზდანოვიჩს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭიათურის მარგანეცის წარმოების ორგანიზების საქმეში. იგი თავმჯდომარეობდა 1896 წელს შექმნილ ,,შავი ქვის საზოგადოებას“ – 190 წევრისგან შემდგარ მრეწველთა საბჭოს.გიორგი დიდ სამამულიშვილო საქმეს აკეთებდა ჭიათურაში,ცდილობდა ეს პატარა დასახლებული პუნქტი გადაექცია სამაგალითო

საჩვენებელ საწარმოო ცენტრად. შეძლებისდაგვარად მან ერთიც შეძლო და მეორეც. გიორგი ზდანოვიჩმა (მაიაშვილმა) მრეწველთა საბჭო აქცია ფართო მნიშვნელობის კულტურულ დაწესებულებად,რომელიც დიდ დახმარებას უწევდა,როგორც ცალკეულ პირებს,ასევე ეროვნული საქმისთვის გადადგმულ ყოველ ნაბიჯს ზოგი ღონისძიებებითა და დაფინანსებით.უდავოა ისიც,რომ მან თავის გარშემო შემოიკრიბა არა საქმოსნები,არამედ ქართველი პატრიოტი მოღვაწეები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მწერლები და ჟურნალისტები.თეატრმცოდნე.გერსამია იგონებს: „შავი ქვის მრეწველთა საბჭო მან გადააქცია ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა საკრებულოდ“.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილიდან იწყება გიორგი ზდანოვიჩის ეროვნული კონცეფციის განხილვა და მისი შესწავლა გრძელდება დისერტაციის მომდევნო თავებში.

მეორე თავის მესამე პარაგრაფში საუბარია გიორგი ზდანოვიჩის ღვაწლზე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში

გიორგი ზდანოვიჩი ოთხი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. დედამ, მაია მექელაძემ, თავისი ბედი დაუკავშირა ქუთაისის გუბერნიის პროკურორს ლევან ნიკოლოზის ძე ქორქაშვილს. ის განათლებული, ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანი იყო. გიორგის რადიკალურად აღზრდის საკითხში, გარკვეული წვლილი ლ.ქორქაშილსაც მიუძღვის.ლევან ქორქაშვილი მეტად მტრულად იყო განწყობილი მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიმართ საქართველოში.

ბავშვობაში გიორგი ზდანოვიჩი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის თანატოლ გლეხ და ღარიბ ბავშვებთან. იგი თავისი თვალით ხედავდა და განიცდიდა მათს დუხჭირ ცხოვრებას, მათი მშობლების უუფლებობასა და დამცირებულ მდგომარეობას. ცხოვრებისაგან მიღებული და ნანახი სურათები ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მომავალ რევოლუციონერზე. სკოლის ასაკში ის გატაცებული იყო ისტორიული და სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ლიტერატურით. მან ადრევე შეიცნო სოციალური ბოროტება და ის ეროვნული ჩაგვრა, რასაც მეფის რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ მდგომი ხალხი განიცდიდა. მთელი არმია ისპრავნიკებისა, ურიადნიკებისა, ჟანდარმებისა, პოლიციელებისა, ჩაფრებისა, რომლებიც იცავდნენ მეფესა და მემამულე მშრომელებს,სასტიკად უსწორდებოდნენ განსხვავებულად მოაზროვნე. მცირეწლოვანი

გიორგი ამ ყველაფრის მოწმე ხდებოდა. ამას ემატებოდა ქართველ ხალხში რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარება. ყოველივე ეროვნულის ჩახშობა, ხელისუფლება არარუს ეროვნებათა „გარუსების“პოლიტიკას ატარებდა. იმპერიალისტური ხელისუფლება არარუსი ხალხის ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა. წამოზრდილი ჭაბუკი გიორგი ზდანოვიჩი ირგვლივ გამეფებულ ბოროტებას საკუთარი თვალით ხედავდა. იმპერიის ბეც მოხელეთა თვითნებობა მასში მრისხანე გულისწყრომას ბადებდა.სამშობლოს დამონებული და უუფლებო მდგომარეობა, საქართველოში გამეფებული აუტანელი სოციალური ჩაგვრა,ეროვნული ენისა და კულტურის შევიწროვება და გამოდევნა მიმდინარეობდა.სწორედ ამგვარმა ფაქტორებმა,ირგვლივ გამეფებულმა აუტანელმა სოციალურმა ბოროტებამ და ქართველი ხალხის ეროვნულმა ჩაგვრამ მოახდინა გადამწყვეტი გავლენა გიორგი ზდანოვიჩის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე .

გიორგი ზდანოვიჩი ყოველთვის თავისი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდა. თავისი მომავალი მოღვაწეობის ასპარეზად ეკლიანი გზა აირჩია. მან შესწირა ამ ეროვნულ განმანთავისუფლებელ საქმიანობას ყველაფერი, რაც კი გააჩნდა - პირადი კეთილდღეობა, დაუშრეტელი ენერგია და ნიჭი.

იგი მზად იყო პირადი ბედნიერება მსხვერპლად მიეტანა ხალხის კეთილდღეობისათვის და საფრთხის წინაშე არასოდეს უკან არ იხევდა. გიორგი დიდი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში. იგი ხალხის განთავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის ერთ -ერთი პირველი იყო. იყო შესანიშნავი ორატორი, კარგი აგიტატორ-პროპაგანდისტი, დიდი ნიჭისა და რკინისებური დისციპლინის ადამიანი, მაღალი მორალური თვისებებით დაჯილდოებული მოღვაწე, მისი გავლენა ყველგან იგრძნობოდა.

1889 წელს საქართველოში მორალურად გამარჯვებული, სულიერად მხნე იმაზე ფიქრით დაბრუნდა, თუ როგორ გამოეყენებინა თავისი მომავალი ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის სამსახურისთვის, იგი ჩვეული ენერგიითა და მგზნებარე ტემპერამენტით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.ამბობდა, რომ მხოლოდ ღრმა ეკონომიკური ცვლილებები მიიყვანს ქვეყანას ნამდვილ თავისუფლებამდე და ეროვნულ დამოუკიდებლობამდე.გაათავისუფლებს დამონებულ საზოგადოებას დამოკიდე ბულებებისაგან და მოუტანს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას.გიორგი ზდანოვიჩს გულს

უკლავდა ის,რომ დიდი ხანია ხედავდა სამშობლოს,საქართველოს,გაჩუმებულს და გაყინულს,რომელსაც „თითქოს აღხოცოდეს“ კაცები, რომელთაც შეუძლიათ,იკისრონ მოვალეობა,გახდნენ ბელადნი მოძრაობისა, რომ ამით გამოაღვიძონ ხალხი იმ ღრმა ძილისაგან,რომელსაც მიეცა ისტორიული წამებისა და ტანჯვის შემდეგ ჩვენი ქვეყანა. მას მოჰყავს მაგალითი აკაკი წერეთლის ლექსიდან: „არ მომკვდარა,მხოლოდ სძინავს“, გიორგი ზდანოვიჩს მხედველობაში ჰყავს თერგდალეულები,რომლებიც სათავეში უდგნენ ქართველი ხალხის ნაციონალურ მოძრაობას.ქართველ ხალხში კვლავ გაიღვიძა ნაციონალურმა სულისკვეთებამ.სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე,საზოგადო საჭიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა.ისინი გამოიწვია დრომ და არა მათ გამოიწვიეს დრო.

„შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება“ ეროვნული საქმისათვის პლათფორმა გახლდათ.„შავი ქვის მრეწვეთა საბჭოში“ ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და განიხილავდნენ ერის საჭირბოროტო საკითხებს, მსჯელობდნენ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე,იმაზე,თუ როგორ დაეღწიათ თავი მათი მარწუხებისაგან.ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.გიორგი ზდანოვიჩი ყოველთვის ცხოველ მონაწილეობას იღებდა ასეთ განხილვებში.იგი მისთვის ჩვეული პირდაპირობით იბრძოდა იდეისათვის,არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ,უკუღმართობათა წინააღმდეგ.

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვით კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი საქართველოს მამულიშვილისა. 1914 წელს თბილისში ცნობილი რუსი პოლიტიკური მოღვაწე, შემდგომში დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი, იურისტი, ადვოკატი ალექსანდრე კერენსკი ჩამოვიდა. მას მცირე ერთა კულტურულ-პოლიტიკური დონე უნდა გამოერკვია, და გადაეწყვიტა ავტონომიის საკითხი-მზად იყო თუ არა ესა თუ ის ერი თავისუფლებისა და ქვეყნის დამოუკიდებლად მართვისთვის. აქვე მოხდა გიორგი ზდანოვიჩის ცნობილი დაპირისპირება რუსეთის მომავალ პრემიერ-მინისტრ, ალექსანდრე კერენსკისთან, რომელიც მან თავისი კაბინეტიდან გამოაგდო.

ამავე თავში საუბარია იმაზე, რომ 1902 წლიდან გიორგი ზდანოვიჩი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი,

ხოლო 1912 წლიდან ქუთაისის განყოფილების მუდმივი წევრი და გამგეობის თავმჯდომარე. ქშწკგ საზოგადოებას მან ერთიანად გადაუხადა საწევრო 100 მანეთი.

საქართველო და ქართველები გიორგი ზდანოვიჩისთვის ყველაფერი იყო. წარმოშობით პოლონელი გახლდათ, სულით და ხორცით კი-ქართველი, გიორგი ზდანოვიჩი დიდი აღტაცებით შეხვდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებას. ქუთაისში ეწყობოდა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაციები, რომელთაც კარგად იცოდნენ გიორგი ზდანოვიჩის რევოლუციური წარსული და მისი უანგარო თავდადება ხალხისთვის, კოლონებად გაემართნენ იმ სახლისაკენ, რომელშიც ცნობილი რევოლუციონერი გიორგი ზდანოვიჩი ცხოვრობდა. ისინი მიდიოდნენ დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით, რომ მიელოცათ მისთვის სანატრელი და ბედნიერი დღის დადგომა.

გიორგი ზდანოვიჩი ამ დროს მძიმედ ავადმყოფობდა და ლოგინად იყო ჩავარდნილი. მიუხედავად ავადმყოფობისა, წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და მხურვალედ მიესალმა მოზეიმე ხალხს, მას თვალებზე სიხარულის ცრემლები უკიაფობდა.

გიორგი ზდანოვიჩმა იცოდა, რომ დგებოდა ჟამი ქართველი ხალხის განთავისუფლებისა რუსეთის იმპერიალისტური მარწუხებიდან. ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღარც თუ შორს იყო, აი, ეს უაღრესად სასიხარულო ამბავი ქართველი ხალხისა გახდა მიზეზი გიორგის თვალზე მომდგარი ცრემლებისა.

თავი III

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია გიორგი ზდანოვიჩის პუბლიცისტური და ჟურნალისტური მოღვაწეობა. საუბარია იმაზე, რომ მას გამოჩენილი ადგილი უჭირავს ქართველ პუბლიცისტთა შორის. ის მწერლობაში ცნობილია მაიაშვილის გვარით. მისი ლიტერატურული ფსევდონიმი „მაიაშვილი“ პირველად 1882 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში გაჩნდა.გიორგი ზდანოვიჩმა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო გზა განვლო. საქართველოდან სასწავლებლად წასული სრულიად ახალგაზრდა სტუდენტმა მრავალმხრივი განათლება მიიღო. მიუხედავად დაბრკოლებებისა, მრავალწლიანმა კატორღამ მისი მებრძოლი ბუნება ვერაფრით გატეხა. მის მიერ განვლილი გზა მას მიაჩნდა სამშობლოს

წინაშე თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებად. ციხის კედლებშიც ის მუდმივად ცდაში იყო, რომ კავშირი დაემყარებინა ხალხთან და აზრები გაეზიარებინა მათთვის. ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ იგი საქართველოში მორალურად გამარჯვებული, სულიერად მხნე და იმაზე ფიქრით დაბრუნდა, თუ როგორ გამოეყენებინა თავისი მომავალი ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის სამსახურისათვის. ამ მიზნით,მან აირჩია პუბლიცისტიკის მახვილი კალამი,რომელიც სიკვდილამდე არ გაუშვია ხელიდან. იგი თანამშრომლობდა თბილისისა და ქუთაისის ქართულ და რუსულ პრესასთან. გიორგი მაიაშვილმა, - როგორც ფართო განათლების პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა, - მალე მოიხვეჭა ავტორიტეტი მკითხველთა შორის და ერთ-ერათი ცნობილი ჟურნალისტი გახდა

მესამე თავის პირველ პარაგრაფში საუბარია გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) პუბლიცისტური მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებზე.1877 წლის ჯერ კიდევ პატიმრობის დროს მოიმარჯვა გიორგიმ პუბლიცისტის კალამი. ჯერ პატიმართა ხელნაწერ ჟურნალებში აქვეყნებდა თავის წერილებს.1882 წელს კი გაზეთ ,,ივერიას“ გაუგზავნა ვრცელი სტატია ,,წერილი ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ“,რომელიც გამოქვეყნდა კიდევაც ჟურნალში და ერთობ საჭირო პოლემიკის დასაბამადაც იქცა.

1883 წლის 15 მაისის მანიფესტით გ. ზდანოვიჩს თავისუფლება მიენიჭა, მაგრამ სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნების უფლება არ მისცეს, ჯერ სემიპალატინსკში, ხოლო შემდეგ ტომსკში ცხოვრობდა.

1889 წლიდან მას, როგორც ამ დროისთვის უკვე გამოცდილ და ცნობილ პუბლიცისტს, საქართველოში ცხოვრების ნება დართეს. ქართველი საზოგადოება სამშობლოში მის დაბრუნებას სიხარულით შეხვდა.

გიორგი მაიაშვილი პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ქართულ და რუსულ ენებზე ეწეოდა და აქტიურად იკვლევდა ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი ნათიძის (მელანიას) შემოქმედებას.

გიორგი ზდანოვიჩი ნიჭიერი პუბლიცისტი იყო,განათლებული,ფართო თვალსაწიერის მქონე, ღრმა ანალიზის უნარით, წერის მაღალი კულტურითა და ობიექტურობით გამორჩეული. ერთგან თავის ჟურნალისტურ კრედოს ასე გადმოგვცემს: ,,პუბლიცისტმა ყოველთვის ჯეროვანი გარკვევით უნდა დაგვანახოს რა იყო,იმისი აზრით, წარსულში კარგი,გამოსადეგი მერმისისათვის და რა იყო ავი,არა-

საქებარი, რომელიც,სწორედ იმიტომ,რომ ავია,საუკუნოდ უნდა დამარხულ იქმნას ისტორიის არქივებში“.

მესამე თავის მეორე პარაგრაფში საუბარია იმის შესახებ,თუ რას წერდა ქართულ - უცხოური პრესა გიორგი ზდანოვიჩის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ.

იწერებოდა მრავლად სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. მას ახასიათებდნენ, როგორც უშიშარ რევოლუციონერს, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება ქვეყნის განმათავისუფლებელი საქმისათვის ბრძოლას შესწირა.ადარებდნენ ხალხისათვის ტანჯულ გმირს, უწოდებდნენ ხალხისა და ქვეყნისათვის წამებულს. იგონებდნენ მის გმირობასა და შეუდრეკელობას.

გიორგი ზდანოვიჩს მთელი ქვეყანა გლოვობდა. სამძიმრის წერილები იწერებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ პრესაში.

ბოლოს ,მესამე თავის მეორე პარაგრაფში,საუბარია გიორგი ზდანოვიჩის ანდერძსა და პირად არქივზე, რომელიც ელეონორა ნაზარიშვილის დიდი მონდომებით არის თავმოყრილი და შემდგომ გადატანილი ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო დოკუმენტები

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქივი

1. ქიმ, ფონდი 6416, საქმე № 390.
2. ქიმ, ფონდი 6416, საქმე № 395.
3. ქიმ, ფონდი 6416, საქმე № 1858.
4. ქიმ, ფონდი 6416, საქმე № 1859.
5. ქიმ, ფონდი 6416, საქმე № 1927.
6. ქიმ, ფონდი 6416, საქმე № 2393.
7. ქსუ, ფონდი 1496, საქმე № 22.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

8. ქსიმ, გ. ზდანოვიჩის პირადი არქივი, საქმე 1894.
9. ქსიმ, გ. ზდანოვიჩის პირადი არქივი, საქმე 2393.

ქუთაისის ცენტრალური არქივი

10. ქსსა, ფონდი 9, საქმე № 1601.

საქართველოს ეროვნული არქივი

11. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1851.
12. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ფონდი 5, აღწერა 1.
13. კავკასიის მთავარმართებლის ფონდო 7, აღწერა 1-10.
14. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ფონდი 153, საქმე 29, აღწერა 1-3.

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

15. სერგო გერსამიას ფონდი № 25256, საქმე 11.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივი

16. პოლიციის დეპარტამენტის ფონდი 102, აღწერა 90, საქმე 697.
17. იმპერატორის საკუთარი კანცელარიის III განყოფილების ფონდი 109, აღწერა 159, საქმე 144.

18. მმართველი სენატის განსაკუთრებული მმართველობის ფონდი, 112, აღწერა 1, საქმე 142.
19. მმართველი სენატის განსაკუთრებული მმართველობის ფონდი, 112, აღწერა 1, საქმე 148.

სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი

20. იუსტიციის სამინისტროს ფონდი, 1405, აღწერა 74, საქმე 7428.
21. პეტრე-პავლეს ციხის კომენდანტის ფონდი, 1280, აღწერა 1, საქმე 40.

თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის შრომები.

22. თსუ შრომები,ტ XXV :1984,ზ.ჭუმბურიძის რედაქტორობით.

გამოყენებული ლიტერატურა.

23. აკსელპოდ ,1923: აკსელპოდ პ., პერეჟიტოე ი პერედუმანნოე, ბერლინი, 1923.
24. აპტეკმანი,1924: აპტეკმანი ო., 70-იანი წლების საზოგადოება „ზემლია ი ვოლია“, პეტერბურგი, 1924.
25. ბარდინ,1907: ბარდინ ს., რეჩი ი ბიოგრაფიი, მოსკოვი, 1907.
26. ბაქრაძე,2003: ბაქრაძე ა, ქართული მწერლობა „მონოგრაფიული ნარკვევები XIX საუკუნის პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, თბილისი, 2003.
27. ბოგუჩარსკი,1912: ბოგუჩარსკი ვ., 70-იანი წლების აქტიური ხალხოსნობა, მოსკოვი, 1912.
28. გამსახურდია,1965: გამსახურდია კ., რჩეული თხზულებები „ჰამლეთი თუ დონკიხოტი“, თბილისი, 1965.
29. გაფრინდაშვილი,2002: გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე, თბილისი, 2002.
30. გლინსკიი,1913: გლინსკიი ბ., რუსეთის ისტორიის რევოლუციური პერიოდო 181-1881 წწ, სანკტ-პერერბურგი 1913.
31. გუგუშვილი,1956: გუგუშვილი პ., კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში 1898 წლამდე, თბილისი, 1956.
32. დადიანი,1959: დადიანი შ., რაც გამახსენდა, თბილისი, 1959.
33. დადიანი,1956: დადიანი შ., „გირგვლიანის ოჯახი“, თბილისი, 1956.

34. დეიჩ,1924: დეიჩ ლ., 16 წელი ციმბირში, მოსკოვი, 1924
35. დეკანოზიშვილი,2010: დეკანოზიშვილი გ., მემამულის დაბრუნება, ტფილისი, 2010.
36. დოლგუშინი,1921: დოლგუშინი ა., ცოცხლად დამარხულები, პეტერბურგი, 1921
37. ვაჭრიძე,1995: ვაჭრიძე გ., ვაჭრიძე პ., ქართველ მოღვაწეთა მოგონებები, ქუთაისი, 1995.
38. ვაჭრიძე,2006: ვაჭრიძე გ., „დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სიციალური პოლიტიკის ისტორიიდან“, ქუთაისი, 2006.
39. ვიტაშევსკი,1907: ვიტაშესვსკი ნ., ნა კარე, მოსკოვი, 1907.
40. ვიტაშევსკი,1907: ვიტაშესვსკი ნ., მცენსკაია გოსტინიცა, მოსკოვი, 1907.
41. ზალბერშტეინ,1925: ზალბერშტეინ ა., ტიურემნიე რუკოპისი „კანდალნიი ზვონ“, ოდესა, 1925.
42. ინტერბერგ,1954: ინტერბერგ ვ., იუჯნოპოსსიისკიი სოიუზ პაბოჩიხ -პირველი შრომითი ორგანიზაცია რუსეთში, მოსკოვი, 1954.
43. კაკაბაძე,1969: კაკაბაძე დ., გიორგი (მაიაშვილი) ზდანოვიჩი, თბილისი, 1969.
44. კალაში,1907: კალაში ვ., „რეჩი ი ბიოგრაფიი“, მოსკოვი, 1907.
45. კანდელაკი,1968: კანდელაკი მ., გ.ფ.მაიაშვილი „რჩეული ნაწერები“, თბილისი, 1968.
46. კლდიაშვილი,1932: კლდიაშვილი დ., მემუარები, ტფილისი, 1932.
47. კლდიაშვილი,1947: კლდიაშვილი დ., მოთხრობები და პიესები „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ტფილისი , 1947
48. კონა,1930: კონა ფ., დეიატელი რევილიუციონნოგო დვიჯენია,ბიო-ბიბლიოგრა ფიული ლექსიკონი 1927-1934,მოსკოვი, 1930
49. კოტეტიშვილი,1959: კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1959.
50. ლასხიშვილი,1932: ლასხიშვილი გ., მემუარები 1885-1915, ტფილისი 1932.
51. მეგრელიშვილი,1961: მეგრელიშვილი გ.,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური აზრი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, თბილისი, 1961.

52. მჭედლიძე,1993: მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი, 1993.
53. ნიკოლაძე,1931: ნიკოლაძე ნ., რჩეული ნაწერები მოგონებანი, პუბლიცისტური წერილები, 1865-1868 , ტფილისი, 1931.
54. ნორაკიდზე,1968: ნორაკიძე ი., „გ. ფ. ზდანოვიჩ-მაიაშვილი და ნაროდნიკების საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ევოლუცია საქართველოში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XX საუკუნის დასაწყისში“, თბილისი, 1968.
55. პისაროვი,1929: პისაროვი ი., ხალხში სიარული, მოსკოვი, 1929.
56. საბლინ,1906: საბლინ ვ., 50-ის პროცესი, მოსკოვი, 1906.
57. საბლინ,1877: საბლინ ვ., 50-ს პროცესი, მოსკოვი, 1877.
58. საბლინ,1907: საბლინ ვ., რეჩი ი ბიოგრაფიი, მოსკოვი, 1907.
59. სმირნოვიტ,1962: სმირნოვი ა., XIX საუკუნის 30-60 წლების რევოლუციური კავშირები ნაროდნიკების პოლონელებთან, მოსკოვი, 1962.
60. ტატიშვილი,1960: ტატიშვილი ი., მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბილისი, 1960.
61. ტუნ,1917: ტუნ ა., პევოლუციური მოძრაობის ისტორია რუსეთში, პეტერბურგი, 1917.
62. შალამოვ,1906: შალამოვ ვ., ნადგრობნოე სლოვო, პეტერბურგი, 1906.
63. შვეცოვი,1928: შვეცოვი ს., კულტურნოე ზნაჩენიე პოლიტიჩესკოი სსილკი ვ ზაპადნოი სიბირი, მოსკოვი, 1928.
64. შილოვი,1930: შილოვი ა., რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი რუსეთში, მოსკოვი, 1930.
65. ჭუმბურიძე,2008: ჭუმბურიძე დ., საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები. ისტორიული პორტრეტები. დასაწყისი XX საუკუნისა, თბილისი, 2008.
66. ჯორჯაძე ,1911: ჯორჯაძე ა., თხზულებები, ტფილისი, 1911.
67. ფიგნერ,1927: ფიგნერი ვ., პროცესს 50-ტი 1877 წელი, მოსკოვი, 1927.

პერიოდიკა

68. ,,ალიონი“,1917: გაზეთი „ალიონი“, თბილისი, 1917,№ 29.
69. „ამირანი“, 1908: გაზეთი „ამირანი“, თბილისი, 1908 ,№ 4.
70. „ამირანი“ ,1908: გაზეთი „ამირანი“, თბილისი, 1908 ,№ 5.

71. „აამხანაგი“, 1917: გაზეთი „ამხანაგი“, ფოთი, 1917,№ 8.
72. „ივერია“,1882: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1882,№ 7.
73. „ივერია“,1882: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1882,№ 8.
74. „ივერია“, 1882: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1882,№ 9.
75. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889,№ 222.
76. „ივერია“, 1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889,№ 223.
77. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889,№ 224.
78. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889,№ 225.
79. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889,№ 226.
80. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889, № 223.
81. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889,№ 224.
82. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889,№ 225.
83. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889, № 226.
84. „ივერია“, 1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889, № 227.
85. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889, № 228.
86. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889, № 223.
87. „ივერია“, 1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889, № 233.
88. „ივერია“,1889: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1889, № 238.
89. „ივერია“, 1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 95 .
90. „ივერია“, 1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 96.
91. „ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 97.
92. „ივერია“, 1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 98.
93. „ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 99.
94. „ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 100.
95. „ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 101.
96. „ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 102.
97. „ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 103.
98. „ივერია“, 1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 104.
99. „ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 105.
100. „ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 106.

101.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 107.
102.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 108.
103.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 109.
104.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 110.
105.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 111.
106.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 112.
107.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 113.
108.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 114.
109.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 115.
110.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 116.
111.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 116.
112.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 117.
113.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 118.
114.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 119.
115.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 120.
116.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 121.
117.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 122.
118.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 123.
119.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 124.
120.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 125.
121.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 126.
122.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 127.
123.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 128.
124.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 129.
125.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 130.
126.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 131.
127.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 132.
128.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 132.
129.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891, № 133.
130.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 134.

131.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 131.

132.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 132.

133.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 133.

134.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 134.

135.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 135.

136.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 136.

137.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 137.

138.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 138.

139.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 139.

140.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 140.

141.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“,თბილისი, 1891,№ 141.

142.„ივერია“,1891: გაზეთი „ივერია“, თბილისი, 1891,№ 142.

143.„კასპი“,193: გაზეთი „კასპი“,ბაქო,1893, №2.

144.„კასპი“,1893: გაზეთი „კასპი“,ბაქო,1893, № 66.

145.„კასპი“,1893: გაზეთი „კასპი“,ბაქო,1893, № 156.

146.„კასპი“,1893: გაზეთი „კასპი“,ბაქო,1893, № 162.

147.„კასპი“,1893: გაზეთი „კასპი“,ბაქო,1893, № 266.

148.„კვალი“, 1893: გაზეთი „კვალი“, თბილისი,1893, №16.

149.„კვალი“,1893: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1893, № 17.

150.„კვალი“,1893: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1893, № 20.

151.„კვალი“,1893: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1893, № 21.

152.„კვალი“,1895: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1895, № 5.

153.„კვალი“,1896: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1896, № 2.

154.„კვალი“,1896: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1896, № 3.

155.„კვალი“,1896: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1896, № 12.

156.„კვალი“,1896: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1896, №19.

157.„კვალი“,1899: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1899, № 13.

158.„კვალი“,1899: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1899, № 14.

159.„კვალი“,1899: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1899, № 15.

160.„კვალი“,1899: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1899, № 18.

161.„კვალი“,1903: გაზეთი „კვალი“, თბილისი, 1903, № 4.

162.„მეგობარი“,1906: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1906, № 5.

163.„მეგობარი“,1906: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1906,№ 11.

164.„მეგობარი“,1906: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1906,№ 16.

165.„მეგობარი“,1906: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1906,№ 22.

166.„მეგობარი“,1906: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1906,№ 34.

167.„მეგობარი“,1906: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1906,№ 58.

168.„მეგობარი“,1915: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1915,№ 1.

169.„მეგობარი“,1915: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1915,№ 5.

170.„მეგობარი“,1915: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1915, № 6.

171.„მეგობარი“,1915: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1915, № 11.

172.„მეგობარი“,1915: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1915, № 16.

173.„მეგობარი“,1915: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1915, № 22.

174.„მეგობარი“,1915: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1915, № 34.

175.„მეგობარი“,1915: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1915, № 41.

176.„მეგობარი“,1916: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1916, № 105.

177.„მეგობარი“,1916: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1916, № 107.

178.„მეგობარი“,1916: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1916, № 108.

179.„მეგობარი“,1916: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1916, № 111.

180.„მეგობარი“,1916: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1916, № 117.

181.„მეგობარი“,1916: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1916, № 119.

182.„მეგობარი“,1916: გაზეთი „მეგობარი“, თბილისი, 1916, № 123.

183.„ნოვოე ობოზრენიე“, 1889: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1889, № 2050.

184.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1889: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1889, № 2052.

185.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1889: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1889, № 2055.

186.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2168.

187.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2192.

188.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2197.

189.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, №2204.

190.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2210.

191.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2217.
192.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2239.
193.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2254.
194.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2255.
195.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2261.
196.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2281.
197.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2283.
198.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2294.
199.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2308.
200.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890,, № 2314.
201.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2362.
202.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2381.
203.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1890: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1890, № 2404.
204.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2577.
205.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2585.
206.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2605.
207.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2614.
208.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2621.
209.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2635.
210.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2646.
211.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2649.
212.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2650.
213.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2655.
214.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2673.
215.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2674.
216.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2739.
217.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2741.
218.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2744.
219.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2748.
220.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2749.

221.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1891: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1891, № 2751.

222.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2761.

223.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2763.

224.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2767.

225.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2768.

226.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2792.

227.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2844.

228.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2896.

229.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2897.

230.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2902.

231.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2955.

232.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2956.

233.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2980.

234.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 2981.

235.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 3003.

236.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 3008.

237.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 3109.

238.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1892: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1892, № 3111.

239.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1893: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1893, № 3147.

240.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1893: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1893, № 3150.

241.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1893: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1893, № 3203.

242.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4313.

243.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4315.

244.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4318,.

245.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4320.

246.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4321.

247.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4326.

248.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4331.

249.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4333.

250.„ნოვოე ობოზრენიე“ ,1896: გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, თბილისი, 1896, № 4334.

251.„საქართველო“,1903: ,გაზეთი „საქართველო“, პარიზი, 1903, № 1.

252.„სახალხო საქმე“,1917: გაზეთი „სახალხო საქმე“, თბილისი, 1917, № 17.

253.„სახალხო საქმე“ ,1917: გაზეთი „სახალხო საქმე“, თბილისი, 1917, № 20.

254.„სიბირსკაია გაზეტა“, 1888: გაზეთი „სიბირსკაია გაზეტა“, ტომსკი, 1888, № 26.

255.„სიბირსკაია გაზეტა“ ,1888: გაზეთი „სიბირსკაია გაზეტა“, ტომსკი, 1888, № 37.

256.„სიბირსკაია გაზეტა“ ,1888: გაზეთი „სიბირსკაია გაზეტა“, ტომსკი, 1888, № 39.

257.„სიბირსკაია გაზეტა“ ,1888: გაზეთი „სიბირსკაია გაზეტა“, ტომსკი, 1888, № 42.

258.„სიბირსკაია გაზეტა“ ,1888: გაზეთი „სიბირსკაია გაზეტა“, ტომსკი, 1888, № 46.

259.„სიბირსკაია გაზეტა“ ,1888: გაზეთი „სიბირსკაია გაზეტა“, ტომსკი, 1888, № 50.

260.„ჩვენი მეგობარი“ ,1916: გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, ქუთაისი, 1916, № 41.

261.„ჩვენი მეგობარი“ ,1917: გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, ქუთაისი, 1917, № 413.

262.„ბილოე“ ,1903: ჟურნალი „ბილოე“, პეტერბურგი, 1903, № 3.

263.„ბილოე“ ,1906: ჟურნალი „ბილოე“, პეტერბურგი, 1906, № 6.

264.„ბილოე“ ,1907: ჟურნალი „ბილოე“, პეტერბურგი, 1907, № 3.

265.„ბილოე“ ,1907: ჟურნალი „ბილოე“, პეტერბურგი, 1907, № 4.

266.„ბილოე“ ,1907: ჟურნალი „ბილოე“, პეტერბურგი, 1907, № 8.

267.„ბილოე“ ,1907: ჟურნალი „ბილოე“, პეტერბურგი, 1907, № 9.

268.„ბილოე“ ,1907: ჟურნალი „ბილოე“, პეტერბურგი, 1907, № 10.

269.„არნონჟტ,“ 1877: ჟურნალი „ვპერედი“, ციურიხი ,ლონდონი 1877, № 5.

270.„იმედი“ ,1881: ჟურნალი „იმედი“, თბილისი, 1881 , № 10.

271.„იმედი“ ,1881: ჟურნალი „იმედი“, თბილისი, 1881 , № 11.

272.„იმედი“ ,1881: ჟურნალი „იმედი“, თბილისი, 1881 , № 12.

273.„იმედი“ ,1881: ჟურნალი „იმედი“, თბილისი, 1882 , № 11.

274.„იმედი“ ,1881: ჟურნალი „იმედი“, თბილისი, 1882 , № 12.

275.„იმედი“ ,1881: ჟურნალი „იმედი“, თბილისი, 1883 , № 3.

276.„კანდალნიი ზვონ“, 1956: ჟურნალი „კანდალნიი ზვონ“, ოდესა,1925, № 2.

277.„კრასნიი არხივ“ ,1927: ჟურნალი „კრასნიი არხივ“, მოსკოვი,1927, № 20.

278.„კატორღა და სსილკი“, 1927: ჟურნალი „კატორღა და სსილკი“, მოსკოვი,1927, № 4.

279.„კატორღა და სსილკი“, 1927: ჟურნალი „კატორღა და სსილკი“, მოსკოვი,1927, № 6.

280.„კატორღა და სსილკი“1928: ჟურნალი „კატორღა და სსილკი“, მოსკოვი,1928, № 4.

281.„ლიტერატურული საქართველო“ ,1964: ჟურნალი „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1964 , № 6.

282.„მინუვშიე გოდი“ ,1914: ჟურნალი „მინუვშიე გოდი“, პეტერბურგი,1914 , № 8.

283.„მოამბე“ ,1896: ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 1896, № 4.

284.„მოამბე“ ,1896: ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 1896 , № 5.

285.„მოამბე“ ,1896: ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 1896 , № 6.

286.„მოამბე“ ,1896: ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 1896 , № 12.

287.„მოამბე“ ,1897: ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 1897 , № 1.

288.„მოამბე“ ,1897: ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 1897 , № 2.

289.„მოამბე“ ,1897: ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 1897 , № 3.

290.„მოამბე“ ,1897: ჟურნალი „მოამბე“, თბილისი, 1897, № 4.

291.„ოგონიოკ,“ 1963: ჟურნალი „ოგონიოკ“,მოსკოვი, 1963, № 29.

292.„ობშინა“ ,1878: ჟურნალი „ობშინა“, ჟენევა,1878, № 1.

293.„რუსკაია მისლ“, 1889: ჟურნალი „რუსკაია მისლ“,მოსკოვი, 1889 № 9.

294.„რუსკაია მისლ“ ,1891: ჟურნალი“რუსკაია მისლ“,მოსკოვი, 1891 № 5.

295.„საქართველოს კალენდარი“ ,1890: ჟურნალი „საქართველოს კალენდარი“, თბილისი, 1890, №1301.

296.„საქართველოს ეკონომისტი“,1960: ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“, თბილისი, 1960 № 2.

297.საქართველოს ეკონომისტი“ ,1962: ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“, თბილისი, 1962, № 9.

298.„წითელი არქივი“ 1927: ჟურნ,ალი „წითელი არქივი“,მოსკოვი, 1927, № 20.

299.„ზაჟივო პოგრებლიონნიე“,1878:ბროშურა„ზაჟივო პოგრებლიონნიე“, პეტერბურგი, 1878.

ინტერნეტრესურსი

298. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,ვებ-გვერდი, ლინკი:https://www.google.com/search?gs_ssp=eJzj4tLP1TcwqrCosCwwYLRSNagwMTAxMUhONTNINUtLNTUytTKoSE0xTk4zTjY2ME-zTDIyNPMyf9g85WHzgofNcx82T33YPOdh8-KHzbMeNs9QeNg8EUiByVlgBlDFdLDqmQ-bJwAAjmcyRQ&q=%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%8

3%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%91%E1%83%98%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90&rlz=1C1GCEA_enGE929GE929&oq=%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95&aqs=chrome.1.35i39j46i175i199j69i57j35i39j0i457j46i175i199l2j0i30.92648j0j9&sourceid=chrome&ie=UTF-8
(უკანასკნელად ნანახია 04.10.2019)

299. საქართველოს ეროვნული არქივი ოფიციალური ვებ-გვერდი, წყარო: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომების ოქმები - 25.01.1919 წ. ლინკი: https://archival-services.gov.ge/fonds/welcome/aidFiles/86555

300. ვიკიპედიის ინფორმაცია https://ru.wikipedia.org/wiki/Кара_(Дагестан)(გვდერდი განახლებულია 23.02.21)